

XIX-XX საუკუნეების ქართულ მწერალთა

ების გოლოური მემკვიდრეობა

ტომი IX

გრიგოლ ონბეგიაანი

(ნაწილი VIII)

XIX-XX საუკუნეების ქართულ მწერალთა

ეპისტოლური მემკვიდრეობა

ტომი IX

გრიგოლ იზბუღიანი (ნაწილი VIII)



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2019

უკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6  
ე-726



შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
**Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia**



იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**Iakob Gogebashvili Telavi State University**

სამეცნიერო პროექტი „XIX-XX საუკუნეების ქართულ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა (VIII-IX ტომები)“ (გრანტი №217906) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project ‘Scholarly Edition of the 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> cc. Georgian Writers’ Epistolary Legacy (Volumes VIII-IX)’ (Grant №217906) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

ტომის რედაქტორები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი **ქეთევან გიგაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი **მაია (მარიამ) ნინიძე**

© იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაშვილის ქ. 4 ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com  
ISBN 978-9941-22-185-9 (ყველა ტომისათვის)  
ISBN 978-9941-26-600-3 (VIII ტომი)

## შესავალი

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის მრავალტომეულის წინამდებარე IX ტომში წარმოვადგენთ გრიგოლ ორბელიანის წერილების VIII ნაწილს, რომელიც შესრულებულია 1870-1873 წლებში.

მკითხველს შევახსენებთ, რომ დასახელებული ავტორის წერილები ჩვენი მრავალტომეულის გამოცემაში მე-2 ტომიდან იბეჭდება.

II და III ტომებში<sup>1</sup> შევიდა პოეტის წერილების I და II ნაწილები, რომლებმაც მოიცვა 1832-1850 წლებში დაწერილი 191 წერილი. II ტომში გამოქვეყნდა 1832-1844 წლების წერილები. მათმა რაოდენობამ 82 შეადგინა. აქ შევიდა აკაკი განერელიას გრიგოლ ორბელიანის წერილების I ტომში<sup>2</sup> დაბეჭდილი 63 წერილი, რომელსაც დაემატა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში<sup>3</sup> პირველი პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული 1 წერილი, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში<sup>4</sup> (რომელიც სოლომონ ცაიშვილმა გამოსცა) ასევე პირველი პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული 1 წერილი, გამოუქვეყნებელი 12 რუსული და 5 ქართული წერილი. ასე რომ, II ტომში პირველად

---

<sup>1</sup> XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი III, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი II), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

<sup>2</sup> გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი პირველი, 1832-1850, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, კოტე გორდელაძის წინასიტყვაობით, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1936.

<sup>3</sup> ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ს. ფირცხალავას გამოც., ტფ., 1922.

<sup>4</sup> ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947.



გამოქვეყნდა 17 წერილი. გამოცემაში დათარიღდა 74 ეპისტოლე.

III ტომში დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის 1845-1850 წლებში დაწერილი 109 წერილი: მათგან 4 რუსული, ხოლო დანარჩენი – ქართული. ოთხივე რუსული წერილისთვის ჩვენი გამოცემა პირველი პუბლიკაცია იყო. აქვე პირველად გამოქვეყნდა ილია ორბელიანისადმი გაგზავნილი 5 წერილი. ასე რომ, III ტომში პირველად დაიბეჭდა 9 წერილი. დათარიღდა 20 ეპისტოლე.

III ტომში წარმოდგენილი წერილების უმრავლესობა შესულია აკაკი განწერელისა და გრიგოლ ორბელიანის წერილების I ტომში, სამი გამოქვეყნებულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში, ხოლო 1 – ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში.

IV ტომმა<sup>5</sup> მოიცვა 1851-1852 წლების წერილები, რომელთა რაოდენობამ 77 შეადგინა. მათგან 34 ბარათი რუსულია. ისინი ჩვენს გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა. აქვე პირველად დაიბეჭდა 3 ქართული წერილი, რომლებიც დაუთარიღებელი იყო და დათარიღების შემდეგ 1851-1852 წლების წერილების ქრონოლოგიურ რიგში მოთავსდა. ასე რომ, ჩვენი გამოცემა 37 წერილისთვის პირველი პუბლიკაცია იყო. IV ტომში დათარიღდა 6 ბარათი. წერილების უმრავლესობა გამოაქვეყნა აკაკი განწერელის 1937 წელს გრიგოლ ორბელიანის წერილების II ტომში,<sup>6</sup> ხოლო 4 წერილი დაიბეჭდა ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში.

V ტომი დაეთმო გრიგოლ ორბელიანის 1853-1855 წლების წერილებს, რომელთა რაოდენობამ 133 შეადგინა. ამათგან 38

---

<sup>5</sup> XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი IV, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი III), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013.

<sup>6</sup> გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1937.

ნერილი რუსული იყო, რომლებიც ჩვენს გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა. ასევე პირველად დაიბეჭდა 7 ქართული ეპისტოლე. ამდენად, V ტომში პირველად გამოქვეყნდა 45 ნერილი. დათარიღდა 8 უთარილო ბარათი.

VI ტომში დაიბეჭდა 1856-1858 წლების 134 ნერილი, ამათგან პირველი პუბლიკაციის სახით – 46: 31 რუსული, 15 – ქართული. დათარიღდა 21 ნერილი, ხოლო ერთ ბარათში გამოვლინდა მექანიკური შეცდომა (31 ოქტომბრის ნაცვლად ავტორს ეწერა 31 ნოემბერი).

VII ტომში შევიდა გრიგოლ ორბელიანის 88 ეპისტოლე. აქედან 12 ნერილი, დაწერილი 1859 წელს, გამოქვეყნებულია აკაკი განერელიას მიერ 1937 წელს გრიგოლ ორბელიანის ნერილების ზემოთ ნახსენებ II ტომში (მკვლევარმა პოეტის ნერილების გამოცემა სწორედ 1859 წლით დაამთავრა), 3 ნერილი კი გამოცემულია სოლომონ ცაიშვილის მიერ 1947 წელს ზემოთ ნახსენებ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში.<sup>7</sup>

1860 წლის შემდგომი ნერილების აბსოლუტური უმრავლესობა და აგრეთვე უთარილო ნერილები (რომლებიც დათარიღების შედეგად 1859-1864 წლების ქრონოლოგიურ რიგში მოთავსდა), დღემდე გამოუქვეყნებელი იყო. ისინი VII ტომში პირველად დაიბეჭდა. ასეთი იყო 73 ეპისტოლე. ამათგან 34 – რუსული, ხოლო 39 – ქართული.

ტომში დათარიღდა 14 ბარათი.

VIII ტომში დაიბეჭდა ავტორის 104 ნერილი, 76 რუსული, 28 – ქართული. გამოცემაში დათარიღდა 13 ბარათი. ათეულობით ნერილი ჩვენს გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა.

წინამდებარე IX ტომში ქვეყნდება პოეტის 102 ნერილი, აქედან 56 რუსული, დანარჩენი – ქართული. მათგან დღემდე დაბეჭდილია 8 ნერილი. აქედან ორი – იონა მეუნარგიას მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანი-

---

<sup>7</sup> გვ.: 302-334.

სა“, ხოლო 6 – ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში. 13 წერილის ნაწყვეტი გამოქვეყნებულია იონა მეუნარგიას მონოგრაფიაშივე, მათგან 1 ფრაგმენტი იმ 6 წერილიდან ერთ-ერთიდანაა, რომელიც ზუგდიდის მუზეუმის შრომებშია დაბეჭდილი. ეს არის ლევან მელიქიშვილისადმი №5 (801). 1 ფრაგმენტი გამოქვეყნებული აქვს ნათელა იმედაძეს.<sup>8</sup> ამდენად, წინამდებარე გამოცემაში პირველად ქვეყნდება 94 ბარათი. დათარიღებულია 22 ეპისტოლე.

იონა მეუნარგიას ზემოთ ნახსენებ მონოგრაფიაში გვხვდება წინამდებარე ტომში დაბეჭდილი ეპისტოლეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში (1870-1873 წლებში) დაწერილი სხვა წერილების ფრაგმენტებიც, რომელთაც ვერ მივაკვლიეთ ჩვენს სიძველეთსაცავებში. საფიქრებელია, რომ ეს წერილები დაიკარგა. ამ ნაწყვეტებიდან ორი ანასტასია ორბელიან-ოკლობ-ჟიოსადმია გაგზავნილი (არ არის გამორიცხული, ორივე ნაწყვეტი ერთი წერილიდან იყოს. მეუნარგიას ერთისთვის ზუსტი თარიღი აქვს მიწერილი, ხოლო მეორისთვის – მხოლოდ წელი და დანამდვილებით ამისი მტკიცება, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია); ორი ნაწყვეტი (ორივე ერთ წერილს ეკუთვნის) ლევან მელიქიშვილისადმია, ხოლო ერთიც – ერმოლოვისადმი (სავარაუდოდ, ალექსი ერმოლოვისადმი).

მოგვყავს ეს ფრაგმენტები:

„ყაფლან ამ ჟამად ჩემთანა სდგას, სოფლიდამ ჩამოსული და ორნივე ერთად უყურებთ ამის სახლის განახლებასა: ჯერ მხოლოდ ქერი დახურა კრამიტით და ვნახოთ შემდეგ რა გამოვა, რადგანაც პადრიაღჩიკი გაუკუტრდა და გაიქცა. – მეც ვეუბნები: „ყაფლან, ერთი პოდრიაღჩიკი შენც იყავ და ვერ შეასრულე საქმე, მაგრამ კი არავინ გახრჩობს და ითხოვ კიდევ ოცის წლით ატსროჩკას; შენცა მიეც ოცი წლის ვადა,

---

<sup>8</sup> გრ. ორბელიანის გამოუქვეყნებელი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლისათვის: „უურნალისტის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, 1978.

ეგებ აგიშენოს“. ამ სიტყვებზედ ძალიან ილანძლება და მაშინებს, რომ სხვაგან გადავალო, შენთან ცხოვრება არ შემიძლიანო“ / „...ამ ზაფხულს ხშირად ავდიოდი მირსკისთან კოჯორზე, – ყოველ დღე ვბოსტნობდით და ვბაასობდით პრუსია-საფრანგეთის ბრძოლაზედ. კოჯორი იყო ორ-ნაწილად გაყოფილი: მე, მირსკი, გიორგი მუხრანსკი და იოსებ ყორღანოვი ვიყავით პრუსიელები; ირაკლი, აგლობჟიო, ამიროვი, ივანოვი და ლოლობერიძე ფრანციის მხარე. ამათთან ზოგჯერ ქალებიც ჩამოერეოდნენ ჩვენს ბაასში და ასეთი ჩხუბი იმართებოდა, რომ ხან და ხან გავებუტებოდით ერთმანეთს...“ (ლევან მელიქიშვილისადმი, 1870 წლის 14 სექტემბერი).

«...Цалую тебя, цалую твоихъ дѣтей, даже 18 лѣтнюю дочь. Ничего, за три тысячи верстъ можно посылать горячіе пощѣлуи, которыя охладѣютъ до замерзанія, пока дойдутъ до ея глазъ» (ალექსი ერმოლოვისადმი, 1872 წლის 19 იანვარი).<sup>9</sup>

„ბიძინა ჩოლოყაევის ცოლი წავიდა დილიჯანს ქმართან, რომელიც თურმე მძიმედ ავად არის, კარგია, ვისაცა ჰყავს ცოლი, ვისაცა ჰყავს ქვეყანაზე ვინმე გულის შემატკივარი და ჩემსავით არა გდია ოთხს კედელს შუა და არ მოელის, როდის ინებებს სოლომონკა სანთლის ანთებას ჩემს ოთახში“ (ანასტასია ორბელიანი-ოკლობჟიოსადმი, 1873 წლის 24 დეკემბერი).

„ოლონდ კი დედაკაცი გავიდეს თავის სახლიდან, ოლონდ კი სხვაგან იყოს და რაც უნდა დაემართოს, ყველას მოითმენს. „ვაი, ქაა! ეს რა მოგვივიდა“, – ამას იტყვის და დამ-

---

<sup>9</sup> „...გოცნი შენც და შენს ბავშვებსაც, 18 წლის ქალიშვილსაც. არა უშავს-რა, შეიძლება სამი ათასი ვერსის მანძილზე მხურვალე კოცნის გაგზავნა, რადგან გაცივდება, გაიყინება, ვიდრე მისს თვალებამდე მიაღწევდეს.“

შვიდდება. დედაკაცს მხოლოდ ძილისათვის უნდა სახლი და ცხოვრებისათვის და სიამოვნებისათვის გარეთ სხვაგან სად-მე; იქ არის ბედნიერება, იქ უნდა თავის მოდნის ახალ-ახალი კაბაცა..“ (ანასტასია ორბელიანი-ოკლობუიოსადმი, 1873).

IX ტომზე მუშაობისას პირველად შეგვხვდა წერილის ორი ავტოგრაფული ნუსხა. ეს არის სოფიო ერისთავ-ორბელიანი-სადმი №3 (804) ბარათი. მისი ერთი ავტოგრაფი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №485), ხოლო მეორე – ეროვნულ ისტორიულ არქივში (A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515<sup>ა</sup> (ძველი №175), 117r-v). ამ ორ ნუსხას შორის სხვაობა, ძირითადად, პუნქტუაციური და ორთოგრაფიული ხასიათისაა, მაგ., კომპოზიტური აგებულების სიტყვები, რომლებიც C ნუსხაში ერთად არის დანერილი, A ნუსხაში დეფისით გვაქვს; რამდენიმე მაგალითი ენობრივიც შეგვხვდა, მაგ., C ნუსხაში თუ წერია „განქრება“, „მისწერე“, A ნუსხაში გვაქვს – „განჰქრება“, „მივჰსწერე“ და ა. შ. ამგვარ სხვაობათა რიცხვმა მთლიანობაში 28 შეადგინა. ხელნაწერთა შედარებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ავტორმა ჯერ C ნუსხა შექმნა, ხოლო A ნუსხა მისგან გადაწერა. ამგვარი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ერთადერთი მაგალითი: C ნუსხაში წერია: „სინოდისაგან და არქიერისა“; A ნუსხაში ჯერ დაუწერია „სინოდისაგან“, მერე „გან“ თანდებული წაუშლია და მეორე სიტყვისთვის დაურთავს: „სინოდისა და არქიერისაგან“. შინაარსობრივი სხვაობა, რაც ამ ორ ხელნაწერს შორის ფიქსირდება, არის წერილის დამამთავრებელი ნაწილი: C ნუსხას აქვს დამშვიდობების ფრაზა და ხელრთვა, ხოლო A ნუსხას – არა. როგორც ჩანს, ავტორმა საბოლოოდ უპირატესობა ისევ პირველ ნუსხას მიანიჭა და ის ვარიანტი ჩაიფიქრა გასაგზავნად, თუმცა ძნელი სათქმელია, ის გაგზავნა, თუ კიდევ შექმნა მისი თეთრი ვარიანტი. ზოგადად, ავტორს ახასიათებდა წერილის ჯერ შავი ვარიანტის დაწერა და

შემდეგ გადათეთრება. რუსული წერილების აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენამდე სწორედ შავი პირის სახით არის მოღწეული. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენ ძირითად ტექსტად ავირჩიეთ C ნუსხა, ხოლო A ნუსხის ვითარების ჩვენების მიზნით, სამეცნიერო აპარატში დავურთეთ ავტოგრაფთა შედარებითი ცხრილი.

ერთი წერილი, ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №50 (785), დაზიანებულია, ფანქარი გადასულია და არ იკითხება. ჩვენ ის მაინც ჩავსვით წერილების ქრონოლოგიურ რიგში, მივანიჭეთ ნომერი და წარმოვადგინეთ მისი სკანირებული ფოტო.

წერილები გამოცემაში დაბეჭდილია ძირითად ტექსტად, ხოლო ქართული თარგმანები მათ შემდეგაა წარმოდგენილი. ტექსტში ვარსკვლავებით აღნიშნულია ქართულ წერილებში ჩართული რუსული სიტყვები თუ ფრაზები და მათი თარგმანები მოცემულია წერილის ბოლოს. ასევე წერილის ბოლოს ჩატანილია ის სიტყვები, რომლებიც ვარსკვლავითაა მონიშნული თავად ავტორის მიერ.

თარგმანებში მაქსიმალურად შევინარჩუნეთ ავტორის სტილი, მისი ქართული წერილებისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, სიტყვათა ავტორისეული დაწერილობა, მაგ., „ღენერალი“, „ლუბერნატორი“, „ლუბერნია“, „მუშთაიდი“, „ლრაჭი“, „ლრაჭინია“, „ხელმწიფა“ (წარჩინებული ქალბატონებისადმი მიმართვისას) და ა. შ.

თარგმანებში, ცხადია, დავიცავით ორბელიანის წერილების ენისთვის ნიშანდობლივი რუსიციზმები, ასევე პირთა, გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა დაწერილობები, მაგ., „უპრავლენიე“, „კნიაზი“, „კნიალინა“, „ლევაშევი“, „ოლოლობჟიო“, „ანგლიური“, „ანგლიჩანი“, „ჭრანცია“, „სომხითი“, „ოდესსა“, „პეტერბურდი“, „დალისტანი“ და სხვ.

თანაბრად ხმარებული პარალელიზმები ქართულ თარგმანებშიც შევინარჩუნეთ, მაგ., მაქვს // მაქუს; საყვარელი // საყუარელი; ჩვენი // ჩუენი; თქვენი // თქუენი და ა. შ.

თარგმანებში ავსახეთ ავტორის ქართული წერილებისთვის დამახასიათებელი სხვა ენობრივი ნიშნებიც, მაგ., პირის ნიშანთა ხმარების ჩვევები (ერთპირიანებთან ორი პირის ნიშნის წარმოდგენა, ორპირიანებთან – სამი პირისა, ასევე მათი გამოყენება ნებისმიერი თანხმობის წინ და სხვ.).

კრებული მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში.

უნივერსიტეტის თანამშრომელთა გარდა, მის მომზადებაში ჩართულნი იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი, პროექტის მეცნიერ-კონსულტანტი და ტომის ერთ-ერთი რედაქტორი მაია (მარიამ) ნინიძე, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთანამშრომლები: ლია კიკნაძე, ეთერ ბერუაშვილი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე თეა თვალავაძე, რომელიც, ამავე დროს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტია.

IX ტომში წარმოდგენილი ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, პასპორტები, შენიშვნები, შესავალი წერილი, „ტექსტისათვის“ და რუბრიკა „ადრესატის მისამართი“ დაურთო **ქეთევან გიგაშვილმა**; დათარიღება ეკუთვნის **თეა თვალავაძეს**, კომენტარები – **მაია (მარიამ) ნინიძესა და თეა თვალავაძეს**, ლექსიკონი – **ქეთევან გიგაშვილსა და მზია გიგაშვილს**, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები – **გიორგი გოცირიძეს**.

წერილები ავტოგრაფებიდან გადმოწერეს და ხელნაწერთა აღწერილობები მოამზადეს **ქეთევან გიგაშვილმა და მზია გიგაშვილმა**; რუსული წერილები დაამუშავეს **ლია კიკნაძემ და ეთერ**

**ბერუაშვილმა**, ქართულად თარგმნა **არსენ ბერთლანმა**, რედაქციულად გამართა **ქეთევან გიგაშვილმა**, ხოლო მათ კორექტურაზე იმუშავა **ნათელა ლუდუშაურმა**.

ვრცელი შესავალი წერილი იხ. ჩვენი გამოცემის II ტომში: „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), თბ., 2012, გვ. 3-12.





1870

### **ბაბალე ორბელიან-საბინაშვილისადმი №28 (728)**

ჩემო საყუარელო ბაბალე! ავათმყოფი გილოცავ ავათ-  
მყოფსა ახალის წელიწადით. ლ~თმან<sup>1</sup> მრავალჯერ ბედნიერე-  
ბით და მხიარულებით განგატარებინოს ახალწლის დღესასწა-  
ულები.

შენი გრიგოლი

[1870 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე]

### **ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №39 (729)**

20 Генв: 1870 Тифлис.<sup>1</sup>

Мой друг Варвара! Недавно возвратились из Крыма Манана и Тасо, облеченные в Трауре, и духом, и телом, можешь вообразить, какая была наша встреча, встреча горести и слёз. Глубокая печаль и дорога истощили их духовныя и физическія силы, едва можно узнать их. Теперь, Манана, бедная, лежит в постели, Тасо еще коекак держится. Иван досих пор в Харькове у невестки. А между тем, в глубоких траурах родственницы, друзья, знакомыя, неперестают посещать бедную Манану с утра до глубокой ночи. Становится невыносимо.

Если ты не знакома с женой беднаго Александра, тыбы меня очень обрадовала, если, при случае, по чувству родства, познакомишься и сблизись сней. Все хвалят ея, как умную и добрую молодую женщину.

Я слышал, ты ездила в Петерб., и, если я угадываю, представлялась Вел: Княгине. Надеюсь, напишешь мне все подробности вашего свиданія.

Что это значит, мы не можем дожидаться твоего портрета?

Только что получил твою Телеграмму о твоей Пенсіи, и, признаюсь, я взбесился: неужели никого нет у тебя, которыйбы был в состояніи объяснить в Московской Казен: Палате о том, что никаких затрудненій нет в выдаче твоей Пенсіи? Здесьже, по справке оказалось: «Согласно просьбы Княгини – (твоей –) от 7 Декаб: 1868 переведено в Москов: Казен: Палату Пенсіонным листом Закавказской Казенн: Палаты 13 Декаб: 1868 за N19314, и что расчетный лист должен быть выдан из Москов: Каз: Па:<sup>М</sup>, – по представленію в оную нужных документов.

Теперь нужно, чтобы ты представила Свидетельство Москов: Полиціи в Моск: Казен: Пол:<sup>У</sup> от том: 1) Что, ты, действительно, Варвара Ильинишна, вдова Генер: Майора К:<sup>А</sup> Ильи Орб:, 2) Что, ты, в самом деле, жива, и живешь в Москве ссоим сыном, по маршруту, или Свидетельству, выданному Тифлис: Гражд: Губерн:<sup>ОМ</sup>, и 3) Что, ты, то самое лице, которое в теченіи всего 1869 года получала Пенсію за себя и за своего сына из Москов: Казначейства, на основаніи бумаги – или сообщенія – Закавказской Казен: Палаты от 13 Декаб: 1868 N19314 в Москов: Каз: Палату. –

Эти то свидетельства Москов: Полиціи и составят те документы, которые необходимы Москов: Казен: Палате. Полагаю, что, по предъявленіи их Палате не встретишь более препятствія к отпуску твоей Пенсіи. Но, если, против ожиданія, понадобились и отсюда другія документы, то они будут высланы без потери времени. Всё это происходит от закоренелой привычки Чиновников отыскивать во всех делах одни только затрудненія. Но, я убежден, что еслибы указали

Палате на выше приведенную бумагу от 13 Декаб: 1868 N19314, дело это уладиться легко.

Зима у нас прелесть: голубое небо блестит над нами светом, и теплотой; начались, какбы весной, кавалькады, скачки за Муштайдом. Недаром Персияне называют Грузию Широно-Гуржистан, сладостная Грузия. Право, хорошо жить здесь: И, вспомнил я теперь бедную Веру; ея чистое сердце увлечено было красотой здешней природы. В горах, в этоже время, бушует страшная метель. Дороги заносены глубоким снегом; почты, курьеры остановились в Коби и ждут, когда расчиститься дорога.

Что поделявает мой благородный дядя, Георгій? Неужто все учиться? Георгій, ненадо учиться, учиться не надо!!! Целую тебя в голову и поручаю вас покровительству Всевышняго!

Бабале опять стала поправляться.

## **ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №39 (729)**

20 იანვ: 1870 თბილისი.

ჩემო მეგობარო ვარვარა! ამას წინათ დაბრუნდნენ ყირიმშიდამ მანანა და ტასო, მგლოვიარენი სულითაცა და ხორცი-თაც. წარმოიდგინე, როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი შეხვედრა, შეხვედრა ვაებითა და ცრემლითა. ღრმა წუხილმა და გზამ გამოჰფიჭა მათი სულიერი და ფიზიკური ძალები, ძლივასლა იცნობ. მანანა, საბრალო, ახლა წევს. ტასოს კიდევ როგორღაც უჭირავს თავი. ივანე აქამდე ხარკოვშია რძალ-თან, ამასობაში კი ნათესავნი, მეგობარნი, ახლობელნი დილი-დამ გვიან ღამემდინ არა სწყვეტენ მანანას მონახულებას ღრმა მწუხარებითა. აუტანელია.

თუ არ იცნობ საბრალლო ალექსანდრეს მეუღლეს, ძალზედ გამახარებდი, ხელსაყრელს დროს, ნათესაურის გრძნობის გულისათვის, გაგეცნო და დაახლოებოდი. ყველა აქებს, როგორც ჭკვიანსა და კეთილ ახალგაზრდა ქალბატონსა.

ყური მოგვარ, პეტერბ: ყოფილხარ და თუ გამოვიცან, წარუდექ დიდ კნიალინას. იმედი მაქვს, მოინერები ყოველს წვრილმანს თქვენის შეხვედრისას.

რასა ჰგავს, ველარ ველირსეთ შენს პორტრეტსა?

ეს წუთია, მივიღე შენგან ტელელრამა შენი პენსიის შესახებ და გამოგიტყდები, გავცოფდი: ნუთუ არავინა გყავს, ვისაც ძალუძს აუხსნას მოსკოვის სახაზ: პალატას, რომ არავითარი სიძნელე არ არის შენი პენსიის გაცემაში? აქ კი ცნობაში აღმოჩნდა: „კნინას (შენი) 7 დეკ: 1868 თხოვნის თანახმად, ამიერკავკ. სახაზ: პალატის საპენსიო ფურცლით [პენსია] გადატანილია მოსკოვ: სახაზ: პალატაში 13 დეკ: 1868 №19314<sup>აბ</sup>, და რომ საანგარიშო ფურცელი უნდა გაიცეს მოსკოვ: სახ: პ: <sup>აბ</sup> – საჭირო დოკუმენტების წარსადგენად იქა.“

ან საჭიროა, რომ შენ მოსკოვ: პოლიციის ცნობა წარადგინო მოსკ: სახაზ: პ: <sup>აბ</sup> მასზედ: 1) რომ შენ ნამდვილადა ხარ ვარვარა ილინიშნა, ქვრივი ლენერ: მაიორ კნ: ილია ორბ: <sup>აბ</sup>, 2) რომ, თბილის: სამოქ: ლუბერ: <sup>აბ</sup> გაცემული ცნობის ან მარშრუტის თანახმად, შენ მართლაც ცოცხალი ხარ და ცხოვრობ მოსკოვში შენს შვილთან ერთად, და 3) რომ შენ სწორედ ის პიროვნება ხარ, ვინც მთელი 1869 წლის მანძილზედ თავის და თავისი შვილის პენსიას მოსკოვის ხაზინიდან იღებდა კავკასიის სახაზ: პალატის 13 დეკემბ: 1868 №19314 იმ ქალაქის – ან შეტყობინების – საფუძველზედ, რომელიც მოსკოვის სახაზ: პალატისთვის გაიცა.

მოსკოვ: პოლიციის სწორედ ეს ცნობები შეადგენენ იმ დოკუმენტებს, რომლებიც აუცილებელია მოსკოვ: სახაზ: პალატისთვის. ვგონებ, რომ მათი წარდგენის მერე აღარ გადაეყრები წინააღმდეგობას შენი პენსიის გაცემაზედ. მაგრამ, თუკი, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, აქედანაც დაგჭირდა

სხვა დოკუმენტები, მაშინ ისინი გამოიგზავნება დაუყოვნებლივ. ეს ყველაფერი ხდება ჩინოვნიკთა ფესვგადგმული ჩვევების გამო – ყველა საქმეში გამონახონ მხოლოდ სირთულეები. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ თუკი პალატას მიუთითებდნენ ზემოთ აღნიშნულ 13 დეკემბ: 1868 №19314 ქალაღდზედ, ეს საქმე იოღად მოგვარდებოდა.

ზამთარი გადასარევი გვაქვს: ლაჟვარდი ცა ბრწყინავს ჩვენს თავზედ შუქითა და სითბოთი, თითქოს გაზაფხულიაო, მუშთაიდის იქით დაიწყო კავალკადები, დოღები. ტყუიღად არ ეძახიან სპარსეღები საქართვეღოს შირინო-გურჯისტანს, საამო საქართვეღოსა. მართღაც, კარგია აქ ცხოვრება: და ეხღა გამახსენდა საბრღლო ვერა; მას წმიდა გული დამწვარი ჰქონდა აქაური ბუნების სიღამაზითა. მთაში, ამავე დროს, დაჰქრის საშინელი ქარიშხალი. გზები ჩახერგღია დიდი თოვღლით; ფოჩღები, კურიერები გაჩერდნენ კობში და იცდიან, როდის გასუფთავდება გზა.

რასა იქმს ჩემი კეთიღშობიღი ბიძია გიორგი? ნუთუ ისევ სწავღობს? გიორგი, არ გინდა სწავღა, არ გინდა სწავღა!!! თავს გიკოცნი და უზენაესს ვაბარებ თქუენს თავსა.

ბაბაღე ისევ მომჯობინდა.

## **გაბაღე ორგელიან-საბინაშვიღისაღმი №29 (730)**

ჩემო სულიერო დაო ბაბაღე! დროა, რათა შეინანო ყოვეღლივე რაღცა ჰქმენ ყვეღიერისა კვირიაკეში ანუ სიტყვით, ანუ საქმით, წინაღღმდევი ჰსჯუღლისა და სარწმუნოებისა, მოვედ ჩემთან და აღიარე სინანულითა! ზარის რეკაღცა გაიგონე, რომელიღცა გეძახის საღოღცავად და გულში ცემისათღს.

შენი გრიგოღი

[არაუგვიანეს 1870 წღის 29 თებერვღისა]

## ბარბარე ბაბრატომე-ორბელიანი №40 (731)

22 Марта 1870 Тифлис.<sup>1</sup>

Мой друг Варвара! Ты неможешь представить, как сильно озобочен я, тем положением, в которое ты поставлена Москов: Казен: Палатою, отказывая тебе в твоей пенсии. Я непостоягаю, почему отказывают! Палата, нет сомнения, указывает на причины, по которым она отказывает. И ежели существуют причины, то что сделала ты для их устранения? Быть может, Казначейство, или Палата, по ошибке, не поместила тебя в бюджет на этот год, что было и сомной здесь, в прошлом году; но, я подал просьбу в Главное здесь Управление и дело кончилось в месяц. Надо и тебе также поступить. Поторопись подать просьбу, или в Палату, или Москов: Генер: Губерн:<sup>2</sup> с представлением всех твоих сведений, о которых я писал тебе прежде; поторопись, потому что это дело наверно подлежит разрешению Государ: Совета, на которое опять потребуется несколько месяцев ожиданий. Ради бога, будь откровеннее сомной; никогда непишешь мне о подробностях твоего дела; всё, до тебя касающееся, я узнаю всегда от посторонних лиц, случайным образом; а это мучает и сердит меня.

Целую тебя и дядю Георгія; прошу Бога лишь о вашем здоровьи; а остальное же с помощью Его же благи пойдет хорошо.

К: Леван пишет мне, что ты очень похудела и желали бы летом поехать на морскія курорты; и что он предлагает тебе Петровск. Конечно, там быlobы веселее тебе в сообществе с семейством его, но, собственно, для здоровья, мне кажется, Феодосія несравненно лучше. Тебе уже известны Петровскіе жары и ветры с песком; в Феодосіи также жарко, но нет той невыносимой пыли, от которой нет спасения в Петровске, и

кромѣ того Феодосія ближе к тебе. Туда проложена желѣзная дорога, по крайней мерѣ, до Ростова, и потом водою. Впрочем, у каждаго свой взгляд, и делай всегда то, что укажет тебе твое доброе сердце и светлый ум твой. Так, по крайней мерѣ, говорит Руставели в своей безсмертной поэме ჯგუზისტყობასი.

Бѣдная Манана, после прїезда из Крыма, всё болеет; Тасо Гагарина скоро выедет в Крым, куда вызываютъ ее дела по имени, которое, вместо дохода, приноситъ ей только Горѣ и безпокойство. Дядя Александр также всё болеет; Бабале невыздоровливает, но, свыклась с болѣзнью, бодрствует и довольна жизнью. Махлас,<sup>2</sup> уже мало счастья на нашей улицѣ: никто ничѣм, не увлекается; улица становится всё тише и тише, а сила времени гнѣт нас всех к землѣ, унося изнас, всякій день, чтонибудь лучшее.

Наднях ждем прїезда Его Высочества из Петербурга.

Ея Светлости Царевнѣ прошу выразить чувство глубочайшаго моего уваженія, равно и твоим сестрам, которымъ преданность моя искренна.

Что моя тетущка – Царица Ольга? Царство ея не Москва, а Тифлис, знающій цену всему прекрасному.

Княгиня Аннета Мирская прїехала, оставивъ всю свежесть юной<sup>3</sup> красоты где то на берегу Балтики; но всё еще ворожит умом, Грацією и добротою сердечною. Она вспомнила, какъ её обижали на нашей улицѣ, сколько раз она плакала многообразными придирками Бабале. Конечно, Аннета была виновата, очень виновата тем, что была красивее тех, которыя тогда назывались здѣсь красавицами. Кажется, она и тебе колола Глаза; Теперь можно признаваться.



## ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანისადმი №40 (731)

22 მარტი 1870 თბილისი.

ჩემო მეგობარო ვარვარა! ვერ წარმოიდგენ, როგორ ვარ შეშფოთებული იმ მდგომარეობით, რომელშიაც ჩაგაყენა მოსკ: სახაზ: პალატამ, პენსიაზედ უარს რომ გეუბნებიან. ვერ გამიგია, რად გეუბნებიან უარსა! პალატა უთუოდ მიუთითებს იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც უარობს. და თუკი არსებობს მიზეზები, მაშინ შენ რა იღონე მათ აღმოსაფხვრელად? ეგება ხაზინამ, ან პალატამ შეცდომით არ ჩაგსვა ამა წლის ბიუჯეტში, რაც მეც შემემთხვა აქ შარშან, მაგრამ მე დავწერე თხოვნა აქაურს მთავარს უპრავლენიეში და საქმე დასრულდა ერთს თვეში. შენც ეგრე უნდა მოიქცე. შეეცადე დაწერო თხოვნა ან პალატაში, ან მოსკ: ლენერ: ლუბერ:მან შენი იმ ყველა ცნობის წარდგენით, რომლებზეც მანამდინ გწერდი; იჩქარე, რადგან ეს საქმე, სავარაუდოდ, ექვემდებარება სახ: სათათბიროს გადანიყვეტილებას, რასაც ისევ დასჭირდება ლოდინი რამდენიმე თვით. ღვთის გულისათვის, უფრო გულწრფელი იყავ ჩემთან; არასოდეს მწერ შენს საქმეზე დაწვრილებით; ყველაფერს, რაც შენ გეხება, მუდამ ვიგებ უცხო ადამიანებისგან შემთხვევით; ეს კი მტანჯავს და მაბრაზებს.

გოცნით შენა და ბიძია გიორგის; ღმერთსა ვთხოვ მხოლოდ თქვენს სიჯანსაღეს; დანარჩენი კი მისივე კეთილი შემწობით იქნება კარგადა.

კნ: ლევანი მწერს, რომ შენ ძალიან გამხდარხარ და ისურვებდით ზაფხულში წასულიყავით ზღვის კურორტებზედ, და რომ ის გთავაზობს პეტროვსკს. რა თქმა უნდა, იქ უფრო მხიარულად იქნებოდი მის ოჯახთან, მაგრამ ჯანმრთელობისათვის, ვჭკონებ, ფეოდოსია შეუდარებლად უკეთესია. შენ უკვე იცნობ პეტროვსკის სიცხეებსა და ქვიშიან ქარებს; ფეოდოსიაშიც ასევე ცხელა, მაგრამ არ არის ის აუტანელი მტვერი, რომელსაც თავს ვერ დააღწევ პეტროვსკში, და გარდა

მაგისა, ფეოდოსია უფრო ახლოს არის შენთან. იქ გაყვანილია რკინიგზა, როსტოვამდინ მაინც, მერე კი წყალზედ. თუმცა ყველას თავისი ჰაზრი აქვს და ყოველთვის ისე მოიქეც, როგორც გიკარნახებს შენი კეთილი გული და ნათელი გონება. ყოველ შემთხვევაში, აგრე ამბობს რუსთველი თავის უკვდავს პოემაში ვეფხვისტყაოსანი.

საბრალო მანანა ყირიმიდამ ჩამოსვლის შემდეგ სულ ავა-დობს; ტასო გაგარინა მალე გაემგზავრება ყირიმს, სადაც უხმობენ საქმენი მისი მამულისა, რომელსაც მოგების ნაცვლად ნუხილი და შფოთვა მოაქვს. ბიძია ალექსანდრე ისევ ავა-დობს; ბაბაღე ველარ გამორჩა, მაგრამ მიეჩვია ავადმყოფობას, მხნეობს და კმაყოფილია სიცოცხლით. მახლას, სადღაა ბედნიერება ჩუენს ქუჩაზე: ვერვინ ვერაფრით ერთობა, ქუჩა სულ უფრო მდუმარე ხდება, დროის ძალა კი, ყოველს დღეს რაღაც კარგს რომ გვაცლის ხელიდამ, მიწისკენ გვდრეკს ყველას.

ამ დღეებში ველით მისი აღმატებულების ჩამოსვლას პეტერბურდიდამ.

გთხოვ მის ბრწყინვალეება ცარევენას შეუთვალო ჩემი უღრმესი პატივისცემის გრძნობა, ისევე როგორც შენს დებს, ვისიც გულწრფელად ერთგული ვარ.

რასა იქმს ჩემი ძალუა, დედოფალი ოლლა? მისი სამეფო მოსკოვი კი არ არის, თბილისია, ყველა მშვენიერების ფასი რომ იცის.

კნიალინია ანეტა მირსკაიას სადღაც ბალტიკის ნაპირებზე მიუტოვებია ახალგაზრდული სილამაზის სიქორფე და [ისე] ჩამობრძანდა; მაგრამ ჯერაც გვაჯადოებს გონებით, გრაცითა და გულის სიკეთით. მან გაიხსენა, როგორ ანაწყენებდნენ ჩვენს ქუჩაზედ, რამდენჯერ უტირია ბაბაღეს ათასნაირი შარების გამო. რა თქმა უნდა, ანეტა დამნაშავე იყო, ძალზედ დამნაშავე იმით, რომ უფრო ლამაზი იყო მათზედ, ვისაც მაშინ აქ ლამაზმანები ერქვათ. მგონი შენც არ მოგდიოდა თვალში; ეხლა შეგიძლია აღიარო.

## კონსტანტინე ორლოვსკისადმი №1 (732)

31 Марта 1870

Константину Ивановичу Орловскому<sup>1</sup>

Вчера я не успел передать вам, что К: Абхазов, по домашним обстоятельствам, требующим непременно пребывания его в Тифлисе, не находит для себя возможность принять служебную обязанность вне этого Города. Но, он истинно счастлив вашим милостивым вниманием, предложив ему должность. Он этого никак не ожидал, конечно, подавляемый обстоятельствами, совершенно запутавшими его жизнь.

Теперь, позвольте, Константин Иванович, просить вас еще один раз, в последний раз, зная, по опыту, как тяжело отказывать и как тяжело просить! Ради Иисуса Христа, ради ваших детей, назначьте Надворного Совет: К<sup>а</sup> Леонида Баратова на должность Мироваго Суди в Ахалцихском Уезде. Я верю, что Бог ниспошлет вам свое благословение задело, которым спасете вы от голодной смерти семейство высоконравственного человека и притом весьма деятельнаго чиновника. Умоляю вас, осчастливьте меня исполнением моей просьбы, Божусь, последней просьбы!

## კონსტანტინე ორლოვსკისადმი №1 (732)

31 მარტი 1870

კონსტანტინ ივანოვიჩ ორლოვსკის

გუშინ ვერ მოვასწარ გადმომეცა თქვენთვის, რომ საშინაო საქმეები მოითხოვენ მის უსათუო ყოფნას თბილისში და

კნ: აბხაზოვს არ უხერხდება იტვირთოს სამსახურებრივი მოვალეობა ამ ქალაქის გარეთ. მაგრამ ის ჭეშმარიტად ბედნიერია თქვენის მონყალე ყურადღებით, თანამდებობა რომ შესთავაზეთ. ის ამას არანაირად არ ელოდა, რა თქმა უნდა, დათრგუნული იმ გარემოებებით, მთლად რომ აუნენიათ მისი ცხოვრება.

ან ნება მიბოძეთ, კონსტანტინ ივანოვიჩი, გთხოვოთ კიდე ერთხელ, ბოლოჯერ, რადგან გამოცდილებით ვიცი, რა ძნელია უარის თქმა და რა ძნელია თხოვნა! იესო ქრისტეს გულისათვის, თქვენი ბავშვების გულისათვის, დანიშნეთ ნადვორნი სოვეტნიკი კნ<sup>ა</sup> ლეონიდ ბარათოვი მომრიგებელ მოსამართლედ ახალციხის უეზდში. მჯერა, რომ უფალი დაგლოცავთ იმ საქმისათვის, რომლითაც თქვენ შიმშილით სიკვდილისაგან იხსნით მალაღზნეობრივი კაცისა და ამასთანავე ერთობ გამრჯე ჩინოვნიკის ოჯახსა. გვედრებით, გამაბედნიერეთ ჩემი უკანასკნელი, გეფიცებით, უკანასკნელი თხოვნის აღსრულებითა.

## **პლატონ იოსელიანისადმი №1 (733)**

ჩემო მონყალეო ბატონო პლატონ!

გთხოვ მიბრძანოთ, სად იყო კარნუ ქალაქი<sup>1</sup> და ანუ ამჟამად რას ეძახიან? ძალიან საჭიროა ჩემთვის, ესე იგი ჩემის ტოლუბაშისათვის.

თქუჴნი გულითადი პატივისმცემელი  
თ<sup>2</sup> გრიგოლ ორბელიანი

30 აპრილს 1870<sup>3</sup>

## ბარბარე გაბრატიონე-ორბელიანი №41 (734)

15<sup>th</sup> Мая 1870. в Москву.<sup>1</sup>

Мой друг Варвара! Тифлисская Казенная Палата, после многих настояний, наконец отнеслась в Петербург в Департамент Государст: Казначейства от 7 Мая за №7028 для распоряженія об отпуске, вдове ГенералМаіора Князя Ильи Орбел., Варваре Ильинишне и ея сыну, Пенсіи<sup>2</sup> из Московскаго Казначейства, как за нынешній год, так и на будущее время, пока вы будете жить в Москве.

Хотя Департамент сделает распоряженіе о твоей Пенсіи, но когда? вот вопрос. И потому необходимо, чтобы ктонибудь из твоих знакомых попросил там ускорить этим распоряженіем. Имея означенный здесь № бумаги Тифлис: Казенной Палаты, ему легко исполнить без всякаго затрудненія.

Пишу к тебе в Москву, в надежде, что ты уже возвратилась из Берлина. Ради Бога, будь откровеннее со мной, пиши мне всегда подробно о твоём положеніи, о твоём здоровьи. Зачем скрывать от меня то, что всегда я могу узнать от других? И теперь, я от души благодарен Княжне Гаяне, без которой я бы не знал, что ты до сих пор остаешься без Пенсіи, т: е: совершенно без денег. Меня неможет не удивлять то, что в фамиліи, столь обширной, как ваша, нет ниодного человека, который бы мог узнать, по каким именно причинам Москов: Казна:<sup>30</sup> не выдает тебе Пенсіи? И как не узнать, когда вся ваша фамилія получает содержаніе из этогоже Казначейства? Еслиб эти причины были мне известны, дело уладилосьбы давно.

Целую тебя и Георгія и молю Бога о вашем здоровьи. Напиши, когда на лето думаешь ехать лечиться.

## ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანისადმი №41 (734)

15 მაისი 1870. მოსკოვს.

ჩემო მეგობარო ვარვარა! თბილისის სახაზინო პალატამ, ბოლოს, დიდის დაჟინების შემდეგ, განკარგულებისთვის მიმართა პეტერბურლის სახელმწიფო საზინის დეპარტამენტს 7 მაისის №7028-ით, რათა მოსკოვის საზინიდან გაიცეს პენსია ლენერალ-მაიორ, კნიაზ ილია ორბელ: ქვრივზე, ბარბარე ილინიშნაზედ, და მის შვილზედ, როგორც ამ წლისა, ეგრეთვე სამომავლოდ, ვიდრე თქვენ მოსკოვში იცხოვრებთ.

თუმცა დეპარტამენტი გამოსცემს განკარგულებას შენი პენსიის თაობაზედ, მაგრამ როდის, აი, კითხვა. და ამიტომ აუცილებელია, რომ ვინმე შენიანმა სთხოვოს მანდ, დააჩქარონ ეს განკარგულება. თბილისის სახაზინო პალატის ქალაქის აქ აღნიშნული № რომ ექნება, ის ყოველგვარის სიძნელის გარეშე გაართმევს თავსა.

მოსკოვს გწერ იმ იმედით, რომ უკვე დაბრუნდებოდი ბერლინიდამ. ღვთის გულისათვის, იყავი გულწრფელი ჩემთან, ყოველთვის დანვრილებით მომწერე შენს მდგომარეობაზედ, შენს ჯანმრთელობაზედ. რისთვის მიმაღავ იმას, რაც ყოველთვის შემიძლია გავიგო სხვებისგან. ახლაც მე გულითა ვმადლობ კნენა გაიანეს, ის რომ არა, მე არ მეცოდინებოდა, რომ შენ აქამომდის რჩები უპენსიოდ, ანუ სრულიად უფულოდ. არ შეიძლება არ გამაოცოს იმან, რომ ისეთს დიდს გვარში, როგორიც თქვენია, არ გამოინახა ერთი კაცი, რომელსაც შეეძლო გაეგო, კერძოდ, რა მიზეზებით არ გაძლევს პენსიას მოსკოვ: ხაზი? და როგორ ვერ უნდა გაეგოთ, როცა მთელი თქვენი გვარი ამავე საზინიდან იღებს შემწეობასა? მე რომ მცოდნოდა ეს მიზეზები, საქმე დიდი ხნის მოგვარებული იქნებოდა.

გოცნი შენა და გიორგის და ღმერთსა ვთხოვ თქვენს ჯანმრთელობასა. მოიწერე, რა დროს აპირებ სამკურნალოდ წასვლას ზაფხულში.

## ბიორგი ბაბრათიონ-მუხრანელისადმი №1 (735)

სენატორს ბ – მუხრანსკის

ჩემო მონყალეო ბატონო, კნიაზო გიორგი! როგორც ისმის აქა, თქუჴნი [მ.....] მოგიგვიანდებათ პეტერბურლს და ამისგამო მეცა გწერ, მოიმედე, რომ ეს წერილი მოგასწრობს [.....] ყოფნაში.

აქაური ამბავი, ახალ-ახალი, ნემსიდამ ამოღებული, ეს გახლავს, რომ ბარონ ნიკოლაი [ხუთის თვით] [მიბრძანდება] ოტპუსკში<sup>1</sup> სამზღლუარსგარე, და თუმცა თვთ გვანუგეშებს დაბრუნებითა აქვე, მაგრამ [.....დებას] სრულიად წინააღმდეგსა. ჰაი წავიდეს და აღარ მოვიდეს, ამას იძახიან [.....] საკურველია, არავინ ყოფილა აქა ასე შეძლებული ხალხისაგან. მომაგონდებარა ის [.....ება], რომელიცა გამოუცხადა აქაურმა ხალხმა მინკვიცსა, რომლისა კუბო თავ.....] [....ამდის მისვენეს, როგორ არ ვაქო აქაურების გონიერება და გრძნობა. [.....], მაშინ ვნახავთ, რას იტყვიან თბილისელნი. ვერ წარმოიდგენ იმ სიხარულს] [.....ეს თქუჴნი აქ ბარონის მაგიერობა. ღთმან ინებოს თქუჴნი ამ ალაგს დამ.....] რადგანაც, მართლად, მოითხოვს ამას ბედნიერება ამა მხარისა, მეტად დავრდომილისა [....ოდ. სხუა არა იყოსრა, დაელაპარაკები მაინცა, და ამით გაეხსნებათ მაინცა გული [დაბურვილი] [.....] სხუა და სხუათა გარემოებათაგამო.

[მობრძანდა] ველიკი კნიაზი და დიდად განჰკვირდა, იხილარა ამდროს დათოვლილი [.....] იყო ჩუჴულებრივ სმოტრი<sup>2</sup> ჯარებისა და დიდადაც მოეწონა.

[შენი ძმა ივანე სახლეულობით კარგად არის; კონია წავი-

და კურიერად პეტროვსკი.... და მანლათშლავისაკენ,<sup>3</sup> სადაცა ყირლისელებს დაუჭერიათ ტყუედ ვილაცა ნაჩაღნიკი ქორც...] სალდათებიც ნაუსხამთ. ველიკიის კნიაზსაც იქნება მოუხდეს წასვლა კრასნოვოდ[სკისაკენ]<sup>4</sup> [.....] კნენა [ანნეტა მირსკისა, და თუმცა სიყმანვილისა ბუსუსი მის ლოყებზე გამქრალა, მაგრამ მაინც კიდევ ძალიან ლაზათიანია გონებით, გრაციით, ეშხიანობით.

[სა]ნ[ყა]ლი მანანა, რა დაბრუნდა ყირიმიდამ, სულ ავადა-რის და, იქნება, ვერცკი მორ[ჩეს]. ღ [.....] თქუჴნ ამის შემწეობისათჴს. ბაბალე საგინოვისაც ისევ ავადმყოფობს, მაგრამ [სუ]ლით [მხნე] [.....] უვარდება სნეულებას. ახალი იარანალი<sup>5</sup> საგინოვი სულ იჭიმება და მურს [ისვ[ამ[ს] [...მარდზე, რ[ო]მ ამით ჭალარა დამალოს; პლატონიც აქ არის და მალმალ ეჩხუბება არ[.]ე[.....] ხან გულით მწუხარებს ქალის სიკუდილისაგამო და ხან, უწინდელებრ, ხარხარებს; ავად[მ]ყოფი იოსებ თარხნისშვილი აპირებს წასვლას სამზღლუარსგარე. – გიორგი ანდრონიკოვი გაამართ[ლა] [სუ]დმა; ამავე სუდმა გაამტყუნა კოჭლი ბუჭყიევი, რომელსაცა ესესხებინა ილია ანდრონ: ორ..... ვა[.]ი ას სამოცი თუმანი და ახლა ედავება ათას ცხრაასს თუმანსა შტრაქებით. [.....] ეს სუდის გადანყვეტილება დიდად მოეწონა აქაურს ხალხსა. ივან [.....] არღუთინსკისას, ეყოლა შვილი, არარატსკის მოუკუდა ცოლი. – ესეები, [....] სულ საჭირო იყო, რომ მეთქუა თქუჴნთჴს. –

იმპერატორი მობძანდება და არ ვიცით, რა ვჴქნათ, როგორ მივეგებნეთ, როგორ დავჴხუდეთ ისე, რომ ჩუჴნი თავდადებით ერთგულება და სიყუარული გამოჩნდეს ბრწყინვალედ, როგორც არის მართლად ჩუჴნში ეს გრძობა დანერგილი? ცხენი – არა, იარალი – არა, აღარც [.....ერი], და აღარც თვთ ტანისამოსიცა შესაფერი! ვერ წარმოიდგენ ჩუჴნის თავადების სიღარიბესა: ნივიან, კივიან, რა სასწაული უნდა მოხდეს, რომ განთავისუფლდენ ესენი ამ სამწუხარო მდგომარეობისაგან, ამ [ს]აშინელის წარღვნისაგან, რომლისა ღელვაში იღუპება მთლად საქართველოს თავადაზნაურობა?



ჩემი ბიძაშვილი ალექსანდრე, ბაკლანა, ავათმყოფი, შემოგბლავლის აქედამ ვედრებით, რომ [...] შემთხვევა, როგორმე, მოგეცეს, ეგების შეენიოთ ვისთანმე მანდა ერთის სი[ტყ]ვითა იმ საქმეში, რომელიცა თქუწნც კარგად მოგხსენდებათ, არის დიდხანია ამისა და ივანოვის შუა, .../T: p: – ალექსანდრე აქ გამართლდა, სენატშიაცა ეგრეთუწ; და ახლა ივანოვის ადვოკატსა [....] აქუს ობშიის<sup>6</sup> სობრანიეში,<sup>7</sup> და ვინ იცის, იქ როგორ გადაწყდება. ამას არავინა ჰყავს შემწე არცა აქუს შეძლება, რომ იშოვოს ვინმე მანდა ადვოკატი, რომელიცა, უეჭველია, ამ შემ[თ]ხვევაში მოითხოვს დიდს ფულსა. ამ ფიქრმა დატანჯა ეს საბრალო იქამდის, რომ ქვეშსა[გ]ებად ჩავარდა, და თუ ეშველა რამე, პირველად ღთ<sup>წ</sup>ი და მერმე თქუწნ იქმნებით ამის [გ]ამომხსნელი.

შიმშილო[ბა]მ ძალიან შეანუხა ხალხი, პუდი ავიდა სამმანათამდის და ახლა დადგა ორსმანათზე. [...] [ჰსძო]ვენ ბალახსა ერთად ნახირთან.

გამოჩნ[და] კამპანია, რომელიცა ყიდულობს ყარაიის მამულსა; გამოჩნდა მეორე კამპანია[ა,] [რო]მელიცა ითხოვს კომმერჩესკის<sup>8</sup> პრავაზე<sup>9</sup> ყარაიის მოვლასა. პირველი იძლევა ფულსა 37 ... [...ის განმავლობაში, და მეორე, თავის პროექტს აშენებს на доверий,\* და მხოლოდ გვპირდე[ბა] [...] შემოსავალსა მომავალში.

მგონია კმარა, ესოდენის<sup>10</sup> როტვით<sup>11</sup> თავი<sup>12</sup> შეგანყინე.

[1870 წლის 30 იანვრიდან 17 მაისამდე]

\* ნდობით.

## ზაქარია ჭავჭავაძისადმი №1 (736)

1870 Мая

Любезный Князь Захарій Гулбатович! Больной, пристрадавший всю зиму, обращаюсь к вам просьбой, оказать мне, по чувству вашего ко мне расположѣнія, помощь высылкой Эсендукской воды, которую медики советуют мне пить в теченіи лета для исправленія совершенно разстроеннаго организма моего. Вода эта должна быть свежая, только что налитая, по вашему приказанію, тщательно закупренная в то время, когда Газы бывают сильнее, и отправлена с почтовым Дилижансом по 20 бутылок три раза, т. е. всего 60 бутылок. За это Бог скажет вам свое спасибо. – Моей Важно-почтенной тетушке Како целую в голову.

Бабале снеобычною твердостью духа выдерживает страшную болезнь; она, конечно, очень слаба, но, с помощью Божьею, опасность миновала.

## ზაქარია ჭავჭავაძისადმი №1 (736)

1870 მაისი

საყუარელო კნიაზო ზაქარია გულბათოვიჩი! მთელს ზამთარს ავადმყოფობით ნატანჯვი, მოგმართავთ თხოვნით, თქუენი ჩემდამი კეთილგანწყობით დამეხმაროთ ესენდუკისწყლის გამოგზავნითა, რომლის დაღვევასაც მედიკები მირჩევენ ზაფხულის განმავლობაში, რათა გამოსწორდეს ჩემი სრულეებით მოშლილი ორგანიზმი. ეს წყალი უნდა იყოს ახალი, იმ წამს ჩამოსხმული, თქუენის ბრძანებით, საგულდაგულოდ დაცობილი მაშინ, როცა გაზები მძლავრობენ, და საფორტო დი-

ლიჯანსით გამოგზავნილი, 20-20 ბოთლი სამჯერ, ანუ სულ 60 ბოთლი. ამისათვის ღმერთი გადაგიხდით მადლითა. ჩემს მედიდურ-პატივცემულს ძალუას კაკოს ვუკოცნი თავსა.

ბაბაღე სულის უჩვეულო სიმტკიცით იტანს საშინელს და-ავადებას; ის, რა თქმა უნდა, ძალზედ სუსტად არის, მაგრამ, ღვთის მადლით, საშიშროებამ ჩაიარა.

## **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №30 (737)**

ჩემო ბაბაღე! ზალაში წიგნები რომ გიწყვიათ, იქ არის ჩემი წიგნი, სახელად, *Исторія философии*,<sup>1\*</sup> წამომიღე როცა წამოხვალ.

ქალაქში დავეხეტებით უგზოდ-უკვალოდ; ველარ გამიძლია, და ისევ მინდა კოდაზე წამოსვლა, მაგრამ ესეც ძნელი ყოფილა. –

ზემოუბნელები კარგად არიან; მანანა ჯერ არ მოსულა; ეკატერინას მოელიან ამ ზამთარს შვილებით, სიძე პატარძლით; ლოტობა ისევ ისე გაჩაღებულია.

შენი გრიგოლი

[IV გვერდზე მისამართი წერია:]

მიერთოს  
კოდაზე ბაბაღეს.

[1870 წლის 3 ივნისამდე]

\* ფილოსოფიის ისტორია.

## ბარბარე ბაბრატომე-ორბელიანი №42 (738)

15<sup>го</sup> Июня 1870 в Москву<sup>1</sup>

Благодарю, благодарю мой друг Варвара за письмо от 4 Июня, в сію минуту мною полученное. Давно уже я нерадовался ничему так искренно, как теперь. Бог наградит тебя за мое утешение, за успокоение моего духа, взволнованного, опечаленного потерью дорогих для меня родных, именно в то самое время, когда я узнаю, что и ты, опасно больная, выехала в Берлин. О положении нашей фамилии пусть расскажет тебе подробно Бабале, а я нехочу. Она едет в Петербург, чтоб отдать в Университет сына, а Алексей Петрович, чтоб видеть свою родину впервые раз после 40 лет. Узнаютли друг друга Георгій и Петя? –

Бабале Сагинова, по твердости духа, редкое существо. Опасность, кажется, миновалась, именно силой ея воли, и уже 10 дней перестали давать лекарство; вчера, впервые раз, она могла лечь на боку. Это уже важный шаг к выздоровлению. Нельзя было без ужаса видеть на ея груди опухоль, возвышавшуюся, как огромная подушка. Конечно, она и теперь очень слаба, но веселость ни на минуту непокидает ея. Видно, по ошибке, она родилась женщиной.

О твоей пенсіи теперь могу наверное хлопотать здесь, так как, наконецто из твоего письма я узнал причину отказа; прежде я немог ничего сделать более того, что сделал, т: е: здешняя Казенная Палата, передав все сведения о тебе в Москов: Казен: Палату и тем закончив все расходы стобой, всётаки, из уважения к нам, написала в Департамент Госуд: Казначейства, который, я убежден, сделает, или даже сделал распоряжение об отпуске из Москов: Казнач: тебе пенсіи. Но, вовсяком случае,

телеграфირუი, если окажется необходимым содействіе здешняго Главнаго Управленія.

Теперь, поговорим о твоём здоровьи. Если оно снаступленіем летных теплых дней несколько возстановилась, надоже помнить, что Зима непощадит тебя и опять наступит. Зная это, не сочтешли полезным морское купанье, чтобы ты могла набрать силы, достаточной для борьбы с суровостью Зимы? За две тысяча верст трудно давать советы, но както болтаю их невольню.

Целую моего дядю Георгія и извиняюсь, что немог ответить на его письмо; думаю, что это неможет служить ему поводом неписать комне.

Ея Светлости Царевне приношу глубокое чувство моего уваженія; прошу тебя тоже чувство выразить и твоим Сестрам, которым я искренно предан.

Ираклій приехал с молодой женой, Тамарой. Как она хороша! От души желаю ей счастья; но...<sup>2</sup> но возможноли счастье при таком неравенстве лет? Дай Бог, чтоб я ошибался, и этот случай был исключеніем.

## **პარპარე გაბრატომ-ორბელიანი საღმი №42 (738)**

ივნისის 15<sup>ბ</sup> 1870 მოსკოვს

გმადლობ, გმადლობ, ჩემო მეგობარო ვარვარა, 4 ივნისის ნივნისათვის, ამ ნუთას რომ მივიღე. რა ხანია უკვე, აღარაფერს გავუხარებია ვარ ესრეთ გულწრფელად, როგორც ახლა გავიხარე. ღმერთი მოგიზღავს ჩემის ნუგეშისათვის, ჩემი იმ სულის დამშვიდებისათვის, რომელიც აღელვებულია, დანაღვლიანებულია თავისი ძვირფასი ადამიანების დაკარგვით სწორედ იმ დროს, როცა ვიგებ, რომ შენც, ფრიად ავადმყოფი,

ბერლინს გამგზავრებულხარ. ჩვენის გვარის მდგომარეობაზე დაე დაწვრილებით მოგიყვეს ბაბაღე, მე კი არა მსურს. ის პეტერბურღს მიემგზავრება, რათა უნივერსიტეტში შეიყვანოს ვაჟი, და [მიემგზავრება] ალექსეი პეტროვიჩიც, რათა 40 წლის მერე პირველად იხილოს თავისი სამშობლო. იცნობენ კი ერთურთს გიორგი და პეტია?

იშვიათი არსებაა ბაბაღე საგინოვა სულის სიძლიერით. საშიშროებამ, ვჰგონებ, განვლო, სწორედ რომ მისი ნების ძალითა, და უკვე 10 დღეა, აღარ აძღვევენ წამალსა; გუშინ მან პირველად შეძლო გვერდზე დანოლა. ეს უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯია გამოჯანმრთელებისკენ. შეუძლებელი იყო შეძრწუნების გარეშე გეყურებინა მის მკერდზედ უზარმაზარი ბალიშით ამობერილი სიმსინისათვის. რა თქმა უნდა, ამჟამადაც ძალზედ სუსტად არის იგი, მაგრამ ხალისი ნუთითაც არა ტოვებს მას. ჩანს, შემთხვევით გაჩნდა იგი ქალადა.

შენს პენსიაზედ ან ვჰგონებ შემიძლია ვიზრუნო აქა, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, შენის ნიგნიდამ შევიტყე უარის მიზეზი; მანამდინ არაფერი შემეძლო იმის მეტი, რაც გავაკეთე, ანუ შენ შესახებ ყველა ამბავი მოსკოვ: სახაზ: პალატას რომ გადასცა და მით დაასრულა შენთან ყველა ხარჯი, აქაურმა სახაზინო პალატამ, ჩვენდამი პატივისცემის ნიშნად, მაინც მისწერა სახელ: ხაზინის დეპარტამენტს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, გასცემს, ან კიდევაც გასცა განკარგულება მოსკოვ: ხაზინ: შენთვის პენსიის გაცემაზედ. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ტელელრაჭით გამაგებინე, თუკი დაგჭირდება დახმარება აქაურის მთავარის უპრავლენიის მხრიდამ.

ან ვილაპარაკოთ შენს ჯანმრთელობაზედ. თუკი ზაფხულის თბილი დღეების დადგომასთან ერთად, ის ოდნავ გამოკეთდა, ხომ უნდა გახსოვდეს, რომ ზამთარი არ დაგინდობს და კვლავ დაბრუნდება. ეს რომ იცი, ეგება სასარგებლოდა სცნო ზღვაში ბანაობა, რათა მოიკრიბო ძალები ზამთრის სიმკაცრესთან საბრძოლველად. ორი ათასი ვერსიდამ ძნელია

რჩევების მიცემა, მაგრამ რალაცნაირად უნებლიედა ვლაც-ბობ.

ვკოცნი ჩემს ბიძია გიორგის და ბოდის ვუხდი, რომ ვერ ვუპასუხე წერილზედ; ვფიქრობ, ეს არ გახდება მიზეზი მოუწერლობისა.

მის ბრწყინვალეობას, მეფის ასულს, ვუთვლი ღრმა გრძნობას ჩემის პატივისცემისას; გთხოვ აგრეთვე გრძნობა გამოუხატო შენს დებსაც, რომელთა ერთგულიცა ვარ გულწრფელად.

ირაკლი ჩამობრძანდა ახალგაზრდა მეუღლითურთ, თამარით. რარიგ მშვენიერია იგი! გულით ვუსურვებ მას ბედნიერებას; მაგრამ... მაგრამ შესაძლებელია ბედნიერება წლების ესრეთს უთანასწორობაში? ღმერთმა ქნას ვცდებოდე და ეს შემთხვევა გამონაკლისად დარჩეს.

## **ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №5 (739)**

ჩემო უსაყუარლესო დაო ეკატერინავ! შენმა წიგნმა დამამშვიდა, გამახარა, დამატკობო, მით უფრო უმეტეს, რომ სრულიად იყო მოულოდნელი ჩემგან. რა ვჰქნათ? ისე დაენყო ჩუწნი ცხოვრება, რომ ვინც გვიყუარს – შორს არის, ვინც გვინდა – ვერა ვჰხედავთ!

ჩუწნის ოჯახისა რა მოგახსენო? მწუხარება მწუხარებაზე დაგვეერთო; ძლივ დავასაფლავეთ საბრალო ალექსანდრე სამებაში, ორს დღეს უკან მივასვენეთ იქვე ჩუწნი სიქადული მანანა, დავრჩი მარტო დაობლებული გულითა. ეს უფრო მტანჯავს, რომ მომავალშიაც ბნელია და ვერასა ვჰხედავთ საიმედოს.

ყაფლან მოვიდა კოდიდამ რამდენისამე დღით აქა; ბაბალე სუსტად არის, მაგრამ იარა კარგად აქუს, მადაზედაც კარგად არის და ღთის<sup>1</sup> მონყალებით საშიშროებისაგან გამოვიდა.

ჩემი რძალი სოფიო კარგად არის. თუ ეს სახლიც მოიშ-

ლება, მე სადღა უნდა წავიდე?....

ჩემი რძალი ვარინკა ყოფილა ამ ზამთარს დიდად ავად გულის ტკივილით, რომლისა მიზეზით წასულა ბერლინში, და ახლა, ღთის<sup>2</sup> მონყალებით, იქიდან დაბრუნებულა მოსკოვს კარგად მყოფი. გიორგიც კარგად არის; მესმის ქება მისის ხალისით ჰსწავლისა. ვნახოთ, თუ ყაფლანისშვილობამ არ წამოუტია.

ამ თვის რვას თუ ცხრას მოველით აქა ველიკიის კნიაზს კონსტანტინეს, რომელსაცა მოჰსდევს ჩუჰნი პაჟარნი ვანო,<sup>3</sup> დიდად, თურმე, დარბაისლურად დამძიმებული.

საშინელი წვიმები და სიცივე იყო აქამომდის, ადიდა მტკუარიცა და ძალიან ბევრნი დააზიანა. კოჯორზე მცხოვრებნი არიან მობუზულნი დიდს ტანჯუაში, უნდათ ჩამოსვლა, მაგრამ ჰსცხვენიანთ.

თქუჰნი შვილები და ძალუა სიყუარულით ჩამიკოცნეთ. ქეთევანმა დიდი მადლობა და მოკითხვა მოგახსენათ.

ღთი<sup>4</sup> იყოს თქუჰნი მფარველი ჩემ სასიხარულოდ.

შენი მარადის გულით, სულით ძმა  
გრიგოლ ორბელიანი

3<sup>ა</sup> ივლისს 1870  
თბილისით.<sup>5</sup>

გუშინწინ პალატამ დაარღვია გადანყვეტილება ოკრუჟნის სუდისა მამია გურიელის საქმის გამო და დააბოლოვა მით, რომ ციმბირის მაგიერ მამია უნდა რვა თვე ჩასვან ციხეში. პალატა იყო გაჭედილი ხალხითა, რომელმანცა ბრავო,<sup>6</sup> ბრავოს<sup>7</sup> თქმითა გამოუცხადა პალატას ქება სიმართლით გადანყვეტისათჳს. დიდი ყვირილი იყო და ტაშის კვრა. – მამიას ადვოკატი იყო ამატუნი.



**ქეთევან ალექსი-მისსიშვილ-ორბელიანისადმი**  
**№125 (740)**

საყუარელო ძალუავ ქეთევან! ეს წიგნი გაუგზავნეთ თქვენს სასურველს აქიმს მაჭავარიანსა, რომ იმან, ან სულ ერთია, თქვენ გაუგზავნეთ რემერტსა.<sup>1</sup> –

შევიტყე, აბანოშიაც ბძანებულხართ და ახლა რა მიზეზია, ველარ მივჭხუდი, რომ ესოდენს სიცხეს ითმენთ; მაგრამ, როგორც ისმის არხიმანდრიტი აპირებს თქვენს ხილვას, და აქამდის გნახავდა კიდეცა, ესთუ არის მიზეზი. კარგია, სულს მაინც აცხოვნებთ.

ბაბალეს ჩამოსვლა ამ დროს, როდესაც აქაურნი მირბიან აღბულახს, გასაკვირველია და მიკვირს; მაგრამ ესეცკი უნდა ვჰსთქუათ, რომ ამ სოფელში გასაკვირველი არა არისრა ჩვენის ქუჩის მეტი.

გახარებული აღბულალში ყოფნითა ტასო სიყვარულით მომიკითხე. – ყველაფერი ამბავი მომდიოდა, მაგრამ დამავინყდა კიდეც.

თქვენი მარადის გრიგოლ ორბელიანი

10 ივლისს.<sup>2</sup>

[1867-1870]

## ნიკოლოზ ბარანოვსკისაღმნი №4 (741)

14<sup>10</sup> Юля 1870.

Николаю Ивановичу Барановскому<sup>1</sup>

Жена моего брата Варвара Ильинишна Княз: Орб: и ея сын Георгій получали Пенсію из здешняго Казначейства. Но, как они живут в Москве, то здешнее Казенн: Палата, по моей просьбе, в конце 1868 г. сделали перевод их Пенсіи в Москов: Казенн: Палату, откуда в теченіи всего 1869 г; производили им отпуск Пенсіи без всякаго препятствія. В Генвареже месяце настоящаго года, Московское Казначейство отказало им в отпуске. Завязалась переписка, которая продолжается до сих пор, а между тем, они остаются в Москве совершенно без денег.

К счастью, я узнал теперь, что Департ: Государ: Казначейства сообщил здесь Казенной Палате, что, как Пенсія эта назначается по Гражданской части Закавказ: Края, то, по правилам, перевод оной<sup>2</sup> в Москов: казен: Палату зависит от Главнаго Управленія; о чем уже сообщено Казенною Палатою в Департ: Главн: Управленія для распоряженій о переводе Пенсіи.

Таким образом, по прошествіи<sup>3</sup> 7 месяцев разъяснилась причина затрудненій в Москов: Казначействе, которое, однакож, не находило ничего противузаконнаго отпускать имже Пенсію в теченіи всего 1869 года.

Успокоенный этим известіем, я обращаюсь к вам, Уважаемый Николай Иванович, с моею убедительною просьбой помочь нам, в этом запутавшемся деле, ускореніем распоряженія о переводе Пенсіи, – следующей за этот год Генерал Маіорше Вар: Ильин: К<sup>е</sup>: Орб: и ея сыну Георгію, – в Московс: Казен: Палату, если можно и на будущій год, пока

они живут в Москве.

Быть может и вы знаете по опыту, как трудно оставаться без денег на чужой стороне; да, признаться, и в своей стороне несомненно удобно жить без денег.

С истинным уважением и пред: и пр:

## ნიკოლოზ ბარანოვსკისადმი №4 (741)

14<sup>ა</sup> ივლისს 1870.

ნიკოლაი ივანოვიჩ ბარანოვსკის

ჩემი ძმის ცოლი ვარვარა ილინიშნა, კნ: ორბ: და მისი ვაჟი გიორგი პენსიას აქაური ხაზინიდან იღებდნენ. მაგრამ, ვინაიდან ისინი ცხოვრობენ მოსკოვში, აქაურმა სახაზ: პალატამ, ჩემის თხოვნით, 1868 წ. ბოლოს მათი პენსია გადაიტანა მოსკოვ: სახაზ: პალატაში, საიდანაც მთელი 1869 წ. განმავლობაში გასცემდნენ მათზე პენსიას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. ხოლო ამა წლის იანვარში მოსკოვის ხაზინამ მათ უარი უთხრა გაცემაზედ. გაიმართა მიმონერა, რომელიც გრძელდება აქამომდის, ამასობაში კი ისინი სრულიად უფულოდ რჩებიან მოსკოვში.

საბედნიეროდ, მე ახლა შევიტყვე, რომ სახელმწ: ხაზინის დეპარტ: შეატყობინა სახაზინო პალატას აქ, რომ, ვინაიდან ეს პენსია ინიშნება ამიერკავკ: მხარის სამოქალაქო ნანილზედ, ამიტომ, წესების მიხედვით, მისი გადატანა მოსკოვ: სახაზ: პალატაში დამოკიდებულია მთავარს უპრავლენიეზედ, რომლის შესახებაც მთავარი უპრავლენიეს დეპარტამენტს შეტყობინებული აქვს სახაზინო პალატის მიერ, თადარიგი დაიჭიროს პენსიის გადატანის თაობაზედ.

ამგვარად, 7 თვის მერე გაირკვა მიზეზი სიძნელებისა მოსკოვ: ხაზინაში, რომელიც ამაოდ ეძებდა კანონსაწინააღმდეგოს, რათა გაეცა მათთვის პენსია მთელი 1869 წლის მანძილზედ.

ამ ამბით დამშვიდებული, მოგმართავთ თქვენ, პატივცემულო ნიკოლაი ივანოვიჩ, ჩემის ბეჯითის თხოვნით, მითითების დაჩქარებით დაგვეხმაროთ ამ ჩახლართულს საქმეში პენსიის გადატანის თაობაზედ – ღენერალ-მაიორმა ვარ: ილინ: კნ: ორბ: და მის ვაჟს გიორგის რომ ეკუთვნით, – მოსკოვ: სახაზ: პალატაში, თუ შეიძლება მომავალის წლისთვისაც, სანამ ისინი მოსკოვში იცხოვრებენ.

ეგებ თქვენც იცით გამოცდილებით, რა ძნელია უფულოდ დარჩენა უცხო მხარეში; და, ვალია, საკუთარს ქვეყანაშიც ნაკლებად მოსახერხებელია ცხოვრება უფულოდა.

ჭემმარტის პატივისცემით და სხვ. და სხვ.

## **ბაბაღე ორბელიან-საბინაშვილისადმი №31 (742)**

ჩემო საყუარელო ბაბაღე! გუშინწინ, ესე იგი, ღუთაებობას, ვიყავ ბეთანიას. ოჰ რა მშვენიერი, დიდებული, ყოვლის ჴელოვნებით შემკული ეკლესია არის! სურათები თამარ მეფასი, მის მამისა და შვილისა მდიდრად გამოსახულნი, მდუმარებით და თითქოს განკვირვებით გვიყურებდენ ჩუჴნ მისულთა თაყვანისაცემად! რა ვჴსთქუა? თუმცა გზა საძაგელია, მაგრამ ჴლირს, რომ კაცი, მეტადრე ქართველი, წავიდეს ამ მონასტრის სანახავად არა ერთხელ!

იქიდამ დავბრუნდით და მოვედით სადილად სოფიოსთან, სადაცა დავჴყავით საღამომდის ღაზათში და საღამოზე გიახელით შინა, მოხარულნი, რომ გვეღირსა ბეთანიის ხილვა. – ბევრი გინატრა სოფიომა და საყვედურიცა შემოგითვალა,

რომ პირობა ვერ აასრულე. ნეტავი ნინუცა მაინც გადმოვიდეს აქ ჩემთანაო რამდენისამე ხანითაო, რომ ასე მარტოდა ვარო!

აბა ახლა რას აპირებთ 25<sup>ლ</sup> აგვისტოსათვის? ჩადიხართ თუ არა? – მეკი ვაპირებთ ორშაბათს ჩაბძანებას სრულებით.

სწორედ გითხრა, მენუხება ასე ადრე ჩასვლა თბილისს, მაგრამ რაუყო, მთავარმართველი მოვა 23<sup>ლ</sup> და მე უნდა იქ დავხვდე. –

25<sup>ლ</sup> იქნება ჯერ მოლებსტვიე სიონში, მერე პარადი; სალამოს მთავარმართველის ბაღში შეყრილობა და ლხინი.

26<sup>ლ</sup> მოლებსტვიე და ლენერალის სადილი, და სალამოზედ თეატრი.

30<sup>ლ</sup> კიდევ მოლებსტვიე და სალამოზე დიდი გაჭიმული ბალი. –

ერთის სიტყვით დამშეულები უნდა გავძღეთ, და აბა რას აპირებთ? –

ვარინკას წიგნი მომივიდა; მწერს, რომ პირველს აგვისტოს მინდოდა გამოსვლაო, მაგრამ კენინამ არ გამომიშვაო; მაინც ანგარიშით, მგონია, ეხლა უნდა იყოს გზაზედ. – შენთან და ნინუცასთან დიდს მოკითხვას იწერება.

## შენი გრიგოლ ორბელიანი

17<sup>ლ</sup> აგვისტოს  
კოჯორით.<sup>1</sup>

ალექსანდრე, აბა მომწერე, რას ხოზაიანობ, რას პლანებში ხარ, და ან ეგ პლანები შენია, თუ ბაბალესი? –

შენი ჭირიმე ერთი როგორმე სწორედ შეიტყუეთ, მართლად ვილაცა პოსელენცები დასახლებულან ჩვენს ჩიტალასა და შავმირზას სოფლებშია? – ხუმრობა ხომ არ არის? ლ<sup>2</sup> თო, ეს რა ოხრობაა ამ ჩვენის ოჯახისა? – ვისაც უნდა გვჩაგვრენ!

თუ მართალი აღმოჩნდეს, შემატყობინეთ, რომ ეხლავ გავა-  
რეკინო.

[48v გვერდზე მისამართი წერია:]

ლთ<sup>3</sup>  
მიერთოს ბაბაღეს საგინოვისას  
კოდას.

### **ალექსანდრე საგინაშვილისადმი №10 (743)**

ჩემო ალექსანდრე! მომირთმევია უსტავნოის ღრამოტა, რომელიცა არის დიდად საძაგლად და შეცთომილებით გადა-  
თარგმნილი, ასე რომ *усадебные места*,\* გადუთარგმნია ნაფუ-  
ზარმიწებად, გაგონილა? მისწერე ნუშკასა, რომ გადააწერი-  
ნოს და გამოგვიგზავნოს; შენიც აგრეთვე იქნება ნათარგმნი;  
წაიკითხე და გაასწორე.

ბაბაღე როგორ არის, რას ნებიერობს? განა კოდიდამ იმი-  
სათუს მოვიდა, რომ აქ იავანთყოფოს?

შენი გრიგოლი

[1870 წლის 21 აგვისტომდე]

\* საკარმიდამო ადგილები

## ალექსანდრე საბინაშვილისადმი №11 (744)

ჩემო ბატონო ალექსანდრე! მერე:

რომელიც რომ, ესე იგი, ნინიკა წავიდა ქალაქში და დღეს სალამოზედ ამოვა, და ამასთანა მოგეხსენებათ, რომ მე უნიიკოდ ვერსად წავალ, ამისგამო ხვალ სალამოზე თავს დაგიკრამ შენცა და კოდის დედუფალსაცა. – მანამდის თუ შეიძლება სისინმაც მოიცადოს. – ვიცი სისინის კავალერობა არ მოეწონება ბაბალებს და ცხვირსაც აიშვერს „ვი<sup>1</sup> გული გამინვრილდა[“];<sup>2</sup> მაგრამ რა არის, სულ ამირალოობა ხომ არ იქნება. – აბა, თუ მართლად სვეტსკის დამა ბძანდები, ჩემო ბაბალე, აბა მაგასთან გაატარე და გაატარებინეცა მაგას სიამოვნებით დრო, ასე რომ ქალაქიდან მალმალ მორბოდეს კოდასა? –

მეტად მეძნელება ჩამოსვლა ამ სიგრილიდამ; მაგრამ ხვალ სალამოს უთოოდ ჩამოვალ.

შენი გრიგოლი

[მეოთხე გვერდზე მინანერია:]

ლთ<sup>3</sup>ით<sup>3</sup>

მიერთოს კოდას ალექსანდრეს დიმიტრის ძეს  
საგინოვს.

[1870 წლის 21 აგვისტომდე]

## **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №32 (745)**

პირობა სადილისათვის.<sup>1</sup>

1) ანუ მოხმანდეს ბაბაღე და დარჩნენ ალექ: და რამაზ, და შეექცნენ ერთად.

2) ან მოვიდეს ალექსანდრე და დარჩნენ ბაბაღე და რამაზ და შეექცნენ ერთად. –

და 3) ანუ მოვიდეს რამაზ და დარჩნენ ცოლქმარნი და შეექცნენ ერთად.

[1870 წლის 21 აგვისტომდე]

## **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №33 (746)**

ბაბაღე!

რატომ კოდას არ მიდიხარ, ეს წყალიც ხომ გამოიტანეს? რაღას ელი და ანუ ვისთვისა ხარ აქა საჭირო? –

[1870 წლის 21 აგვისტომდე]

## **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №34 (747)**

ბაბაღე! ძლივსა გწერ ავადმყოფი, და შენ არცკი მომიკითხე. – თავი მტკივა, მკლავებიც მტკივა, წელიც მტკივა, სიცხეცა მაქუს, და ვსწუხვარ, რომ ასე უდროოდ შევიქენ ავად და დავრჩი უსადილოდ ლევამეგასას.

შენი გრიგოლი

[1870 წლის 21 აგვისტომდე]



### **ბაბაღე ორბელიან-საბინაშვილისადმი №35 (748)**

ჩემო ბაბაღე! მერე: რომელიც რომ შენი ამბავი შევიტყუ-  
ვით დღეს დაპატიჟებისა, ის ჰაზრი და იგავი ჩუჴნ კარგად  
გამოვიძიეთ და მივხვდით!!!! მანდ სიტყუა აღარ არის! – ეჴი  
სუსტო დედაკაცებო და ამასთანავე სავსენო მანქანებითა,  
რას არ მოახდენთ და ვის არ დააძინებთ?

[1870 წლის 21 აგვისტომდე]

### **ბაბაღე ორბელიან-საბინაშვილისადმი №36 (749)**

ჩემო ბაბაღე! ამ ნიშნით, რომ ყაფლან აქ არის და ასე  
მოგახსენებს, რომ ეგ სიტყუები იმათი იქნება, ვისაც ნათესა-  
ობა არა ჰსწამსთ[ქ]ო, და აბა ამაზე მეტი მე რალა ვჴსთქუა?

შენი გრიგოლი

[1870 წლის 21 აგვისტომდე]

### **ბაბაღე ორბელიან-საბინაშვილისადმი №37 (750)**

აბა ჩემო თვალისჩინო ბაბაღე! ერთი შენებურად ლაზათი-  
ანად მოიკმაზ-მოირთვე, გამოზრწყინ-გამოკეკლუცდი და  
დღეს მტრების თვალის დასაყენებლად ისხივ-ივარსკულავე  
სობოროში მოლევნაზედ პირველს საათზე, რომ ჩვენცა შენნი  
მხილველნი სიამაყით თავი ცას მივაბჯინოთ.

შენი გრიგოლი

[1870 წლის 21 აგვისტომდე]

## **ბაბაღე ორბელიან-საბინაშვილისადმი №38 (751)**

იქნება არ დამიჯერო და ამისგამო შემოგფიცავ გო[ჰ]არა-ლის<sup>1</sup> პაპის საფლავის სიპიქვებსა, რომ დიდროანნი საქმეები მბრკოლებს, თორემ აი შენი ალექსანდრეც გაცხარებული კივის ზეულისტანის საქმეზედ. –

მე რად გინდივარ დედოფალი და ტასო დაიპატიჟეთ, რომ ლაზათს გასწევთ.

შენი გრიგოლი

[1870 წლის 21 აგვისტომდე]

## **ბაბაღე ორბელიან-საბინაშვილისადმი №39 (752)**

ჩემო ბაბაღე! ვიყავ გუშინ სადილად სასახლეში; დიდის სიყუარულით გიკითხეს ეილერამ და აგაროვამ, სადილს უკან თვთ ველიკი კნენამაც. მეც უპასუხე, რომ შენ ამ ახლოს ხანში ჩამოხველ სოფლიდამ და უქეიფოთ იყავ რაოდენიმე დღე, და ამით უფრო ინტერესნობა მოგემატა.

შენი გრიგოლი

[1870 წლის 21 აგვისტომდე]

## **ბაბაღე ორბელიან-საბინაშვილისადმი №40 (753)**

შევიტყე, შევიტყე ჩემო ბაბაღე! ახლა რაღად გინდა ან ლიბაუ, ანუ მისი ჰაქიმობა? ზემო უბნელებმა გაგაბედნიერეს და ღირს გყუეს თვისითა უზენაესის კიდედამ ჩამოსვლითა და

ხილვითა! – ახლა რაღა გსურს? ყოველივე თქმული წერილში აღსრულდა შენდა სადღესასწაულოდ, შენის გულისა განსასვენებლად. – მეცა დიდად მიხარის. –

შენი გრიგოლი

[1870 წლის 21 აგვისტომდე]

### **ბაბაღე ორბელიან-საბინაშვილისადმი №41 (754)**

ავათავარ და არცკი მომიკითხე ჩემო ბაბაღე! აგრე არუენდა თორემ შენ იცი.

შენი გრიგოლი

[1870 წლის 21 აგვისტომდე]

### **ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №43 (755)**

10<sup>го</sup> Сент: 1870 Тифлис.<sup>1</sup>

Мой друг Варвара! Впервые, напиши мне в подробности о состоянии твоего здоровья. Зима наступает; твои силы не выдерживают продолжительных морозов Москвы; Подумай заблаговременно, можешьли оставаться там на всю Зиму? Я надеюсь, что Георгий своим характером и благоразумием может без надзора матери остаться на одну Зиму; он же ребенок, а юноши его лет тысячами живут вдали от родителей. Разумноли жертвовать здоровьем, жизнью, когда эта жертва не требуется необходимостью. Подумай, ради Бога, и напиши мне, чтоб я мог

приготовить твои комнаты к твоему приезде, тепло, уютно, в случае, если решишься приехать сюда.

Когда вспомню я о твоей Пенсии, кровь бросается в голову, к сердцу от гнева и злобы противу формалистики наших присутственных мест, где нет конца никаким делам, и противу тебя, которая не может в течении года получить то, что высочайше дано. Незнаю, что еще нужно сделать здесь! Бумаги, какія необходимы для тебя, все посланы здешнею Палатою; наконец, и Главное Управление, в следствие отзыва Департ: Госуд: Казнач.<sup>ба</sup>, еще 17 Июля послало бумагу тому же Департаменту просьбой сделать распоряжение об отпуске тебе Пенсии из Москов: Казначейства; о чем я уже писал тебе тогда же. Теперь, нужно чтоб кто нибудь от тебя сходил раза два в Москов: Палату разузнать, получено ли предписание из Департамента о твоей Пенсии? Ежели распоряжение еще не получено в Палату, надобно тогда опять просить Князя Николая, чтоб он опять<sup>2</sup> потревожил в Департаменте коекого. Но, я всё таки утешаюсь мыслью, что пока дойдет это письмо до тебя, Пенсия уже будет выдана; а между тем, и я постараюсь выслать деньги на этих днях.

Недавно я возвратился из Дер: Цавкиси, где я провел около двух мѣсов<sup>3</sup> в самом приятном и здоровом климате. Часто бывал и у Мирских в Коджоре, где жил также Ираклий с женою и матерью. Что за прелестныя дети у Мирских! Там же праздновали мы шумным весельем семнадцатилетие Майко. Забавно было видеть ея неловкость в длинном платье с шлейфом.

Бывшая Княгиня Мирская Анна, теперь Мадам Сименс с искреннею преданностью кланяется тебе.

Покойный Александр – наш дядя – умирая, оставил Завещание, в котором признает своим Наследником твоего Георгия. Завещание это храниться в здешнем отделении Банка. Но

я не могу об этом еще объявить Законным порядком, пока не кончится тяжба Иванова, который от имени дочерей дяди Якова отыскивает с Александра самую безделицу 140/ты: р.!!! Здешний Суд большинством Голосов отказал Иванову; он перенес Дело в Сенат, где ему также большинством отказали;<sup>4</sup> но, так как вышло разногласие, поэтому дело перенесено в Общее Собрание. Я предложил Иванову покончить этот спор побратски, полюбовно, но он требует такую сумму денег, что имение того нестоит. Он, конечно, надеется на брата Опочинина, который служит в Сенате, и на К: Николая, который, вероятно, не откажется принять участие хлопотать за интересы своего брата. А у Александра ктоже есть в Петербурге? И он умирая, предоставил дело это Суду Божьему. Чем кончиться, увидим, а до решения дела в Общем Собрании нельзя принять наследство, так как, в случае проигрыша, нам пришлосьбы из собственного имения дополнить то, что недосталобы до 140/ты: р.; а это страшно.

Полагаю, ты уже знаешь, что бедная Бабале более не существует. До последней минуты она была в полном уме. С твердостью и упованием она встретила смерть, и утешая мужа своего, тихо, тихо, перешла в вечность 21 Авг: в 6 часов вечера. Александр глубоко страдает. Её похоронили в Кумисской Церкви. Эта потеря для меня в особенности тяжелогорестна.

Иван – сын Мананы – едит в Шуру на службу. Он решился на эту крайность, принужденный разстройством домашних дел, чтоб сколько нибудь уменьшить тяжесть невыносимых долгов. С грустью смотрю на этот разрушающийся дом, в котором с юных лет я находил дружбу искреннюю. Видеть мне его разрушение и неиметь возможности помочь, тяжело! Так, вокруг меня всё падает, уничтожается всё, что я привык любить с детства. Улица наша пустеет...

Тасо Гагарина остается здесь и для себя устраивает несколько комнат в старом полуразрушившемся доме; новыйже дом отдается в наймы Английской Компаніи железной дороги.

Целую Георгія, моего дядю, молю Бога да защитит Он вас.

Приношу мое глубокое уваженіе Ея Светлости Царевне, равно и сестрам твоим.

### **ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანისადმი №43 (755)**

10<sup>ა</sup> სექტ: 1870 თბილისი.

ჩემო მეგობარო ვარვარა! პირველ რიგში, დანვრილებით მომწერე შენი ჯანმრთელობის ამბავი. ზამთარი მოდის; შენი ჯანი ვერ უმკლავდება მოსკოვის გრძელს ყინვებს; წინდანინ მოიფიქრე, შეგიძლია კი მანდ დარჩენა მთელს ზამთარსა? იმედი მაქვს, რომ გიორგის თავისი ხასიათითა და კეთილგონიერებით ძალუძს, დედის ზედამხედველობის გარეშე დარჩეს ერთ ზამთარს; ის ხომ ბავშვი არ არის, ხოლო მისი ასაკის ახალგაზრდები ათასობით ცხოვრობენ მშობლებისგან შორსა. განა გონივრულია მსხვერპლად გაღება ჯანმრთელობისა, სიცოცხლისა, როცა ამ მსხვერპლს აუცილებლობა არ მოითხოვს. დაფიქრდი, ღვთის გულისათვის, და მოიწერე, თუ გადასწყვეტ აქ ჩამოსვლას.

შენი პენსიის გახსენებაზე თავსა და გულში სისხლი მივარდება რისხვისა და ბრაზისაგან ჩვენი დანესებულებების ფორმალობის გამო, სადაც ბოლო არ უჩანს არც ერთ საქმეს, და შენ გამო, ვისაც ერთი წელია, ვერ აგიღია ის, რაც ბოძებულია უმაღლესობისაგან. არ ვიცი, აქ რა უნდა გაკეთდეს კიდევ! ქაღალდები, რომლებიც აუცილებელია შენთვის, ყველა გამოგზავნილია აქაური პალატისაგან; ბოლოს, მთავარმა უპრავლენიემაც, სახ: ხაზ<sup>ა</sup> დეპარტ: გამოთხოვნის საფუძ-

ველზე, ჯერ კიდევ 17 ივნისს გაუგზავნა ქალაქი იმავე დეპარტამენტს თხოვნით, გაიცეს ბრძანება შენთვის პენსიის გაცემაზედ მოსკოვ: ხაზინიდან, რაზეც უმაღვე მოგწერე. ახლა საჭიროა, რომ შენგან ერთი-ორჯერ წავიდეს ვინმე მოსკოვ: ხაზინაში, გაარკვიოს, მიიღეს თუ არა მითითება დეპარტამენტიდამ შენი პენსიის შესახებ? თუკი ბრძანება პალატაში ჯერ არ მიუღიათ, მაშინ ისევ უნდა ვთხოვო კნიაზ ნიკოლაის, რათა ისევ შეანუხოს ვილაც დეპარტამენტში. მაგრამ მე მაინც თავს ვინუგეშებ, რომ სანამ ეს წერილი შენამდინ მოვა, პენსია გაცემული იქნება; ამასობაში კი მეც ვეცდები ფული გამოგიგზავნო ამ დღეებში.

ამას წინათ დავბრუნდი სოფ: ნავკისიდან, სადაც გავატარე ერთ თვემდინ ყოვლად სასიამოვნოსა და ჯანსაღ კლიმატში. ხშირად ვიყავ ხოლმე მირსკებთანაც კოჯორს, სადაც ცხოვრობდა ირაკლი მეუღლესთან და დედასთან ერთად. რა საუცხოო ბავშვები ჰყავთ მირსკებს! იქვე აღვნიშნეთ ხმაურიანის მხიარულებით მაიკოს ჩვიდმეტი წლისთავი. სახალისო იყო მისი უხერხულობის ცქერა შლეიფიან გრძელს კაბაში.

ყოფილი კნენა მირსკაია ანეტა, ან ქალბატონი სიმენსი, გულწრფელის ერთგულებით გითვლის სალამს.

გარდაცვლილი ალექსანდრე – ჩვენი ბიძია – რომ კვდებოდა, ანდერძი შეადგინა, რომელშიაც თავის მემკვიდრედ აცხადებს შენს გიორგისა. ეს ანდერძი ინახება ბანკის აქაურს განყოფილებაში. მაგრამ მე ჯერ არ შემიძლია ეს კანონიერად გამოვაცხადო, სანამ არ დასრულდება ივანოვის დავა, რომელიც იაკობის ქალიშვილების სახელით ალექსანდრესგან სრულიად უაზროდ მოითხოვს <sup>140</sup> ~~ათას~~ რ:!!! აქაურმა სასამართლომ ხმების უმრავლესობით უარი უთხრა ივანოვს; მან საქმე გადაიტანა სენატში, სადაც აგრეთვე უარი უთხრეს უმრავლესობითა; მაგრამ, აზრთა სხვაობისა გამო, საქმე გადატანილია საერთო კრებაზედ. მე შევთავაზე ივანოვს ამ საქმის დასრულება ძმურად, სიყუარულით, მაგრამ ის ითხოვს ფულის ისეთს ოდენობას, რამდენიც მამული არა ღირს. მას, რა თქმა

უნდა, იმედი აქვს ოპოჩინინის ძმისა, რომელიც სენატში მსახურობს, და კნ: ნიკოლაისა, რომელიც, სავარაუდოდ, უარს არ იტყვის გაისარჯოს თავისი ძმის ინტერესებისათვის. ხოლო ალექსანდრეს ვილა ჰყავს პეტერბურღში? და მან, მომავდავმან, ეს საქმე ღვთის სამართალს მიაწდო. ვნახოთ, რით დამთავრდება, ხოლო საქმის დასრულებამდე საერთო კრებაზე არ შეიძლება მემკვიდრეობის მიღება, რამეთუ, წაგების შემთხვევაში, ჩვენ მოგვიხდება ჩვენის მამულიდამ შევსება იმისა, რაც აკლია <sup>140</sup>ათას რ; ეს კი საშინელებაა.

ვგონებ, უკვე უწყი, საბრალო ბაბაღე რომ აღარა გვყავს. ბოლო წუთამდინ სრულს გონებაზედ იყო. მტკიცედ და სასოებით შეხვდა სიკვდილს და მშვიდად, მშვიდად, თავისი ქმრის დამშვიდებით გარდავიდა მარადისობაში 21 აგვის: საღამოს 6 საათზედ. ალექსანდრე ძალზედ იტანჯება. კუმისის ეკლესიაში დავასაფლავეთ იგი. ეს დანაკარგი ჩემთვის განსაკუთრებით მძიმეა და მწარე.

ივანე – მანანას ვაჟი – სამსახურებლად მიემგზავრება შურას. ამ უკიდურესობას მიმართა არეული საოჯახო საქმეებისა გამო, რათა რამდენადმე შეიმსუბუქოს აუტანელი ვალების სიმძიმე. დანაღვლიანებული ვუმზერ, როგორ ემხოზა ეს ოჯახი, რომელშიაც ყრმობიდანა ვპოულობდი გულწრფელს მეგობრობას. მისი დაქცევის შემყურეს, დახმარება რომ არ ძალმიძს, მიჭირს! ასე, ჩემ ირგვლივ ყოველივე ემხოზა, ნადგურდება ყოველივე, რის სიყვარულსაც მივეჩვიე ბავშვობიდან. იცლება ჩუენი ქუჩა.

ტასო გაგარინა რჩება აქა და თავისთვის აწყობს რამდენიმე ოთახს ძველს, ნახევრად დანგრეულს სახლში; ახალი სახლი კი ქირავდება რკინიგზის ანგლიურს კომპანიაზედ.

ვკოცნი გიორგის, ჩემს ბიძიას, ღმერთსა ვთხოვ ფვარავდეთ.

ჩემს ღრმა პატივისცემას ვუთვლი მის ბრწყინვალეობა ცარევენას, აგრეთვე შენს დებსა.



## ბარბარე ბაბრატომე-ორბელიანისადმი №44 (756)

1870 Сент: 26. Тифлис.<sup>1</sup>

Мой друг Варвара! Вчера К: Георгий Мухранский прислал мне Справку о твоей Пенсий следующего Содержания: «9<sup>го</sup> Сент: 1870 г.: №5639 Департамент Главн: Управ:<sup>ия</sup> уведомил Закавказ: Казен: Палату, что им тогоже числа сообщено Москов: Казен: Палате о производстве в настоящем году из Общих Государс: доходов на счёт смет Закавказ: Края Пенсий:

Вдове Генералмайора К: Орбел: Княгине Варваре Орб:  
– 2 600 р:

и ея сыну – 1 000 р

всего 3 600 р:

И чтобы отпуск был произведен с 1<sup>го</sup> Генв: 1870 года.»

Из этой справки, ты, мой друг, видишь, что еще 9 Сент: сообщено Московской Казен: Палате об отпуске тебе и Георгию Пенсий и что, по расчету времени, Палата уже получила эту бумагу; следоват: теперь нужно тебе только найти когонибудь, которыйбы мог пойти в Палату и получить твою Пенсию. Полагаю, что, по крайней мере, теперь ты уже не встретишь затруднений. Прошу тебя, – о получении Пенсий сообщить мне Телеграмой для моего успокоения.

О том, как ты должна получать Пенсию на будущее время, т: е: в 1871 году и далее, составляется особая справка, о которой сообщено будет тебе в свое время.

Я радуюсь, – кажется непреждевременно – что дело о твоей Пенсии, своею запутанностью равняющееся восточному вопросу, получает наконец благоприятный исход.

Целую тебя и Георгия и поручаю вас Богу.

## ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანი სადმი №44 (756)

1870 სექტ: 26. თბილისი.

ჩემო მეგობარო ვარვარა! გუშინ კნ: გიორგი მუხრანსკი გამომიგზავნა ცნობა შენი პენსიის შესახებ შემდეგი შინაარსისა: „9 სექტ. 1870 წ.: №5639 მთავარი უპრავღა დეპარტამენტმა ზაკავკაზ: სახაზ: პალატას შეატყობინა, რომ მათ იმავე რიცხვში აცნობეს მოსკოვის სახაზ: პალატას პენსიის გაცემის შესახებ მიმდინარე წელს საერთო სახელმწ: შემოსავლები-დამ, ზაკავკაზ: ხარჯების ნუსხიდან:

ღენერალ-მაიორ კნ: ორბელ: ქვრივს, კნენა ბარბარე ორბ: – 2 600 რ:

და მის ვაჟს – 1 000 რ:

სულ 3 600 რ:

და რომ გაიცემა 1870 წლის 1 იანვ:ღამა“

ამ ცნობაში, ჩემო მეგობარო, ხედავ, რომ ჯერ კიდევ 9 სექტ: შეატყობინეს მოსკოვის სახაზ: პალატას, გაცემათ პენსია შენთვის და გიორგისთვის, და რომ გასული დროის მიხედვით, პალატამ უკვე მიიღო ეს ქალაღი; მაშასადამე, შენ ახლა უნდა გამონახო ვინმე, ვინც შეძლებს პალატაში მისვლას და შენი პენსიის აღებას. ვგონებ, რომ ახლა მაინც აღარ გადააწყდები სირთულეებსა. გთხოვ – ჩემს დასამშვიდებლად ტელეღრამით შემატყობინო პენსიის მიღების შესახებ.

იმაზედ, თუ როგორ უნდა მიიღო პენსია მომავალში, ანუ 1871 წელს და მერე, გაიცემა განსაკუთრებული ცნობა, რომლის შესახებაც გეცნობება თავის დროზე.

მიხარია – ვგონებ უღროოდ არა – რომ შენი პენსიის საქმე, რომელიც თავისი ჩახლართულობით აღმოსავლეთის საკითხს უტოლდება, ბოლოს და ბოლოს სასიკეთოდ სრულდება.

გკოცნით შენა და გიორგის და უფალს ვაბარებ თქუენს თავსა.

## ნიკოლოზ ბარანოვსკისაღმნი №5 (757)

2 Декаб: 1870.

Николаю Ивановичу Барановскому.

Чувствуя всю неловкость, обращаясь к вам опять просьбой поделу весьма вам знакомому: О Пенсии Княгини Варвары Ильинишны Орбел: и ея сына. Убедительно прошу вас приказать составить, попримеру настоящего года, переводное требованіе их Пенсій и препроводить в здешнюю Палату для своевременной отсылки онаго в Московскую Казенную Палату.

С чувством искреннаго уваженія и совершенной преданности имею честь быть.<sup>1</sup>

## ნიკოლოზ ბარანოვსკისაღმნი №5 (757)

2 დეკემბ: 1870.

ნიკოლაი ივანოვიჩ ბარანოვსკის.

ვეგრძნობ მთელს უხერხულობას და კვლავ მოგმართავთ თხოვნით თქვენთვის საკმაოდ კარგად ნაცნობ საქმეზედ: კნეინა ბარბარე ილინიშნა ორბელ:<sup>1870</sup> და მისი ვაჟის პენსიის თაობაზედ. დაბეჯითებითა გთხოვთ, უბრძანოთ მიმდინარე წლის მსგავსად შეადგინონ მათი პენსიების გადატანის მოთხოვნა და გადმოჰზავნონ აქაურს პალატაში მისი დროული გადაგზავნისათვის მოსკოვის სახაზინო პალატაში.

პატივი მაქვს ვიყო წრფელის პატივისცემის გრძნობითა და სრულის ერთგულებით.

## ბარბარე ბაბრატომე-ორბელიანი №45 (758)

15 Генв: 1871 в Москву.

Мой друг Варвара! Начну успокоительным известием о том, что бумага о твоей Пенсии отправлена отсюда в Москов: Казен: Палату и ты уже не встретишь затруднений, нанесших в прошлом году столько огорчений, и тебе, и мне. Спасибо Попоригопуло и Барановскому, прежним твоим поклонникам.

Читая<sup>1</sup> в твоём письме о 30 гр: морозу в Москве, мне сделалось здесь страшно холодно. А у нас чудная погода, в домах едвали кто остается днем, все живут на улицах; коекогда Термом: показывает – 4 гр: и то по утрам, в полдень же опять тепло, светло.

Недавно был бал у Великаго Князя впервые раз после его возвращения из Петербурга. На этом бале общее внимание было обращено на появившееся юное поколение прелестных Дам: Тамара, Елена, Нина и Майко Мирская, дочь Вахтанга, Олинька Томич, Коргановы и др.: Смотря на них я горделиво поднимал голову. Искренняя веселость в танцах невольно сообщалась всему их окружившему, и было весело всем. Такова сила юной, безискусственной красоты. Оне далеко отодвинули всё прежнее, признаваемые Дамы до сих пор Богинями балов, в силу непреложнаго Закона, что всему в мире своя очередь, как поэтически выразился Руставели[:]<sup>2</sup> „იგი წავა და სხუა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.“

В пользу бесплатных школ дан был Грузин: Спектакль, Затмение Солнца, на котором выказались, как таланты, Тасо Оглобжю, Амашукели<sup>3</sup> и два брата Калоубанских. Театр был

полон; публика гремела от восторга, в особенности после прелестной Лезгинки, подобно которой я давно невидел. После Театра, все игравшие и мы их оценители отправились к Ревазу Андрон:, и началась опять новая лезгинка при шумновеселом ужине, продолжавшемся до 4 часов.

Экзамен Георгія недолжен устрашать ни тебя, ни его. Небеда, если он теперь и невыдержит его. Неудача только выкажет ему ясно его слабость по некоторым предметам, на изучение которых, следоват:<sup>но</sup>, он должен энергически приложить все свои умственные силы и больше ничего, а там, нисколько несмущаясь, опять экзаменоваться. Разве стыдно экзаменоваться вторично? Неудача разве должна убить в нем охоту учиться? Напротив, стыдно перестать учиться, а неудача дело исправимое. Ну, Георгій упал на улице, чтож из этого? Неужели ему так всё и лежать там? Это былобы глупостью малодушія. Учение не оканчивается даже Университетом, а продолжается в течение всей жизни человека.

Давид в Цинандалах и у него гостит Како. Все твои родные здоровы. Целую тебя и Георгія и поручаю вас Всевышнему.

## **ბარბარე ბაბრატომონ-ორბელიანისადმი №45 (758)**

15 იანვ: 1871 მოსკოვს.

ჩემო მეგობარო ვარვარა! დავინყებ დამამშვიდებელი ამბით მასზედ, რომ აქედამ მოსკოვ: სახაზ: პალატაში გაიგზავნა ქალაღდი შენი პენსიის შესახებ და მეტად აღარ გადაეყრეუბი სიძნელეებს, შარშან ამდენი წუხილი რომ მოგვიტანა შენცა და მეცა. მადლობა პოპორილოპულოსა და ბარანოვსკის, შენს უწინდელს თაყვანისმცემლებსა.

შენს წერილში [რომ ვკითხულობდი], მოსკოვში 30 გრ: ყინვააო, საშინლად შემაცია აქა. ჩვენთან კი შესანიშნავი ამინდებია, დღისით შინ თითქმის არავინ რჩება, ყველა გარეთ არის; ზოგჯერ თერმომ: უჩვენებს 4 გრ: და ისიც დილაობით, შუადღეს კი ისევ თბილა, ნათელია.

ამასწინათ მეჯლისი იყო დიდს კნიაზთან პირველად მისი პეტერბურლიდამ ჩამოსვლის შემდეგ. ამ მეჯლისზედ საერთო ყურადღება მიიპყრეს ახლადგამოჩენილი თაობის ტურფა მანდილოსნებმა: თამარმა, ელენემ, ნინომ და მაიკო მირსკაიამ, ვახტანგის ქალიშვილმა, ოლინკა ტომიჩმა, ყორღანოვებმა და სხვ: ოდეს მათ ვუცქერდი, ამაყადა ვწევდი თავს მალლა. მათი უშუალო მხიარულება ცეკვისას ყოველივეს ედებოდა ირგვლივ და ყველა ხარობდა. ესრეთია ძალა ქაბუკური, ბუნებრივი სილამაზისა. მათ განზე გასწიეს ყველაფერი უწინდელი, აღიარებული ქალბატონები, აქამომდის მეჯლისების ქალღმერთებად რომ ითვლებოდნენ, [იმ] გარდუვალი წესის ძალითა, რომლითაც ქვეყანაზედ ყოველივეს აქვს თავისი რიგი, როგორც ბრძანა პოეტურად რუსთველმან: „იგი წავა და სხუა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.“

უფასო სკოლების სასარგებლოდ ნაჩვენები იყო ქართული სპექტაკლი „მზის დაბნელება“, რომელშიაც ტალანტებად წარმოჩინდნენ ტასო ოლლობუიო, ამაშუკელი და ორნი ძმანი კალოუბნელნი. თეატრი სავსე იყო, პუბლიკა გუგუნებდა აღფრთოვანებისაგან, განსაკუთრებით შესანიშნავი ლეკურის შემდეგ, როგორც დიდი ხანია აღარ მინახავს. თეატრის მერე ყველა შემსრულებელი და ჩვენ, მათი შემფასებლები, გავემართეთ რევაზ ანდრონოვი: და კვლავ წავიდა ახალი ლეკური ხმაურიანსა და მხიარულს ვახშამზედ, 4 საათამდის რომ გაგრძელდა.

გიორგის ეგზამენმა არ უნდა დაგაშინოთ არც შენა და არცა გიორგი. უბედურება როდია, თუკი ვერ ჩააბარებს. მარცხი მხოლოდ მკაფიოდ გამოავლენს მის სისუსტეს ზოგიერთს საგანში, რომლის შესწავლისკენაც, მაშასადამე, მან ენერგიულად უნდა მიმართოს მთელი თავისი გონებრივი ძალები და

მეტი არაფერი, მერმე კი კვლავ არხეინად გავიდეს გამოცდაზედ. განა სირცხვილია გამოცდაზე მეორედ გასვლა? წარუმატებლობამ განა უნდა დაუკარგოს სწავლის ჟინი? პირიქით, სირცხვილია სწავლის შეწყვეტა, წარუმატებლობა კი გამოსწორდება. აი, გიორგი წაიქცა გზაში, მერე? ნუთუ იქ უნდა ეგდოს? ეს იქნებოდა სიბრიყვე სულმოკლეობისა. სწავლა არ მთავრდება უნივერსიტეტითაც კი, არამედ გრძელდება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზედ.

დავით წინანდალშია და მასთანა სტუმრობს კაკო. ყველა შენი ნათესავი ჯვანზედ არის. გკოცნით შენა და გიორგის და უზენაესს ვაბარებ თქვენს თავსა.

## პარპარე გაბრატომ-ორბელიანისადმი №46 (759)

Тифлис 4 Марта 1871<sup>1</sup>

Мой друг Варвара! Наконец, после томительнаго ожиданія, пришла почта и привезла твое письмо и посылку. Более месяца мы неимеем известій из Россіи, и именно в то время, – недосадноли?<sup>2</sup> – когда решалась Судьба Франціи, а Европа принимает иное положеніе, иной вид; когда властитель Европы, отвергнутый, даже друзьями, ищет Принца в маленьком замке Гостеприимной Швейцаріи, где, как в монастыре, все гонимыя міром могут вздохнуть Свободно. Этот случай напоминает мне изреченіе Шамир хана, который неожиданно увидел в Тифлисе Алишаха Персидскаго<sup>3</sup> в бедности, изгнаннаго из Персіи, воскликнул в изумленіи[:]<sup>4</sup> «О, превратность Міра! Я видел этого человека, торжественно<sup>5</sup> въезжавшаго в Испагань на Слоне, и придворные осыпали его жемчугом за славную победу его над Авганцами!» Не тожели самое теперь с Наполеоном,

которого даже Мадам Корпеко, приехавшая из Тулы, называет глупым? Как не сказать, о, превратность Мира!!

Белье мне очень и очень понравилось. Я полагаю, отчасти и потому нравится, что люблю и радуюсь, когда ты присылаешь мне чтонибудь. У Княжны Александры целую ее прелестные пальцы, так изящно нарисовавшие узор для моих платков. Тотчас обежал нашу улицу, с хвастовством показывая эти узоры. Сегодня пойду и к Ираклию также похвастаться пред Тамарою и Еленою. К слову, Елена – невеста; Давид здесь и уже благословил ее и ее жениха Астафьева. Он мне очень нравится: молод, умён и хорошо воспитан; приехал сюда недавно на работу из Флоренции, где состоял на службе, более для поправления здоровья; Здесь будет переведен в Генеральный Штаб; Их Высочества ласкают Его, как давнишнего знакомого. Елена и он полюбили друг друга, целый день вместе, без умолку болтают и хохочут; Я люблюсь ими, не о чём они столько говорят, увы, я уже нестигаю!

Давид всё более и более молодеет, и между тем, он всё тотже с своими страстями и привычками. Я смотрю на него и завидую.

Княгиня Шаховская и Анна Андреевна Сименс всегда просят меня передать тебе уверение в их искренней преданности. Бабале Везирова здесь у меня лечиться от припадков геморою. Нина поехала к мужу, который служит в Ериванской Губернии по таможенной части. Чем могу, помогаю им; но знаю, что всё это недостаточно, и потому грустно мне.

Княгиня Саша Меликова прожила здесь месяц, взбудоражила весь Тифлис и уехала в Шуру к мужу. Вот женщина, которая не знает усталости!

Ея Светлости Царевне приношу мое глубокое уважение. Знают ли твои сестры, как я люблю их и предан им?



Целую моего дядю Георгія и напоминаю ему, что Май уже близок, и надо встретить его с твердостью и уверенностью у стен Университета. Победа – хорошо, поражение – ну, надо приготовиться сновыми силами для новой борьбы. Взгляни на Францію, ты думаешь, она погибла? Нет, встанет и будет красивее прежней Франції! Так должен поступать, по выражению Грузин, каждый мужчина носящий шапку. Всякая неудача есть только указание на возможность исправиться.

Будьте счастливы под защитою Всевышняго. –

Чай совершенно провинял дорогою.

## **ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №46 (759)**

თბილისი 4 მარტი 1871

ჩემო მეგობარო ვარვარა! როგორც იქნა, მტანჯველი ლოდინის მერე, ფოჩტა მოვიდა და მომიტანა შენი წიგნი და ამანათი. თვეზე მეტია, არ გაგვიგია ამბები რუსეთიდან და სწორედ იმ დროს – განა დასანანი არ არის? – როცა ბედი წყდებოდა ფრანციისა, ხოლო ევროპა იძენს სხუა მდგომარეობას, ხდება სხვაგუარი, როცა ევროპის მბრძანებელი, უარყოფილი თავისი მეგობრებისგანაც კი, პრინცს დაეძებს სტუმართმოყუარე შვეიცარიის პატარა კომუში, სადაც წუთისოფლისგან ყველა დევნილს ძალუძს შვებით ამოისუნთქოს, ვითარცა მონასტერში. ეს შემთხვევა მახსენებს ნათქუამს შამირ ხანისას, ვინც, სპარსეთიდან დევნილი და სილატაკეში ჩავარდნილი ალიშახ სპარსელის მოულოდნელად დანახვისას თბილისში, იყვილა გაცეცხულმან: „ო, უკულმართობავ წუთისოფლისა! მე მინახავს ეს კაცი, ზარ-ზეიმით რომ შედიოდა ისპაჰანს სპილოზედ შემჯდარი და კარისკაცნი მარგალიტებს აყრიდნენ

მისი დიდებული გამარჯვებისთვის ავლანელებზედ.“ იგივე ხომ არ ემართება ან ნაპოლეონს, ვისაც ტულიდამ ჩამობრძანებული მადამ კორპეკოც კი სულელს ეძახის. როგორ არა ვთქუა: ო, უკუღმართობავ ნუთისოფლისა!!

თეთრეული ძალზედ, ძალზედ მომეწონა. ვჰგონებ, ნაწილობრივ იმიტომაც მომწონს, რომ მიყუარს და მიხარის, როცა შენ მიგზავნი რამესა. კნენა ალექსანდრას ვუკოცნი მის მშვენიერს თითებს, ესრეთ ბრწყინვალედ რომ გამოუყვანია გრეხილ-ხვეულები ჩემს ხელსახოცებზედ. უმაღვე შემოვირბინე ჩუენი ქურჩა, ბაქიაობით ვაჩვენებდი ამ ნახჭებსა. დღეს ირაკლისთანაც წავალ, რათა ეგრევე ვიყეინო თამართან და ელენესთანა. სიტყუამ მოიტანა და ელენე პატარძალია; დავით აქ არის და უკვე დალოცა ისა და მისი საქმრო. ძალზედ მომწონს იგი [ასტაჭიევი]: ახალგაზრდაა, ჭკვიანი და კარგად აღზრდილი; ამასწინათ ჩამოვიდა აქ სამუშაოდ ფლორენციიდან, სადაც სამსახურებლად იყო, უფრო კი იმისათვის, ჯანმრთელობა გამოეწონებინა. აქ გადმოიყვანენ ლენერალურ შტაბში; მათი უდიდებულესობანი მას ძველი ნაცნობივით ეფერებიან. ელენესა და მას ერთმანეთი შეუყვარდათ, მთელ დღეს ერთად არიან, გაუჩერებლად ლაპარაკობენ და ხარხარებენ; მე ვტკბები მათით, მაგრამ რაზე ლაპარაკობენ ამდენს, ვაგლახ, ველარ გამიგია.

დავით უფრო და უფრო ჯეილდება და, თანაც, ისეთივეა თავისი ვნებებითა და ჩვევებით. ვუყურებ და მშურს მისი.

კნენა შახოვსკაია და ანნა ანდრეევნა სიმენსი სულ მთხოვენ დაგარწმუნო მათს წრფელს ერთგულებაში. ბაბალე ვეზიროვა აქ მკურნალობს ჩემთან ბუასილის შეტევებზედ. ნინა გაემგზავრა მეუღლესთან, რომელიც ერივნის ლუბერნიაში მსახურობს საბაჟო ნაწილში. როგორც შემიძლია, ვეხმარები მათ; მაგრამ ვიცი, რომ ყოველივე ეს საკმარისი არ არის და ამიტომ ვნაღვლო.

კნენა საშა მელიქოვამ ერთს თვეს იცხოვრა აქა, ააფორიაქა მთელი თბილისი და მეუღლესთან გაემგზავრა შურაში.

აი ქალი, რომელმაც არ უწყის დაღლა.

მის ბრწყინვალეობა ცარევენას ვუთვლი ჩემს ღრმა პატივისცემას. შენმა დებმა თუ იციან ნეტავ, რარიგად მიყვარან ისინი და ერთგული ვარ მათი?

ვკოცნი ჩემს ბიძია გიორგისა და შევახსენებ, რომ მამისი ახლოს არის უკვე და უნივერსიტეტის კედლებთან უნდა დახვდეს მას მტკიცედ და თავდაჯერებით. გამარჯვება კარგია, მარცხი – ნუ, ახალი ძალების მოკრებაა საჭირო ახალი ბრძოლისათვის. შეხედე ფრანციას, გგონია გაიწირა? არა, წამოდგება და იქნება უკეთესი უწინდელს ფრანციაზედა! ესრე უნდა მოიქცეს, ქართველების თქმით, ყოველი კაცი, ვისაც კი ქუდი ახურავს. ყოველგუარი მარცხი მხოლოდ მინიშნებაა გამოსწორების შესაძლებლობაზედ.

უფლის მფარველობით იყავით ბედნიერნი.

ჩაი მთლად აყროლებულა გზაზედა.

## იოსებ თარხან-მოურავისადმი №1 (760)

8<sup>10</sup> Апр: 1871.

К:<sup>10</sup> Иосифу Давидовичу Тарханмоураву<sup>1</sup>

Племянник мой К:<sup>3b</sup> Георгій, вступая в Университет, нуждается в формулярном Списке отца своего – уже умершаго – Генерал Майора К: Ильи Дмитр: Орб:, бывшаго Командиром Груз: Гр: Его Высоч: Конст: Николаевича Полка.

Поэтому имею честь обратиться к вам, Мил: Госу:, с моею покорнейшею просьбою: приказать выслать мне, в возможной скорости, копию с отмеченнаго формул: Списка с надлежащим, Засвидетельствованиєм для отправления попринадлежности в Москву.

Прошу принять уверение в глубоком моем уважении и совершенной преданности.

## **იოსებ თარხან-მოურავისადმი №1 (760)**

8<sup>ა</sup> აპრ: 1871.

კნ:<sup>ა</sup> იოსიძე დავიდოვიჩ თარხან მოურავს

ჩემი ძმისწული კნ:<sup>ა</sup> გიორგი უნივერსიტეტში შედის და სჭირდება ნამსახურობის ნუსხა მამამისისა – უკვე გარდაცვლილი ლენერალ-მაიორის: კნ: ილია დიმიტრ ორბ:<sup>ა</sup>სა, მისი უდიდ: კონსტ: ნიკოლაევიჩის ქართვ: გრენად: პოლკის ყოფილი მეთაურისა.

ამიტომ მაქვს პატივი მოგმართოთ თქვენ, მონ: ხელ:<sup>ა</sup>, ჩემის უმორჩილესის თხოვნით უბრძანოთ, შეძლებისდაგვარად სწრაფად გაგზავნონ მოსკოვში ასლი ხსენებული ფორმულ: სიისა კუთვნილების სათანადო დამონმებით.

გთხოვთ ირწმუნოთ ჩემი ღრმა პატივისცემა და სრული ერთგულება.

## **ალექსანდრე ნიკოლაისადმი №13 (761)**

Барону Алек: Павловичу Николай.

22<sup>10</sup> Апр: 1871.

С чувством истинной благодарности возвращаю журнал, в котором так положительно осуждается предприятие наше относительно улучшения здесь коневодства посредством

Арабских лошадей. Кодзиков должен быть весьма доволен этою статьею.

Нисколько не касаясь достоинства, которыми отличаются Английские лошади, по моему убеждению, и кровные Арабские жеребцы принесут несомненную пользу возстановлением вновь той чистой крови, которую некогда славились здешние табуны. Конечно, для этого нужно время, прочное основание новаго здесь учреждения о коневодстве и, в особенности, энергическое преследование этой идеи для его осуществления.

С глубоким уважением и совершен: пред: имею...

## ალექსანდრე ნიკოლაისადმი №13 (761)

ბარონ ალექ: პავლოვიჩ ნიკოლაის.

22<sup>ლ</sup> აპრ: 1871.

ჭეშმარიტი მადლიერების გრძნობით გიბრუნებთ ჟურნალს, რომელშიაც დადებითად არის განსჯილი ჩვენი წამოწყება აქაური მეცხენეობის გაუმჯობესების საქმეში არაბული ცხენების გამოყენებით. კოზიკოვი ძალზედ ნაამები უნდა იყოს ამ სტატიითა.

სრულებით რომ არ ვეხები იმ ღირსებებს, რომლითაც ანგლიური ცხენები გამოირჩევიან, ჩემის რწმენით, სუფთა სისხლის არაბული ავილებიც მოიტანენ უეჭველს სარგებელს იმ სისხლის აღდგენით, ოდესღაც რომ იყო განთქმული აქაური ჯოგები. რა თქმა უნდა, ამას სჭირდება დრო, მტკიცე საფუძველი მეცხენეობის ახალი დანესებულებისთვის აქ და განსაკუთრებით ენერგიულად უნდა ჩავეჭიდოთ ამ იდეას მის განსახორციელებლად.

ღრმა პატივისცემითა და სრულ: ერთგ: მაქუს...

## ნიკო ჭავჭავაძისადმი №4 (762)

ჩემო გულით საყუარელო ნიკო! ამ წერილსა მოგართმევს ტრაჟიკოსკი,<sup>1</sup> რომელსაცა ებარა ჩემი სამოქალაქო საქმეები სასამართლოებში. ახლა მანდ განანესეს სმოტრიტელად მაგაზინისა და მოდის თავის პატარა ცოლითა. გთხოვ არ მოაკლო შენი მფარველობა და შემწეობა. –

ახლა აქაური ამბავი მოისმინე: ველიკიი კნიაზი წაბძანდა ქუთაისზე, მენგრელიაში, აფხაზეთში ნოვოროსისისკამდის<sup>2</sup> ცხენით და იქიდამ ზღუით დაბრუნდება, მგონია, პირდაპირ ბორჯომს.

კნ: ლევან მშვიდობიანად არის; დაყრუებული თბილისი გამოფხიზლდა ამის მოსვლითა: გაიმართა სადილები და პიკნიკები და ვნახოთ როდის დასრულდება.

ვასილ სარაჯევი და დიმიტრი, რა საკურველია განუშორებელნი არიან ლევანთან. ხშირად გიგონებთ და ვნატრობთ შენს აქ ყოფნასა.

ბენისლავსკიც წამოვიდა თავის ლამაზის ცქრიალა ცოლით; კარგი ჭკვიანი და გაზდილი ქალი ყოფილა; ხშირად ვესაუბრებოდი შენზედ და ვეუბნებოდი, რომ ჩემს დისწულს ჩემთან არა აქუსრა დამალული, მაშასადამე ყოველივე ვიცი, ვინცა უყუარს გაგიყვებითა. – ჩემმაგიერ უსაყვედურე, რომ არ მოვიდა გამოსასაღმებლად ჩემთან. ქალაქში ასეა მიღებული ჩვეულება. –

ყაფლანის ქალი ნინუცა აქ არის; ჩემს დღეში არ გამეგონა ამის სიმღერა, და უნდა გითხრა, რომ ამის, ჭმუნვის მახვილი, განსაკვირვებელია! ძლიერი, მაღალი, და დიდად სასიამოვნო<sup>3</sup> ხმა აქუს. ეს არის სანყენი, რომ ორი, თუ სამი სიმღერა იცის, მეტი არა.

შეიტყობდი, რომ დავით ჭავჭავ: ქალი ელენე გათხოვდა ასტაჭიევზე. ეს არის ყმაწვილი კაცი კარგად გაზდილი და ნასწავლი; მაგრამ, სანყალი, მეტად ჭნაუა არის, ნეკნებით დიდად სუსტი. – ჩემის ჰაზრით ეს დიდი ნაკლულევანება არის.

– კნ: მირსკისა უფროსი ქალი ნინა შეირთო პოლკოვ: დენმა<sup>4</sup> და ქორწილის დღესვე წაიყვანა ჭინლანდიაში. – არა, ამ ოხერსა, იმ სიშორეს რომ არ წაეყვანა, განა აქვე ვერ ...და?

ახალი ჩუჭნი შთამამავლობა ქალებისა ძალიან ბრწყინვალედ გამოვიდნენ მეიდანზე: დავითის სამნი ქალები, თამარ, კაკო, ელენე, მირსკის სამნი ქალები, ნინა, მაიკო და ოლინკა, სწორედ მნათობნი არიან.

ჩემის საყუარელის ივანეს ამბავი რა მოგწერო? ამის საქმე ასე არის დახლართული, რომ არ ვიცი საიდამ უნდა გამოჩნდეს ამის გამომხსნელი! – გულით ვიტანჯები ამის ოჯახის დარღვევისაგამო, სადაცა ჩემმა ყმანვილობამ განვლო მხიარულებით. – რა ვართ, თუკი გულით საყუარელს ვერ შევწევით გაჭირებაში? – ან როდის უნდა წამოვიდეს თქუჭნკენ? იქნება, ვერკცი მოუხდეს!

კნ: მირსკი მაისში წავა სამზღუარ გარე წყალზე, რადგანაც ავათმყოფობს იარებისაგამო, ცოლშვილიკი აქ დარჩება.

–

ველმწიფე აპირებს მობძანებასა, თუ, შარშანდელსავით, ევროპიის საქმეებმა არ შეაყენეს. ლ~თმან<sup>5</sup> ინებოს იმის მობძანება საბედნიეროდ ამა მხარისა.

მშვიდობით, ნუ დამივიწყებ მარადის შენს კეთილსა და ბედნიერების მოსურნესა.<sup>6</sup>

გრიგოლ ორბელიანი

30 აპრ: 1871.

თბილისით.<sup>7</sup>

## ალექსანდრე სვისტუნოვისადმი №2 (763)

21 Мая 1871 год

Александр Павлович Свистунову.

Позвольте обратить ваше благосклонно-справедливое внимание на службу Подполк: Князя Визирова, котораго храбрость, честность и фронтовое знание ставит наряду отличных офицеров Кавказской Арміи. В настоящее время открывается вакансіи Командиров Линейных баталіонов. И ежели раны и нравственныя качества имеют несомненное значеніе при выборе лиц в Начальники отдельных частей, позвольте просить вас, Милост: Госуд., быть ходотаем пред Его Высочеством за Подполк: К: Визирова, который своею честною службою непосрамит ни себя, ни вашего<sup>1</sup> милостиваго к нему доверія.

## ალექსანდრე სვისტუნოვისადმი №2 (763)

მაისის 21 1871 წელი

ალექსანდრე პავლოვიჩ სვისტუნოვს.

ნება მიბოძეთ, თქუენი კეთილგანწყობილი, სამართლიანი ყურადღება მივაქციო პოდპოლკ: კნიაზ ვიზიროვის სამსახურს, ვისაც სიმამაცე, პატიოსნება და საფრონტო ცოდნა აყენებს კავკასიის არმიის შესანიშნავ აფიცურთა რიგში. ამჟამად ჩნდება ვაკანსიები ლინეინი ბატალიონების კამანდირებზედ. და თუკი ქრილობებსა და სულიერს თვისებებს გააჩნითა უეჭველი მნიშვნელობა პირთა არჩევისას ცალკეული ნაწილების უფროსობისთვის, ნება მიბოძეთ გთხოვოთ, მოწყალ:



ხელმწი., მის უდიდებულესობასთან უშუამდგომლოთ პოდ-  
პოლკ: კნ: ვიზიროვსა, რომელიც თავისი ღირსეულის სამსა-  
ხურით არ შეარცხვენს არცა თავსა და არცა თქუენს მოწყა-  
ლე ყურადღებას მისდამი.

## ოლღა გაღენელ–რომანოვისაღვი №1 (764)

Ваше Императорское Высочество,

Государыня Ольга Феодоровна!

Полный истиннаго счастья благоговейно повергаю я выра-  
жение святаго чувства благодарности за те милостиво – утешительныя слова, которыми Ваше Высочество соблаговолили почтить меня в день моего юбилея. Высокое<sup>1</sup> внимание ваше, Государыня, придало блеск и значение скромно-прошедшей моей судьбе, а неожиданный приезд обожаемаго нами Великаго Князя на мой юбилей озарил всех нас светом истинной радости. Да, Государыня, только Ваши Высочества одарены свыше великою тайною награждать счастьем во всей его полноте.

Благословение Божье да будет Вам воздаянием за милостивое внимание<sup>2</sup> постоянно<sup>3</sup> Вашим Высочеством мне оказываемое.<sup>4</sup>

С чувством глубокаго, благоговейнаго уважения имею счастье быть

Вашего Императорскаго Высочества

верно преданнейшій Слуга

К: Григорій Орбеліани

8 Юня 1871 года

Тифлис.

## ოლღა ბადენელ-რომანოვისადმი №1 (764)

თქვენო საიმპერატორო უმაღლესობაე,

ხელმწიფა ოლღა ძეოდოროვნა!

ჭეშმარიტის ბედნიერებით აღსავსე მონინებით გიძღვნიტ მადლიერების გრძნობის გამობატულებას იმ მონყალე-ნუგე-შისმცემელი სიტყვებისათვის, რომლიტაც თქუენს აღმატებულებას კეთილენება, პატივი ეცა ჩემთვის ჩემს საიუბილეოდღესა. თქვენმან მაღალმა ყურადღებამ, ხელმწიფავ, მნიშვნელობა და ბრწყინვალეა მიანიჭა ჩემს მოკრძალებულს ბედს, ხოლო ჩვენს მიერ სათაყვანებელი ველიკი კნიაზის უეცარმა ჩამობრძანებამ ყველა გაგვასხივოსნა წრფელის სიხარულის შუქიტა. დიახ, ხელმწიფავ, მხოლოდ თქუენი აღმატებულებაა დაჯილდოებული ზეციდამ დიდი საიდუმლოტი, საჩუქრად გასცეს სრული ბედნიერება. ღმერთმა დაგლოცოტ მონყალე ყურადღებისათვის, მუდმივად რომ მიძღვნის თქუენი უდიდებულებსობა.

ღრმა, მონინებულის პატვიისცემიტ მაქუს ბედნიერება ვიყო.

თქუენი საიმპერატორო უდიდებულებსობის  
უერთგულესი მსახური  
თ: გრიგოლ ორბელიანი

1871 წლის 8 ივნისს  
თბილისი.

## ბარბარე ბაბრატომე-ორბელიანისადმი №47 (765)

12 Июня 1871 Тифлис в Москву.<sup>1</sup>

Мой друг Варвара! С удивленіем я читаю в твоём письме от 29 Мая о тех препятствіях, которыя неожиданно явились для Георгія при его вступительных экзаменах. Мне помнится, что прежде могли и в Августе здавать экзамены, и казалось, от этого небыло вреда, ни Универ:<sup>у</sup>, ни Студентам. Чтоже побудило изменить этот облегчающій порядок? Да, видно тупые головы, Неверовы, существуют не в одном Тифлисе.<sup>2</sup> К сожаленію, в настоящее время, из Тифлиса разехались по домам, которые моглибы положительно сказать мне, можетли Георгій экзаменоваться в Одессе после Мая месяца? Сын Вахтанга будет наднях и тогда уведомяю тебя по телеграфу.

Ты знаешьли, что ежели для меня существует цель жизни, радость жизни, конечно, это ты и Георгій. Кроме вас что еще существует для меня? Но, при всем том, я немогу одобрить твоего предположенія пріехать сюда с визитом за две тысяча верст на две недели, для того, чтоб опять проехать это разстояніе обратно в Москву на встречу снегам и метелям. Нет, нетак. Ты пріезжай сюда в Сентябре навсю зиму, непременно навсю зиму, для того, чтоб ты могла возстановить свое здоровье, измученное, истощенное суровым климатом Москвы. Ты на зиму непременно должна бросить Москву и жить здесь. Летомже, пожалуй, скачи в Москву к Георгію, который, надеюсь на его характер и благоразуміе, может уже без тебя докончить свое образованіе. Стоитли на две недели пріезжать сюда; потому что долее я немогу оставаться с тобой, так как в Августе я и Давид должны поехать навстречу Государю и сопровождать Его Вели:<sup>во</sup> в Поги. Какоеже наше свиданіе и начто мне такое свиданіе? Я не свиданія хочу, а жить с тобой.

Ради Бога, подумай о своем здоровьи и сделай так, как я советую: приезжай сюда на зиму; ты отдохнешь, успокойшься, поздоровеешь под влиянием тёплых, светлых дней здешней зимы, а это главное. Летомже, ну, скажи куда хочешь; но всётаки назиму опять ко мне в Тифлис. А твои визиты, извини за откровенность, мне ненужны. Да, притом твои заботы теперь не столько нужны Георгию, сколько мне: с каждым днём становлюсь всё старше, силы изменяют, появляются болезни, которых не знавал прежде. Вот мне и нужно твое попечение.

7<sup>го</sup> Июня праздновали мой юбилей в Саду летняго Театра; на это торжество В: Князь совершенно неожиданно прискакал из Боржома. За обедом начались тосты, речи; посылались поздравительныя телеграммы со всех концов Кавказа, в особенности Великая К:<sup>4</sup> в Дешеше своей наговорила мне много любезностей. Но, мой друг, это торжество, в сущности своей, есть грустное напоминание мне о том, что близок конец этой жизни и начало будущей. Ничего. Эта [мы]сль меня никогда не пугала; но, мне хотелосьбы, умирая, пожать на прощание твою руку и благословить Георгию на жизнь честную.

Я продал землю на Острове Мирзоеву за  $\frac{12}{\tau_1} p$ ; так как она неприносила более 200 p:, а выстроить Магазейны не всостоянии, потому что необходимо былобы употребить, по крайней мере,  $\frac{30}{\tau_1} p$ : – теперьже без всяких хлопот будем иметь 600p: расчет простой. – Посылаю бумагу, на которой отмечено, где должен Георгій подписаться. Потом, эту подпись Георгию [нужно]<sup>3</sup> засвидетельствовать у Нотариуса и прислать ко мне, чтоб покончить это дело с Мирзоевым.

Забыл сказать, что Аннета выехала уже из Кутайса и прибудет сюда сегодня, завтра здесь ожидает её Давид.

Цалую Георгию в голову и поручаю вас Богу.

## ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანისადმი №47 (765)

12 ივნისი 1871 თბილისი მოსკოვს.

ჩემო მეგობარო ვარვარა! გაოცებული ვკითხულობ შენს 29 მაისის წერილში იმ წინააღმდეგობათა შესახებ, რომელნიც მოულოდნელად გამოუჩნდნენ გიორგის მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. მე მაგონდება, რომ უნინ შეეძლოთ აგვისტოშიც ჩაებარებინათ გამოცდები, და თითქოს ამას ზიანი არ მოჰქონდა არც უნივერსიტეტს, არცა სტუდენტთათვის. და რალამ უბიძგათ შეეცვალათ ეს შემამსუბუქებელი წესი და რიგი? ჰო, ჩანს, შტერი თავები, ნევეროვები, მარტო თბილისში არ დადიან. სამწუხაროდ, ამჟამად თბილისიდან წავიდნამოვიდნენ, ვისაც შეეძლო ნაღდად ეთქვა ჩემთვის, შეუძლია თუ არა გიორგის გამოცდების ჩაბარება ოდესაში მაისის თვის შემდეგ? ვახტანგის ვაჟი ჩამოვა ამ დღეებში და მაშინ შეგატყობინებ ტელელრაჭით.

იცე კი, რომ თუკი ჩემთვის არსებობს ცხოვრების მიზანი, სიხარული ცხოვრებისა, რა თქმა უნდა, ეს შენა და გიორგი ხართ. თქვენს მეტი ვინ გამაჩნია? მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე არ ძალმიძს მოვიწონო შენი ჰაზრი, ორი კვირით ჩამოხვიდე სტუმრად აქ ორი ათას ვერსზედ იმისათვის, რათა ეს მანძილი უკანვე გაიარო მოსკოვისკენ თოვლსა და ქარბუქში. არა, ასე არ ივარგებს. აქ სექტემბერში ჩამოდი მთელი ზამთრით, უცილობლად მთელი ზამთრით, იმისათვის, რომ შეძლო აღიდგინო ნატანჯი, მოსკოვის მკაცრი კლიმატით გამოფიტული ჯანმრთელობა. შენ საზამთროდ უცილობლად უნდა მიატოვო მოსკოვი და იყო აქა. ხოლო ზაფხულში, კი ბატონო, გაჰქუსლე მოსკოვს გიორგისთან, რომელსაც, იმედი მაქვს მისი ხასიათისა და კეთილგონიერებისა, ძალუძს უკვე უშენოდ დაასრულოს თავისი განათლება. ღირს კი ორი კვირით აქ ჩამოსვლა, რადგან მე ამაზე მეტს ვერ დავრჩები შენთან, ვინაიდან აგვისტოში მე და დავით ხელმწიფის შესახვედრად უნდა

გავემგზავროთ და თან ვახლდეთ მის უდიდეს ფოთში. როგორღა გამოვა ჩვენი შეხვედრა და რაში მარგია ესრეთი შეხვედრა? მე შეხვედრა კი არ მნადია, არამედ შენთან ყოფნა. ღვთის გულისათვის, დაფიქრდი შენს ჯანმრთელობაზე და მოიქეც ისე, როგორც მე გირჩევ: ჩამოდი საზამთროდ, დაისვენებ, დამშვიდდები, გამოჯანსაღდები აქაური ზამთრის თბილი, ნათელი დღეების წყალობით, მთავარი კი ეს არის. ზაფხულში კი, ნუ, გაჰქუსლე-მეთქი, საითაც გენებოს; და მაინც, საზამთროდ – ისევ ჩემთან თბილისში. ხოლო შენი ვიზიტები, მაპატიე გულწრფელობისათვის, არას მარგია. ამასთანავე, დიახ, შენი მზრუნველობა იმდენად გიორგის არა სჭირდება, რამდენადაც მე: დღითიდღე ვბერდები, ძალები მეცლება, ისეთის სნეულებებით ვავადობ, ადრე რომ არ ვიცოდი. ჰოდა, სწორედ შენი ზრუნვა მჭირდება.

7<sup>ა</sup> ივნისს ჩემი იუბილე ვიზეიმეთ საზაფხულო თეატრის ბაღში; ამ დღესასწაულზე ველიკ: კნიაზი სრულიად მოულოდნელად მოიჭრა ბორჯომიდან. სადილზე დაინყო სადღეგრძელოები, რეჩები, მიგზავნიდნენ მოსალოც ტელეღრამებს კავკასიის ყოველი კუთხიდან, განსაკუთრებით დიდმა კნენამ გამოთქვა თავის დეკლამაციებში ბევრი რამ სასიამოვნო. მაგრამ, ჩემო მეგობარო, თავისი შინაარსით ეს დღესასწაული სევდიანი შეხსენებაა იმისა, რომ ახლოვდება დასასრული ამ ცხოვრებისა და დასაწყისი შემდეგისა. არა უშავს. ეს [ჰა]ზრი არც როდის მაშინებდა; მაგრამ ვისურვებდი, შენთვის ჩამომერთმია ხელი მომაკვდავს და გიორგი დამელოცა ნამუსიანი ცხოვრებისათვის.

კუნძულზედ მიწა მიყვიდე მირზოევს  $\frac{12}{ათას}$  რ-ად; ისე, არ შემოჰქონდა 200 რ-ზე მეტი; მალაზეინების აშენება კი არ ძალმიძს, რადგან აუცილებელი იქნებოდა დამეხარჯა სულ ცოტა  $\frac{30}{ათას}$  რ: ან კი ყოველგუარის დავიდარაბის გარეშე გვექნება 600 რ: ანგარიში მარტივია. გიგზავნი ქალაქს, სადაც აღნიშნულია, სად უნდა მოაწეროს გიორგიმ ხელი. შემდეგ გი-

ორგის ეს ხელმოწერა უნდა დამოწმდეს ნოტარიუსთან და გამოემგზავნოს, რათა დასრულდეს ეს საქმე მირზოევთანა.

დამავინწყდა მეტქვა, რომ ანეტა უკვე გამოემგზავრა ქუთაისიდან და დღეს ჩამოვა, ხვალ დავით ელის აქა.

ვკოცნი გოორგის თავზე და გაბარებთ ღმერთსა.

## **ალექსანდრე ნიკოლაისადმი №14 (766)**

21 Июня 1871.

Барону Александру Павловичу Николай.

Выполняю ваше желание, небез смущения, посылая текст сказанных мною слов в день моего юбилея. В ту минуту, я вовсе недумал о печати, и, признаюсь, мне всегда казалось щекотливым подвергать невольно Суду печати выражения задушевных чувств.

С истинным уважением и совер: пред:

## **ალექსანდრე ნიკოლაისადმი №14 (766)**

21 ივნისი 1871.

ბარონ ალექსანდრე პავლოვიჩ ნიკოლაის.

ვასრულებ თქვენს სურვილს და უხერხულობასაცა ვგრძნობ, ჩემს იუბილეზე ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვის ტექსტს რომ გიგზავნით. იმ წუთას სულ არ ვფიქრობდი დაბეჭდვაზედ და გამოგიტყდებით, მე ყოველთვის საჩოთიროდ მიმაჩნდა გულითადი გრძნობების გამოსატყულების გატანა ბეჭდვით სამსჯავროზედ ხათრიითა.

ჭეშმარიტი პატივისცემითა და სრულ: ერთგ:

## ყაფლან ორბელიანისადმი №18 (767)

ბატონო ძმაო ყაფლან! როგორცა შენ ადრე მითხარი, მე ისე დავაბოლოვე; მივეც შავად<sup>1</sup> დაწერილი შეკრულობის პირობა, რომ ჯამათმაც შეიტყოს ყოველიფერი. – ახლა კიდევ მოვიდნენ, ლაპარაკობენ არა იმასა, რაც თავის დარდი აქუსთ, სხუასა რალასაც აკონკებენ და მე ვერ შემიტყვია სწორედ, თუ რა უნდათ? – ხომ მოგეხსენება, რომ წლეულს არსად არა მაქუს თივა, ამისგამო გამოუცხადე, რომ რაც თქვენი სათივეები ყოფილა აქამდის, დღევანდლამდის, ის თქვენვე დაგრჩესთ, და რაცა რუსებს ეჭირათ და ორს ადგილს კიდევ სხუაგან, რომელიცა არაყოფილა ამათთვის სათიბად, ისიც მე მინდა ავილო რომ ორიოდ კვიციები მყავს, ისინი გამოვკვებო. – ამაზე მოჰყვენენ ესენი ერთს ნაღლსა, რომლისა გათავებას მერმისაც ვერ მოვესწრობით. – ახლა მე შენ გთხოვ:

1) შეაგონო იმათა, რომ ის შავი, პირობის წერილი მომიტანონ, რომ გადავანერინოთ და დავამტკიცებინოთ, და რაც ხარჯი მოუნდება, ის მივსცეთ მეცა და იმათაც სანახევროდ.

2) რომ სათიბები, რომელიცა თავის დღეში არა ჰქონიათ, წლეულს დამითმონ, და თავიანთი თვითონ გასთიბონ, როგორადა[ც] აქამდის შვრებოდენ.

3) დაიბარეთ ნინიკა, წაუკითხეთ ესე, და თუ, მართლად, ესენი ვერ გასძლებენ უიმსათიბოდ, რომელსაცა მე ვიღებ წლეულსა, მაშინ ისე ჰქნან, რომ რაც ჩემთვის საჭირო იყოს ის აიღონ ჩემთვის, მეტი არც მე მინდა, თორმეტამდის კვიცი მიყოლება, რომ ესენი გამოვკვებო და არ დამეხოცნენ.

ეს არის ჩემი დარდი და თქვენთან სათხოვარი.

ძალუა ვარინკა მოდის; მოსკოვიდამ გუშინ გამოვიდოდა, თბილისში მოვა ორს სამს კათათვესა, და ახლა აქ წავკისს ვა-



კონკებ სადგომსა, მაგრამ მაინცკი ვიქნებით ვინროდ. – რა უყოთ სოფლობა და პახოდობა ორივე ერთი ყოფილა.

სინრფელით, რომელმაც არ უწყის ქვენა გრძობები, გამახსენა შურაჩკაც, შურინკა, სადაც ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლებს გულწრფელად ვწირავდით სამსახურსა! და სად არიან ახლა ის ამხანაგები, რომლებთან მეგობრობაც განმტკიცებულ იყო რთული სალაშქრო ცხოვრებითა? იმათგან ბევრი სამუდამო ძილით წევს დაღისტნის მთებში, ჩაჩნეთის ტყეებში, სხუანი კი განიფანტნენ ქუეყანასა ზედა. ცოტანილა დავრჩით. ეჰ, რარიგ მინდა მოგეხვიოთ, კირილ ოსიპოვიჩ, ვინც აგრე ძლიერად მიმაჯაჭვეთ საკუთარ თავს პატიოსნებითა და გულმართლობითა! მადლობელი ვარ ხსოვნისათვის, მადლობა ამ წრფელი სიხარულისათვის, დიდი ხანი რომ აღარ განმიცდიდა.

სადაც არ უნდა გაემგზავროთ, აქაური, თქვენთვის თითქმის მშობლიური ქვეყნის ამბები გულს აგიჩქროლებენ სიხარულითა, და დავიწყებ დაღისტნითა:

ნუთუ მართლა იყო კავკასიაში ესრეთი სასტიკი ომი და ნუთუ ჩვენ თავად ვიყავით მონაწილენი ამ სისხლიანი ბრძოლისა? უსაქმურთა მონაწილენი ხომ არ არის? ეს კითხვები უნებლიეთ ჩნდება, როს უყურებ იმ ღრმა, წარმოუდგენელ სიმშვიდეს, რომელიც სუფევს დაღისტანსა და საერთოდ კავკასიაში. ეს გოლიათი მორჩილად განოლილა ერთის ზღვიდამ მეორემდინ და არ უწყის, მოკვდა თუ სძინავს? უზრუნველად მიმოდინ ქარავენები, კლდეებში გზები გაჰყავთ; უფსკრულებზედ რკინის ხიდებია დაკიდებული, ეკიპაჟები მიჰქრიან ღუნისბსა; არც მტრული ლანდი სჩანს სადმე, არცა სიძულვილი! განა საოცარი არ არის?

ხელმწიფე იმპერ:<sup>მზ</sup> გააბედნიერა კავკასია თავისი ჩამობრძანებით და ხოჯალმაქზე, ღუნისბზე, ხუნძახზე, ბოთლისხზე, კალმახის ტბაზე გავლით შურიდამ ჩავიდა ვედენსა და შემდგომ ვლადიკავკაზიდამ თბილისს, სექტ: დაღისტანში მას თან ახლდნენ მხოლოდ დაღისტნის მაცხოვრებლები და ის ნაიბები, რომელნიც ესრეთის გაშმაგებით გვებრძოდნენ. განა შეიძლებოდა ამის განჭვრეტა ათის წლის წინა?

აქ ყოფნისას ხელმწიფე გახლდათ სასიამოვნო განწყობაზედ; მას ახარებდა ყველაფერი, რასაც ხედავდა, ხალხის სრული სიმშვიდეცა და მისი მართვაც, არმიის ბრწყინვალე მდგომარეობაც, საქართველოს სამხედრო გზაც, ულამაზესი ქვეყანაზე, თბილისიცა, 10-ჯერ გაზრდილი, და ბოლოს ის გულითადი, ამაღლებული და საზეიმო აღფრთოვანებაც, რომლითაც მიიღო იგი მისმა ერთგულმა საქართველომ თბილისში! მუშთაიდში მოეწყო დროებითი სასახლე მავრიტან: სტილში, ათას ერთის ლამიდამ; იქ იყო მეჯლისი, ხოლო ვაზის ხეივნებში ვახშმობდა 20 ათას: მეტი ადამიანი – თქვენ ადვილად წარმოიდგენთ იმ აღუნერელ სიხარულს, იმ გაბმულს ქუხილისმაგვარ ვაშას! ათასობით ზურნის ხმას რომ ერწყმოდა, როცა შესანიშნავის ფეიერვერკის შემდეგ, ხელმწიფემ დიდ კნ:ჲჲ ერთად, მემკვიდრემ ირაკლი გრუჲჲ დედასთან და მთელს საზოგადოებასთან ერთად, მთელი ბალის გავლით მონახულეს მონადიმე ხალხი! ისინი ხელმწიფეს უკოცნიდნენ მუხლებს, ხელებს, მკერდს და ესრეთის სიყუარულით მიაცილებდნენ თავის მამა-განმათავისუფლებელს სასახლის ზალამდინ და, თანაც, არსად არანაირი პოლიცია. დიახ, ესრეთს დიდებულს ნუთებს სიტყვებით ვერ გადმოსცემ. საინტერესოა, რასა ფიქრობდნენ ამ სანახაობის შემყურე ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორთა აღუტანტები, ხელმწიფეს რომ ახლდნენ, ვითომ ასე უზიარებენ მათი ხელმწიფენი ხალხს თავის სიყუარულსა?

ეს რა მოხდენილნი არიან დიდი კნიაჲ:ჲ, ახალგაზრდა არწივნი, ხელმწ: მემკვიდრე და ვლადიმერი, განსაკუთრებით მემკვიდრე! ის სრულყოფილი ხორცშესხმაა რუსული სიძლიერის იდეალისა; ძლევა მოსილი სილამაზეა, მამაკაცური.

ხელმწიფე იყო მონყალე, როგორც ყველგან და ყოველთვის, თავმდაბალი, ყურადღებიანი და 25 სექტ: თბილისიდან გაემგზავრა ფოთს, ყირიმს, ხალხის მიერ დალოცვილი, შესანიშნავის ამინდის თანხლებითა.

ჩვენ გვაქვს რკინიგზა ჯერ-ჯერობით ფოთიდან ყვირილამდინ; მომავალს წელს იმედი გვაქვს, რომ ის მოვა თბილისამდინაც. ასე, აქ ყველაფერი წინ მიდის.

ხელმწიფემ თავისი მოწყალებით მიბოძა ანდრია პირველი, რა თქმა უნდა, არა ჩემი დამსახურებებისთვის; ეს თავადაც ვუნცი და ღრმად ვგრძნობ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც არ უნდა ვიმსახუროთ, მონარქის მოწყალება ყოველთვის აღემატება ჩვენს დამსახურებებს და ამიტომ ყოველთვის ვალში ვრჩებით მასთან.

თბილისი ფართოვდება და მშენდება; თქვენს შემდეგ აღიმართა შესანიშნავი შენობები: სასახლე, მის სიახლოვეს, ჰაუპტგახტის წინ, მირიმანოვის სამსართულიანი სახლი, სახლი სამხედრო-ოკრუჟნოი სასამართლოსთვის საპერ: ყაზარმის წინა, ახალი საზაფხულო თეატრი ინჟინ: ბალში. ზაფხულის ხვატიან დღეებში ეს ბალი, ელექტრობით გაშუქებული და ფანტანებით განათებული, დიდს სიამოვნებას წარმოადგენს საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით ვახშობები თეატრის შემდეგ ლურჯი ცის ქვეშ, ჰაერზედ, კარგია, ძალზედ კარგი! ამ შენობების გარდა, კუკიას აშენდა შესანიშნავი ბაგადელნია საავადმყოფოთი და ბოლოს საფუძველი ჩაეყარა სამხედრო ტაძარს ლუნიბის მოედანზედა.

ამინდი საოცარია, გაზაფხულსა სჯობს: 30 ნოემბ: მუშთა-იდში ყვაოდნენ ვარდები, კუკიას შენდებოდა სახლები.

გაზეთებიდამ, რა თქმა უნდა, უწყით, რომ ველიკ: კნ: ოჯახითურთ საზამთროდ გაემგზავრა ნეაპოლს.

ჩუენს მეჯლისებზედ გამოჩნდა ახალი თაობა ახალგაზრდა, ლამაზი დამებისა, რომელნიც დაუნდობლად სწევენ უკანა პლანზე ყოფილ ქალღმერთებს, რომელთაც ოდესღაც თაყვანსა ცცემდით მე და თქვენ. ასეთები არიან: 3 ქალიშვილი მირსკისა, 4 ქალიშვილი დავ: ჭავჭა, ერთი ქალიშვილი ვახტანგ ორბ:, ერთი ოპოჩინინა, ერთი ივანოვა. ოდეს ესენი გამოჩნდებიან მეჯლისზედ, დარბაზი ხდება უფრო ნათელი, საუბრები უფრო გულითადაი, ჩვენ კი, ხნიერნი, მხოლოდ შორი-

დანა ვტკებებით მათით და ვაკოზირებთ ბოსტონსა. ბოსტონი ახლა მოდური თამაშია თბილისში.

გოლმბლატი ჯანზეა და უნინდებურად ხშირად ჩნდება დაშნის გარეშე ველიკ: კნ:<sup>ააბ</sup>.

თქვენი ნაცნობებიდამ გარდაიცვალა კნ:<sup>აა</sup> მანანა, კნ:<sup>აა</sup> მარია სოლომ: ბებუთოვა, მეფის ასული ბარბარე ბაგრ:, მინკვიცი, ბართლომე, დიმიტ: მამუკა ორბელ:<sup>ა</sup> და ბოგდან-კალინსკიც.

გიგზავნით ღრაფ სალალუბის ლექსს, ქუთაისში რომ წაიკითხა ხელმწიფის იქ გავლისას.

სინანულით ვასრულებ წერილს, არადა მინდა გესაუბროთ, გესაუბროთ კიდევ, კიდევ, მეტი, მეტი.

იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი, როგორც მე გისურვებთ. ღმერთი გფარავდეთ ყოველგან.

ღრმად და ჭეშმარიტად თქვენი პატივისმცემელი და ამდენადვე ერთგული.

### კონსტანტინე ორლოვსკისადმი №3 (778)

Губер: Орловскому 19 Декаб: 1871

М: Г: Конст: Иванович!<sup>1</sup>

Вопрос о Мадатовском острове, благодаря энергичной деятельности Глав. Упр:<sup>аа</sup>, наконец окончен и, как следовало ожидать, окончен в пользу К:<sup>аа</sup> Орбеліани, но это еще только на бумаге.

В действительностиже, чтобы это дело довершить окончательно и вполне, и тем успокоить и<sup>2</sup> нас, безпкойных, и вас, многотерпевшее<sup>3</sup> начальство – необходимо теперь ваше милостиво-начальническое внимание к моей убедительнейшей просьбе: приказать Губер: Архитектору Пинасевичу, в

возможной скорости провести продольную линию улицы по острову, согласно Плану, утвержденному К<sup>эм</sup> Воронцовым, и утвердить имже<sup>4</sup> установленными знаками, так, как прежняя линия улицы, в ущерб некоторым из нас, нарушена и вновь<sup>5</sup> нарушается ежедневно застраивающимися деревянными заборами.

### კონსტანტინე ორლოვსკისადმი №3 (778)

ღუბერ: ორლოვსკის 19 დეკემბ: 1871

ღ[რმად პატივცემულო]: ხ[ელმნ]: კონსტ. ივანოვიჩ!

მადათოვის კუნძულის საკითხი, მთავ. სამ<sup>ქს</sup> ენერლიული ქმედებების დახმარებით, ბოლოს და ბოლოს დასრულდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, დასრულდა კნ: ორბელიან<sup>ქს</sup> სასარგებლოდ, თუმცა ჯერ კიდევ მხოლოდ ქალაქებზე.

სინამდვილეში, ეს საქმე რომ დამთავრდეს საბოლოოდ და სრულად და მით დაგვასვენოს ჩვენც, მშფოთვარენი, და თქვენც, ბევრის მთმენი უფროსობა – აუცილებელია თქვენი მონყალე-ნაჩალნიკური ყურადღება ჩემი უბეჯითესი თხოვნისადმი: უბრძანოთ ღუბერ: არხიტექტორს პინასევიჩს, შეძლებისდაგვარად მალე გაავლოს ქუჩის გრძივი ხაზი კუნძულზედ, კნ: ვორონცოვის მიერ გეგმის მიხედვით დამტკიცებული, და დაამონმოს მის მიერვე დაწესებული ნიშნებითა, ვინაიდან, ქუჩის მანამდელი ხაზი დარღვეულია ზოგიერთი ჩვენგანის საზიანოდ და კვლავ ირღვევა ყოველდღიურად მშენებარე ხის ღობეებითა.

## ՃԱՅԵՐԻՆԵ ԿԱՐՇՄՅՈՆԱԸՅՈՒ ՈՒՅԻ (779)

В Харьков.<sup>1</sup>

22 Декаб: 1871 г: Екатерине Николаевне Карцовой<sup>2</sup>

В смущеніи споникшею головою стою я у дверей вашего  
добраго сердца с мольбою о пощаде,<sup>3</sup> глубоко сознавая свою  
вину пред вами. – Мне былобы истинно горько, если в вашем  
великодушій ненашлосьбы для меня слово прощениа. Вы  
убеждены в искренней моей преданности квам. Чтоже, если я и  
неписал до сих пор. Это чувство разве уменьшилось во мне?  
Нет, уважаемая Екат: Николаевна, пишули я, непишу, а вы  
верьте неизменяемости квам моих чувств! но, навашем лице  
показалась улыбка; значеніе ея мне понятно: Сердце ваше на  
моей стороне! Давнобы так! –

Тифлис, после бурнаго торжества во время пребываниа здесь  
обожаемаго Государя, утих, умолк, точно после сильной  
усталости; коекогда в артистич: кружке бывают танцевальныя  
вечера, коекогда посещается театр, но вообще заметна вялость в  
жизни, стремленіе к уединенію. Собственноже я горячо занят  
бостоном у Ираклія. Чтож делать? В этом міре для меня  
остались только бостон и мой друг Исак. Когда их нет, потерян  
день для меня.

Быть может, вы уже знаете, что К<sup>ня</sup>: Майко Мирская  
засватана за Вано Орбел: Адьют: В<sup>го</sup> К<sup>я</sup>. Пара хорошая, молодая,  
свежая. По моему мненію, они должны быть счастливы; Потому  
что счастье живет только в любви молодых людей. Увы, эту  
истину я поздно узнал, и к чему это знаніе мне теперь, когда...  
когда...<sup>4</sup> т: е: нестоит говорить.

Государь был очень милостив, внимателен, доступен. Лице<sup>10</sup> Его сияло искреннею радостью. Его радовало всё: и умиротворение Дагестана, и блестящее состояние Кавк: Армии, и красивейшая воен: Грузин: дорога, и поездка Его чрез Хожалмаки, Гуниб, Хунзах, Ботлих в Ведынь, сопровождаемый только КонноДагест: Полком и теми Найбами с жителями, которые с такою упорностью вели противу нас ожесточенную войну; и наконец, тот задушевный высокаторжественный восторг, с которым приняла Его верная Ему Грузия. В Муштайде был воздвигнут чудный Дворец в Маврит: стиле, где Тифлис давал бал: Билетов небыло; всё население было там. И чудно-красив был Государь среди верного своего народа, в особенности, когда, после великолепного фейерверка, Он с В<sup>оо</sup> Княгиною, наследник с матерю Ираклия Грузинскаго и совсем избранным обществом, посетил пирующий народ в виноградных Аллеях, где более  $\frac{20}{т:}$  челов: сидели за ужином! При появлении Государя раздался грому подобный Урра!, слившийся с звуками сотни зурны. Народ лобызал у Государя колени, руки, грудь и такою любовью сопровождал своего венценоснаго Отца-Освободителя до самых дверей Залы. И при этом нигде никакой Полиции!. Такія минуты в своей торжественности непередаваемы словами. Ябы желал знать, что думали при этом зрелище Адъютанты Импер:<sup>ов</sup> Австр:<sup>го</sup> и Герман<sup>го</sup>, сопровождающие Государя, такли у них Государи доверяют себя любви народной?

Что за Красавцы В<sup>ie</sup> К<sup>зи</sup> Наследник и Владимир, в особенности Наследник! Он, совершенное осуществление идеала Русскаго могущества, могучая, мужественная красота.

---

<sup>10</sup> წინარესლაგურშიც ასე ჟღერდა ეს სიტყვა (ა. ბ.).



Государь выехал из Тифлиса 25<sup>го</sup> Сент., благословляемый народом, освещаемый животворными лучами Солнца, постоянно следившаго за Ним от Шуры до Поти.

В числе великолепных зданій, воздвигнутых здесь после вашего выезда, красуются, дом воен: Окр: Суда возле Сапер: Казарм и летній Театр в Инжинер: Саду. В знойные дни лета этот сад, освещаемый Электричеством и освежаемый красивыми фонтанами, доставляют истинное наслаждение Публике, в особенности, после Театра, ужины здесь, под голубым небом, при освежающемся воздухе, хороши, очень хороши! За здоровье той, или возле ея сидящей...<sup>5</sup> Аллаверди! Спросите уважаемаго Александра Петровича, он вам скажет, как красивы такіе ужины?

У нас есть и железная дорога, пока еще от Поти до Квирилы, и вот, вот, дойдет до Тифлиса.

Их Высоч<sup>во</sup> напрасно выехали в Неаполь искать тёплой Зимы, когда здесь до сих пор стоит чудесная погода. Еще недавно в Муштайде цвели розы, в Куках строились дома, а Кавалькады продолжаютя и теперь!

## 2

Государь в своем великодушїи пожаловал мне Андрея Первозван<sup>а</sup>, конечно не за заслуги мои; я это глубоко чувствую, чтоже, какбы мы неслужили, милость Монарха всегда выше наших заслуг, и потому мы всегда в долгу у Него.

Недавно в обществе Ункратля, в самой трущобе Дагестана, куда едва достигает Лучь Солнца, произошли безпорядки. Жители убили Наиба Ажіова, очень хорошаго человека – как потом оказалось по кровомщенію – и отказались платить подать, говоря, мы народ бедный, платили досихпор, теперь довольно; нельзязе вечно подать платить! Царская Казна разве от этого

уменьшиться? А подать то составляет в год полтину с дыма. Прискакал К: Нико Чавчав: в двое суток из Тифлиса в Ботлих; на крик его сбежались  $\frac{7}{\text{ты}}$  вооруженных жителей; пошли они против взволновавшихся, взяли укрепленную их деревню, переловили зачинщиков и выселили в Шуру всё население Общества! – Этот совершенно неожиданный случай выказал ту хорошую сторону, что жители всего Дагестана с единодушным негодованием возстали против возмутившихся и тем ясно доказали, как они сильно дорожат<sup>6</sup> своим настоящим положением, поняв всю цену мирной, покойной жизни.

Глубоко уважаемому Александру Петровичу приношу мое истинное задушевное почтение и прошу сохранить память обомне. Детей ваших цалую. Неужели, так таки и неувидимся где нибудь, как нибудь?

С чувством искренн: уваж: и соверш.

## ეკატერინე კარცოვისალში №2 (779)

ხარკოვს.

22 დეკემბ: 1871 წ: ეკატერინა ნიკოლაევნა კარცოვას

შენუხებული, თავდახრით ვდგავარ თქვენი კეთილი გულის კართან პატიების სათხოვნელად და ღრმად ვაცნობიერებ ჩემს დანაშაულს თქვენს წინაშე. ჭეშმარიტად გავმწარდებოდი, რომ არ მეგულებოდეს თქვენს დიდსულოვნებაში ჩემი საპატიებელი სიტყვა. თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით თქვენდამი ჩემს წრფელს ერთგულებაში. რა, თუკი აქამომდინ არ მომიწერია. განა ამ გრძნობამ იკლო ჩემში? არა, პატივცემულო ეკატ: ნიკოლაევნა, გწერთ თუ არა გწერთ, მაინც ირწმუნეთ იგივეობა ჩემი თქვენდამი გრძნობებისა; მაგრამ

თქვენს სახეზედ გაჩნდა ღიმილი, რომლის ჰაზრიც ჩემთვის ცხადია: თქვენი გული ჩემკენ არის! ასეც უნდა ყოფილიყო! –

სალმერთებელი ხელმწიფის აქ ყოფნის ზარზიმიანი დღე-სასწაულის შემდეგ თბილისი ჩაჩუმდა, დადუმდა, თითქოსდა მძიმე დაღლილობის შემდეგ; ხანდახან არტისტი: წრეში იმართება ცეკვა-სალამოები, ხანდახან თეატრში დავდივართ, მაგრამ საერთოდ იგრძნობა სიცოცხლის მოდუნება, მიდრეკილება განმარტოებისკენ. საკუთრივ მე ძალზედ დაკავებული ვარ ბოსტონით ირაკლისთან. რას იზამ? ამ ქვეყანაზედ ჩემთვის მხოლოდ ბოსტონი დარჩა და ჩემი მეგობარი ისაკა. თუ ისინი არ არიან, ის დღე ჩემთვის დაკარგულია.

ეგება უწყით უკვე, რომ კნ: მაიკო მირსკაია დაინიშნა ველიკი: კნ<sup>ა</sup>: ადუტი: ვანო ორბელი: ზჰჰ. წყვილი კარგია, ახალგაზრდა, ქორფა. ჩემის ჰაზრით, ბედნიერნი უნდა იყუნენ, რამეთუ ბედნიერება ცოცხლობს მხოლოდ ჭაბუკთა სიყვარულში. ვაგლახ, გვიან შევიცან ეს ჭეშმარიტება და ან რალაში მჭირდება ამის ცოდნა, როცა... როცა... ანუ სალაპარაკოდ არცა ღირს.

ხელმწიფე იყო ძალზედ მონყალე, ყურადღებიანი, გულისხმიერი. მისი სახე ბრწყინავდა გულითადი სიხარულით: მას ახარებდა ყველაფერი: დაღისტნის დამშვიდებაცა, კავკ: არმიის ბრწყინვალე მდგომარეობაცა, საქართ: ულამაზესი სამხედ: გზაცა, მგზავრობაც ვედენში ხოჯალმაქის, ღუნბის, ხუნდახის, ბოთლისის გავლით [და] მხოლოდ დაღისტი: ცხენოსანთა პოლკისა თუ იმ ნაიბებისა და მობინადრეთა თანხლებით, რომელნიც გაათრებულნი გვეომებოდნენ ესრეთის შეუპოვრობით; და ბოლოს ის გულითადი, ამაღლებული და საზეიმო აღფრთოვანება, რომლითაც მიიღო იგი მისმა ერთგულმა საქართველომ. მუშთაიდში აღმართეს საოცარი სასახლე მავრიტი: სტილში, სადაც თბილისმა მოაწყო მეჯლისი. ბილეთები არ ყოფილა; მთელი მოსახლეობა იქ იყო. და საოცრად ლამაზი გახლდათ ხელმწიფე თავის ერთგულ ხალხს შორის, განსაკუთრებით, როცა შესანიშნავი ფეიერვერკის შემდეგ, მან ველიკი. კნიალინიასთან ერთად, მემკვიდრე ირაკლი გრუზინსკის

დედასთან და მთელს რჩეულ საზოგადოებასთან ერთად მოინახულა მონადიმე ხალხი ვაზის ხეივნებში, სადაც  $\frac{20}{ათას}$ -ზე მეტი კაც: იჯდა ვახშადა. ხელმწიფის გამოჩენისას იჭექა მეხისებრმა ვაშამ, რომელიც შეერწყა ასობით ზურნას. ხალხი ხელმწიფეს უკოცნიდა მუხლებს, ხელებს, მკერდს და ესრეთის სიყუარულით მიაცილებდა თვით დარბაზის კარამდინ თავის გვირგვინოსან მამა-განმათავისუფლებელს. და, თანაც, არსად არანაირი პოლიცია. ესრეთ სასწაულებრივ წუთებს სიტყვებით ვერ გადმოსცემ. ვიცოდე ნეტავ, რასა ფიქრობდნენ ამის შემხედვარე ავსტრ:<sup>სა</sup> და გერმან:<sup>მს</sup> იმპერ:<sup>მს</sup> ადულტანტები, ხელმწიფეს რომ ახლდნენ, ნუთუ მათი ხელმწიფენი აგრე უზიარებენ ხალხს თავის სიყუარულსა?

რა ლამაზნი არიან ველიკ<sup>ა</sup> კნ<sup>მ</sup> მემკვიდრე და ვლადიმერი, განსაკუთრებით მემკვიდრე! ის სრულყოფილი ხორცშესხმად რუსული ძღვევამოსილების იდეალისა.

ხელმწიფე თბილისიდან გამეგზავრა 25<sup>ა</sup> სექტ.; ხალხის მიერ დალოცვილი, განათებული მზის მაცოცხლებელი სხივებით, მუდამ რომ ახლდა შურიდამ ფოთამდინ.

თქვენი გამეგზავრების შემდეგ აქ აღმართულ ჩინებულ შენობათა შორის თავს ინონებენ ოკრუჟ: სამხ: სასამართლოს სახლი საპერ: ყაზარმის წინ და საზაფხულო თეატრი ინჟინერ: ბალში. ზაფხულის თაკარა დღეებში ეს ბალი, ელექტრობით განათებული და ფანტანებით გაცოცხლებული, ჭემმარიტ სიამოვნებასა ჰგვრის პუბლიკას, განსაკუთრებით, თეატრის შემდეგ, ვახშმები აქ, ლურჯი ცის ქვეშ, მაცოცხლებელ ნიავზედ, კარგია, ძალზედ კარგი! მისი ან მის გვერდით მჯდომის სადღეგრძელო... ალავერდი! ჰკითხეთ პატივცემულ ალექსანდრ პეტროვიჩს, ის მოგახსენებთ, რაოდენ ლამაზია ესრეთი ვახშმობები. ჩვენ გვაქვს რკინიგზაც, ჯერ-ჯერობით ფოთიდან ყვირილამდინ და საცაა, თბილისამდე მოვა.

მათი უდიდებულესობა ტყუილად გამეგზავრა ნეაპოლს თბილი ზამთრის ძიებაში, როცა აქ დღემდე საოცარი ამინ-

დია. ცოტა ხნის წინ მუშთაიდში ყვაოდნენ ვარდები, კუკიაზე სახლები შენდებოდა, კავალკადები კი გრძელდება აქამომდინ!

## 2

ხელმწიფემ თავისი დიდსულოვნებით მიბოძა ანდრია პირველნოდებული, რა თქმა უნდა, ჩემი დამსახურებებისთვის არა, ამას კარგადა ვგრძნობ. რა გაენწყობა, როგორც არ უნდა ვიმსახუროთ, ხელმწიფის მონყალება ყოველთვის მეტია ჩვენს დამსახურებებზედ და ამიტომ მუდამ ვალში ვართ მასთან.

ამასწინათ უნკრატლის საზოგადოებაში, დალისტნის ჯურღმულებში, სადაც ძლივს აღწევს მზის სხივი, მოხდა არეულობები. მობინადრეებმა მოკლეს ნაიბი აჟიევი, ძალზედ კარგი კაცი – როგორც შემდეგ გაირკვა, სისხლის ასაღებად – და უარი განაცხადეს გამოსაღებზედ იმის ძახილით, ღარიბი ხალხი ვართო, აქამომდინ ვიხდიდით, ეხლა კი კმარა, დაუსრულებლად ხომ არ შეიძლებაო გამოსაღების გადახდა! სამეფო ხაზინა განა შემცირდებაო ამის გამო? გამოსაღები კი შეადგენს ათს შაურს კომლიდამ. კნ: ნიკო ჭავჭავ: ორს დღე-ღამეში მიჭენდა თბილისიდან ბოთლისხს; მის შეძახილზე მოვიდა

<sup>7</sup>  
ათას: შეიარაღებული მობინადრე; ისინი გაემართნენ მეამბოხეებისკენ, აიღეს მათი გამაგრებული სოფელი, დააკავეს ყველა თავკაცი და საზოგადოება დედაბუდიანად გადაასახლეს შურასა! – ამ ყოვლად მოულოდნელმა შემთხვევამ გამოავლინა ის კარგი მხარე, რომ მთელი დალისტნის მობინადრენი ერთსულოვანი გულისწყრომით დაირაზმნენ მეამბოხეთა წინააღმდეგ და ამით ნათლად დაამტკიცეს, როგორ უფროთხილდებიან თავის ამყამინდელს მდგომარეობას, გაიგეს რა ფასი მშვიდი, წყნარი ცხოვრებისა.

ღრმად პატივცემულ ალექსანდრ პეტროვიჩს ვუთვლი ჩემს ქეშმარიტ, გულითად პატივისცემას და ვთხოვ ვახსოვ-

დე. თქვენს შვილებს ვკოცნი. ნუთუ ვერა და ვერ შევხვდებით  
სადმე როგორმე?

წრფელ: პატივ: და სრულ: გრძნობით.

## ბარბარა ბაბრატიონ-ორბელიანისადმი №49 (780)

28 Декаб: 1871 Тифлис<sup>1</sup>

Мой друг Варвара! Как ты живешь, как поладила с прелестями Москов: зимы? А мы здесь умоляем небо, да ниспошлет нам дождь и снег! Всё Солнце и Солнце! Надоело нам это неизменяющееся однообразие неба: оно утомило нас, да и не в характере нашем; оно вредит и нашим полям, превратившимся в сухія, бесплодные степи Аравіи. А [меж]ду<sup>2</sup> тем в Германіи, Франціи и даже Италіи большая зима. Чтож, какое дело нашим франтихам! Оне себе скачут по дороге в Муштайд веселія, безпечныя, окруженные молодыми людьми. В сію минуту я получил известіе, что в Кумиси разцвели Миндальныя деревья! Это может быть очень красиво, но бесполезно для нас землевладельцев. Увы, слово<sup>3</sup> помещик уже не существует.

Праздники я встречаю с сухим равнодушіем. Эээ, проходит время, когда выражаясь по математике Георгія, воскресенье равно понедельнику. Мне очень скучно, даже к тебе писать нехочется.

Недавно Я получил из Дагест: письмо от Софіи. Ей очень нравится Ботлих. Я понимаю ея счастье: Иван, волею, неволею, должен оставаться дома и днем, и ночью, и в понедельник, и в день воскресный! Ехать некуда, бывать не укого. Чегоже более? Иван сней. Ну, разумеется и Ботлих красив. Кто мог ожидать, что в Ботлихе найдется для когонибудь счастье.

Часто я бываю у Ираклія; дом его сделался необходимым условием для м[оей]<sup>4</sup> жизни. Его почтенная мать, его Тамара, чистая душой, его желчный ум, нравят[ся]<sup>5</sup> мне. Ну, притом и бостон, и Давид, и Бар: Сакен, словом умное и приятное общество. Смешно только, когда Ираклій и Сакен называют Давида, папа, а Астафьев – батюшка.

Захарій Чавч: произведен в Генер: и здаст полк Мейндорфу. Цуца здесь бол...<sup>6</sup> Нико ожидаем наднях.

Какой молодец Нико! Как широко развились его способности. Я радуюсь, не нарадуюсь: он – мое создание! Недавно был в Тифлисе, чтоб отдохнуть от трудной, скучной жизни и службы в Дагестане. Вдруг получается депеша с неожиданным известіем, что в Ункратле убили Найба Ажіева, котораго быть может ты знала при Шамиле – и что все жители этого Общества взбунтовались. Нико в два дня прискакал в Ботлих, крикнул богатырским голосом; на этот крик сбежались более  $\frac{1}{\text{ты}}$  вооруженных Лезгин,<sup>7</sup> пошли, разгромили укрепленную деревню [бун]товавшихся, переловили или перебили зачинщиков, переселили всё общество в Шуру, и тем кончилось возмущение, в несколько дней! – Нико чрезвычайно становится похожим на брата Илію широтою натуры, пылкостью страстей и силою характера. Он очень понравился Государю и Наследнику.

## ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №49 (780)

28 დეკემბ: 1871 თბილისი

ჩემო მეგობარო ვარვარა! როგორ ცხოვრობ, როგორ შეე-  
უგე მოსკოვ: ზამთრის სიამეებსა? ჩვენ კი აქ ზეცას ვევედრე-  
ბით, ნეტავ, წვიმა და თოვლი მოგვმადლოს! მუდამდლე მზეა

და მზე! თავი მოგვაბეზრა ცის ამ უცვლელმა ერთფეროვნებაში: დაგვალა ამან და არც ჩვენს ხასიათშია; ის ვნებს ჩვენს მინდვრებსაცა, არაბეთის მშრალ, უნაყოფო სტეპებად რომ გადაქცეულან. [ამ დროს] გერმანიაში, ფრანციასა და იტალიაშიც კი დიდი ზამთარია. მერე რა, რა ენაღვლებათ ჩვენს ფრანტიხებს; დაჰქრიან თავისთვის მუშთაიდის გზაზედ, მხიარულნი, უდარდელნი, გარემოცულნი ახალუხლებითა. ამ ნუთას მომიტანეს ამბავი, რომ კუმისში ნუშის ხეები აყვავებულა. ეს შესაძლოა ძალზედ ლამაზი იყოს, მაგრამ ურგებია ჩვენთვის, მინათმფლობელებისთვის. ვაგლახ, სიტყვა მემამულეც აღარ არსებობს.

დღესასწაულებსა ვხვდები ერთობ გულგრილად. ეეე, გაიპარა დრო, ოდეს, გიორგის მათემატიკით რომ გამოვხატოთ, კვირა უდრიდა ორშაბათსა. ძალზედ მოვიწყინე, შენთან მოწერაც კი აღარ მეხალისება.

ამასწინათ წერილი მივიღე დაღისტინიდან სოფიოსგან. მას ძალზედ მოსწონს ბოთლიხი. მესმის მისი ბედნიერება: ივანე, ნებსით თუ უნებლიეთ, შინ უნდა იყოს დღეცა და ღამეც, ორშაბათსაცა და კვირასაც! წასასვლელი არსად აქვს, ვერვისთან მივა. სხვა კი რა? მასთან არის ივანე. ნუ, ცხადია, ბოთლიხიც ლამაზია. ვინ მოელოდა, ბოთლიხსაც ჰპოვებდა ვინმე ბედნიერებასა.

ხშირად ვარ ირაკლისთან, მისი სახლი აუცილებელ პირობად იქცა ჩქემს] ცხოვრებაში. მომწონს მისი პატივცემული დედა, მისი თამარი, გულთ სუფთა, მისი ღვარძლიანი გონება. ნუ, ამასთანავე, ბოსტონიც, დავითიც, ბარ: საკენიც, ერთის სიტყვით, გონიერი და სასიამოვნო საზოგადოებაა. სასაცილო კია, როცა დავითს ირაკლი და საკენი ეძახიან მამასა, ხოლო ასტაფიევი – მამიკოს.

ზაქარია ჭავჭავიძე<sup>1</sup> მიანიჭეს ღენერ: და პოლკს ჩააბარებს მეინდორფსა. ცუცა აქაა... ამ დღეებში ველოდებით ნიკოს.

რა ყოჩალია ნიკო! როგორ გაფართოვდა მისი ნიჭი. მე მიხარია, ძალზედ მიხარია: ის ჩემი ქმნილებაა. ამასწინათ ვიყავ



თბილისს, რათა დამესვენა დალისტნის მძიმე, მოწყენილი სამსახურებრივი ცხოვრებისაგან. უცებ მოდის დეპეშა მოულოდნელი ამბით, რომ უნკრატლში მოჰკლეს ნაიბი აჟიევი, რომელსაც შესაძლოა იცნობდი შამილას დროიდან – და რომ ამ საზოგადოების ყველა ბინადარი აჯანყდა. ნიკო ორ დღეში ჩავიდა ბოთლისს, შეუძახა გოლიათის ხმითა; ამ ძახილზედ მოვარდა  $\frac{1}{ათას}$  -ზედ მეტი შეიარაღებული ლეკი, ნავიდნენ, დაარბიეს [აჯ]ანყებულთა გამაგრებული სოფელი, შეიპყრეს ან დახოცეს მოთავენი, მთელი საზოგადოება გადაასახლეს შურას და ამით რამდენიმე დღეში დაცხრა შფოთიცა! დიდებულის ნატურით, ვნებათა მგზნებარებითა და ხასიათის სიმტკიცით ნიკო ძალზედ ემსგავსება [ჩემს] ძმას ილიას. ის ფრიად მოეწონა ხელმწიფესა და მემკვიდრეს.

## ეკატერინე ჭავჭავაძე-დალიანისადმი №6 (781)

თქუწნო უგანათლებულესობავ,  
 მონყალეო დაო ეკატერინა!

მომირთმევია კრძალვით და შიშით სალალუბის ალღავერ-  
 დი და არ ვიცი, მოინონებთ თუარა? მაგრამ არ დავმალავ,  
 მინდაკი დიდად, რომ მოგეწონოსთ. რა ვჰქნა, სიტყვითი სიტყ-  
 ყუად თარგმანი არ ევარგებოდა; ამისგამო გადმოვიღე მხო-  
 ლოდ ჰაზრი სალალუბისა და განვავრცელე ქართველთა  
 ჩუჭულების ჩამატებითა, და ახლა არვიცი, ეს ჩამატება მო-  
 უხდა თუ არა? მსაჯული ამისი თქუწნ ჰძანდებით.

აქაური ამბები მოისმინეთ: ღმერთმა უშველოსთ ერისთავ-  
 თა კონას და კოტეს, რომელთაცა ძალად ჩასვეს კარეტაში  
 ტასო და წაიყუანეს საახალწლოდ გორსა, და ამით მოაშორეს,  
 რამდენსამე ხანს, იმ საშინელს მარტოობას, რომელშიაც იყო  
 ტასო სევდიანი, მწუხარე, გარეთ გამოუხედველი.

ივანე თავის სოფიოთი არიან ბოთლიხში მშვიდობიანად  
 ნიკოსთან ერთად. თქუწნი ძმა დავით აქ არის, და ემდურის  
 ამ სოფლის მუხთლობასა, რომ ვედარ აშუღობს უწინდელებრ.  
 ხშირად შევიყრებით ირაკლისას და ვკოზირობთ იარალაშსა.  
 ლამაზი თამარ კარგად არის და მოელის კანკალით თებერ-  
 ვალსა; ძალიან ლამაზი ქალი ჰყავს. ელენეც აქ არის ქმრითა,  
 რომელიცა დიახ კარგად გაზდილი ყმანვილი კაცია, მაგრამ  
 ნეკნები მეტად სუსტი აქუს. – სალომეც მალე აპირებს ჩა-  
 მოსვლას წინანდლიდამ. – ზაქარიაც გახდა ღენერალი და ჩა-  
 აბარა პოლკი მეინდორჰსა. სანდრო შემოვიდა ჩემთან გახა-  
 რებული, რომ ეგზამენი კარგად ჩაუბარებია. –

მოვიდნენ აქა ნიკოლოოზ დავითისძე მუხრანსკი ცოლითა;  
 კარგად გაზრდილი დედაკაცია, მოსწონს საქართველო აღტა-

ცებით ლაპარაკითა. – მოვიდა გრიგოლ ერისთავის ცოლი ლამაზის<sup>1</sup> ქალითა, – ჟუჟუნა-თვალებითა.

ამ ზამთარს არის დიდად გაჩაღებული არტისტიჩესკის კრუჟოკი, სადაცა ყოველს კვირას ერთხელ, ორჯელ, ხან აქვს ბალი, ხან მასკარადი, ხან თეატრი. თითქმის მთელი ქალაქი არის ჩანერილი ჩლენად<sup>2</sup> ამ კრუჟოკში, და არის დიდი გაკურვა-გამოკვრა, – მნიარულება, ტანციობა დიდს ხანსა.

იყო რამდენიმე ლეკციები ჭიზიოლოლიდამ, რომელსაცა დიდად საქებურად კითხულობდა ახლად გამოჩენილი მსწავლული ყმანვილი კაცი თარხანოვი რამაზისშვილი. ძლივს ველირსენით ერთს მსწავლულს ქართველსა! – ქალებსა დიდად მოსწონთ, და ყაფლანსკი ჰსწყინს. –

მოგვივიდა ამბავი, რომ ველიკი კნიაზი მივა პეტერბურღს 20<sup>ა</sup> ამ თვისას, იქ დაჰყოფს თითქმის ერთს თვეს, და მერე აქ მოვა, თუ ისევ წავა ნეაპოლში, ჯერ არ ვიცით.

სულით და გულით ჩამიკოცნეთ ჩემი საყუარელი ნიკო, დიდის ოჯახისა შესაფერი შვილი. სად არის და ანუ როგორ ანდრია? ჩემის საკუთარის მშვენიერის სალომეს ამბავი რა მოგეხსენებათ? ახლა შვილების დედაც ბძანდება; ნეტავი როგორ უვლის თავის შვილსა და ან რა იცის მოვლისა?

დღეს პირველად მოიღრუბლა და გავარდა ცასა მცირედი ნამი. საშინელი გვალვა არის აქამომდის; მდინარეები დაშრნენ, მტკუარი ძაფის სიმსხოდ მონანწკარებს.

ღმერთსა ვჰსთხოვ თქუჴნს სუფევასა სიხარულით, გულგანსვენებით, სიმრთელით, თქუჴნის მშვენიერის შვილებითა, და მეცა მაღირსოს ხილვა თქუჴნი.

თქუჴნის უგანათლებულესობისა  
მარადის ერთგული მოსამსახურე  
თ<sup>3</sup> გრიგოლ ორბელიანი

5<sup>ა</sup> იანვ: 1872.

თბილისით.<sup>4</sup>

## ბიკომლოზ გეზაკისაღვი №1 (782)

Безаку 1872 Генв: 12 д<sup>1</sup>

Милост: Госуд:  
Николай Павлович!

В записке, вами мне присланной, по возникшему спору между нами о границе участка Джилгской Степи, вы отвергаете теперь план Сисина, на основании котораго произведен раздел Обще-Орбел:<sup>10</sup> имения, назад тому 17 лет. Отвергается вами, потому что:

1) Межевание произведено не в Законном, будьтобы, порядке;

2) На Планшетах значиться подпись Андріевского, а не Сисина;

3) План Сисина состоял из 30 Планшетов, а представленный Сардар: домом в Суд имеет только 22, и потому он, по вашему мненію, Подставной.<sup>2</sup>

4) Дом Георгія, вместо 19523 дес., получил только 17763 дес:

5) Что, купчая крепость, данная К:<sup>мн</sup> Орбе: Андріевскому, представляет продажу и покупку чужаго имения.

и 6) Предлагается вами мне избрать двух Юристов, которыебы разобрали и решили это дело без ожесточенія и без штрафов.

Прежде нежели я выскажу всею откровенностью личное мое мненіе по этим пунктам, я прошу вас, чтобы взаимное чувство уваженія неизменилось. Можно иметь различные взгляды навещи, оставаясь в техже отношеніях.

Сознаюсь, что обсуждая все эти пункты вашей записки, я был поставлен в недоумение: что я должен сказать вам, когда эти вопросы положительно не относятся ни лично мне, ни к дому Сард:<sup>ix</sup>, а составляют общее дело фамилии Орбел:? – Но, побуждаемый искренним желанием разъяснить ваше недоумение, я постараюсь войти в некоторые подробности еще и потому, чтоб разуверить вас в той несправедливости, с которою вы отнеслись вообще к дому Сардарскому.

Вам небезизвестно, что<sup>3</sup> К<sup>я</sup> Орбел:, желая разделить общее свое имение, избрали из среди себя Депутатов, в числе которых находится и вами выбранный. Эти Депутаты под председательством Андріевского, на основании данных им нами полномочий, дружелюбно, мирно разделили, по плану Сисина на 4<sup>e</sup> части наше имение, по числу 4<sup>x</sup> домов составляющих фамилию Орб:, и каждый дом, по жребію получил свою долю, и вы также по жребію, получили вместе с Марією Ивановною  $\frac{1}{4}$  часть из общаго имения. С того самаго дня, между вами и домом Сардар:<sup>m</sup> не существует ничего общаго по имению; потому что ваш соучастник по имению не дом Сард:<sup>ii</sup>, а наследница К<sup>iii</sup> Маріи Ивановны. Междуже нами и вами разве когда нибудь возникнет спор о границе, и только.

Чтоже теперь, по прошествіи мирных<sup>4</sup> 17<sup>ii</sup> лет, заставило вас обратиться с претензіями именно к Сардар: дому и с угрозою нарушить план Сисина?

По истинне, даже при непременном желаніи, вы не можете отвергнуть план Сисина теперь, потому что он уже давно признан вами фактически: а) После обще Орб:<sup>io</sup> раздела, вы с К<sup>eo</sup> Марією Ивановною учинили частный раздел между собою того самаго имения, которое досталось вам по разделу из общаго, и невозбудили тогда никакой претензіи, ни на неверность Плана Сисина, ни на недостаток по наделу землею. Почемуже этот план тогда был для вас законен, а теперь потерял

всякую силу Законности? б) В споре между вами и К<sup>см</sup> Иосифом Конс:<sup>см</sup> Орбел: о Сел: Патара Дманиси,<sup>5</sup> разве вы не основываете ваши права на Плана Сисина? У вас нет других доказательств. А между тем, вам хорошо известно, что это Селе: принадлежит Сард: дому по купчій, и что, по ошибке Сисина, оно на плане обведено одною чертою с Боувети, под именем Боувети; и теперь вы, пользуясь этою ничтожною ошибкою Сисина, без всякой однакожь тревоги, присвойваете себе это селеніе? Оказывается, что и в этом случае План Сисина очень и очень законен; и в) Даже в споре о Границе Джилгинской Степи, не выли указываете на План Сисина – конечно ошибочно – линію, разделяющую, по вашему мненію, наши именія? Откудаже взялась эта линія, если План Сисина для вас не существует. Ежели нет плана, то нет ни вашего, ни нашего имени, а должен быть общее нераздельное. Между тем, однакожь, у вас есть и вводный лист на вашу часть имени! Как все это согласить?

Таким образом, План Сисина для вас в одном случае весьма законен, в другомже, неимеет никакого значенія! Надо быть справедливым.

Чтоже касается до подписи Андріевскаго на Планшетах, безсомненія, они гораздо действительнее и знаменательнее, как подпись Председателя, свидетельствующая верность Планшетов, составленных Сисиним. Во всяком случае, говорить об этом, по прошествіи 17<sup>л</sup> лет, по крайней мере, поздно.

Вы утверждаете, что план Сисина, состоявшій из 30 Планшетов, исчез; и поэтому план, представленный в Суд Сардар: домом из 22<sup>х</sup>, есть подставной.<sup>6</sup> Николай Павлович, вы конечно, в великодушном снисхожденіи к нам, пожелали употребить слово, полное учтивости, которое однакожь не теряет ни силы в жесткости, ни значенія в оскорбленіи. Подставной,<sup>7</sup> в переводе, значит подложный.<sup>8</sup> Так мы понимаем, и потому благодарим, покрайней мере, за учтивость! – Какбы то

нибыло, но у нас нет других планов, кроме представленных нами в Суд, которые хранились в Главном Управлении, а теперь, кажется, в Межевой Палате. На 22<sup>х</sup> Планшетах нанесено полностью всё обще Орбе: имене; и ежели, как вы удостоверяете, существуют еще 8 планшетов, то, очевидно, на них нанесены чужия именея, не Орбеліа<sup>кія</sup>. – Следов:<sup>но</sup>, какая нам надобность в них?

Купчая крепость действительно дана К<sup>ми</sup> Орбел: Андріевскому. Угодно вам отрицать, отрицайте.

Не вы, а Сардар: дом обижен вами, у котораго вы берете Се: Патара Дманиси, принадлежащее ему по купчей крепости. Это факт.

В заключение, вы предлагаете избрать двух Юристов, которыебы разобрали и решили наш спор. Могу вас уверить, что я ни минуты не задумалсябы согласиться на ваше предложене; но, я решительно непонимаю, что мы с вами должны представить им на разбирательство, когда, как я сказал, между Сардарским домом и вами нет ничего общаго по именуію, кроме разве Границы его? А этот ничтожный вопрос разрешиться в Суде без хлопот.

Вот мое личное мненіе, высказанное со всею искренностью противу ваших обвинительных пунктов, с такою несправедливостью, направленных вами на дом Сардарскій, который, кроме уваженія непитал к вам инаго чувства.

## ნიკოლოზ ბეზაკისადმი №1 (782)

ბეზაკს 1872 იანვ: 12 დ

მონყ: ხელმნ:  
ნიკოლაი პავლოვიჩ!

თქვენ მიერ ჩემთვის გამოგზავნილ ბარათში იმ დავის შე-  
სახებ, ჯილდის სტეპის ნაკვეთის მიჯნის გამო რომ წარმოიშ-  
ვა ჩვენ შორის, ან თქვენ უარყოფთ სისინის გეგმას, რომლის  
საფუძველზეც შედგა ორბელ:<sup>სა</sup> საერთო მამულის გაყოფა 17  
ნლის წინათ. უარყოფთ, რადგან:

1) თითქოსდა გაყოფა მოხდა არაკანონიერი გზითა.

2) პლანშეტებზედ არის ანდრიევსკის და არა სისინის  
ხელმოწერა.

3) სისინის გეგმა შედგებოდა 30 პლანშეტისგან, სარდარ:  
ოჯახის მიერ სასამართლოში წარდგენილი კი [შედგება] მხო-  
ლოდ 22<sup>საა</sup> და ამიტომ თქვენ მას უწოდებთ ყალბსა.

4) გიორგის ოჯახმა 19523 დეს: ნაცვლად მიიღო მხოლოდ  
17763 დეს:.

5) რომ კნ. ორბელ: მიერ ანდრიევსკისთვის მიცემული თა-  
მასუქი სხვისი მამულის ყიდვა-გაყიდვისაა.

6) თქვენ მთავაზობთ შევარჩიო ორი იურისტი, რომლებიც  
გაარჩევდნენ და გადაწყვეტდნენ ამ საქმეს გამძაფრებისა და  
ჯარიმების გარეშე.

ვიდრე სრული გულწრფელობით გამოვხატავდე ჩემს აზრს  
ამ პუნქტებთან დაკავშირებით, მე გთხოვთ, შევინარჩუნოთ  
ურთიერთპატივისცემის გრძნობა. შეიძლება გაგვაჩნდეს სხვა-  
დასხვანაირი ჰაზრები საგნებზედ იმავე ურთიერთობის შე-  
ნარჩუნებით.

გამოგიტყდებით, რომ თქვენი ბარათის ყველა ამ პუნქტზე  
რომ ვფიქრობდი, შემცბარილა დავრჩი: რა უნდა გითხრათ,



როცა ეს საკითხები არ გვეხება არც პირადად მე, არცა სარდლ<sup>ა</sup> ოჯახს, არამედ წარმოადგენს ორბელ: გვარის საერთო საქმეს. მაგრამ, ანთებული გულწრფელი სურვილით, ნათელი მოვფინო თქვენს აღშფოთებას, შევეცდები მოგახსენოთ ზოგიერთი წერილმანი იმის გამოც, რათა დაგარწმუნოთ იმ უსამართლობაში, რომლითაც თქვენ საერთოდ მოეპყართ სარდართა ოჯახს.

დაუფერებელია არ უწყოდეთ, რომ კნ. ორბელ:აბა, თავისი საერთო მამულის გაყოფა რომ სურდათ, თავისი მხრივად აირჩიეს დეპუტატები, რომელთა შორის არის თქვენი არჩეულიც. ანდრიევსკის თავმჯდომარეობით ამ დეპუტატებმა, ჩვენ მიერ მათთვის მინიჭებული უფლებების საფუძველზე, მეგობრულად, მშვიდობიანად გაყვეს ჩვენი მამული 4 ნაწილად, სისინის გეგმის მიხედვით, [იმ] 4 ოჯახის კვალად, ორბ: გვარს რომ შეადგენს, და ყველა ოჯახმა კენჭისყრით მიიღო თავისი წილი, და თქვენც, მარია ივანოვნასთან ერთად, აგრეთვე კენჭისყრით მიიღეთ  $\frac{1}{4}$  ნაწილი მთლიანი მამულისა. იმ დღის აქეთ თქვენსა და სარდართა ოჯახს შორის არ არსებობს არაფერი საერთო, მამულთან დაკავშირებული, რადგან მამულში თქვენი მონილე არის არა სარდლ<sup>ა</sup> ოჯახი, არამედ კნ<sup>ა</sup> მარია ივანოვნას მემკვიდრე. თუ თქვენსა და ჩვენ შორის ოდესმე გაჩნდება სადავო, – საზღვრის თაობაზე, სხვა არაფერზედ.

ახლა, მშვიდობიანი 17 წლის მერე, რამ გაიძულათ პრეტენზიებით მოგემართათ სწორედ სარდარ: ოჯახისთვის, თანაც სისინის გეგმის გაბათილების მუქარით?

ჭეშმარიტად, დიდი სურვილის მიუხედავადაც კი, ვერ უარჰყოფთ სისინის გეგმას ახლა, რადგან ის ფაქტობრივად უკვე დიდი ხანია, სცანით: ა) ორბელ<sup>ა</sup> გაყრის შემდეგ თქვენ, კნ<sup>ა</sup> მარია ივანოვნასთან ერთად, საკუთრივ გაიყავით სწორედ ის მამული, რომელიც გერგოთ საერთო განაწილებივად, და არ გაგჩენიათ არანაირი პრეტენზია არც სისინის გეგმის სიმცდარეზედ, არც [თქვენთვის] მოცემული მიწის ნაკვეთის უკმარისობაზედ. აბა, რალატომ იყო თქვენთვის ეს გეგმა მა-

შინ კანონიერი, ან კი სულ დაჰკარგა კანონიერების ძალა? ბ) განა თქვენ სისინის გეგმაზე არ აფუძნებთ თქვენს უფლებებს თქვენსა და კნ. იოსებ კონს<sup>ს</sup> შორის დავისას სოფ: პატარა დმანისის გამო? თქვენ არ გაგაჩნიათ სხვა მტკიცებულებები. არადა, კარგად უნციოთ, რომ ეს სოფ: თამასუქით ეკუთვნის სარდ: ოჯახს და რომ სისინის შეცდომის გამო ის გეგმაზე შემოხაზულია ბოუვეტის სასარგებლოდ, ბოუვეტის სახელზე და ან თქვენ აგრე უშფოთველად იყენებთ სისინის ამ უსუსურ შეცდომას და ისაკუთრებთ ამ სოფელს? თურმე ამ შემთხვევაშიც ერთობ კანონიერია სისინის გეგმა და გ) დავაში ჯილდის სტეპის საზღვრის გამო განა თქვენ არ მიუთითებთ, რა თქმა უნდა, შეცდომით, სისინის გეგმაზედ – [იმ] ხაზზე, თქვენი აზრით, ჩვენს მამულებს რომ ჰყოფს? მაშ, საიდამ გაჩნდა ეს ხაზი, თუკი სისინის გეგმა არ არსებობს? თუკი არ არსებობს გეგმა, მაშინ არ არსებობენ არც თქვენი, არც ჩვენი მამულები, არამედ [ყველაფერი] უნდა იყოს საერთო, გაუყოფელი. თუმცა ამ დროს თქვენ გაქვთ საბუთი მამულის თქვენს ნაწილზედ! როგორ შევაჯეროთ ეს ყველაფერი?

ამგვარად, ასეთ შემთხვევაში სისინის გეგმა თქვენთვის სრულიად კანონიერია, ხოლო სხვა შემთხვევაში არ გააჩნია არანაირი მნიშვნელობა! კაცი მართალი უნდა იყოს.

ხოლო რაც შეეხება ანდრიევსკის ხელმოწერას პლანშეტებზედ, უეჭველია, ის უფრო ნამდვილია და ყურადსაღები, როგორც თავმჯდომარის ხელმოწერა, სისინის მიერ შედგენილი პლანშეტების უტყუარობას რომ ადასტურებს. ყოველ შემთხვევაში, ამაზე ლაპარაკი 17 წლის მერე, სულ ცოტა, დაგვიანებულია.

თქვენ ირწმუნებით, რომ 30 პლანშეტისგან შემდგარი სისინის გეგმა გაქრა. და ამიტომ 22<sup>წმწ</sup> გეგმა, სარდარ: ოჯახის მიერ სასამართლოში წარდგენილი, ყალბია. [აქ], ნიკოლაი პავლოვიჩ, თქვენ, რა თქმა უნდა, ჩვენდამი მოწყალეობრივი სულგრძელობით გნებავდათ გამოგეყენებინათ ზრდილობიანობით აღსავსე სიტყვა, თუმცაღა ის არა ჰკარგავს არც უხე-

შობის ძალას, არც შეურაცხყოფის მნიშვნელობას. ყალბი სხვაგვარად ნიშნავს თაღლითურს. ჩვენ ასე გვესმის და ამიტომ ზრდილობისთვისლა გიხდით მადლობას! როგორც არ უნდა იყოს, ჩვენ არ გაგვანჩნია სხვა გეგმები, გარდა ჩვენ მიერ სასამართლოში წარდგენილისა, მთავარ სამმართველოში რომ ინახებოდა, ან კი ვგონებ, მიჯნების პალატაშია. 22 პლანშეტზეა დატანილი მთლიანად ორბელ: მამული და, თუკი, როგორც თქვენ ირწმუნებით, არსებობს კიდევ 8 პლანშეტი, მაშინ, ჩანს, მათზე დატანილია სხვა და არა ორბელ<sup>ა</sup> მამულები. – მაშინ რაში გვარგია ისინი?

ნასყიდობის სიგელი ანდრიევსკისთვის ნამდვილად არის გაცემული კნ. ორბელ<sup>ა</sup> მიერ. თუ უარყოფა გნებავთ, უარჰყავით. თქვენ კი არ [გაგანაწყენეს], თქვენგანაა განაწყენებული სარდარ: ოჯახი, რომელსაც ართმევთ სოფ: პატარა დმანისს, ნასყიდობის სიგელით რომ ეკუთვნის. ეს ფაქტია.

ბოლოს. თქვენ მთავაზობთ ორი იურისტის შერჩევას, რომლებიც გაარჩევდნენ და გადაწყვეტდნენ ჩვენს დავას. შემოძლია დაგარწმუნოთ, რომ ნუთითაც არ დავფიქრდებოდი დავთანხმებულიყავ თქვენს წინადადებას. მაგრამ მე სრულეზბით არ მესმის, რა უნდა წარვეუდგინოთ მათ გასარჩევად, როცა, როგორც ვთქვი, მამულის ამბებში სარდართა ოჯახსა და თქვენ შორის არაფერია საერთო, გარდა საზღვრისა? ეს უმნიშვნელო საკითხი კი სასამართლოში დავიდარაბის გარეშე გადაწყდება.

აი, ჩემი პირადი ჰაზრი, გამოთქმული მთელი გულწრფელობით თქვენი საბრალდებო პუნქტების საწინააღმდეგოდ, აგრე უსამართლოდ რომ მიაყარეთ სარდართა ოჯახს, რომელსაც, პატივისცემის გარდა, არ გააჩნდა არანარი გრძნობა თქვენდამი.

## ოლღა პანინა-ლევანოვისაძე №1 (783)

19<sup>го</sup> Генв: 1872, В Кутайс<sup>1</sup>

Графине Ольге Викторовне Левашевой<sup>2</sup>

Недавно, возвратившись из деревни, я неожиданно увидел на столе маленький пакет с весьма знакомым мне вензелем; с жадностью распечатываю и вижу ваш портрет и только, ничего более. Да более и ненужно было ничего! В восторге я схватил портрет, разцеловал его и приложил к моим глазам! Графиня, вы поймете мою радость самую истинную, самую искреннюю. Приймите же мою глубокую, задушевную<sup>3</sup> благодарность за память обо мне, за внимание, которым я слишком дорожу. Да, вы удивительная женщина! вы одне умеете радовать ваших друзей. Вы принадлежите к тем редким существам, которья, всё равно носят ли шлем боевой славы, или [пр]осто<sup>4</sup> припиленную розу, – рождаются, чтоб привлекать, покорять, [по]велевать.<sup>5</sup> Незнаю, всели влюбляются в вас, но знаю,<sup>6</sup> все ува[ж]ают<sup>7</sup> вас истинно и покоряются вашему возвышенному уму, вашей душевной доброте и той обворожительной силе, которая окружает вас невидимо-видимо. Что же собственно касается меня, могу наверно сказать,<sup>8</sup> что и здесь за горами, и там за морями, неизменно предан вам. Нет, я совсем нето хочу сказать. Что такое предан? Оно не вполне выражает<sup>9</sup> то, что я хочу сказать? Но страшно, робость одолевает: Отец – Панин, муж – Левашев с саженной грудью.<sup>10</sup> Очевидно, борьба неровная. Поневоле останавливаюсь на глупо-ничтожном слове, Предан!..

Что сказать вам о Тифлисе. Мне кажется, жизнь здесь идет безжизненно, вяло, без тревог Сердечных, без волнений душевных. Быть может я ошибаюсь, смотря на мир глазами, несколько уже отжившими. Впрочем, в артистич.<sup>М</sup> кружке, по четвергам, танцуют

и охотно<sup>11</sup> танцуют, но неслышится в разгаре танцев вздох любви, а без этого нет прелести ни в жизни, ни даже в танцах,<sup>12</sup> есть только заботы и труды. Я говорю это по воспоминаниям. Увы!<sup>13</sup>

Радует нас железная дорога, которая, вот вот, свяжет нас с миром.

Русский Театр вообще удовлетворителен, но опера с каждым годом становится безталантнее. Одно только Оркестр в самом деле превосходен по прежнему.

В Шамахе было наднях страшное землетрясение; более ста чел: считают погибшими. Какое торжество для науки, т: е: для Абиха!<sup>14</sup> Он давно составил карту, на которой<sup>15</sup> обозначил Линию вечных землетрясений, и советовал Правительству снести все города и деревни, лежащая<sup>16</sup> на этой линии.<sup>17</sup> По несчастію, Шамаха также лежит на этой линии. Но, что делать, когда люди не всегда идут рука об руку с наукой?

Тифлис со страхом ожидал прибытия страшной Гостьи, холеры, которой<sup>18</sup> передовые квартирьеры уже показали кое-где в городе; но, Богу благодарение, исчезли все зловещие признаки ея появления и теперь стало легко надуше каждого из нас.

На наших балах появилось новое поколение юных красавиц, которыя безжалостно отводят на второй план прежних Богинь, которым некогда и я поклонялся. Таковы: 3<sup>и</sup> дочери Мирск:, 4<sup>е</sup> Давида Чавч:, 1 Вахтанга Орб:, 1 дочь Опочинина, 1 Иванова. Когда оне появляются, в зале становится светлее, разговор одушевленнее; а мы, почтенные, только издали любуемся ими, козыряя в бостон. Бостон, теперь, модная игра в Тифлисе.

Ах, какое печальное известіе принесли мне в сію минуту: несчастный Коллюбякин скончался вчера в Баку. Каким грустным<sup>19</sup> известіем оканчиваю это письмо, столь радостно начатое мною! Так,<sup>20</sup> жизнь человека состоит из противоположных впечатлений.<sup>21</sup>

## ოლა პანინა-ლევაშოვისადმი №1 (783)

19 იანვ: 1872, ქუთაისს

ღრაჭინია ოლა ვიქტოროვნა ლევაშევას

ამას წინათ, სოფლიდამ დაბრუნებულმან, მაგიდაზე უცაბედად შევნიშნე პატარა პაკეტი ჩემთვის ერთობ ნაცნობი ვენზელით; ხარბადა ვხსნი და ვხედავ მხოლოდ თქვენს პორტრეტს, მეტს არაფერს. სხვა არცა რა იყო საჭირო. აღფრთოვანებული ვეცი პორტრეტს, დაგვოცნე იგი და თვალებზედ მივიკარ! ღრაჭინია, თქვენ გაიგებთ ჩემს სიხარულს, ყველაზე ჭეშმარიტს, ყველაზე წრფელს. მაშ, მიიღეთ ჩემგან ღრმა, გულითადი მადლობა მისთვის, რომ გახსოვვართ, [მადლობა] ყურადღებისთვის, რომელიც ჩემთვის ძალზედ ძვირფასია. დიახ, თქვენ საოცარი ქალბატონი ბრძანდებით! თქვენ ერთადერთს ძალგიძთ გაახაროთ თქვენი მეგობრები. თქვენ მიეკუთვნებით იმ იშვიათ სულდგმულთ, რომლებიც – სულ ერთია, მხედრული დიდების ჩაფხუტს ატარებენ თუ მხოლოდ მიბნეულს ვარდსა – იბადებიან, რათა მიიზიდონ, დაიპყრონ, უბრძანონ. არ ვუნცი, ყველას თუ უყვარდებით, მაგრამ ვუნცი, რომ თქვენ ყველა ჭეშმარიტად გცემთ პატივს და ყველა მორჩილებს თქვენს ამალღებულს გონებას, თქვენს სულიერ სიკეთესა და იმ მომაჯადოებელ ძალას, რომელიც გარს გარტყიათ უხილავად თუ ხილულად. ხოლო რაც შემეხება კერძოდ მე, ძალმიძს ალბათ [მოგახსენოთ], რომ აქაც, მთებს აქეთ, იქაც, ზღვებს მიღმა, განურჩევლად თქვენი ერთგული ვარ. არა, მე სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა. რასა ჰქვია ერთგული ვარ? ეს სრულად არ გამოხატავს იმას, რისი თქმაცა მსურს? მაგრამ ვძრწი, შიში მთრგუნავს: მამა – პანინი, მეუღლე – ლევაშევი, ჩავარდნილი მკერდით, ჩანს, ბრძოლა უთა-

ნასწოროა. უნებურად ვჩერდები სულელურ-არაფრისმთქმელს სიტყვებზედ – ერთგული!..

თბილისზე რა მოგახსენოთ. მე მეჩვენება, რომ ცხოვრება უსიცოცხლოდ მიედინება აქ, დუნედ, გულის ფანცქალის გარეშე, სულიერი მღელვარების გარეშე. ეგებ მეშლება, ცხოვრებაგამოვლილის თვალთ რომ შევცქერი ნუთისოფელსა. თუმცა არტყულ წრეში ოთხშაბათობით ცეკვავენ და ხალისიანადაც, მაგრამ გახურებულს ცეკვაში არ გაისმის სიყვარულის ოხვრანი, უამისოდ კი არ არის მშვენიერება არც ცხოვრებაში, არცა ცეკვებში, არის მხოლოდ დარდი და ჯაფა. მე იმას ვლაპარაკობ, რაც მახსენდება. ვაგლახ!

გვახარებს რკინიგზა, რომელიც საცაა დაგვაკავშირებს სამყაროსთან.

რუსული თეატრი მთლიანობაში დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ოპერა ყოველწლიურად უფრო და უფრო უნიჭოვდება. მხოლოდ ორკესტრია მართლაც უწინდებურად შესანიშნავი.

ამ დღეებში შამახაში საშინელი მიწისძვრა იყო; ასზე მეტკაც: თვლიან დაღუპულად. რა ზეიმია მეცნიერებისათვის, ანუ აბიხისთვის! მას, რა ხანია, შედგენილი აქვს რუკა, რომელზედაც მუდმივი მიწისძვრების ხაზი გაავლო, და ურჩევდა ხელისუფლებას დაენგრია ამ ხაზზე მდებარე ყველა ქალაქი თუ სოფელი, საუბედუროდ, შამახაც ამ ხაზზე მდებარეობს. მაგრამ რას ვიზამთ, როცა ადამიანები ყოველთვის როდი მისდევნენ მეცნიერებას?

ტფილისი შიშით ელოდა საშინელი სტუმრის, ქოლერის, მოსვლას, რომლის მოწინავე ბინადარნი უკვე გამოჩნდნენ აქა-იქ ქალაქში, მაგრამ მადლობა უფალს, გაქრა ყველა ავისმაუნყებელი ნიშანი მისი გამოჩენისა და აწ გულზედ მოგვეშვა ჩვენ ყველას.

ჩვენს მეჯლისებზე გამოჩნდა ახალგაზრდა ლამაზმანთა ახალი თაობა, რომელიც უმოწყალოდ აძევებს მეორე პლანზე უწინდელს ქალღმერთებს, რომელთაც ოდესღაც მეც ქედს

ვუხრიდი. ასეთები არიან: მირსკი: 3 ქალიშვილი, დავით ჭავჭავ: 4, ვახტანგ ორბ: 1, 1 ოპოჩინინის ქალიშვილი, 1 ივანოვისა. მათი გამოჩენისას დარბაზი უფრო ნათდება, ბაასი უფრო ხალისიანი ხდება; ჩვენ კი, ხნიერნი, მხოლოდ შორიდანა ვტკებებით მათით და ბოსტონს ვაკოზირებთ. ბოსტონი ან მოდური თამაშია თბილისში.

ვახ, რა სამწუხარო ამბავი მომიტანეს ამ წუთას: უბედური კოლიუბაკინი გარდაცვლილა გუშინ ბაქოში. რა სევდიანი ამბით ვამთავრებ ამ წერილს, ესოდენ მხიარულად რომ მქონდა დანყებული! ასეა, კაცის სიცოცხლე ურთიერთსაწინააღმდეგო შთაბეჭდილებებისგან შედგება.

### **რევაზ ერისთავისადმი №1 (784)**

ჩემო საყუარელო რევაზ! მომირთმევია ათი თუმანი; გულით გთხოვ, რომ ეს ფული მოახმარო უნუგეშოდ დაშთომილს ჩემის დისწულის ქალსა, რევაზის შვილსა. შემავედრე ეკატერინას, რომ ამ საქმეში მიილოს მონაწილეობა და შეჰმოსოს, როგორცა შეეფერება იმის საბრალოს სიღარიბესა. – დარიკომ მიაძბო სანყალის ქალის უბადრუკობა. გულით ვჰსწუხარ, რომ ყოვლის მხრით მესმის ერთი და იგივე ვაების სმა.

ჩემს საყუარელს გულითა და სულითა დას ეკატერინას დავჰკოცნი ხელებზე, გულზე.

ღთი<sup>1</sup> იყო მფარველი თქუწნი.

შენი მარადის გრიგოლ ორბელიანი

11 თებერ: 1872


თბილისი.<sup>2</sup>



## ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №50 (785)

10 Марта 1872. Тифлис<sup>11</sup>

Давно я не писал к тебе, мой друг Варвара.



<sup>11</sup> ტექსტი დაზიანებულია და არ იკითხება. ვურთავთ სკანირებულ ფოტოს.

## ბარბარე ბაბრატომე-ორბელიანისადმი №51 (786)

10<sup>ლ</sup> Июня 1872. В Москву.<sup>1</sup>

Почему ты, мой друг Варвара, ничего непишешь мне относительно экзамена Георгія. Намерен ли он держать экзамен, когда и в какой класс? Знаю, на долю его явился еще один лишній класс, 8<sup>ой</sup>, и об этом можно сожалеть и не сожалеть; но всётаки нельзя без экзамена. Прошло то доброе время, когда человек, если он небыл горьким пьяницей,<sup>2</sup> или отявленным вором, мог иметь значеніе, и в общественной, и в Государств: службе. Так было в Россіи до Крымской войны, а во Франціи до Седанскаго погрома. Теперь, эти отрицательныя достоинства уже не возвышают человека; от него требуют Диплома, свидетельства, где и чему учился? Пожалуй, я согласен с Георгіем, что это, некоторым образом, притесненіе молодому поколенію, просто тиранство; но чтоже делать, когда весь мир убедился в том, что человек без науки почти бесполезное существо, ни для чего никому ненужное? Что делать, когда без Диплома нет места в службе, нет уваженія в обществе? Конечно, остается одно только средство учиться и учиться, стать в уровень с требованіями века! – Я совершенно понимаю и разделяю мненіе Георгія, что учиться дело весьма тяжело-скучное, но, как быть, когда проклятые немцы убедили всех, что только наука правит миром, что сельскіе учителя Германіи победили непобедимых маршалов Франціи? И мір покорилося этой аксіоме, провозглашенной Немцами; покорись и ты, мой дядя Георгій, перекрестись и с усердіем возмись за уроки и пусть 8<sup>ой</sup> класс не устрашает тебя; он облегчит тебе труды в Университете и только годом позже окончишь курс. За то вся будущность твоя будет светлая; за то с спокойною совестью

можешь тогда сказать, теперь я человек! Словом, вочтобы нестало, а тебе надо завоевать Диплом Университета. –

Получено и здесь распоряжение Мины: Народ: Просвещения о прибавлении в Гимназиях 8<sup>го</sup> класса и о 4 $\frac{1}{2}$  балах. На мой вопрос учителя отвечали «что делать, придется ставить всем 5 и 4 $\frac{1}{2}$  вместо 3 и 4. – В нынешнем году из здешней Гимназии никто не поступает в Универ., так как 8<sup>ой</sup> класс еще непрошли.

Петя Опочинин блистательно сдал экзамен на 2<sup>ой</sup> курс, получив 5 по всем предметам и теперь едет сюда на лето. И прекрасно, надо трудиться сегодня, чтоб отдохнуть завтра.

О женидье Красноглядова на девице Бабарикиной.

## ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანისადმი №51 (786)

10<sup>ს</sup> ივნისს 1872. მოსკოვს.

შენ, ჩემო მეგობარო ვარვარა, რატომ არაფერსა მწერ გიორგის გამოცდაზედ. აპირებს თუ არა გამოცდის ჩაბარებას, როდის და რომელ კლასში? ვუწყი, რომ მოუწია ერთმა დამატებითმა კლასმა, მე-8<sup>მ</sup>, და ამაზედ შეიძლება ინაღვლო და არც ინაღვლო; მაგრამ გამოცდა მაინც გარდუვალა. წარვიდა ის ტკბილი დრო, ოდეს კაცს, თუკი ლოთი ან გავარდნილი ქურდი არ იქნებოდა, შეეძლო წონა ჰქონოდა საზოგადოებრივსა და სახელმწიფო: სამსახურშიც. ასე იყო რუსეთში ყირიმის ომამდინ, ხოლო ფრანციაში სედანის დარბევამდინ. ან ეს ღირსებისეული ნაკლოვანებანი ვეღარ აღამაღლებენ კაცსა; მისგან ითხოვენ დიპლომს, ცნობას – სად და რა აქვს ნასწავლი? ვგონებ ვეთანხმები გიორგის, რომ ეს ერთგვარი შევიწროებაა ახალგაზრდა თაობისთვის, ტირანიაა და მეტი არაფერი, მაგრამ რა ვქნათ, ოდეს მთელი სამყარო დარწმუნდა, რომ ადამიანი თითქმის უსარგებლო არსებაა მეცნიერების

გარეშე, არავისთვის არაფერში გამოსადეგი? რა ვქნათ, როცა უდიპლომოდ არ არის ადგილი სამსახურში, არ არის პატივისცემა საზოგადოებაში? რა თქმა უნდა, რჩება მხოლოდ ერთი გზა – სწავლა და სწავლა, დაკმაყოფილება საუკუნის შესაბამისი მოთხოვნებისა! მე სრულად მესმის და ვიზიარებ გიორგის ჰაზრს, რომ სწავლა ერთობ მძიმე და მოსაწყენი საქმეა, მაგრამ რა ვქნათ, ოდეს წყეულმა ნემცებმა დაარწმუნეს ყველა, რომ მხოლოდ მეცნიერება მართავს ქვეყანას, რომ გერმანიის სოფლის მასწავლებლებმა დაამარცხეს ფრანციის უძლეველი მარშლები? მთელი ქვეყანა დამორჩილდა ამ აქსიომას, ნემცებმა რომ გამოაცხადეს; დამორჩილდი შენც, ჩემო ბიძია გიორგი, პირჯვარი გარდისახე და ბეჯითად შეუდექ გაკვეთილებს და ნუ შეგაშინებს მე-8<sup>ე</sup> კლასი; ის შეგიმსუბუქებს შრომას უნივერსიტეტში და მხოლოდ ერთი წლით გვიან დაამთავრებ კურსსა. სამაგიეროდ მთელი შენი მომავალი იქნება ნათელი, სამაგიეროდ მშვიდის სინდისით იტყვი მაშინ, ან კაცი ვარო! ერთის სიტყვით, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, უნდა მოიპოვო უნივერსიტეტის დიპლომი.

აქაც მოვიდა სახელმწიფო: განათლების სამინ: ბრძანება ღიმნაზიებში მე-8<sup>ე</sup> კლასის დამატებისა და  $4\frac{1}{2}$  ბალის შესახებ. ჩემს კითხვაზედ მასწავლებლები მპასუხობდნენ, „რა ვქნათ, 3-ის და 4-ის მაგივრად ყველას უნდა დავუნეროთ 5 და  $4\frac{1}{2}$ . – წლეულს აქაური ღიმნაზიებიდამ არავინ აბარებს უნივერსიტეტში, ვინაიდან ჯერ არ გაუვლიათ მე-8<sup>ე</sup> კლასი.

პეტია ოპოჩინინმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა მე-2<sup>ე</sup> კურსზედ, ყველა საგანში მიიღო 5 და ახლა საზაფხულოდ მოდის აქეთ. ჰოდა შესანიშნავია, დღეს უნდა იპრომო, რათა ხვალ მოისვენო.

კრასნოგლიადოვის დაქორწინების შესახებ ბაბარიკინაზედ.

## იანუარი ნევეროვისადმი №1 (787)

17 ივნისს 1872.

Януариу Михайловичу Неверову.<sup>1</sup>

Молодой Князь Абхазии будет иметь честь поднести вам это письмо с моею убедительною просьбою обратить на него милостивое внимание ваше. Он, воспитанник Реальной Гимназии, в которой с успехом окончил Курс. Одаренный прекрасными умственными способностями и имея похвальное желание докончить свое образование в Медико-Хирургической Академии, он, между тем, как истый Грузинский Дворянин, беден, беден, как нельзя беднее.

Уважаемый Януар Михайлович! Ваше сердце, ваша опытность в жизни ясно<sup>2</sup> постигают всю тяжесть бедности. Не дайте заглухнуть юноше, только что развивающемуся умственно и нравственно; протяните ему руку спасения, руку помощи назначением его в число Кавказских воспитанников и, Бог, читающий в сердце людей воздаст вам.

## იანუარი ნევეროვისადმი №1 (787)

17 ივნისს 1872.

იანუარ მიხაილოვიჩ ნევეროვს.

აფხაზეთის ახალგაზრდა კნიაზს ექნება პატივი მოგართვათ ეს წერილი ჩემის დაბეჯითებით თხოვნითურთ, მიაპყროთ მას თქვენი მონყალე ყურადღება. ის აღზრდილია ნამდვილი ღიმნაზიისა, რომლის კურსიც წარმატებით დაასრუ-

ლა. დაჯილდოებულია რა შესანიშნავი გონებრივი ნიჭითა და გააჩნია შესაქები სურვილი თავისი განათლება დაასრულოს მედიკო-ქირურგიულს აკადემიაში, ის, ამასთანავე, ვითარცა ჭეშმარიტი ქართველი თავადი, ღარიბია, ღარიბია იმდენად, რომ მეტი აღარ ითქმის.

პატივცემულო იანუარ მიხაილოვიჩ! თქვენი გული, თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილება ნათლადა ჭვრეტენ სიღარიბის მთელს სიმძიმისა. ნუ დაუშვებთ ჭაბუკის ჩაქრობას, სწორედ ახლა რომ ვითარდება გონებრივად და ზნეობრივად; გაუნოდეთ მას ხელი ხსნისა, ხელი დახმარებისა და მიუჩინეთ ადგილი კავკასიელ აღსაზრდელთა შორის და მოგაგებთ უფალი, კაცთა გულთამხილველი.

## **ქეთევან ალაქსი-მესხიშვილ-ორბელიანისადმი №126 (788)**

ჩემო საყუარელო ძალუავ! დიდი მეითარი ბესარიონ, ესე იგი ბესო მოგართმევს ამ წერილსა, რომლითაც გთხოვ:

1) შემატყობინოთ, მობძანდაა სიძე ბატონი და გადისხადეთა ქორწილი? – ნეტავი ტასოსა.

2) პატარა ძალუა როგორ არის, და როგორ მოეწონა კოჯორი? და ანუ სწორედ, ზედ-მინევენით როდის მიდის ვანო?

3) შეუდევით პირისსანახავის ყიდვასა, თუ დაგავიწყდათ, რადგანაც, როგორც ტასო ამბობს, ფიქრები ისევ თელოვანისაკენ მივირბისთ?

4) ხვალ შუადღემდის სოლომონკა უნდა დაიბადოს აქა ჩემის ჯამაგირით, რომელსაცა მისცემს სოსიკო.

5) სოსიკომ მიყიდოს ხუთი ბუტილკა წითელი ღვინო დავით ჭავჭავაძისა, და ერთი მგრგუალი ანგლიური ყველი, კარგისა იყოს, და ესეც უბძანეთ, რომ ჩაი არვარგა, ძირტკბილა

ურევია ნახევარზე მეტი.

აქაური ჰაერი წივის და კივის მეტის სიგრილითა; წყალი დიდად გვაკლია; თივა არსად იპოება, რომ ჩუწნს ტახტზე კაკლების ქვეშ გავშალოთ და ზედ ხალიჩები გადავფინოთ რბილად საჯდომად. – ამასთანა გვძინავს, გვძინავს, რომ, რომ, პერვი, ვტოროი!

დურბინდიც მომიტანოს სოლომონკამ, და არ გამიტეხოს, თორემ თავსაც გაუტეხ, ცხვირსაც დაუნაყავ. –

ჩემი საყუარელი ყაფლან ამოვიდეს რაღა; მაგრამ ვიცი, თქუწნ და სხუანი არ გამოუშვებთ და შეეღიჭინებით საქორნილოდ დაშთენასა.

ვართ ასე მე და კოლა, და შევცქერით ჭაეტონებსა, მიმსრბოლთა კოჯრისაკენ.

თქუწნი მარადის გრიგოლ ორბელიანი

29<sup>ა</sup> ივნისს 1872

წავკისით.<sup>1</sup>

ესეც უბძანეთ სოსიკოსა, რომ სამაბაზიანი ღვინო საძაგლობით სავსეა. –

რუსული წიგნი უბოძეთ სოსიკასა, რომ ხვალვე დილით ჯამაგირი მიიღოს და გამოატანოს ხვალვე სოლომონკასა.

[IV გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია მისამართის მითითების გარეშე:]

მისს ბრწყინვალეობას  
კნეინას ქეთევანს ორბელიანისას  
მიერთოს.<sup>2</sup>

## სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი №2 (789)

ჩემო საყუარელო ძალუავ სოფიო! წავკისში მივიღე შენი წერილი სავესე ყვედრებითა. იქნება მართალიც იყო, მაგრამ რა მოხდა აგრეთი? ქუჭყანა ხომ არ დაიქცა? მხოლოდ ერთი კიკნა დამიგვიანდა მონერა და ესე რად გიკვირს ან შენ, ან თვთ შენს ივანეს? და ანუ ამით რადა გგონია, რომ ჩუწნგან იყოთ დავინყებულნი? მაგრამ სიმძლავრე არის თვსება, ბუნება ერისთვიანთი და ჰსჯობს ისევ თავიდამ დავინყო.

წავიდა ვანო თავის პანანა ცოლითა, რომელიცა ძალიან მოგვეწონა და მალეც შეგვეჩვია; არის გულითა კეთილი, დიდად მხიარული, გულ-წრფელი, ყმანვილის გუნებისა. ისწავლა კიბეზე ჯდომაცა; სალამ-სალამო ჩუწნის ქუჩის დედაკაცობაც ეხვევოდა დიძლიპიტოთი და ლეკურითა; მართლად უხაროდა აქ ყოფნა და ბევრიც იტირა გამოსალმების ჟამსა. გამოსალმებაც იყო, რასაკურველია, კინგრუსტში; მეორე გამოსალმებაც გორსა, ერისთვიანთა. ვანოს აქ ყოფნა იყო მოუწყვეტელი სადილ-ვანშმობა. --

ამ მინუტში შემოვიდნენ სრულიად მოულოდნელად მუხრანის ბატონი გიორგი და ენისელთ მოურავი დიმიტრი ჯორჯაძე. თუმცა თავი დავანებე წერასა, მაგრამ დიდადკი მიამა ამათი ნახვა: საქართველოში ესენი მიყუარან. სალამომდის ხან ვილაჟღარავეთ, ხან ვიბაასეთ, მერე მთვარიანს ღამეს ჩაეშუნენ კიდევ თბილისს, ანთებულს თორნეში.

რას მოგახსენებდი, ჩემო რძალო? ჰოო, ვანოს აქ ყოფნა იყო მოუწყვეტელი სადილ-ვანშმობა, ანუ ვანშამ-სადილობა. იქამდის დავსუსტდით რომ ღონე აღარა გუქონდა. „ბატონებო, გათენდა,<sup>1</sup> კარგია, ავდგეთ. არა, არა, ერთი სადღეგრძელო კიდევ გვაკლია, ღთ~მა<sup>2</sup> ადღეგრძელოს ჩუწნი საყუარელი ივანე და სოფიო! ჰოო, ჰოო, გვინდა, გვინდა, ურაააა! აგრე კიარა, მე... ღთ~მა<sup>3</sup> ... ივანეს სადღ... ჰააა, ჰააა, ურაააა! აი, სულ ეს ყოფა იყო. ბოლოს, მეტი რა მექმნა, გამოვიქეც და ჩავსაფრდი წავკისს და მოვამზადე ჩემი დიდი თოფიცა, რომ



თუ ვინმე[მ]<sup>4</sup> კიდევ დამბატიყა, უთოოდ ვებრძოლო. – სოსი-  
კოცა, ვანოს გამოსალმების მეორეს დღეს აიყარა თავის ქო-  
ჩითა: ხორეშან, სოფიო, გიგო ცოლითა და ცოლისძმითა, სან-  
დროს ცოლი, აგიევის ქალი, შვიდიოდ ვაჩნაძეები და აბაშიძე-  
ები, გოგობიჭებით, წინილებით, მწევრებით, და ავიდა მალლა,  
ყიზილაჯდის; ყაფლანცა წავიდა კოდას, და მის მეზობლად  
არის საგინოვი ცოლითა.

კოჯორზე არიან ირაკლი სახლობითა, ბარონ საკენ ცოლ-  
შვილითა და ორნივე ჰსდგანან ერთად. მამუკას შვილი ვანო  
ცოლითა, ოღლობჟიონნი, თამამშევი ერთის ვაჟით და ერთის  
ქალითა და ამის ცოლი ერთის ქალ-ვაჟით ჟელეზნოვოდსკუმი,  
სადაცა ზაფხულობენ ივანოვნოებითა აპაჩინინით; რომელთა-  
ცა მოუვიდათ პეტერბურლიდამ პეტია<sup>5</sup> დიდად გამოჩენილი  
უნივერსიტეტში ეგზამენითა; არიან კიდევ კარპეკა და ანიჩ-  
კოვი, მაგრამ ესენი მალე მიდიან რუსეთში... ვუი, ვუი!.. და  
ვართ ასე.

რკინის გზამაც მოახნია ქალაქამდის: ჯერ არ არის სრუ-  
ლიად შესრულებული, მაგრამკი ღრაფი ლევაშევი მოვიდა ქუ-  
თაისიდამ აქა ამ გზითა. – აგვისტოში მოელიან კომისიას,  
რომელმანცა უნდა შეამონმოს მუშაობა და ჩაიბაროს გზა, და  
შემდეგ გაიხსნება ხალხისათვისაცა.

გვალვა არის საზარელი, დაინვა მთლად საქართველო;  
მთაში, ბარში დაჰშრნენ წყაროები. ქსანხევით რომ ნახო  
მტკუარი შეგბრალდება. ხომ გახსოვს ენისელის გალავანში  
რამოდენა წყალი მოდიოდა, ახლა სრულებით დამშრალა. აგ-  
რიყარზე ძლივსლა ჰპოებენ აქა იქ წყაროებსა საქონლისათვის;  
ამის გარდა ნახევარზე მეტი კახეთისა დაისეტყუა დიდად.  
სწორედ იობის ღალადისია. აი, ამისთანა სამწუხარო მდგომარ-  
ეობაში გახლავს ჩუჴნი საყუარელი ქართლ-საქრისტიანო.

ბორჯომში წლეულს თითქმის არავინ არიან ხალხთაგან  
მისულნი: კნენია შახავესკისა და ლიზა შეადგენენ მთელს სა-  
ზოგადოებასა; ამათ გარდა არიან სამნი ვილაცები.

რადგანაც მანდა ჰსხედხართ უსაქმონი, ეგების იშოვოთ

შურაში Тайн Мадридскаго двора და ზედ მოაბათ Евгения იმპერატრიცა ჭრანციისა, თუმცა ბევრი რაღაებიც არის ჩამატებული, მაგრამ, ვიცი, ძალიან გიამებათ ორის სასახლისა შინაური ცხოვრება.

ტასოს წიგნი მომივიდა; თუმცა კარგად არის თავის ორის აყუანილის ქალითა, მაგრამ თავის მამულის საქმეკი, მგონია, მაგდენი ვერა გაურიგებიარა; და ან რას გაარიგებს მარტო თვთ? უეჭველია, უნდა ჰყუანდეს კაცი გამოცდილი, რომელსაცა შეეძლოს – თავის სარგებლობისათვის – ტასოს საქმის მიღებაცა და შესრულებაცა. ტასოს ნუ ჰგონია ეგე ადვილ საქმედ: ბევრი ტანტალი, ჯანჯალი და ვაჭრობა მოჰსდევს მაგ საქმესა, და აბა, ტასო როგორ დააბოლოებს კეთილად. მაშასადამე, უნდა კაცი და იმ კაცსა უნდა ფასი! ფასზე ტრიალებს ყოველივე საქმე ამა სოფლისა.

დათიკო, დიდად ავათმყოფი, წავიდა მარტო სამზღუარგარე სანამლებლად. ფეხები არ უვარგა, ერთი თვალიცა თითქმის უსინათლო აქუს და როგორ გაბედა წასვლა მარტო, უმსახუროდ? ვინ უნდა მოუყაროს გზაზე ღონე-მოკლებულს? ღთო,<sup>6</sup> ასე უგუნურად როგორ იღუპება?.

ჩემი საყუარელი ივანე ჩამიკოცნე; ღთსა<sup>7</sup> ვჰსთხოვ, რომ კიდევ ერთად შევეყრილიყოთ. მერწმუნეთ, უთქუწნოდ მე უფრო შესაბრალისი ვარ.

ჩემი საყუარელი ნიკო გულით სულით მომიკითხე. ეგ დამპირდა პატარა ხანჯალსა, რომელიცა უნდა უფეშქაშო მოსკოვში ოლინკასა, ძალუა ვარინკას დასა. უთოოდ დაავინყდა ნიკოსა და ახლა კიდევ ვაგონებ. – ამის გარდა, შევიტყვე, რომ თურმე მაგასა ჰსურს ჩემის ჯოგისათვის გამომიგზავნოს თავისი კარგი ცხენი, და თურმე ვერ გაუბედნია, რადგანაც ერიდება, ვაითუ მენყინოს. – მე ასე მიყუარს ნიკო, რომ მაგის სურვილის უარი არ შემიძლიან; მაგრამ ჩემის მხრიდამაც უნდა მიიღოს პირობა, რომ ყოველწლივ ერთი კვიცი მაგის ცხენის ჩამომავლობისა უნდა მიირთოს ჩემგან. უეჭველად ეს პირობა უნდა მიიღოს, არ მოვეშვები. – წლე-

ულსკი მყავს აჯილღად არაბისტანიდამ დიტერიხსისაგან მოყვანილი მშვენიერი ცხენი, სახელად თავჯ,<sup>8</sup> გვირგვინი. ეს და ნადირშაჰის გამოჩენილი ჭაკი ცხენი, აღჯიდალი,<sup>9</sup> ერთის გუარისანი არიან. იფიქრე, ხუთს წელიწადს შემდეგ რა ცხენს მოვართმევ ივანესა და ნიკოსა!

გეცოდინებათ, რად მოკლეს პეტუხოვი და მისი თანამემნე? შემატყობინეთ, აქ სრულებით არავინ იცის მიზეზი მაგ შემთხუჯვისა.

[1872 წლის აგვისტომდე]

## ნაპოლეონ ამატუნისადმი №1 (790)

8<sup>ლ</sup> Август: 1872. Цавкиси<sup>1</sup>

К<sup>ლ</sup> Наполеону Ивановичу Амаатуни.<sup>2</sup>

Третьяго дня я получил письмо от К<sup>л</sup> Анастасіи Давидовны Гагариной, в котором она просит меня передать вам Доверенность.

Исполняя ее желаніе и препровождая доверенность, я дозволю себе приложить и мою убедительнейшую просьбу к вам, уважаемый К: Нап.: Пріймите живейшее участіе в этом деле, которая, в сущности, касается одного только беднаго нашего Ивана. Необходимо приостановить продажу дома, если не до совершеннолетія племянницы Ивана, по крайней мере, на два года; в теченіи этого времени, К<sup>л</sup> Гагариня, конечно, успеет продать в Крыму великолепное свое именіе, стоящее более 200 р.: и таким образом спасет своего брата Ивана от разоренія. –  
ТЬ:

Думаю, что Сосико, Опекун их, переговорит с вами в подробности по этому делу.

С глубокою горестью смотрю на падение Сардарскаго Дома, который<sup>3</sup> некогда<sup>4</sup> блистал честностью, благородством, красотою, великодушием, и в котором я почти вырос и прошла лучшая часть моей жизни.

И к чему же нам святые чувства, и дружбы, и братства, если в критическія минуты несилах помочь тому, кого любим мы искренно? Проклинаю я свое безсиліе.

Ради Бога, Наполеон, возьмитесь за это дело с свойственною вам живостью и благородіем. Пустите в ход всю силу ваших Дарованій, остановите продажу дома. Я надеюсь, вы в состояніи убедить Кредиторов, которые, ввсяком случае, ничего не потеряют, продлив на это время срок продажи.

## ნაპოლეონ ამატუნისადმი №1 (790)

8<sup>ა</sup> აგვ: 1872. წავკისი

კნ<sup>ა</sup> ნაპოლეონ ივანოვიჩ ამატუნის.

ორიოდ დღის წინ კნ<sup>ა</sup> ანასტასია დავიდოვნა გაგარინასაგან მივიღე წერილი, რომელშიაც მთხოვს გადმოგცეთ მინდობილობა.

ვასრულებ მის თხოვნას და, მინდობილობასთან ერთად, თავს უფლებას მივცემ დავურთო ჩემი თქვენდამი ბეჯითი თხოვნაც, პატივცემულო კნ: ნაპ:!. მიიღეთ ცხოველი მონაწილეობა ამ საქმეში, რომელიც არსობრივად ეხება მხოლოდ ჩვენს საბრალო ივანესა. უცილობლად უნდა შეჩერდეს სახლის გაყიდვა, ივანეს ბიძაშვილის სრულწლოვანებამდე თუ

არა, მაშინ ორის წლითა; ამ ხნის განმავლობაში კნა გაგარინა, რა თქმა უნდა, მოასწრებს თავისი შესანიშნავი მამულის გაყიდვას ყირიმში, <sup>200</sup> ათ: რ: რომ ღირს, და ამგვარად გაკოტრებისგან გადაარჩენს თავის ძმას ივანესა. – ვგონებ, მათი მეურვე სოსიკო დაწვრილებით მოილაპარაკებს თქვენთან ამ საქმეზედა.

დიდის მწუხარებით შევცქერო დაცემას სარდართა ოჯახისა, რომელიც ოდესღაც ბრწყინავდა სიმართლით, კეთილშობილებით, სილამაზით, დიდსულოვნებითა და რომელშიაც თითქმის გავიზარდე და სადაც განვლეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებმან.

და რაღაში გვარგია ჩვენ წმიდა გრძნობები, ანუ მეგობრობა, ანუ ძმობა, თუკი განსაცდელის წუთებში არ ძალგვიძს დავეხმაროთ მას, ვინც გულწრფელად გვიყვარს? ვგმობ ჩემს უძღურებასა.

ღვთის გულისათვის, ნაპოლეონ, მოეკიდეთ ამ საქმეს თქვენთვის ჩვეული მონდომებითა და კეთილგონიერებითა. გაიღეთ თქვენი ნიჭის მთელი ძალა, შეაჩერეთ სახლის გაყიდვა. იმედი მაქვს, თქვენ შეგწევთ უნარი დაარწმუნოთ კრედიტორები, რომელნიც, ყოველ შემთხვევაში, არაფერს დაკარგავენ, თუკი ამ დროით გადაწვევენ გაყიდვის ვადასა.

## **ალექსანდრე საბინაშვილისადმი №12 (791)**

ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე! კავკაზიდამ ვჰსცან, რომ საბრალოს ბაბალეს ვალში იყიდება ყულლარი, ქვეში და ტაშტიყულარი და დღესაც შევიტყე, რომ ყოფილა კიდევ ტორლი. – გეხვენები მაგ მამულს სხუას ნუ ჩაუგდებ ხელში და მე ნუ გამწირავ,<sup>1</sup> რადგანაც არის ჩემის მამა-პაპის მამული. მინდოდა შემოვსულიყავ ტორლში, თუ შენ არ შეხვიდოდი. ახლა, თუ შენ დაგრჩება, გთხოვ მიიღო ჩემგან მომატე-

ბული და მე დამითმო. – იმედი მაქუს, რომ ეს ჩემი თხოვნა არ გენყინება, და ისე მიიღებ გულწრფელობით, როგორცა მე ვნერ წმინდის გულითა.

შენი ბედნიერების მოსურნე  
თ<sup>2</sup> გრიგოლ ორბელიანი

18<sup>ლ</sup> აგვისტოს 1872.  
წაკისით<sup>3</sup>

### **მიხეილ ალექსი-მისხივპილისადმი №1 (792)**

Уважаемый Михайл Дмитриевич! Посылаю опись недвижимому имению, оставшемуся после смерти Подпор: К<sup>а</sup> Александра, и к ней присоединил – хотя не требуется Судом – Доходы и Расходы до 1872 года: Я знаю, что эти бумаги не имеют той форменности, какая требуется Судом, и в этом случае, я полагаюсь на вас: вы поможете мне. При этом считаю не лишним сказать несколько слов для разъяснения, которое, быть может, окажется необходимым для вас при объяснении с Судьею:

1) К:<sup>3</sup> Александр передал всё свое имение, по завещанию, моему Племяннику Георгию, который в то же время и мой Наследник. Таким образом, в настоящее время, я опекун и Георгия, и над имением Александра, которое, теперь также составляет собственность Георгия. Значит, в этом деле я не чужой.

2) Завещая моему племяннику имение, К: Александр пред смертию обязал его иметь, в свою очередь, родственное попечение о оставшихся своих четырех детях: двух дочерей –

невест, двух сыновей и о матери их. Положим, пред Судом эти дети незаконны; но мой Племянник можетли оставить их без всяких средств к Существованію? – Из уваженія к памяти Александру, по чувству родства и человеколюбія, я немог не обратить сострадательнаго вниманія на участь этого несчастнаго семейства, и я уверен, Суд снисходительно отнесется к моему распоряженію. Из расходных статей вы увидите, что часть полученных доходов с имени Александра, преимущественно употребляется на содержаніе этого семейства; остальнаяже часть поступает на уплату оставшихся долгов на покойном Александре. А Моураву выдается вместо жалованія десятая часть с доходов, что вообще принято в Грузіи. По моему мненію, он заслуживает и более, приняв во вниманіе, что именіе, разбросанное по клочкам, почти наразстояніи 300 верст, нужно обезжать, собирать доходы, сопровождать межевую Коммисію, защищать границы имения, а всё это сопряжено с немалым трудом и расходами.

В расходной статье за 1870 год, вы увидите, что на похороны К<sup>а</sup> Александра издержаны мои собственные 543 р: – былобы хорошо и справедливо, если Суд дозволит мне вывести в расход для возвращенія их мне.

Пришлите доверенность для подписи.

С истинным уваженіем и преданностью остаюсь  
вам истинно преданный  
К: Григорій Орбеліяни

31 Августа 1872.

Цавкиси.<sup>1</sup>

## მისილ ალექსი-მისნიშვილისადმი №1 (792)

პატივცემულო მისილ დიმიტრიევიჩ! გიგზავნით უძრავი მამულის აღწერას, პოდპორ: კნ: ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ რომ დარჩა და მას დავურთე – თუმცა სასამართლო არ ითხოვს – შემოსავლები და ხარჯები 1872 წლამდინ: მე ვუნცი, რომ ამ ქალაქებს არ გააჩნიათ ის ფორმალობა, რომელსაც მოითხოვს სასამართლო, და ამ შემთხვევაში თქვენს იმედად ვარ: თქვენ დამეხმარებით. ამასთანავე, ზედმეტად არ ჩავთვლიდი ორიოდ სიტყვა მეტყვა განმარტებისთვის, რომელიც, შესაძლოა, აუცილებელი აღმოჩნდეს თქვენთვის საქმის მოგვარებისას მოსამართლესთან:

1) კნ<sup>ა</sup>: ალექსანდრემ მთელი თავისი მამული ანდერძით გადასცა ჩემს ძმისშვილს, გიორგის, რომელიც იმავდროულად ჩემი მემკვიდრეცაა. ამგვარად, ან მე გამოვდივარ მეურვე გიორგისიც და ალექსანდრეს მამულისაც, რომელიც ამჟამად აგრეთვე შეადგენს გიორგის საკუთრებასა. მაშასადამე, მე ამ საქმეში უცხო არა ვარ.

2) სიკვდილის წინ, მამულს რომ უტოვებდა ჩემს ძმისშვილს, კნ<sup>ა</sup>: ალექსანდრემ მას, თავის მხრივ, დააკისრა, ნათესაური მზრუნველობა გაენია თავისი ოთხი დარჩენილი შვილისთვის: ორი ქალიშვილისთვის – პატარძლებისთვის, ორი ვაჟისთვის და მათი დედისთვის. დავუშვათ, სასამართლოს წინაშე ეს ბავშვები კანონგარეშენი არიან, მაგრამ განა ჩემს ძმისშვილს ძალუძს ყოველგვარ საარსებო წყაროს მოკლებული დატოვოს ისინი? – ალექსანდრეს ხსოვნის პატივისცემის, ნათესაური გრძნობისა და კაცთმოყვარეობის გულისთვის, მე არ ძალმიძდა არ მიმექცია თანაგრძნობიანი ყურადღება ამ უბედური ოჯახის ბედისთვის, და დარწმუნებული ვარ, სასამართლო ღმობიერად მოეკიდება ჩემს თაოსნობასა. ხარჯების სტატიიდან თქვენ დაინახავთ, რომ ალექსანდრეს მამულიდან მიღებული მოგების ნაწილი უპირატესად იხარჯება ამ ოჯახის სარჩენად; ხოლო დარჩენილი ნაწილი გაედინება იმ ვალების



გასასტუმრებლად, გარდაცვლილ ალექსანდრეს რომ ჰქონდა. მოურავს კი ჯამაგირის ნაცვლად ეძლევა შემოსავლის მეათე-დი, ასეა მიღებული საერთოდ საქართველოში. ჩემი აზრით, ის მეტსაც იმსახურებს იმის გათვალისწინებით, რომ მამულს, თითქმის 300 ვერსზე მიმოფანტულს ნაგლეჯებად, სჭირდება შემოვლა, შემოსავლების მოკრება, სამიჯნე კომისიის თანხლება, მამულის საზღვრების დაცვა, ხოლო ეს ყოველივე მიბმულია გვარიან შრომასთან და ხარჯებთან.

1870 წლის ხარჯების სტატიაში თქვენ დაინახავთ, რომ კნ: ალექსანდრეს დაკრძალვაზედ დახარჯულია ჩემი საკუთარი 543 რ: – კარგი და სამართლიანი იქნებოდა, თუკი სასამართლო ნებას დამრთავდა, ხარჯში შემეტანა ჩემთვის დასაბრუნებლად.

გამომიგზავნეთ მინდობილობა ხელმოწერისთვის.

ჭეშმარიტის პატივისცემითა და ერთგულებით ვრჩები ჭეშმარიტად ერთგული თქვენთვის  
თ: გრიგოლ ორბელიანი

31 აგვისტო 1872.  
ნავკისი.

## **მიხეილ ალექსი-მესხიშვილისადმი №2 (793)**

Уважаемый Михайл Дмитриевич! Ежели, покаким нибудь обстоятельством, вы не успеете к 5<sup>мѹ</sup> Сент: представить в Суд, в надлежащей форме, присланныя мною бумаги, то прошу вас ограничиться представлением только одной описи имению К<sup>а</sup> Алек: без приложения прихода-расходных статей; переписка этой Описи на поллисте потребует немного времени. Такое представление одной Описи будет согласоваться с самым смыслом бумаги, полученной мною от Суда, который требует

одной только Описи имению Движимому и недвижимому. В случае, ежели Судья скажет, что необходимо приложить и прихода-расходныя статьи, тогда вы испросите новый срок, хоть до 15<sup>го</sup> Сент: – К тому времени, конечно, мы успеем всё сделать по форме.

Движимое именіе, как вы увидите в Расходной статье за 1870 год, заключается в нескольких Кобылицах и Коровах, и одном жеребце, уже проданных.

Пришлите, если можете, завтра чрез моего Сосико доверенность и переписанную на бело Опись для моей Подписи. Полагаю, так будет лучше.

Ваш искренно преданный  
К: Гр: Орбеліани

2<sup>го</sup> Сент: 1872

Цавкиси.<sup>2</sup>

Совещусь, что я так неотвязчиво беспокою вас.<sup>3</sup>

## **მიხაილ ალექსი-მესხიშვილისადმი №2 (793)**

პატივცემულო მიხაილ დიმიტრიევიჩ! თუკი, რაიმე გარემოებათა გამო, თქვენ ჩემ მიერ გამოგზავნილი ქალაქდების წარდგენას სასამართლოში 5<sup>ა</sup> სექტ.<sup>მზს</sup> ვერ მოასწრებთ შესაბამისი ფორმით, მაშინ გთხოვთ, დაკმაყოფილდეთ კნ<sup>ბ</sup> ალექს<sup>ა</sup> მხოლოდ ერთი მამულის აღწერის წარმოდგენით – შემოსავალ-გასავლის სტატიების დართვის გარეშე; სწორედ ამ აღწერის გადანერა ნახევარ ფურცელზედ მოითხოვს ცოტაოდენს დროსა. ესრეთი წარდგენა მხოლოდ აღწერისა შესაბამი-

სობაში იქნება თავად ქალაქის [იმ] შინაარსთან, მე რომ მივიღე სასამართლოდამ [და] მხოლოდ უძრავ-მოძრავი ქონების აღწერას რომ მოითხოვს. იმ შემთხვევაში, თუკი მოსამართლე ბრძანებს, რომ აუცილებელია დაერთოს შემოსავალ-გასავლის სტატიები, მაშინ თქვენ მოითხოვთ ახალ ვადას, თუნდაც 15<sup>ლ</sup> სექტ.<sup>ლ</sup> – იმ დროისათვის, რა თქმა უნდა, ჩვენ მოვასწრებთ ყველაფრის გაკეთებას შესაბამისი ფორმით.

მოძრავ ქონებას, როგორც 1870 წლის ხარჯების სტატიაში იხილავთ, შეადგენენ რამდენიმე ფაშატი, ძროხა და ერთი ულაყი – უკვე გაყიდულები.

ხვალ, თუ შეგიძლიათ, ჩემი სოსიკოს ხელით გამომიგზავნეთ მინდობილობა და თეთრად გადაწერილი აღწერა ჩემი ხელმოწერისათვის. ვგონებ, ასე უკეთესი იქნება.

თქვენი გულწრფელად ერთგული  
თ: გრ: ორბელიანი

2<sup>ლ</sup> სექტ: 1872  
წაკისი.

მრცხვენია, რომ აგრერიგად მომაბეზრებლად განუხებთ.

## **ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანისადმი №52 (794)**

8<sup>ლ</sup> Сент: и отправ: 11<sup>л</sup> в Пет: 1872.<sup>1</sup>

Мой друг Варвара! Вчера из Цавкис спустившись в Тифлис, я застал твое письмо от 29<sup>л</sup> Авг: – Оно крайне меня опечалило, тем что, ты принуждена переехать на житие в Петер: – Ох, ненавижу я этот климат суровый, плаксивый, гнилой. До сих

пор немогу его забыть, и если когда вспоминаю, то всегда с проклятіем. Как ты будешь жить там, в особенности зимой? –

Ты определяешь Георгія в Арт: Училище, и я очень, очень рад этому. Но, в тоже время, какбы ужасаешься, что ему надо пробыть там три года до выпуска. Напрасно, ни вкаком учебном заведеніи не оканчивают курса ранее, разве что при поступленіи прямо здаст экзамен в старшій класс. Это уже исключеніе. И ежели Георгій может в теченіи года приготвиться к здаче экзамена в Старшій Класс, то всего лучше так и сделать, т: е: отдать его тому же учителю Арт: училища, который беретса его приготвить. Но, признаюся, я мало доверяю единичному<sup>2</sup> ученію; и ежели этот вопрос так запутался для Георгія, то именно от того, что он учится всегда один, не здавая экзамена публично; и теперь, мне кажется, ни учитель, ни сам Георгій, не могут положительно определить, что он знает, или чего он незнает. Поэтому, чтоб опять непотерять даром годы – а это весьма важно – необходимо: 1) Собрать самыя точныя сведенія об учителе, приготвляли кого нибуть он прежде для поступленія в Старш: кл: Арт: училища, и добросовестноли исполнял свои обещанія? 2) Георгій заранее должен просмотреть программу предметов, которые будут предстоять ему изучить в теченіи года, для того, чтоб соразмерить, достаточно ли у него силы и терпенія на изученіе их, что необходимо знать заранее, чтоб, повторяю, непотерять опять год времени. Но, на это я сам отвечаю: кто окончил Гимназическій Курс, тому нетрудно в теченіи года приготвиться здать экзамен в Артил: Училище прямо для поступленія в Арил: Академію, откуда выходят с званіем Академика и знаком ученой степени на груди! Теперь от Георгія зависит приготвить себя, или в Старшій Класс теперь, а в Академію после, или же прямо в Академію. Пусть взвесит свои силы с предстоящими ему трудностями. Так, или иначе, но всѣтаки он должен сделаться

Академиком. Тогда я умру спокойно и в полном сознании, что потраченные тобою труды на образование Георгія оправдались блистательно.

О Пажском Корпусе я не имею яснаго, полного понятія; не помнится, что и там существуют два класса специальных. Впрочем обовсем быть может лучше узнать в самом Петер: на месте при помощи К<sup>я</sup> Николая Мирскаго и др.: Незнаю, знакомали ты с Граф: Гейденем? Илья и он были друзьями при Воронцове. Он могбы также дать полезный совет по этому делу.

Я не вспомнил впрежнем письме о Правоведеніи,<sup>3</sup> и теперь предлагаю навсякій случай.

Но, так как Георгій чувствует в себе призваніе более к военной службе, то, пожалуста, не грусти об этом, а лучше перекрести, благослови и поручи покровительству Всевышняго, и нетеряя времени, поставь его на надлежащую дорогу; в колебании теряется только время. Но, строго требуй от него прилежанія и труда. Офицером он всегда может быть, но этого весьма недостаточно: надо быть образованным, наукою освещенным человеком-офицером. Вот цель для Георгія, котораго все усилія, и умственные, и физическія, должны быть устремлены, чтоб овладеть ею победоносно. И, ей Богу, мой Георгій, это нетрудно! Нужна только твердая воля; скажи себе с решительностью «я хочу учиться» и тогда увидишь, как это все просто и легко преодолимо! Бог одарил тебя хорошими способностями, неужели ты их зароешь в землю и не пощадишь многолетней заботливости твоей матери о твоём образованіи?

Мой друг Варвара! Неможешь вообразить, как все здесь интересуются Георгіем. Все спрашивают, как и где учиться Георгій? Когда он здаст экзамен и пр:>? Скажу откровенно, эти вопросы смущают меня, незная как на них отвечать. Все убеждены втом, что Георгій выйдет чудо-человек! Как ни говори, а учиться надо, нельзя без этого. Нельзя жить в

обществе без уважения, в службе без повышения; то и другое есть ничто иное, как свидетельство, как знак принесенной пользе обществу или Государству; а это нельзя достигнуть без освещенного наукою ума! Я верю в Георгія, я знаю, что он настолько благородно самолюбив, что он незахочет стать ниже своих товарищей по части научного образования, незахочет быть из десяти десятым!

Итак посоветуйся с К: Ни: Мир: и выберите из тех учеб: зав:<sup>й</sup> одно: Правоведение,<sup>4</sup> Паж: Кор,<sup>5</sup> или Арти: Училище. Ежели выбор падет на одно из последних, то с условием, непременно быть Академиком. Таково мое мнение и желание, воля и строгое приказание.

Посылаю 500 р.; но прошу, умоляю тебя, когда Георгія пристроешь, неоставайся в Петер:<sup>с</sup>, а на зиму приезжай сюда, ты не выдержишь Петер: Кли:<sup>а</sup>. – Время, наконец, Георгію жить с самым собою, с своим разумом. Тысяча молодых людей живут сами собою и между тем учатся превосходно. А у твоего сына есть дядя Николай, есть семейство Мирских, словом, есть люди, близкіе к нему. Нераспространяюсь далее, а прошу приехать только назиму. – Забыл сказать, что Петя Опочинин также живет в Петер: один, без матери, без отца, и ничего, живет себе!

Целую Георгія....<sup>6</sup>

## ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №52 (794)

8 სექტ: და გაიგზ: 11<sup>ბ</sup> პეტ:<sup>ს</sup> 1872.

ჩემო მეგობარო ვარვარა! გუშინ წავკისიდამ ტფილისში ჩამოსულს შენი 29 აგვ: წერილი დამხვდა. მან ძალიან დამამწუხრა მით, რომ შენ იძულებული ხარ საცხოვრებლად გადახვიდე პეტერ:<sup>მბ</sup> – ოჰ, მეჯავრება ეგ კლიმატი, მკაცრი, ცხვირ-

პირი რომ ჩამოსტირის, დამპალი. აქამომდინ ვერ ვივინყებ და თუკი ოდესმე ვიხსენებ, მუდამ გინებთა. როგორ უნდა იცხოვრო იქ, განსაკუთრებით ზამთარში?

გიორგი არტ: სასწავლებელში შეგყავს და მე ძალზედ, ძალზედ მიხარია. მაგრამ, ამავდროულად, თითქოს შიშობდე, რაკი სამი წელი იქ უნდა იყოს დამთავრებამდინ. სულ ტყუილად, არც ერთ სასწავლო დანესებულებაში არ ამთავრებენ კურსს იმაზე ადრე, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუკი პირდაპირ მაღალ კლასში მოხვდება ვინმე. ეს უკვე გამონაკლისია. და თუ გიორგის ძალუძს მაღალ კლასში გამოცდის ჩასაბარებლად მოემზადოს წლის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში აჯობებს სწორედ ასე მოიქცეს, ანუ ის უნდა მიიყვანო არტილ: სასწავლებლის იმავე მასწავლებელთან, რომელიც თაოსნობს მის მომზადებას. მაგრამ გამოგიტყდები, მე ნაკლებადა მწამს მეცადინეობა მარტოსთვის, და თუ ეს საკითხი აგრე ჩაიხლართა გიორგისთვის, ეს სწორედ იმის გამო, რომ ის მუდამ ცალკე სწავლობს, გამოცდის საჯაროდ ჩაუბარებლად; და ან მეჩვენება, არც მასწავლებელს, არც თავად გიორგის არ ძალუძთ ცალსახად გაარკვიონ, რა იცის მან და რა არა. ამიტომ, კვლავ მუქთად რომ არ დაიკარგოს წლები – ეს კი ერთობ მნიშვნელოვანია – აუცილებელია: 1) შეგროვდეს უზუსტესი ცნობები მასწავლებელზე, მოუმზადებია კი ვინმე აქამომდინ არტილ: სასწავლებლის მაღალ კლასში ჩასაბარებლად, და კეთილსინდისიერად თუ ასრულებს თავის დანაპირებს? 2) გიორგიმ წინდანინ უნდა გადახედოს საგნების პროგრამას, რომელთა სწავლაც მოუწევს წლის განმავლობაში იმისთვის, რათა განსაზღვროს, თუ აქვს საკმარისი ძალა და მოთმინება იმის შესასწავლად, რაც წინასწარ უნდა იცოდეს, რათა, ვიმეორებ, ისევე არ დაკარგოს წელიწადი. თუმცა ამას თავად ვუპასუხებ: ვინც ღიმნაზიის კურსი დაამთავრა, მას არ გაუჭირდება წლის განმავლობაში მოემზადოს გამოცდის ჩასაბარებლად არტილ: სასწავლებელში პირდაპირ არტილ: აკადემიაში ჩასაბარებლად, საიდანაც გამოდიან აკადე-

მიკოსის წოდებითა და სამეცნიერო ხარისხის ნიშნით მკერდზე! ან გიორგიზეა დამოკიდებული, მოემზადოს ან ეხლა მაღალი კლასისთვის, ხოლო აკადემიაში შემდეგ, ან კიდევ პირდაპირ აკადემიაში. აწონ-დანონოს თავისი ძალები მოსალოდნელი სირთულეებითა. როგორც არ უნდა იყოს, ის მაინც უნდა გახდეს აკადემიკოსი. მშვიდად და სრული განცდით მაშინ მოგკვდები, როცა გიორგიზე დახარჯული შენი ამაგი ბრწყინვალედ გამართლდება.

პაჟთა კორპუსზე არ გამაჩნია ნათელი, სრული წარმოდგენა; არ მახსენდება, რომ იქაც არსებობდეს ორი სპეციალური კლასი. თუმცა ყველაფრის გაგება ჯობია თავად პეტერბურღში, ადგილზე კნ: ნიკოლაი მირსკისა და სხვ; დახმარებით. არ ვიცი, ღრაჭ: გეიდენს თუ იცნობ? ილია და ის მეგობრები იყვნენ ვორონცოვის დროსა. მასაც ასევე შეეძლო მოეცა სასარგებლო რჩევა ამ საქმესთან დაკავშირებით.

წინა წერილში არ გამახსენდა სამართალმცოდნეობა და ახლა გთავაზობთ ყოველი შემთხვევისათვის.

მაგრამ, რაკი გიორგი უფრო სამხედრო სამსახურისკენ იდრიკება, ამაზე, გეთაყვა, ნუ ნაღვლობ, არამედ ჯობია პირჯვარი გადასწერო, დალოცო, მისი მფარველობა მიაბარო უფალს და დროის დაუკარგავად დააყენო იგი საჭირო გზაზედა; ორჭოფობაში მხოლოდ დრო იკარგება, მაგრამ მკაცრად მოსთხოვე მას სიბეჯითე და შრომა. აფიცრად გახდომა მას ყოველთვის შეუძლია, მაგრამ ეს სულაც არ კმარა: განათლებული უნდა იყოს, მეცნიერებით განათებული აფიცარი – კაცი. აი, გიორგის მიზანი, რომლისკენაც უნდა მიმართოს [მან] მთელი გონებრივი და ფიზიკური ძალისხმევა, რათა გამარჯვებით დაეუფლოს მასა. და, ღმერთმანი, გიორგი, ეს ძნელი არ არის! საჭიროა მხოლოდ მტკიცე ნებისყოფა, გაბედულად უთხარ შენს თავს, „მე მსურს ვისწავლო“, და მაშინ დაინახავ, რარიგ იოლი და ადვილად დასაძლევია ეს ყველაფერი! ღმერთმა დაგაჯილდოვა კარგი ნიჭით, ნუთუ დაასამა-



რებ მას და არ დაგენანება დედაშენის მრავალწლიანი ზრუნვა შენი განათლებისათვის.

ჩემო მეგობარო ვარვარა! ვერ წარმოიდგენ, რარიგ აინტერესებს აქ ყველას გიორგი. ყველა მეკითხება, სად და როგორ სწავლობს გიორგი? როდის ჩააბარებს გამოცდას და სხვ.? გულლიად გეტყვი, ეს კითხვები უხერხულობაში მაგდებენ, რადგანაც არ ვიცი, რა ვუპასუხო. ყველა დარწმუნებულია, რომ გიორგისგან დადგება საოცარი კაცი. რაც არ უნდა თქვა, სწავლა საჭიროა, ამის გარეშე არ შეიძლება. არ შეიძლება საზოგადოებაში იცხოვრო პატივისცემის გარეშე, სამსახურში დანიშნურების გარეშე, ერთიცა და მეორეც სხვა არაფერია, თუ არა მონაშობა, თუ არა დასტური საზოგადოებისთვის ან სახელმწიფოსთვის მოტანილი სარგებლისა; ხოლო ამის მიღწევა შეუძლებელია მეცნიერებით განათებული გონების გარეშე! მე მჯერა გიორგისა, ვიცი, რომ ის იმდენად კეთილშობილი თავმოყვარეა, რომ, სამეცნიერო განათლების მხრივ, არ მოინდომებს დადგეს თავის მეგობრებზე დაბლა, არ მოინდომებს იყოს ათათაგან მეათე.

მაშ ასე, გაესაუბრე კნ: მირ:<sup>ა</sup> და შეარჩიეთ ერთი იმ სასან: დაწაგან: სამართალმცოდნეობა პაჟ: კორ. ან არტილ: სასწავლებელი. თუკი არჩევანი ამათაგან რომელიმეზე შეჩერდება, მაშინ იმ პირობით, რომ უცილობლად გახდება აკადემიკოსი. ასეთია ჩემი ჰაზრი და სურვილი, ნება და მკაცრი ბრძანება.

გიგზავნი 500 რუბ:; ოლონდ გთხოვ, გემუდარები, როცა გიორგის მოაწყობ, ნუ დარჩები პეტერ:<sup>ა</sup>, არამედ გამოსახამთრებლად ჩამოდი აქ, შენ ვერ აიტან პეტერ: კლიმ:<sup>ა</sup>. დროა, ბოლოს და ბოლოს, გიორგიმ იცხოვროს მარტომ, თავის ჭკუაზე. ათასობით ჭაბუკი ცხოვრობს მარტო და თან შესანიშნავად სწავლობს. შენს შვილს კი ჰყავს ბიძია ნიკოლაი, ჰყავს მირსკების ოჯახი, ერთის სიტყვით, ჰყავს ხალხი, მისთვის ახლობელი. აღარ გავაგრძელებ მეტსა, გთხოვ ჩამოხვიდე მხოლოდ საზამთროდა. გამომრჩა მეთქვა, რომ პეტერ:<sup>ა</sup> პეტია

ოპოზიციონერი ასევე მარტო ცხოვრობს, დედისა და მამის გარეშე, და არაფერი, არის თავისთვის.

ვკოცნი გიორგისა...

## ელისაბედ ორბელიანისადმი №2 (795)

ჩემო საყუარელო ძალუავ ელისაბედ! ყიზილბაშები იტყვიან, მაზაა.<sup>1</sup> სწორედ ისე მოხდა გუშინ საღამოს, როდესაც თქუჴნმა მსახურმა შემოგვიტანა ძლუენი, მშვენივრად მოკმაზული უნაბებითა და ნაზუქებითა. – [„]ოჴ,<sup>2</sup> ოჴ, აი ძალუა ელისაბედ, ასეთი დედაკაცია, არავინ შეედრება, დედოფალია, ყოველივე იცის თავის დროზე!“ მე ვჴსტქევი.

ამ სიტყვებზე შემოგვესმა სხუა და სხუა მხრიდამ, რა დაგვემართა, განა ჩუჴნ ვერ გამოვაცხოზინებთ ნაზუქებსა?

დიმიტრი ვეზიროვმა წამოიძახა, ვაჟო, ეს ოცი ნელიწადია თქვენში ვიმყოფები, და ვერც ერთისაგან ვერა ვნახერა ამისთანა ვერც ნაზუქები და ვერცა უნაბები.

ამას მისწვდნენ წივილკივილით, კარგად განენეს, და მერე მისწვდნენ უნაბებსა და ნაზუქებსა, სწორედ თალანჩობა იყო, ისე დაიტაცეს ჩუჴ[ნ]მა<sup>3</sup> რძლებმა და ქალებმა.

ჩემის ასეთს გახარებისათჴს დიდს მადლობას მოგახსენებ. – კარგია, გეყოფათ სოფლობა, ჩამობძანდით, დროა.

ყაფლანს სიყვარულით მოვიკითხავ; ველარ მოვასწარ ცალკე მონერა: ამ მინუტში მივდივარ პრინც ოლდენბურლისთან, რომელიცა მოვიდა აქა ინსტიტუტის გასაშინჯავად.

თქუჴნი მარადის ერთგული და ბედნიერების  
მსურველი<sup>4</sup>

თ<sup>5</sup> გრიგოლ ორბელიანი

30 სექდ. 1872.<sup>6</sup>

რკინის გზით ხვალ აპირებენ წასვლას მცხეთას მთლად სოსიკოს სახლობა და სხუანიცა.

## ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №53 (796)

Мой друг Варвара! Последнее письмо твое дошло комне в Цавкиси, где так хорошо было мне свами впрошлом году, и где я так поджидал вас и на это лето; но Судьба решила иначе: вместо Цавкиси ты едешь в Петерб: – Зачем? Думаю однакож, что ты надеешься там легче пристроить Георгія. Дай Бог! – На счёт Экзаменов передаю еще один Совет Доктора Мревлова. Пусть Георгій прямо даст Экзамен в Медико-Хирургическую Академію, в которой нетак строги Экзамены; там он пробудет год и потом может перейти в любой Университет, уже как Студент. Незнаю, вкакой степени это исполнимо и передаю навсякій случай для твоих соображений. Конечно, в Петербурге тебе вернее узнать об этом.

Петя Мирскій в заведеніи Каткова невыдержал Экзамена в 5<sup>й</sup> класс, а в 4<sup>й</sup> неприяли. Так как летами перерос. Таким образом, этот вопрос становится для вас общим, и потому вам надо вместе решить, что делать свашими детьми? Надеюсь, с помощью К: Дмитрія и Николая, вы прійдете к благопріятному Резултату. – Чтож делать? Ежели нельзя в Университет, смело избирайте военную часть, которая, вособенности теперь, требует также много познаний. Лишь былабы в ваших детях горячая охота учиться, а число военных наук Громадно. Будем надеяться, что Георгій и Петя понимают требованіе современнаго образованія и постараются стать нависоте своего времени.

Вано с женою выехал из Тифлиса на Екатеринославль в Петербург. Жизнь их здесь была непрерываемый ряд обедов,

сменяемых только ужинами. Она очень понравилась всем нам и искренно полюбили её, и она очень скоро свыклась снами.

В нашей Церкви обвенчались Княжна Нина Вачнадзе с подполк: Шерингом. Вскоре ожидают новую Свадьбу: Майко Баратова выходит за Парфена Баратова.

Вчера я видел в Кожоре Тамару, Саломе с их мужьями и детьми; они здоровы и живут вместе в доме Мирских. – Цалую Георгия и поручаю вас покровительству Всевышняго.

[1872 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე]

## **ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანისადმი №53 (796)**

ჩემო მეგობარო ვარვარა! შენი ბოლო წიგნი მივიღე ნავკისს, სადაც შარშან აგრე კარგად ვიყავ თქვენთან ერთად, და სადაც აგრე გელოდით ამ ზაფხულსაც, მაგრამ სხვაგვარად გადასწყობა ბედმა. ნავკისის ნაცვლად მიემგზავრები პეტერ: – რისთვის? თუმც კი მგონია, რომ იმედოვნებ იქ უფრო იოლად მოაწყო გიორგი. ღმერთმა ჰქნას! გამოცდებისთვის გადმოგცემ დოქტორ მრევლოვის კიდევ ერთს რჩევასა. გიორგი პირდაპირ გავიღეს მედიკო-ქირურგიული აკადემიის გამოცდაზედ, სადაც არც ისე მკაცრი გამოცდებია, იქ დაჰყოფს ერთს წელიწადს და შემდეგ ნებისმიერ უნივერსიტეტში შეუძლია გადასვლა, უკვე როგორც სტუდენტსა. არ ვუნცი, რამდენადაა ეს შესაძლებელი და ეს ამბავი შენთვის მომინდვია. რა თქმა უნდა, პეტერბურღში უფრო გაარკვევ ამ ამბავსა.

პეტია მირსკიმ კატკოვის დაწესებულებაში ვერ გაიარა მე-5 კლასის გამოცდა, მე-4<sup>ა</sup> კი არ მიიღეს, რადგან წლოვანებით დიდია. ამგვარად, ეს საკითხი ხდება თქვენთვის საერთო და ამიტომ ერთად უნდა გადაწყვიტოთ, რა მოიმოქმედოთ შვილებისთვისა? ვიმედოვნებ, კნ: დიმიტრისა და ნიკოლაის

დახმარებით მიხვალთ კეთილგონივრულ შედეგამდინა. რას ვიზამთ? თუკი უნივერსიტეტი არ გამოვა, თამამად აირჩიეთ სამხედრო ნაწილი, რომელიც, განსაკუთრებით ამჟამად, მოითხოვს ასევე დიდს ცოდნასა. ოღონდ სწავლის ცეცხლი გიზგიზებდეს თქვენს შვილებში, სამხედრო მეცნიერებათა რიცხვი კი დიდია. იმედი ვიქონიოთ, რომ გიორგისა და პეტეიას ესმით თანამედროვე განათლების მოთხოვნები და შეეცდებიან დადგნენ დროის მოთხოვნების სიმაღლეზედ.

ვანო მეუღლითურთ გაემგზავრა თბილისიდან პეტერბურღს ეკატერინოსლავის გავლითა. მათი ყოფა აქ იყო განუწყვეტელი სადილები, მხოლოდ ვახშმებით რომ იცვლებოდა. მისი მეუღლე ძალიან მოგვენონა ჩვენ ყველას და გულწრფელად შევიყვარეთ და ისიც ძალზედ მალე შეგვეჩვია.

ჩვენს ეკლესიაში ჯვარი დაინერეს კნიაჟნა ვაჩნაძემა და პოდპოლკ: შერინგმა. მალევე ელიან ახალს ქორწილსა! მაიკო ბარათოვა მიჰყვება პართენ ბარათოვსა.

გუშინ კოჯორში ვნახე თამარი და სალომე თავიანთი ქმრებითა და შვილებითა; ჯანზედ არიან და ერთად ცხოვრობენ მირსკების სახლში. ვკოცნი გიორგის და გფარავდეთ უფალი.

[1872 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე]

## ოლლა ბაბრათიონ-ბრუზინსკაიასადმი №1 (797)

Светлейшей Княжне  
Ольге Ильинишне

В прошлом году Сестра Варинька передала мне ваше желание иметь маленькйи кинжал для кабинета. Хотя, в тоже время, я распорядился выписать из Дагестана, чрез посредство моего племянника Нико Чавчавадзе, но к сожалению, внезапное, совершенно<sup>1</sup> неожиданное волнение, происшедшее в том крае,

замедлило до сих пор<sup>2</sup> исполнение этого поручения, и только теперь получив кинжал, я спешу поднести его вам вместе выражением чувства моей искренней преданности, радуясь искренно, что мог, хоть поздно – выполнить ваше желание; но угодилли вашему изящному вкусу, я совсем уверен, в всяком случае, я верю в вашу снисходительность. Пріимите и владейте им, невынимая из ножен.

При этом, невольно рождается вопрос, начто вам, моя царица, кинжал? Чтоб поражать, вы владеете оружіем, более опасным, более могущественным: ваша повелительно-царственная осанка, ваши глаза, полные живительнаго Света, покорят всё вашему подножію, и покоряясь будут благословлять Судьбу свою. К чему же кинжалы?<sup>3</sup>

Приношу вам жалобу на Сестру Варинку, окоторой<sup>4</sup> я совершенно неимею никакого известія с самага Августа месяца;<sup>5</sup> незнаю, куда пристройла Георгія; немогу писать кней,<sup>6</sup> неимея Адреса; незнаю даже действительноли она переехала в Петербург. Такая странность ея возмущает меня, наводит на грустныя мысли! Климат зимнаго Петербурга окончательно разрушит ея здоровье, и безтого разстроенное. Я приглашал её пріехать только<sup>7</sup> на зиму в Тифлис, где чудная погода осенью и зимою возстановилабы ея силы: но на три мои письма, посланныя нарочно<sup>8</sup> с знакомыми ей личностями, неимею ответа. Недоумеваю, что это значит? Если это<sup>9</sup> Багратионовскій Сплин, еще<sup>10</sup> беда; Явление проходящее. Лишьбы она была здоровая и здоровая.

Ея Светлости Царевне приношу мое искренно-глубочайшее уваженіе, прошу ваших Сестер верить<sup>11</sup> моей искренней кним<sup>12</sup> преданности. Это святое чувство вообще квам неизгладимо во мне, оно вне вліянія времени и разстоянія.

[1872 წლის აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე]

## ოლლა ბაბრატიონ-ბრუზინსკაიასადმი №1 (797)

უგანათლებულეს კნეინას  
ოლლა ილინიშნას

გასულ წელს დაიკო ვარინკამ გადმომცა თქვენი სურვილი იქონიოთ პატარა ხანჯალი კაბინეტისთვის. თუმცა მაშინვე გავეცი მითითება, გამოეწერათ დალისტნიდამ ჩემი ბიძაშვილი ნიკო ჭავჭავაძის მხრიდამ, მაგრამ, სამწუხაროდ, უცაბედმა, სრულებით მოულოდნელმა მღელვარებამ იმ მხარეში მომხდარმა, აქამოდინ შეაფერხა ამ თხოვნის შესრულება და მხოლოდ ან, ხანჯლის მიღებისთანავე, ვჩქარობ მოგართვათ იგი ჩემი გულწრფელი ერთგულების გრძნობის გამოხატვასთან ერთად. გულწრფელად მიხარია, რომ შევძელ, თუნდ დაგვიანებით – აღმესრულებინა თქვენი სურვილი; მაგრამ ვაამე თუ არა თქვენს გემოვნებას, ამაში არ ვარ სრულად დარწმუნებული, ყოველ შემთხვევაში, მჯერა თქვენი შემწყნარებლობისა. მიიღეთ და ჰფლობდეთ ქარქაშიდამ ამოუღებლად.

ამასთანავე უნებურად ჩნდება კითხვა, რად გინდათ, ჩემო დედოფალო, ხანჯალი? განსაგმირად თქვენ გაგაჩნიათ უფრო საშიში, უფრო ძლევაგამოსილი იარაღი: თქვენი მბრძანებლურ-მეფური წარმოსადეგობა, თქვენი თვალები, აღსავსენი მაცოცხლებელი შუქითა, დაიპყრობენ ყოველსა და, მორჩილებაში მყოფნი, მადლიერნი დარჩებიან ბედისა. რალაში გარგიათ ხანჯალი?

უნდა შემოგჩივლოთ დაიკო ვარინკაზედ, რომლის შესახებაც არ გამაჩნია არანაირი ცნობა. სად მოაწყო გიორგი; ვერ მიმიწერია მისამართის უქონლობითა; ისიც კი არ ვუნცი, მართლა თუ გადვიდა პეტერბურღსა. მანუხებს მისი ამგვარი უცნაურობა, სევდიან ჰაზრებსა მგვრის! ზამთრის პეტერბურღის ჰავა საბოლოოდ გაანადგურებს მის ჯანმრთელობას, ამის გარეშეც მორღვეულს. მე ვეპატიჟებოდი მას მხოლოდ საზამთროდ თბილისში, სადაც სასწაული ამინდი შემოდგომობით

და ზამთრობით აღადგენდა მის ძალებს: მაგრამ ჩემს სამს წერილზედ, განგებ რომ გავუგზავნე მისთვის ნაცნობი პირების ხელით, პასუხი არა მაქვს. ვერ გამიგია რას ნიშნავს ესა. თუკი ეს ბაგრატიონთა სპლინია, კიდეც არაუშავს; წარმავალი მოვლენაა. ოლონდაც ჯანმრთელი იყოს, ჯანმრთელი.

მის ბრწყინვალეობა მეფის ასულს ვუდასტურებ ჩემს გულწრფელსა და უღრმეს პატივისცემას, ვთხოვ თქვენს დებს სჯეროდეთ მათდამი ჩემი წრფელი ერთგულებისა. ეს წმიდა გრძნობა თქვენდამი წარუშლელია ჩემში, იგი არ ემორჩილება დროსა და მანძილსა.

[1872 წლის აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე]

## **ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №7 (798)**

2<sup>10</sup> Октяб: 1872. მთავრინას მენგრელი[ი]სას.<sup>1</sup>

უმოწყალესო დაო ეკატერინავ! ვჭგრძნობ ჩემს დანაშაულობას; ვჰსცოდე ცად მიმართ და წინაშე თქუწნსა დავჰმთი პირშავად! არ ვიმართლებ თავსა მით, რომ ხან შეუძლებლობა, ხან თრევა აქა იქ სოფლებში მიშლიდენ აქამომდის წერილისა მორთმევასა, და ახლა ისევ თქუწნმა გულმა, სიკეთითა სავსემ, მომიგონა და წერილითა გამომალვიძა, გამამხნევა და დამარწმუნა, რომ ამ დაუდგრომელს სოფელში არა ვჰყოფილვარ დაკარგულ. ღთმან<sup>2</sup> თქუწნ თქუწნის შვილებითა ისე გაგაბედნიეროს, როგორც მე გამახარეთ თქუწნის მოგონებითა.

მიბძანდებით პარიჟში; უფალი მარადის გიძლოდეს თქუწნ მფარველად ზღუაშიაცა და ხმელეთზედაც. მიხუალთ თქუწნს მშვენიერს სალომესთან; იქ მომიგონეთ და ჩემმაგიერ მიულოცეთ ორის ვაჟის დედობა და ჩიმიკოცნეთ გულით, სულით სალომეცა, მის ქმარიცა და მათი შვილებიცა.



ამ ზაფხულს ნიკო ანაზღეულად შემოვიდა, მნახა, და ისევ ელვასავით განჰქრა. მაგრამ ჩემთვის ესეცა კმარა. სად არის ანდრია და როგორ? და ან ისწავლაა ცხენზე ჯდომა?

აღრევე გამოგზავნილი თქუზნგან ათითუმანი ქართულის წიგნების დასაბეჭუდავად, ჯერ ისევ მე მაქუს, რადგანაც აქა-მომდის ვერ მოუშადებიათ ბეჭუდა.

ამ ზაფხულმა ისე გაიარა, რომ ღრუბელი არ გვინახავს. საშინელმა მოუწყვეტელმა სიცხემ გაახმო მინა, მოსავალი მოსწვა; წყაროები დააშრო; მტკუარი ძლივ მოხინხილებდა! მხოლოდ სეკდემბრის გასულს მოვიდა პირველი წვიმა და გა-აგრილა ჰაერი; მაგრამ მილლიონები ცხუარი, საქონელი, ჯო-გები, რომელნიცა ჩამოვიდნენ მთიდან, სად იპოვიან საზრდო-სა?

მოვიდა თბილისში პრინცი პეტრე ოლდენბურლსკი ინსტი-ტუტის გასაშინჯავად; ხვალ აპირებს დაბრუნებას; მცხეთას შეხუდება ველიკიის კნიაზსა პატიგორსკიდან მომავალსა, და ერთად წავლენ ბორჯომსა, სადაცა ველიკაა კნენა ისევ იქ იმყოფება და 15 ამ თვისას მობძანდება თბილისს.

გუშინ აქაური ხალხი რკინის გზით პირველ[ად] წავიდა მცხეთას სადღესასწაულოდ. დილით ექუსს საათიდან შუალა-მემდის, მოუწყვეტლივ მიდიოდენ და მოდიოდენ ვაგონები, სავსედ გატენილნი ხალხითა, ზურნით, ჭიანურებით, სიმლე-რით. სასიამოვნო სანახავი იყო. უშლიდენ ზურნის დაკვრასა, მაგრამ არ დაიშალეს. „ეი ინგლის, სელოდნია მცხეთობა, პრაზნიკ, ზურნა ნადა!“ – ანგლიჩანმაც ვერა გაიგო რა და თავი დაანება და ისმოდა შუალამემდის მოუწყვეტლივ გზაზე ზურნა და სიმლერა! – მიყუარს ეს ხალხი, თუ არ წაუხდინეს ხასიათი.

ამ დღეებში აქ იყო კნენა ანნეტა თავის ნასტინკათი; მშვენიერი და ვეება წა[რ]მოსადეგი ქალი შექმნილა ნასტინკა. – დავით ჯერ ისევ წინანდალშია.

ვარინკა თავის შვილით გადასულა მოსკოვიდამ პეტერბურღს და მეკი ძალიან მეშინიან: იქაურს დამპალს ჰაერს ვერ გაუძლებს იმის დასუსტებული სხეული.

მიხეილ შარვაშიძის ქალი, ინსტიტუტიდამ გამოსული, ველიკიი კნიაზმა ჩააბარა ჩუჴნს ტასოს გაგარინისას და ჯერ არ მოსულან ყირიმიდამ. – ივანე და სოფიო არიან დალისტანში მშვიდობიანად, მაგრამ ვაი იმათ ყოფნას, გადაკარგულებს თავის ქუჴყნიდამ, თავის სახლიდამ, და როდემდის? იმათი ესრეთი ყოფნა მიმწარებს მე სიცოცხლესა, და რა გაენყოზა?

ღ~თი<sup>4</sup> იყოს მფარველი თქუჴნი და თქუჴნის შვილებისა.

## **ბარბარე ბაბრატიონ-ოზბელიანისადმი №54 (799)**

10<sup>10</sup> Октяб: 1872 Тифлис<sup>1</sup>

Мой друг Варвара! Князь Мачабели подаст тебе это письмо, которым хочу выразить всё мое нетерпение, ожидая так долго от тебя известий, что вы делаете в Петербурге, начем остановилось дело о Георгіе? Неизвестность мучит меня, в особенности, когда вспомню, что ты поселилась в гнилом Петербурге, гнездилище холеры. Я настайваю на твоём возвращеній сюда на зиму, только на зиму. Нельзя тебе, с твоим разстроенным здоровьем оставаться там, неподвергая свою жизнь явной, и притом бесполезной опасности. Повторяю, пристрой Георгія в хорошее семейство, а сама приезжай в Тифлис, только на зиму. От души цалую Георгія. Мне очень понравился К: Мачабели: умный, живой, здоровый. Ксожаленію, немногіе из наших молодых людей возвращаются так хорошо приготовленные наукою, как он.

## **ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანისადმი №54 (799)**

10<sup>ა</sup> ოქტომბ: 1872 ტფილისი

ჩემო მეგობარო ვარვარა! კნიაზი მაჩაბელი გადმოგცემს ამ წერილს, რომლითაც მსურს გამოვხატო მთელი ჩემი მოუთმენლობა შენი ამბების მოლოდინში ამდენ ხანს, რას შვრებით პეტერბურლში, რაზე შეჩერდა გიორგის საქმე? მტანჯავს გაურკვეველობა, განსაკუთრებით, როცა მახსენდება, რომ შენ დასახლდი დამპალ პეტერბურლში, ქოლერის ბუდეში. მე დაჟინებით ვითხოვ შენს აქ დაბრუნებას საზამთროდ, მხოლოდ საზამთროდ. შენთვის მანდ დარჩენა არ შეიძლება შენი მორყეული ჯანმრთელობით ისე, რომ შენი სიცოცხლე აშკარა და, ამასთან, უსარგებლო საფრთხეში არ ჩააგდო. ვიმეორებ, მონაცე გიორგი რიგიან ოჯახში, თავად კი ჩამობრძანდი თბილისს, მხოლოდ გამოსაზამთრებლად. გულითა ვკოცნი გიორგისა. მე ძალზედ მომეწონა კნ: მაჩაბელი: ჭკვიანი, ცოცხალი, ჯანსაღი. სამწუხაროდ, ჩვენს ჭაბუკთაგან ცოტა თუ ბრუნდება მეცნიერებით აგრე კარგად აღჭურვილი, როგორც ის.

## **ბარბარე თუშანიშვილ-ანდრეევსკისადმი №1 (800)**

15<sup>ა</sup> ოკდომ: 1872. თბილისით ვლადიკავკაზს<sup>1</sup>

ჩემო გულით საყუარელო დაო ბარბარე!

მხოლოდ ამ საათში ველიკიის კნიაზისაგან ვჰსცან მოულოდნელი უბედურება ჩუწნი: გარდაცულება ჩემის საკუთარისა მეგობრისა, ჩემისა ძვირფასის ალექსანდრესი. ვერ გამომითქუამს ვერცა ჩემი გამნარება, ვერცა ჩემი, თითქმის სი-

კუდილადმდე, შენუხება. არ ვიცი, ან როგორ მოგიტირო, ან რითა ვინუგეშო მე თვთ, რომელსაცა მიყუარდა გულით, სულთ, ჩემგან გაზრდილი ჩემი სიქადული ალექსანდრე, ასე უდროოდ გამქრალი, რომლისა გონებასა, გულსა, კაცობასა, მარადის შევჭხაროდი. შენთანა ერთად სულითა ვჭსნუხვარ, არა მარტო მე: საქართველომაც დაჰკარგა გამოჩენილი ძე თუსი.

ახლა რა ვჭქნათ, ჩემო სასურველო დაო? ვიცი, შენს გულსა არ გამოუცდია ამ სოფლის სიმუხთლე, არ გამოუცდია ასე ანაზდეულად შეცულა სიხარულისა მნუხარებად; ვიცი, როგორცა ძნელია შენთვს ძლევა ამა უბედურებისა მოთმინე-ბითა; მაგრამ უნდა მოითმინო, უნდა ჰსძლიო შენის შვილები-სათვს, რომელთაცა მფარველი და მზრუნველი დღეის იქით მხოლოდ შენ უნდა იყო. მათთვს უნდა გაიმაგრო გული, მათთვს უნდა იცხოვრო და ღმერთიცა შენუხებულთა ნუგე-შის-მცემელი, შენცა არა დაგიტევებს უმოწყალოდ და უნუგე-შოდ. მას შეავედრე შენი თავიცა და შენისა შვილებისა ბედნი-ერებაცა.

მარადის შენი ერთგული – – –

### **ლევან მელიქიშვილისადმი №5 (801)**

თ. მელიქოვს. ლ. ი. თბილისით 25 ოკდომბერს 1872. –

ჩემო ბატონო კნიაზო ლევან! ძლივს მოვედი დღეს გონე-ბაზე მეტად შენუხებული საბრალოს ალექსანდრეს გარდაც-ვალეებითა. – მიყვარდა გულით, შევხაროდი მის გონებასა, მისს მახვილ ლაპარაკსა. – უნვერობითგანვე ჩემი გაზდილი იყო. – არ ვიცოდი იმისი სიკვდილი, ველიკიი კნიაზმა ლაპა-რაკში ანაზდეულად წარმოსთქვა. – ისე მომხვდა გულში ლახ-

ვრად, რომ ყელი შემეკრა, ხმა ველარ ამომდიოდა! მახლაზ, დიდათ დაღონებული მოველ შინა და ახლა აქ დამხვდა ერთი კარგი სხვა ამბავი, ახალ ახალი: ჩვენს სემინარიაში უნდა აღუკრძალონ სწავლა ქართულის ენისა, რადგანაც არა აქვს ამ ენასა მდიდარი ლიტერატურა, და ამის მაგიერ უნდა შემოიტანონ ბერძნული ენა. – სანყალი სულხანოვი, რომელსაცა არ მოსწონებია ეს განკარგულება. და უთქვამს, რომ საქართველოში მღვდლებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა, დაუთხოვნიათ სემინარიიდან, ვითარცა წინააღმდეგი მართებლობისა, და საშიში კაცი. – ამ ამბებმა ერთმანეთზე დაერთებით ამიშფოთეს გული; იმ ღამეს მომცა სიცხე და მხოლოდ დღეს შევიძელ ადგომა და გნერთ ჩემს დარდებსა. – თათრები იტყვიან: „მან ბულარინ ჰანქსინინ დარდი ჩაქიმ?“ ესე იგი, რომლის ერთისათვის ვიდარდო! – შეცთომა შეიძლება, ვითარცა კაცისაგან, ეგრეთვე მთავარმართებლისაგანაც; მაგრამ აღკრძალვა ქართულად ლოცვისა ქართველთ ეკლესიაში სისულელეზე უაღრესია. – საქართველოში არიან მრავალნი ეკლესიანნი სხვა და სხვა ენისა სხვა და სხვა საწმენოებისანი; თათრები, ურიები, სომეხნი, ლოტრანები, ფრანგები, თავისუფლად ილოცვენ თავიანთ ენაზედ; ფრანგები კი ილოცვენ ქართულს ენაზედ და მხოლოდ ქართველთა კი უნდა მოუსპონ ქართულად თქმა, წმინდაო ღმერთო! განა პოლიტიკა მოითხოვს ამასა? განა ეს არის გავრცელება მართლმადიდებლობისა აზიაში? რაღა ქართველებზე მოიტანეს ძალი ქადაგებისა გასაქრიასტიანებლად? ეს ხომ შეიქმნა *СТОРО И НОВО КАТОЛИКИ!!\** და ანუ რა სიკეთე წარმოსდგება აქედამ? თუ გარუსებას სცდილობენ. ბრმანი ხომ არ არიან, რომ რუსებზე ჩვენ უფრო რუსები ვართ; თუ მართლმადიდებლობისათვის იღვწიან, აი ურიები, თათრები, სომეხები და სხვანი; მაგრამ უსამართლოება და ძალადობა, მარადის ბადვენ უსიამოვნებასა, ყვედრებასა, წყევასა და თვით ორგულობასაცა. – მიკვირს, რას უჩუჩხუნებენ ამ საბრალოს, მორჩილს, კეთილსა და ერთგულსა ერსა? სამწუხაროა, კნიაზო ლევან, რომელს

საუკუნეში ვსცხოვრებთ? –

ამ დღეებში ვეახლები ველიკიის კნიაზსა განგებ ამ საქმისათვის; იმედი მაქვს, რომ არ იამება ესრეთი განკარგულება დაბრმავებულის სამღვდელოსი და მოიხმარებს ყოველსავე ღონის ძიებასა, რათა ჩაშალოს ეს პროექტი, რომელიცა არის ცხადად ძალადობა და დაჩაგვრა ერისა, და რომელსაცა, რასაკვირველია, არ მოინდომებს არცა კეთილი გული მისი, და არცა რომელიმე მმართველობა, გონიერად მზრუნველი კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის ერისა. ასე ჩემო ბატონო.<sup>2</sup>

ბოდა ასევე ურყევად, მაგრამ ეს ქაბუკური სიბრმავე ის ქემ-მარიტი ბედნიერება ხომ არ არის, რომელსაც ყველგან დაეძებს კაცი? მაშ საით მივყავართ კვლავ წუთისოფელს, თუ არა იმედგაცრუებისკენ, რომელიც ანელებს გულის სითბოს, დაუნდობლად ანადგურებს ფანტაზიების კაშკაშა სამყაროს, გულში შეაქვს ეჭვი, უნდობლობა ყველაფრისადმი, რაც ირგვლივაა. დრომ დალენა რწმენის საკურთხეველი და რაღა ვქნათ ახლა? განა ბედნიერებაა, რომ ესრეთი სიცივეა სულში? განა გასახარია, რომ აგრე უგრძნობელი ვარ ყოვლისადმი? დიახ, წარვიდა ჩვენი სიჭაბუკე, რომელიც შეუძლებელია არ დაგენანოს, და, მასთან ერთად, ყველაფერი მშვენიერი, რაც ანათებს, აღამაღლებს სულს, მყისიერად, უდრტვინველად რომ განაწყობს მას ყოველივე კეთილისადმი, მართლისადმი, დიადი გმირობებისა და მსხვერპლისადმი! რა უნდა ვქნათ ახლა, განა უფრო მშვენიერი გახდა წუთისოფელი, ოდეს მწარე გამოცდილებიდან შევიტყვეთ მისი ვერაგობა, ყოველივე არსებულის ცვალებადობა? არა, მაგრამ... მოთმინებით დავემორჩილოთ ზეგარდმო დაუძლეველ ნებასა და მადლიერნი ვიყოთ ბედისა ყოველივე კარგისათვის, ყოველივე ცუდისათვის, რაც კი წილად გვარგუნა განგებამ. გულითა ვხარობ, ოჯახთან ერთად რომ გილოცავ; შენ ჩემზე უფრო ბედნიერი ხარ: მწამს, რომ მხოლოდ ოჯახის წიაღში ძალუძს კაცს მოისვენოს წუთისოფლის ქარიშხლისაგან. – ისე ვხარობ შენთან საუბრით, წარსულზე მასლაათით, რომ ძლივსღა გამახსენდა საქმე, რომელიც გაინტერესებს.

დამიჯერე, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რაც ძალუძს კაცსა, რათა შეასრულოს შენი სურვილი, არსით სამართლიანი და ამიტომ კანონიერი. მოგახსენებ მამულით შენს დაჯილდოებაზედ 39-წლიანი სამსახურისათვის კავკასიაში. ცოტა შეგაგვიანდა და ამიტომ უნდა იჩქარო და დროზე გამოგზავნო მოხსენებითი ბარათი კნ. მირსკის ან კავკას:ⷀ ჯარების საოლქო შტაბის უფრ:ⷀ სახელზედ და ბარათს დაურთო ადგილობრივი უფრ:ⷀ მონშობა მასზედ, რომ შენ ცოცხალი ხარ,



და კიდევ ფორმულიარი: სია, ხოლო დანარჩენზე შევეცდებით, რათა შეძლებისდაგვარად აღსრულდეს შენს სასარგებლოდა.

ტფილისი მშენიერდება, თავს იწონებს, თითქოს იზრდებაო ყოველ წუთში. რკინიგზა – შეგიძლია წარმოიდგინო რკინიგზა საქართველოში, ეს ხომ საოცრებაა! – ერთ დღეში ჩაჰყავხარ ფოთსა; ნავარაუდევია მისი გაყვანა თბილისიდან ბაქოსა და ჯულფაში. მეორე გზა როსტოვიდან არის, პიატიგორსკის, ვლადიკავკაზის, პეტროვსკის გავლით, ასევე ბაქომდინა. განზრახული აქვთ ასევე თბილისი დაუკავშირონ ვლადიკავკაზსა. აი, რას მოვესწარით. ომის ქუხილი კი სადღაა, სადღაა ის გამარჯვების ყივილი, მთელს კავკასიას რომ აზანზარებდა? ყოველივე დადუმდა, ყოველივე მორჯულდა და ვერც დაიჯერებ, რომ ჯერ კიდევ აგერ, ახლახანს იყო სულ სხვა რამ, ახლანდელს სულ რომ არა ჰგავს! ოდესმე სიზმრად თუ მოგელანდება უწინდელი მხედრული ცხოვრება თავისი ხიფათებითა. დიახ, კავკასიაში დაინყო ახალი ერა, ახალი ცხოვრება, მისი ახალი ისტორია.

აქ გაზაფხული დადგა; ბაღებში დაინყო სადილები, საღამოები, ზურნა, მუსიკა; კოლონიაში გაიხსნა: მუშთაიდი, სანსუსი, მონპლეზირი, ხალისიანი სეირნობა, ვერაზედ კინგრუსტი, პოხრონიკოლაევიჩი და სხვ.; ჭაბუკები ჯირითობენ, მღერიან, ხალისობენ. ესენი კარგად არიან; ჩვენც გვიხარია, მათს ნათელ სახეებს რომ ვუმზერთ. ზოგჯერ საერთო გართობის ტალღა ჩვენც იქითკენ მიგვაქანებს. სოსიკო, ამიროვი, ყაფლანი, ირაკლი გრუზინსკი, დავით ჭავჭავი, ისაკა თუმანოვი, ნინო ჭავჭავი და მრავალნი სხვანი შენი მეგობართაგანნი. ვაგლახ, შენი ნაცნობი დამები თითქმის ყველანი ჩამოშორდნენ სცენას დაუნდობელი დროის ძალითა. თუმცა გუშინდელი ცის ტატნობზე ახალ ვარსკვლავებად აკიაფდნენ ახალგაზრდა, ქორფა, ლამაზი ბანოვანნი: დავით ჭავჭავი 4<sup>ა</sup> ქალიშვილი, მირსკის 3<sup>ა</sup> ქალიშვილი, ოპოჩინინის 3<sup>ა</sup>, ივანოვის 3<sup>ა</sup>, ორბელ: 1<sup>ა</sup>, ვახტანგის ქალიშვილი, კონა ერისთოვის 1<sup>ა</sup> ქალიშვილი,

აფხაზეთის ყოფილი მფლობელის 1<sup>ა</sup> ქალიშვილი, 2 თამამშევა, 2<sup>ა</sup> არლუთ: და ყველანი ერთმანეთზე სათნონი. ახალგაზრდობა დაფარფატებს მათ ახლოს და ჩვენ, სიბერით დარბაისელნი, სიხარულით ვიღიმით, ვუცქერთ რა მათ შორიდან, გულშიც რალაც ირხევა.

მისი უდიდებულესობა არმიის გარდაქმნის კომიტეტში მონაწილეობისთვის პეტერბურღს იმყოფება. მასში დაბრუნდება.

ეს წუთია, ჩემთან შემოვიდა ქუთაისიდან დაბრუნებული კნ<sup>ა</sup> მირსკი და ჩემს თხოვნაზედ შენ შესახებ, მიპასუხა, რომ მასაც მიუღია შენგან წერილი, რომელიც უმაღვე გადაუგზავნია საოლქო შტაბში. მიხარია და ამ დღეებში მოველი პეტერბურღიდან შტაბის უფრ:<sup>ახ</sup>, სვისტუნოვის ჩამობრძანებას, რათა ყველანაირად გავაცნო მას შენი საქმე, და ღმერთი მოიღებს მონყალებას!

ბედნიერად იყავ, მეგობარო ჩემო, შენი სათნო მეუღლითა და ბიჭუნათი. სულით მხნედ იყავ და იცოდე, რომ ღმერთი არ მიატოვებს ესრეთ პატიოსან, კეთილშობილ კაცს, როგორიც შენა ხარ. არ დამივიწყო, მომწერე და გჯეროდეს შენდამი ჩემი წრფელი, ჭეშმარიტი ერთგულებისა.

## ელისაგედ ფალავანდიშვილ-გაგრატიონ- მუხრანელისადმი №1 (814)

6<sup>ო</sup> Июня 1873. Тифлис.<sup>1</sup>

Моя милостивая Тётушка, К<sup>а</sup> Елисавета Николаевна  
Мухранская<sup>2</sup>

Вы всегда умели с приличіем и достоинством избегать, устранять от себя переписку со мною. Я досадовал, но молчал. Теперь же, сударыня, рады нерады, а тоже самое приличіе, вами

столь боготворимое, обязывает вас ответом ко мне. И вот, наконец, когда убедите[с]ь<sup>3</sup> вы, что судьба сильнее человека!<sup>4</sup> К чему же послужили вам все ваши обеты и клятвы никогда не писать ко мне? Разве я зачумлённый? Теперь, видите, как дело, даже помимо вашей воли и желанія совершается само собою. Так, в этом міре все мы, даже и вы, живем под властью тысяча разнообразных внешних вліяній! Вот и вы, моя горделивая тётушка, делать нечего, а должны, хоть и с нахмуренными бровями, снизойти на ответ ко мне, а я – люблю откровенность, говорю теперь же – что с злобною улыбкою буду читать не только для себя, про себя, но понесу ваше письмо ко всем моим знакомым, незнакомым, и буду читать его громко, громко,<sup>5</sup> сколько есть силы, до охрыпленія. Вот как я чистосердечен пред вами; а вы?.. у вас никогда не было сердца, откуда же возьмется чистосердечіе? Сам К: Трубецкой подтвердит это. А жаль, что этот великій недостаток так видимо отражается в вас! Женщина без сердца, неправдали, странное явленіе? И многое, многое хотелось бы мне сказать не в похвалу вам – по принципу чистосердечія – но, оно вами не уважается и притом всётаки остерегаюсь гнева моей гордой Тетушки.

После всего вышесказаннаго, так яснее, вышереченнаго – слова вашего друга Исака – я обращаюсь к делу, которое состоит только в том, чтобы вы, вашими золотыми пальцами, подписали две присылаемые при этом бумаги, слово в слово, как означены карандашом.

Дело кажется неособенно трудное, даже для вас, избалованной жизнью; но, знаю, непременно скажете «когда подписать? Право нет времени, я должна ехать к...»<sup>6</sup> всёравно подпишу завтра». А знали ли, что эта подпись имеет весьма тесную связь снашим давно желанным планом путешествовать по Европе? Подпишите скорее, ведь 100/т: р:, о, о, голова

кружится от избытка счастья. Быть в Вене, у подошвы Везувия, в магазинах Парижа! Подпишите скорей, скорей!!

კონიას ჩამიკოცნე ჩემმაგიერ. Верьте моей искренней к вам привязанность.

## ელისაბედ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ- მუხრანელისაღმი №1 (814)

იენისის 6<sup>სა</sup> 1873. ტფილისი.

ჩემო მოწყალეო ძალუავ, კნ<sup>ა</sup> ელიზავეტა ნიკოლაევნა  
მუხრანსკაია

თქვენ ყოველთვის ძალგიძდათ თავაზიანად და ღირსეულად დაღწეოდით [ამას], თავიდან მოგეცილებინათ ჩემთან მიმონერა. მე ვწუხდი, მაგრამ ვდუმდი. ან კი, ქალბატონო, გინდათ თუ არა, სწორედ ის თავაზიანობა, აგრერიგად რომ აღმერთებთ, გავალდებულებთ მიპასუხოთ. და აი, ან კი, ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდებით, რომ ბედი ადამიანზე უფრო მძლეა! რილასთვის გინდოდათ ყველა თქვენი აღთქმა და ფიცილი, რომ აღარასოდეს მომწერდით? ჭირიანი ვარ განა? ან ხედავთ, თუ როგორ თავისით მიედინება საქმე, თქვენი ნებასურვილის გარეშეც კი. აგრე, ამ წუთისოფელში ჩვენ ყველანი, თქვენც კი, ვცხოვრობთ ათასგვარ გარე ვითარებათა ტყვეობაში! აი, თქვენც, ჩემო თავ-მომწონე ძალუავ, სხვა გზა რომ არა გაქვთ, თუნდაც წარბმეკრულმა, უნდა მოიღოთ მოწყალება და მიპასუხოთ, მე კი – მიყვარს გულწრფელობა, ახლავე ვამბობ – რომ ბოროტი ღიმილით ნავიკითხავ ხოლმე არა მხოლოდ ჩემთვის, ჩუმად, არამედ მიგუტან თქვენს წერილს ყველა ჩემს ნაცნობს, უცნობს და წაგუკითხავ ხმამაღლა, მთელი ძალღონით, ხმის ჩახლეჩამდინა. აი, რაოდენ გულწრფელი ვარ თქვენთან; ხოლო თქვენ?.. თქვენ

არასოდეს გქონდათ გული, საიდანღა გაჩნდებოდა გულწრფელობა? თავად კნ: ტრუბეცკოი დაგვიდასტურებს ამასა. დასანანი კია, რომ თქვენი ესოდენ დიდი ნაკლი აგრე ცხადად გამოსჭვივის. განა უცნაური მოვლენა არ არის უგულო ქალი? და მინდა, რომ ბევრი, ძალიან ბევრი გითხრათ არა თქვენს საქებრად – გულწრფელობის კვალობაზე – მაგრამ მას პატივს არა სცემთ და, ამასთანავე, მაინც ვერიდები ჩემი ამაყი ძალუას რისხვასა.

ყოველივე ზემოთქმულის, უფრო სწორედ, როგორც თქვენი მეგობარი ისაკა იტყოდა, ზემორეთქმულის მერე, გადავალ საქმეზედ, რომელიც მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ თქვენ თქვენის ოქროს თითებით ხელი მოაწეროთ თანდართულ ორს ქალაღდას, ზედმინევენით, როგორც მონიშნულია ფანქრითა.

საქმე, მგონი, არც იმდენად რთულია, თქვენთვისაც კი, ცხოვრებისაგან განებივრებულისთვის; მაგრამ ვუნცი, უცილობლად იტყვი: „როდის მოვანერო? ნამდვილად არა მცალია, ...სთან ვარ წასასვლელი, სულერთია, ხვალ მოვანერ“. თუმცა იცით განა, რომ ამ ხელმონერას აქვს ერთობ მტკიცე კავშირი ჩვენს ევროპაში მოგზაურობის დიდი ხნის სასურველ გეგმასთან. მალე მოაწერეთ, 100 / ათ: რ: ხომ, აჰ, აჰ, თავბრუ მესხმის მეტისმეტი ბედნიერებისაგან. ვენაში ყოფნა, ვეზუვის ძირას, პარიზის მალაზიებში! მოაწერეთ ჩქარა, ჩქარა!!

კონიას ჩამიკოცნე ჩემმაგიერ. გწამდეთ ჩემი თქვენდამი გულწრფელი ერთგულებისა.

## **ნიკო ჭავჭავაძისაღმი №5 (815)**

ჩემო საყუარელო ნიკო! ამ ბარათს მოგართმევსთ კარატელი თებელოს შვილი და ალდამის შვილი. ამათი მამები იყუნენ ჩემნი ნოქრები თავდადებით ერთგულნი მაშინ, როდესაც შამილა იყო დიდების სიმალლეზე მჯდომარე. – ახლა

ესენი მთხოვენ ჩემს შუამავლობას შენს წინაშე, და ამით მივხვდი, რომ უთოოდ აქუსთ რამე დანაშაული, რომლისა გამოძიებაში აღარ შევედი.

მამების ერთგულებით სამსახურისათვის გავედრებ შვილებსა, თუ ამათ<sup>1</sup> მძიმე დანაშაული არა ჰქონდესთ, კარგად დატუქსოთ და დაარიგოთ, რომ შემდეგში აღარა ვინ უშველის დასჯისაგან, და ამჟამად ამით დააბოლოვო რისხუა შენი, თუ, მართლად, არიყუნენ მძიმედ დამნაშავენი.

ამ წერილს ვათავებ ასე მალე იმიტომ, რომ ჭაეტონი მზად არის, ვჯდები და მივდივარ ტაბახმელას გასაგრილებლად, თუმცა ქალაქშიაც ჯერ არა ცხელა დროდროზე წვიმებისგამო.

სოსიკოც თავის ქულჭათით იქვე ამოდის; კოჯორზე არის მირსკიანნი, პიატიგორსკში აპაჩინიანნი, ივანოვეები, ოგლობჟიოები და საგინანნი.

ქალაქშიკი დიდი რაზბონიკობა არის.

სოფიო და ივანე სიყუარულით მომიკითხე; შენი ძმა აქ იყო და, დავითთან ერთად დღეს წავიდნენ კახეთს.

ყაფლან კოდაზე ბძანდება.

ღ<sup>ა</sup>თი<sup>2</sup> იყოს შენი მფარველი.<sup>3</sup>

შენი მარადის გრიგოლ ორბელიანი

1<sup>ს</sup> ივლისს  
1873 თბილის[ი].<sup>4</sup>

## მისიელ ალექსი-მისსიშვილისადმი №3 (816)

ჩემო ბატონო,  
საყუარელო მიხეილ!

დიდად ვერიდებოდი თქუჴსნს შენუხებასა ჩემის თხოვნი-  
თა, მაგრამ მაინც კიდევ ვერ აგცდათ, და აი გთხოვ მომისმი-  
ნოთ, და თუ შეიძლებოდეს, შემენიოთ თქუჴსნის ცოდნითა,  
ვითარცა მცოდნე ჰსჯულის კანონებისა.

19<sup>ა</sup> ამ თვისას მოჴხდება სუდისაგან გამოძიება განსვენე-  
ბულის ალექსანდრეს სახლის ალაგზე ენაკოლოფოვის საჩივა-  
რის ძალითა; ამისთვის გთხოვ, რომ მიიღოთ შრომა და იყუნეთ  
ამ შემთხუჴვაში ჩემი პოვერენნი ადვოკატი,<sup>1</sup> რადგანაც უფა-  
ლი ციბულსკი,<sup>2</sup> მგონია, აქამდის ნავიდოდა კიევში, თუ ოდეს-  
საში, და აღარცა მე მინდა. 19<sup>ა</sup> დილით მეც გაიხლები ქა-  
ლაქში, სადაცა იმ დროს იქნებიან მზად მონმებიცა;<sup>3</sup> და თუ  
გნებავთ ესენი ნახოთ ადრევე, უბრძანეთ ჩემს მსახურსა სო-  
სიკოს.

ამისგამო საჭირო არის: 1) დამინეროთ დოვერენოსტი  
თქუჴსნს სახელზე და გამომიგზავნოთ ხელის მოსანერად; 2)  
თუ საჭირო იყოს გამოცხადება უნინდელის ადვოკატის გა-  
მოცვლისათვის და დოვერენოსტის დარღვევისათვის და არზი-  
სა სუდში შეტანა, ესეცა დამინერეთ და გამომიგზავნეთ; და  
3) ამ საქმეზე<sup>4</sup> ქალაღდები მომირთმევიან ბესარიონ მლუდე-  
ლის ხელითა.

ადრევეც მოგახსენე, რომ ამ საქმეზე პოლიციამ 1847  
წელსა მოახდინა გამოძიება, რომლითაცა გამოაჩინა ალექსან-  
დრეს სიმართლე, აჴყარა გლეხები, და ალექსანდრემ მისცა  
იმათ შენობის ფასი; ზოგნი ერთნი კიდევ მაინცა დარჩნენ და  
არ გადიოდნენ; ალექსანდრემ კიდევ იჩივლა, პოლიციამ კი-  
დევ გამოიძია და კიდევ დანარჩენნი აჴყარა. ამათაც ალექსან-  
დრემ მისცა შენობის ფასი და ნავიდნენ, და დაბოლოვდა

ამით; მერმე ალექსანდრემ ააშენა სახლები. – ასე გახლავს ამ საქმის ისტორია სწორე და ჭეშმარიტი.

და ახლა არ ვიცი, კანონიერად შვრება სუდი, თუ არა, რომ მესამედ იძიებს ერთსა და იმავე საქმეს მონმებითა? და ანუ ოცდახუთის წლის შემდეგ სადღა უნდა იყუნენ დამსწრე მონმები? განა მონმები უთოოდ უნდა იყუნენ უკუდავნი? – თუ ენაკოლოფოვსა ჰქონდა სიმართლე, მაშინვე, პოლიციის გამოძიების შემდეგ, უნდა სუდში ეჩივლა ისკოვის არზითა. მახლაზ, თქუჴნ უკეთ მოგეხსენებათ. –

ამ წიგნს ვათავებ იმითვე, რითაც დავინყე: ჩემის ხვეწნი-თა, რომ შემეწიოთ ამ საქმეში, სულ ერთის საათის მეტი არ იქნება, მგონია, ჯერ ამ შემთხუწვაში; და თუ, უთოოდ და უთოოდ, 19 მდის<sup>5</sup> მოგიხდებათ წასვლა კახეთში, მაშინ, რა გაეწყობა; მაგრამ ეს მაინც მიყავით სიკეთე, რომ ვისაც მიენ-დობოდეს თქუჴნი გული, იმას გარდაეცით ეს საქმე და იმის სახელზე დამინერეთ დოვერენოსტი და გამომიგზავნეთ.

თქუჴნი მარადის ბედნიერების მსურველი, და მოსამსახურე  
თ<sup>6</sup> გრიგოლ ორბელიანი

12<sup>ს</sup> ივლისს 1873  
ტაბახმელა.<sup>7</sup>

## **ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანისადმი №59 (817)**

Юлия 26<sup>ое</sup> Табахмела 1873 г.<sup>1</sup>

Мой друг Варвара! Ты, конечно, и невоображаешь, как я был обрадован твоим сердитым письмом. Читая его я хохотал от души. И вспоминал я, в ония времена, наши послеобеденные споры, когда, я так старательно, так усердно, хлопотал о том только, чтоб разсердить тебя. Ну, прости же меня, если, когда



либо, я огорчил тебя словом, делом, помышлением; ты ведь Христианка! Но, теперь, клянусь тебе, я не имел ни малейшаго желанія огорчить тебя, ни малейшей мысли недоверять твоим словам, и когдаже я недоверял тебе? в этом случае, ты грессишь предо мною и небом<sup>2</sup> и должна покаяться. Я только непонимал, недоумевал относительно странности экзаменов, которые начались с конца и идут к началу. Согласись, что это не в порядке вещей, и потому желал только разъясненія этой странности, более ничего. Когдаже последнее твое письмо – сердитое – дало мне полный ответ, теперь, я знаю в чем дело; вот и всё! Но, не лучшели было тебе сначала сказать мне стою же подробностью? Небыло бы моего недоразумения. Ну, матушка, не сердись! –

Я на лето поселился в Табахмеле, в доме Лизы Мухр., в котором, когда то, мы жили с Георгіем. Здесь же в деревне находится Сосико с матерью и сестрою Софією. Климат – чудо, вода – из источника безсмертія. Знаешь ли, что бедная теперь<sup>3</sup> Табахмела была любимое летнее пребываніе Царицы Тамары, здесь она родила Лаша Георгія, а ты и не хочешь взглянуть на эту местность. Кетевана осталась в Тифлисе при больной ея племянницы Тасо. По воскресеням, я уезжаю в Коджори на обед к Мирским, у которых гостят<sup>4</sup> дочери их Нина с дочерью, а Майко с сыном Джамбакуром, моим Крестником. В Кисловодске находятся Опочинины, Ивановы, Оглобжію, Сагиновы; в Боржоми, Тамара и Елена с мужьями, а Како без мужа, Лиза Мухран: на время,<sup>5</sup> Гр: Левашева, Карпека, Абесаломова, словом Боржом разцвел хорошенкими женщинами, из коих, конечно, каждая имеет свою партію Поклонников; Ну, само собою разумеется, тутже невольню порождается зависть, шушуканье, лицемерныя улыбки, колкости остроумія, и подчасть и злословіе,<sup>6</sup> словом полная

жизнь, как следует ей быть на водах. Давид уехал в Цинандали, Каплан в Коди.

Лучезарному Шаху благоугодно проехать чрез Тифлис в Персію и осветить нас счастием трехдневнаго своего здесь пребывания. По этому случаю, составляется великій план, чем занять, развлечь Шахин Шаха, Царя Царей, Око вселенной? Живо чувствуется отсутствіе Гр: Сологуба, котораго творческій ум при этом случае выказалсябы во всем блеске вкуса и красоты. Задача, в самом деле, трудная, в особенности, после всего, чем Европа могла похвалиться<sup>7</sup> пред Шахом, чтоже Тифлису остается к приёму его Святости.<sup>8</sup> Кибла Аляма, молелня Мира?!!

Ну, как поправилось твое здоровье после ванн и вообще леченія? Я думаю, ты очень потолстела, сила явилась в тебе могучая, Георгія одною рукою поднимаешь? От души цалую вас обоих и призываю на вас благословеніе Божье. Что поделявает мой благородный друг К: Николай Мирскій, где Ванო с женою, здоровы ли? Давно Ванო непишет ко мне.

## **ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანისადმი №59 (817)**

ივლისის 26<sup>ა</sup> ტაბახმელა 1873 წ:

ჩემო მეგობარო ვარვარა! შენ, რა თქმა უნდა, ვერც წარმოიდგენ, როგორ გავიხარე შენი ჯავრიანი წერილითა. მისი კითხვისას გულიანად ვხარხარებდი. და ვიხსენებდი უწინდელი დროის ჩვენს სადილისშემდგომ კამათებს, როცა მე აგრე ბეჯითად, აგრე გულდადებით ვცდილობდი მხოლოდ იმას, რომ გამეზრახებინე. აჰ, მომიტევე, თუკი ოდესმე გამიმწარებინარ ნათქვამით, საქმით, ზრახვით, შენ ხომ ქრისტიანი ხარ! მაგრამ ამჯერად, გეფიცები, არა მქონია უმცირესი სურვი-

ლიც კი შენი გამწარებისა, უმცირესი ფიქრი, რომ არ მერ-  
წმუნა შენი სიტყვები, ან როდის ყოფილა, რომ არ გენდობო-  
დი: ამ შემთხვევაში შენ სცოდავ ჩემთან და ზეცასთან და უნ-  
და მოინანიო. მე ვერ ვიგებდი უცნაურობას იმ გამოცდები-  
სას, რომლებიც დაიწყო ბოლოდან და მიდის დასაწყისისკენ.  
დამეთანხმე, რომ ეს არ არის წესი და ამიტომ მენადა ამ უც-  
ნაურობის მხოლოდ განმარტება, მეტი არაფერი. და როცა  
შენმა ბოლო წიგნმა – ჯავრიანმა – სრულყოფილი პასუხი  
გამცა, ან ვუნცი, რაშია საქმე და მორჩა! მაგრამ განა არ გი-  
ჯობდა თავიდანვე გეთქვა ჩემთვის ამგვარადვე დანვრილე-  
ბით? აღარ გავოგნდებოდი. ეჰ, დედილო, ნუ ჯავრობ!

მე ტაბახმელას გადაველ საზაფხულოდ, ლიზა მუხრ:<sup>ლ</sup>  
სახლში, რომელშიაც ოდესღაც მე და გიორგი ვცხოვრობდით.  
აქვე სოფლად არის სოსიკო, დედასთან და დასთან, სოფიოს-  
თან, ერთად. ჰავა სასწაულებრივია, წყალი კი უკვდავების  
წყარო. თუ იცი, ნეტავ, რომ დღევანდელი საბრალო ტაბახმე-  
ლა საყვარელი საზაფხულო სამყოფელი იყო თამარ მეფისა,  
აქ ეყოლა მას ლაშა გიორგი, შენ კი ნახვაც არა გსურს ამ მი-  
დამოსი. ქეთევანი თბილისს დარჩა თავის ავადმყოფ დისშვილ  
ტასოსთან. კვირაობით სადილად კოჯორს მივდივარ ხოლმე  
მირსკებთან, ვისთანაც სტუმრობენ მათი შვილები, ნინა ქა-  
ლიშვილითურთ, ხოლო მაიკო ვაჟით, ჯამბაკურით, ჩემი ნათ-  
ლულითა. კისლოვოდსკუმი იმყოფებიან ოპოჩინინები, ივანოვე-  
ბი, ოლლობჟიო, საგინოვები; ბორჯომს – თამარი და ელენე  
ქმრებით, ხოლო კაკო უქმროდ, ლიზა მუხრან: – დროებით,  
ღრ: ლევაშევა, კარპეკა, აბესალომოვა, მოკლედ, ბორჯომი  
ხარობს ეშხიანი მანდილოსნებით, რომელთაგან, რა თქმა უნ-  
და, ყველას გააჩნია თავყანისმცემელთა საკუთარი პარტია;  
აბა, თავისთავად ცხადია, მაშინვე უნებლიეთ ჩნდება შური,  
მითქმა-მოთქმა, პირმოთნე ღიმილები, ენამოსწრებულობანი  
და ხანდახან სიტყვამრუდობანი. ერთი სიტყვით, სავსეა  
ცხოვრება, როგორიც ეგების კიდევაც იყოს წყლებზედა. და-  
ვით წაბრძანდა წინანდალს, ყაფლან – კოდასა.

სხვიმოსილ შაჰსა ჰსურს თბილისის გავლით ჩავიდეს სპარსეთს და ბედნიერების შუქი მოგვფინოს აქ თავისი სამდღიანი ყოფნითა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მთელი ამბავია, რით შეაქციონ, გაართონ შაჰინ შაჰი, მეფეთ მეფე, ქვეყნიერების ჭიბი. ერთობ საგრძნობია არყოფნა ღრ: სალალუბისა, რომლის შემოქმედი გონება ამ შემთხვევაში გამოვლინდებოდა გემოვნებისა და მშვენიერების მთელი ბრწყინვალეობითა. ამოცანა მართლაც რთულია, განსაკუთრებით იმ ყველაფრის მერე, რითაც ევროპამ შეძლო თავი მოეწონებინა შაჰისტვის. ტფილისს რაღა დარჩენია მისი ბრწყინვალეობის მისაღებად. ყიბლა ალამა, სამლოცველო სამყაროსი?!!

აბა, როგორ გამოგისწორდა ჯანმრთელობა აბაზანებისა და, საერთოდ, მკურნალობის შემდეგ? ვჰგონებ ძალზედ მოსუქდი, ჯანი მოგანვა, გიორგისაც ხომ ასწევ ცალი ხელითა? გულითა გკოცნით ორივეს და ღმერთსა ვთხოვ დაგლოცოთ. რასა იქმს ჩემი კეთილშობილი მეგობარი კნ: ნიკოლაი მირსკი, სად არის ვანო ცოლითურთ, ჯანზე თუ არის? რა ხანია, აღარ მწერს ვანო.

## ირაკლი ბაბრატიონ-ბრუზინსკისადმი №1 (818)

ტაბახმელა. 3 აგვისტო: 1873.<sup>1</sup>

ჩემო ბატონო ერეკლე! აგრე არ უნდა, თორემ თქუჴნი ნება არის და ანუ რა შეგვიძლიან, თოფს ხომ ვერ გესვრი? და სხუა ღონე ვერა მომიგონიარა მისმეტი, რომ თქუჴნთანვე ვიჩივლო თქუჴნზე. ჰო, სწორედ წაბძანდით ბორჯომს – ღთმა? ჴელი მოგიმართოს – მაგრამ მაგიტომ რაო? მითომ რა ნახეთ ბორჯომში ისეთი რაჲმე გასაკვირველი, რომ გულით, გონებით გართულმა ასრე უწყალოდ დაგვივიწყეთ? წაბძანდით და მოგუარტყით ქუა და არცა ერთის სიტყვით აღარ გაგვიკითხეთ! – ახლაკი დროა, რომ მოგვიგონოთ, შემოიხედოთ აქე-

თაც, ქართლ-საქრისტიანოსაკენ, გაგვახაროთ თქუწნის ორი-  
ოდ სიტყვითა, თქუწნის ამბითა, როგორ გარგოთ ბორჯომის  
ჰაერმა, ანუ წყალმა, და ანუ თვთ საზოგადოებამ! ჩემი ქალ-  
ბატონი როგორს ქეიფზე ბძანდება? ბაგრატიონთ სევდები,  
ჟინები ხომ არ გამოსჩენია? ჩემმაგიერ ჩამიკოცნეთ და კურ-  
თხევა უფლისა იყოს მარადის მაგასთან განუშორებელ!

მე, განდევილ ბერსავით, ვარ მარტო ტაბახმელას, რომ-  
ლისა ჰაერი და წყალი მართლად საქებელია. ეს ადგილი ყო-  
ფილა საყუარელი საზაფხულო თამარ მეფისა<sup>3</sup> და აქვე დაიბა-  
და ლაშავიორგი.<sup>4</sup> მამ, როგორ არ უნდა მეცა მიხაროდეს აქ  
ყოფნა? სალამ-სალამოდ მივდივარ სოსიკოსთან, რომელიცა  
ჰსდგას ამავე სოფელში თავის სახლობით: ხანდახან კოჯორ-  
ზედაც ავდივარ მირსკისას და ასე ვატარებ დროსა. იყო ჩემ-  
თან ერთხელ ისაკიცა,<sup>5</sup> ვიარალაშეთ, ვისადილეთ, კიდეც ვია-  
რალაშეთ, კარგადაც დავბეჟეთ და ისე გავისტუმრეთ თბი-  
ლისს, სადაცა, ხომ მოგეხსენებათ, ამას ყოველთვის, ей Бог  
дела ...

აქ, ჩემს უდაბნოშიაცა, მოახნია ამბავმა, რომ დიდი ყანეი  
გაგვაბედნიერებს თბილისში სამის დლით განსვენებითა. სა-  
ქართველოს ყეენებისაგან უნინაც შენუხების მეტი არა უნა-  
ხავსრა, და ახლაც, ამ სიცხე-პაპანებაში უნდა ჩაგვათრიოს  
სიგრილეში გასულნი ანთებულს ქალაქში. თქუწნ ესა ბძანეთ,  
რა უნდა აქა ჩუწნთან, და რითი შეაქციონ იგი, რომელსაცა  
ევროპამ უჩუწნა ყოველი, რაეცაკი აქუს მართლად გასაკვირ-  
ველი საჩუწნებელად? რაეცაკი შეუქმნია ანუ სწავლასა და  
წელოვნებასა, ანუ ძლიერებასა და სიმდიდრესა, ანუ გემოვნე-  
ბასა და მორთულობასა? ახლა საბრალომ თბილისმა, რით  
უნდა გაართოს ყეენის თვალი, გონება, გული სამს დღეს?  
მართლად, დიდი მოგონება უნდა, და შაბამ კომიტეტსა, თუ  
ეს მეტად ძნელი საქმე აღასრულა კეთილად!

უგანათლებულესსა ბატონის რძალს მოვახსენებ ჩემს ჭემ-  
მარიტად უღრმესს პატივისცემასა; ეგრეთუწ თამარს, კაკოს  
და ელენას სიყუარულითა მოვიკითხავ. მგონია, ელენას ქმარი

აქამდის გოლიათი შეიქნებოდა.

ახ! ნეტავი იცოდეთ, ეს წერილი ვინ გამაშვებინა და მომაცდინა მთელი დღე? აი ბედი!

ბატონო, მომახსენა ჩემმა სოლომონკამ, ვილაცა ზოლოტარევი გიახლათ და ჰსურს თქუჴნი ნახვა?

მობძანდეს!.. მაგრამკი ცუდად, უგემურად, დავიბლარჯე.

და შემობძანდა მორთული მონადირეს<sup>6</sup> ტანისამოსით თქუჴნი საყუარელი ზოლოტარევი! – დიახ კარგი, მე არ გეცილებით ამას, იყოს თქუჴნი საყუარელი; მაგრამ, მაგრამ ჩემი რა ბრალია, რომ მე, ვითარცა მასპინძელსა, მაქუს მოვალეობა, რომ გავანებიერო, გავაგრილო, შევაქციო სხუა და სხუა ანეგდოტების მოგონებითა, ეს მოულოდნელი სტუმარი, რ~ლისა<sup>7</sup> წასვლ[ა], სწორედ მოგახსენო, და ან რა მოგახსენო? მახლაზ. ეს დღე ჩემთვის ნავიდა შხამად და ბრაზად. არც ეხლა შემიბრალებ? –

რასა იქს ჩუჴნი როტშილდი ალექსანდრე, ვერ გასუქდა? აქამდის შრომობდა ფულისათჴს, ხომ იშოვნა ვეება საუნჯე! ახლა დროა იზრუნვოს, რომ ცოტაც არის გასუქდეს, ღონე მიეცეს: სიცოცხლისათჴს არ უნდა ფული? მამ პატარა გასუქდეს გალონიერდეს და?

ღ~თი<sup>8</sup> იყოს თქუჴნი მფარველი, და გახსოვდეს თქუჴნი მარადის ერთგული და ბედნიერების მსურველი, მოსამსახურე. –

## ღიმიტრი ყიჴიანისაღმი №1 (819)

8<sup>10</sup> Авг: 1873.<sup>1</sup> Табахмела.

Мой друг К: Дмитрій Иванович! Сижу я и думаю, долго, долго думаю о том, как сделать, чтоб письмо это вышло так, мягко-кротко, так нежно, чтоб при чтении его невозмутилось ваше спокойствие неожиданно, не нахмурились ваши брови,

неиспортить вашего аппетита, к которому так усердно располагает Коджорский воздух! – Но, при этом глубоко чувствую, что это быlobы не в порядке вещей, выше сил человеческих, потому что самая сущность моей просьбы так жестка, так ненавистна всему роду человеческому, что нет возможности принять её, хоть маломальски, снисходительно! Я говорю, ... т: е: я только имею намерение сказать ... но ...<sup>2</sup> как сказать, возвратите мне мои деньги? Уф, гора свалилась с плеч! Однакожь, пожалуста, не вскакивайте с кресел, не пройзнесите еще решительнаго ответа, пока не прочтете далее письма, в котором найдете, быть может, такіа комбинаціи для соглашенія и следов: для мирскаго исхода этого дела, которыя, с моей точки зренія, уже нетак возмутят, неперевернут свё находящееся во внутренности человека! И вот, во 1) Я предлагаю исполнить мою просьбу не теперь, и не завтра, а к 20 Сент.; даже можете продлить до 25<sup>го</sup>.

2) Зная, по горьким опытам, слабость большей части человеческих карманов, и в особенности в Грузии, я предлагаю, если к тому времени неможете возвратить всей суммы, то имеете полное право прислать мне  $\frac{5}{т:}$  р:

3) Но, неровен час, и быть может, эта сумма также окажется для вас не совсем удобоуплачиваемою, так и быть, остановитесь на  $\frac{3}{т:}$  р: – Но с условіем, чтобы ваши нахмуренныя брови разгладились, из глаз исчезли искры гнева и досады, и за обедом нечувствовалось ничего невкуснаго, ничего неприятнаго в желудке.

Этим вы действительно обяызалибы меня великою благодарностью, так как спаслибы меня от несносных объясненій с Директорами Коммерч: Банка, в глазах которых я должен оказаться вдруг несостоятельным, тогда как я в книгах их значусь: К: Григ: =  $\frac{60}{т:}$ . Тамже значиться К: Мирскій =  $\frac{60}{т:}$ . –

Значит, на золотых весах Оникова, т: е: Коммерч: Банка, мы составляем не маловажную тяжесть! Конечно, Мирзоев = Миллиону, но, Мирзоевы – редкость, они – Геніи, властители Міра Сего! Мирзоев – Куп Нур + Дарія Нур!

Всю жизнь я хлопотал о том, чтоб небыть никому должным; и вот, всё таки попался, и теперь должен уплатить  $\frac{11}{7}$  р., которые я никогда незанимал!! Татары говорят «Сан Саяни кон калсыр, Горяк фалак на Саяр!» Оставь разсчеты, посмотрим как судьба рассчитает. – Эту грустную историю о долге я расскажу вам при свиданіи, а теперь будьте моим спасителем.

## დიმიტრი ყივანიანისადმი №1 (819)

8<sup>ა</sup> აგვ: 1873. ტაბახმელა.

ჩემო მეგობარო კნ: დიმიტრი ივანოვიჩ! ვზივარ და ვფიქრობ, დიდხანს, დიდხანსა ვფიქრობ იმაზედ, თუ როგორ მოვიქცე იმგვარად, რათა ეს წერილი გამომივიდეს იმდენად რბილი და თვინიერი, იმდენად ნაზი, რომ მისი კითხვისას მოულოდნელობისა გამო არ დაგერღვეთ სიმშვიდე, არ შეგეკრათ წარბები, არ წაგიხდეთ მადა, რომელსაც ესოდენ ახელებს კოჯორის ჰაერი! – მაგრამ, ამავდროულად, გულის სიღრმეში ვგრძნობ, რომ არ გამომივა, ეს ადამიანურ შესაძლებლობებზედ მაღლა დგას, რადგან იმდენად მკაცრია თავად ჩემი თხოვნის არსი, იმდენად საძულველი კაცთა მოდგმისთვის, რომ შეუძლებელია მისი მიღება თუნდაც რამენაირი მოწყალებითა! მე ვამბობ, .... ანუ ოდენ განზრახული მაქვს ვთქვა .... მაგრამ .... როგორა ვთქვა, დამიბრუნეთ-მეთქი ჩემი ფული? უჰ, როგორ მომეშვა! თუმც, გეთაყვა, ნუ შეხტებით სავარძელში, ჯერ ნუ იტყვით გადამწყვეტ სიტყვას, სანამ არ ჩაიკითხავთ წერილს, სადაც, შესაძლოა, აღმოაჩი-



ნოთ იმგვარი კომბინაციები შეთანხმებისათვის და, აქედან გამომდინარე, ამ საქმის მშვიდობიანი მოგვარებისათვის, რომლებიც, ჩემის ჰაზრით, უკვე არც ისე განგაცვიფრებენ, არ აღრევენ რა ყველაფერს კაცის შინაგან ბუნებაში! და აი, ჯერ 1) მე გთავაზობთ ჩემი თხოვნა შეასრულოთ არა ახლავე, ან ხვალ, არამედ 20 სექტემბერს, 25<sup>დღე</sup> კი შეგიძლიათ განელოთ.

2) მწარე გამოცდილებით რომ ვუნცი კაცთა ჯიბების სიცარიელეზე და განსაკუთრებით საქართველოში, მე გთავაზობთ, თუკი მანამდინ არ ძალგიძთ მთელი თანხის გადახდა, მაშინ გაქვთ სრული უფლება, გამომიგზავნოთ  $\frac{5}{3}$  რ:

3) მაგრამ, ვაითუ თქვენთვის არც ეს თანხა აღმოჩნდეს მთლად სასიამოვნო გადასახდელი. კარგი, შეჩერდით  $\frac{3}{3}$  რ:-ზედ. – მაგრამ იმ პირობით, რომ თქვენი შეკრული ნარბები გასწორდება, თვალთაგან გაქრება მრისხანებისა და წყენის ნაპერწკლები და სადილობისას არ იგრძნობთ რასმე უგემურს, რასმე უსიამოს თქვენს მუცელში.

ამით მართლაც დამავალბდით და დიდად მაღლიერი დავრჩებოდი, ვინაიდან მიხსნიდით აუტანელი განმარტებებისაგან კომერ: ბანკის დირექტორთან, ვის თვალშიც მე მოულოდნელად უნდა აღმოვჩნდე უქონელი, მაშინ როცა მათს წიგნებში მონიშნული ვარ: კნ: გრიგ: =  $\frac{60}{3}$ . იქვეა მონიშნული

კნ: მირსკი =  $\frac{60}{3}$ . – მაშასადამე, ონიკოვის, ანუ კომერ: ბანკის ოქროს სასწორზედ ჩვენ გაგვაჩნია ანგარიშგასანევი წონა! რა თქმა უნდა, მირზოევი = მილიონს, მაგრამ მირზოევები იშვიათობაა, ისინი გენიოსები არიან, ბატონ-პატრონები ამა ქვეყნისანი! მირზოევი – კუპ ნურ + დარია ნურ!

მთელი სიცოცხლე ვცდილობდი, ვალში არავისთან ვყოფილიყავ და, აი, მაინც გავები, და ან უნდა გადავიხადო  $\frac{11}{3}$  რ:, რომელიც არასოდეს ამიღია ვალადა!!! თათრები ამბობენ: „სან საჰანი კონ კალსირ, გორაქ ქალაქ ნა საჰარ!“ თავი ანე-

ბე ანგარიშს, განგება თავად გიანგარიშებსო. – ამ სევდიან ისტორიას ვალის შესახებ შეხვედრისას მოგიყვებით, აწ კი მომევილინეთ მხსნელადა.

## ყაფლან ორბელიანისადმი №20 (820)

ჩემო ბატონო, ძმაო ყაფლან! გუშინ სოსიკოსაგან შევიტყვე ძალუა ელისაბედის ავათმყოფობა ციებითა, და დასუსტებითა. ვჰსწუხვარ და მიკვირს, რას უზიხართ კოდასა, სადაცა არცა წამალია, და არცა ექიმი; რატომ არ ჩადიხართ ქალაქში? სიცხე აღარ არის ქალაქში; უბრალოდ დროს ნუ ჰკარგავთ, შეაბით ურემი და ჩადით, ან ჭაეტონი ამოაყვანიეთ, რომ რაოდენ ადრე ექიმი წამლობას დაუწყებს, უფრო ეგოდენ მალე მოიხედავს ავათმყოფი, და მანდა ყოფნითა აბა რა უნდა იყოს? უფრო და უფრო დასუსტდება; უიმისოდაც ძალუამ ერთბაშად დიდი სისუსტე იცის.

მომწერე, როგორ არის დღეს ძალუა, და ან ვინ ჰსწამლობს? იქნება მანდაც გამოჩნდნენ დედაკაცები და ამბობენ „მიზეზია“.

ნულარ დააგვიანებთ, ჩადით ქალაქში და შეუდევით სწორე წამლობას.

შენი მარადის ერთგული ძმა და მოსამსახურე  
გრიგოლი

ზეგ, ესე იგი კვირას, მეც მივდივარ ქალაქს, რადგანაც ყენი სამშაბათს მობძანდება.

ტაბახმელა, 10 აგვისტო 1873.

[IV გვერდზე მინაწერია:]

მის ბრწყინვალეობას,  
კნიაზს ყაფლანს ორბელიანს  
კოდას.

## ანასტასია ორბელიან-ოკლოპიოსადმი №1 (821)

ჩემო საყუარელო ტასუნო! ჩაგიკოცნი თვალებსა, შენს ნი-  
ნუცას და ელოჩკას და მოგახსენებ: ამ ნიშნით, რომ გუშინ შე-  
ნი ქმარი მოვიდა ტაბახმელას გაყმანვილებული, გალამაზებუ-  
ლი, და ამისგამო გაიშალა სუფრა და შეიქმნა ძალუა ხორეშა-  
ნისას ლხინი დიდი! დავლიეთ ჯერ სადღეგრძელო შენის  
ქმრისა და მერე შენი და შენის შვილებისა; დავლიეთ სადღეგ-  
რძელო ძალუა ხორეშანისა; დავლიეთ სადღეგრძელო ძალუა  
მაიკოსი; დავლიეთ სადღეგრძელო სოფიოსი და მერე ვანოსი  
და მის ცოლისა; დავლიეთ სადღეგრძელო სოსიკოსი; დავლი-  
ეთ სადღეგრძელო ჩემი და ძალუა ვარინკასი გიორგითურთ;  
მერე დავლიეთ „ღმერთო განაძლიერე ქართლ-საქრისტია-  
ნო!“<sup>1</sup> და ბოლოს ერთიც ზედ მივაყოლეთ ნესვებსა და ავდე-  
ქით გაბერილები! ასე ვიდღესასწაულეთ შენის ქმრის მიგებე-  
ბა.

დიდად მენყინა, რომ შენ არ იქნები აქა ყეენის მობძანე-  
ბის დღეს, 14<sup>ლ</sup> აგვისტოს. დიდი პლანები იყო ამის მიღები-  
სათვის; მეცა წარუდგინე ჩემი ჰაზრი, ასე: რადგანაც, შემდეგ  
ევროპიისა, ჩუჰნ ველარას ვაჩვენებთ ისეთს რასმე, რომელ-  
საც შეეძლოს მიზიდვა ყეენის ყურადღებისა, ამის მიზეზისა  
გამო, დავსვათ ოქროს ლანგარზე ტასო ოღლოპიო და თბი-  
ლისის გალავამ იასონმა მიართოს ყეენსა! მრავალთა მოენო-  
ნათ ეს ჰაზრი; მაგრამ ზოგიერთთა მოინდომეს თავის ცოლე-  
ბის მირთმევა, და ამაზე მოხდა დიდი ბაასი; მაინცკი ჩემი  
ჰაზრი მიიღეს. ამ დროს, სად იყო, სად არ იყო, მოულოდნე-  
ლად მოვიდა შენი ქმარი და სულ ჩაგვაშხამა! Что, что? Taco!

Нет, нет! დაინიჟა ჩემი ცოლი ჩემთვის მინდაო! მე დიდად შემცრცხვა და დაწიუმდი: სად გაგონილა ამისთანა სიტყვები?

ამით ჩაიშალა, შენის ქმრის შემწეობით, ჩემი მშვენიერი პლანი, რომლითაცა გავაკვირვებდით ქუჭყანასა და ვაამებდით ყენსა! ერთი მითხარ, რა დანიჟება იყო შენის ქმრისაგან? მითომ რად უნდისხარ და ანუ შენ ის რად გინდა? ამ ოცს წელიწადში რით ვერ გამოჰსცადეთ ერთმანეთი და აბა რა დადნა? ნახევარ[ი]² ევროპია მოიარეთ და ძლივს ერთი რალაცა ციცქნა დაბადეთ, ისიცა, ვინ იცის როგორ და საიდამ? – მაგრამ, ეხლა ეს შემთხვევაკი მეტად დიდი რამ იქნებოდა: ოქროს ლანგარზე მჯდომარე ტასო მძიმედ, გამოჭიმულად, ფაჰ, ფაჰ, კარგი კარტინა წარმოდგებოდა!

ეხლა ბორჯომში არის დიდი ამბავი, დიდი აბესალომოვობა! ყველანი განქარდენ, განყალდენ, დაბნელდენ. იქამდის მიახნია ამისმა დედოფლობამ, რომ ღრაჭინა ლევაშევა ეძებს ამის გაცნობასა და ეს უარზე ჰსდგას!!! სხუა ქალებსა აღარავინ ჰყავთ ხმის გამცემნი, სულ ამას ეხვევიან ფარვანასაებრ და იწვიან, იხრაკებან ცეცხლ-მოდებულნი. – ერთხელ აბესალომოვას, მითომ უეცრად, თაიგული ჩაუვარდა წყალში; მაშინვე ტრუბეცკოი გადავარდა წყალში, კინალამ არ დაიხრჩო, მაგრამ თაიგული დაიჭირა და მოართვა ყვავილთა მეფას, რომელმანცა აღირსა მას ღიმილი მადლობისა! ამ ერთის ღიმილითა გახარებული, სავსე იმედებითა, საბრალო ტრუბეცკოი იმ სალამოზედკი გააცივა, და ამისმა ანაზდეულად ავათმყოფობამ გააბედნიერა ურუსოვი, ტოლსტოები, ტალიზინი, და სხუანი სასახლის ამაღანი, მეტადრე გიგო სუმბათოვი.

ამბობენ და ჯერკი სწორედ არვიცი, რომ სასახლეში, როდესაც იყო მიწვეული მთლად იქაური საზოგადოება, აკლდნენ, მითომ კარპეკა და აბესალომოვა, მაგრამ არა მჯერა, რადგან კარპეკა ყოველთვის ყოფილა მიწვეული და მიღებული. მახლაზ, ბოროტი ენებიკი ასე ამბობენ.

ალექსეი პეტროვიჩი და ბაბაღე როგორ არიან შვილებითა და შვილისშვილებითა, და ახლა აღარა ფიქრობთ აქ მოსვლა-

სა? აი ახალი სიმღერა რუსული კინტოებისაგან ამოღებული:

Любость моя, скажи мне что с тобою<sup>3</sup> энтовиво?

Туды, суди, зачемь смотришь? кого ищешь энтовиво?

Любить хочешь? я здесь сижу! скажи толко энтовиво?

სწორედ გითხრა, ბევრი ვიცინე, ლაზათიანია.

ძალუა ქეთევან დარჩა ქალაქში თავის ავანტიურის ტასო-  
თი, ვერცა წავიდა ბორჯომსა და ვერცა აქ ამოვიდა. –

ესკი დამავინცდა, რომ შენი ქმარი გუშინვე წავიდა ქალაქ-  
სა საღამოზედ და თანაც წაიყვანა ძალუა მაიკო.

ლიზო და ალექსანდრე როგორ არიან, როგორ არგო ლი-  
ზას მანდაურმა წყლებმა?

ღ~თი<sup>4</sup> იყოს შენი მფარველი, შენი გრიგოლ ორბელიანი

10<sup>ს</sup> აგვისტო: 1873

ტაბახმელით.<sup>5</sup>

საბრალოს ვარინკას კიდევ ავანტიურა ჰყავს ქალი; ასეთი ფე-  
რი აქვს, რომ შეგებრალდება. უნდოდა წყალზე წამოყვანა,  
მაგრამ დაუგვიანდა და აქიმებმა აღარ ურჩიეს.

კატო, ნიკოლაი ალაპირი შვილებით სიყუარულით მომი-  
კითხე; როგორ არის მამა და როგორ ხოზაიკობს?

## ქეთევან ალექსი-მისნიშვილ-ორბელიანისადმი

№127 (822)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! დღეს წავიკითხე კავ-  
კაზის გაზეთში, რომ ვილაცა დობტორი გამოჩენილა ქალაქში  
ტელიაქუს,<sup>1</sup> რომელსაცა მოუტანია პარიჟიდან სხუა და სხუა  
მაშინები,<sup>2</sup> და ჰსწამლობს ცივის წყალითა და მოიხსენებს დი-  
დის ქებითა ამგუარ წამლობასა. სხუათა სწეულებათაშორის

ისიცა ჰსწერია, რომლითაცა ავათ<sup>3</sup> არის ჩუწნი ტასო. – გულით გირჩევ რომ ერთი დაელაპარაკო ამ ჰაქიმსა, ვნახოთ რას გირჩევთ, იკისრებს მაგის წამლობას, თუ არა? ყურს ნულარ დაუგდებთ, აი ხვალ, აიზეგ, ამაში დრო მიდის და ტასო უფრო სისუსტეში შედის. – ჩქარა დაიბარეთ დოხტორი, რომელსაცა მიხეილ ადვილად იპოვნის, და დაელაპარაკეთ. –

თქვენი მარადის გრიგოლი

25<sup>ს</sup> აგვისტოს 1873  
ტაბახმელით.<sup>4</sup>

### **ალექსანდრე საბინაშვილისადმი №13 (823)**

მომილოცავს, ჩემო საყუარელო ალექსანდრე, მშვიდობიანად მოსვლა საქრისტიანოში შენის ღიზათი, რომლისა კარგად ყოფნა შევიტყე სიხარულითა. მაგრამ ვაი შენი ბრალი, ვინლა დააყენებს სახლში „ქუწყანაში ხომ ვერ გამოვერჩევი?“ გაიმართება შენს სახლში ლოტოობა და ვეჩერები. „მაშ როგორ უნდა, თუკი ჩვენ დაგვპატიყუებენ, ჩუწნცა უნდა დავპატიყოთ; მაშ ცხოვრება როგორ არის საზოგადოებაში?“ ამ სიტყვებსა ბევრჯელ გაიგონებ ღიზასაგან და მართალიც არის: აქამდის მიზეზად იყო მაგის ავათმყოფობა, ეხლა ლთის<sup>1</sup> მოწყალებით რალა დაუშლის? თუკი ზაქარიას და კაკოს სადილად დაჰპატიყუებ, ელენეც ხომ უნდა თავის ქმრითა, ღიზა და კონიაცა, აგლობჟიო და ტასოცა; ახლა ამათთანა სოსიკო და მეცა, ჩემთან პლატონცა, გიორგიცა და ივანეცა და კიდევ სხუანი. – მაგრამ გირჩევ, რომ ორად გაყო უფრო ხშირი სადილები იქნება, და განკვირვებით იტყვიან, ეს რა დაემართა ალექსანდრესაო, და დიდის ქებით და პატივით მოიხსენება სახელი შენი.

მერე მოვა, ჩემი საყუარელი, ჩემი საკუთარი ოლინკა, ყვე-

ნისაგან ნაკოცნი – ასე შევიტყუეთ პლატონისაგან და იქნება ტყუილი იყოს – მოვა ცქრიალა ოლინკა და კიდევ გაიმართება შენსას სადილები, კიდევ ზაქარია და კაკო, მე და პლატონ, პლატონთან გიორგი და ივანე, ახლა ჩემო ბატონო, კონია და ლიზა, სოსიკო და ყაფლან, ტასო და მის ქმარი, და კიდევ ბევრნი, რომელნიცა არიან ოლინკას პატივისმცემელნი, და შეიქნება მართლად დიდი მეჯლიში ჭიანჭურებითა და მუთრუბებითა! სწორედ მოგახსენო, ძალიან მიყუარს ამგუარად შექცევა; სიმღერა ცალკე, ცალკე პლატონის რეჩები. – მეტად მომინდა, აბა ჩემო ლიზიკო, ერთი ჩქარად, ნულარ დააგვიანებ, გაგვახარე ესოდენნი მლოდელნი შექცევისა, მხიარულებისა შენგან და შენს სახლში! ესკი დამავინყდა, ბალკონი, ბალკონი!! ბალკონზე ჩაი, ვახ, ვახ!! კარგი რამ არის თქუჭნი ბალკონი, რომელსაცა ძალიან უხდება შამპანსკი, ლიზას სადღეგრძელო! – მახლაზ, ბევრს კეთილს მოველით ლიზასაგან ამ მოკლეს ხანში. – მაშინ ნახე მაგის ქება, Какая умная женщина, как умеет принимать! Как приятно бывать у неё! Поедем сегодня вечером к Сагиновой!\* – შენი სახელიკი აღარ იქნება, ჩემო ალექსანდრე; ეს არის ცოტად როგორღაც უხერხოდ, თორემ სხუაფრივ ყოველივე კარგად მოვა.

აი, ჩემო ალექსანდრე, რა სიამოვნება მოგელის ამ ზამთრივ შენის პანანა ლიზასაგან!

შენი მარადის ბედნიერების მოსურნე  
თ<sup>2</sup> გრიგოლ ორბელიანი

31<sup>3</sup> აგვის: 1873  
ტაბახმელა.<sup>4</sup>

\* რა ჭკვიანი ქალია, როგორი მიღება იცის! რა სასიამოვნოა მასთან ყოფნა! წავიდეთ დღეს სალამოს საგინოვასთან!

## დიმიტრი ფურცელაძისადმი №1 (824)

სეკდემ: 11 დღესა 1873<sup>1</sup>

დიმიტრის პეტრეს ძეს ფურცელაძეს.<sup>2</sup>

წერილსა ამას მოგართმევსთ მიხეილ საბინი[ნი],<sup>3</sup> ახლად მოსული პეტერბურლიდამ სამკაულებით, რწლნიცა<sup>4</sup> მოუგროებია რუსეთში ჩუჴნის დაჩაგრულის ეკკლესიებისათჴს.

გულით გთხოვთ, მიიღოთ ყმანვილი კაცი ესე ჩუჴულებრივის თქუჴნის ყურადღებითა, მოისმინოთ ამის თხოვნა და განზრახუა, და მისცეთ შენევნა, რომელიცა არის დამოკიდებული უფრო თქუჴნზე, ვიდრე კნ: ტრუბეცკოიზე.

საბინინი არის დიახ ნიჭიერი და ბეჯითად მოსწავლე სასულიეროს აკადემიაში, – თუმცა ექზარხოისიკი ვერა ჰსწყალობს – და ამასთანა მხურვალედ და თავდადებით შეჴსდგომია ჩუჴნის ეკკლესიის ისტორიასა და მის გამოცემას დაბეჴვდით. ჭანატიკური ამის სურვილი მომწონს დიდად და მოველიცა მომავალში ბევრს კეთილსა ჩუჴნის ისტორიისათჴს, რადგანაც, მოგეხსენებათ, საქართველოს ისტორია არის: თითქმის, ისტორია ეკკლესიისა.

რა<sup>5</sup> საკურველია, საბინინი, ვითარცა ქართველი, არის ღარიბი, და აი ეს სიძნელე როგორმე უნდა გაუადვილოთ, მეტადრე თქუჴნ. ეგებ მოიპოვოთ ღონისძიება в оищ: реллр: христ:<sup>6a</sup>, და თუ, ვინიცობაა, მანდა ვერ მოახერხეთ, მაშინ შევადგინოთ სია<sup>6</sup> და მოვაგროვოთ ფული, ვისაც რაოდენი შეუძლიან და ამით მივსცეთ შესაფერი ღონისძიება ამ ყმანვილს კაცსა აღსრულებისათჴს საქებურისა მის სურვილისა.

ერთის სიტყვით, გთხოვთ შეისმინოთ ამის თხოვნა, ამის განზრახუა მომავალისათჴს, და მაშინ რას ჰაზრზედაც დასდგებით, ისე მოვიქცეთ, ოღონდკი ამ ყმანვილ-კაცის გულსა, კეთილის განზრახვით გახურებულსა, ნუ გაუციებთ დაუდევნელობითა, და მაქუს იმედი, რომ ამ საქმიდამ დაიბადება კე-



თილი ნაყოფი ჩუშნის საბრალოს ქუცყენისათჳს.

ჭემმარიგითა პატივისცემითა ვჰგიე. –

## სოფიო ერისთავ-ორბელიანისაღმი №4 (825)

1873 სექდემ: 16<sup>ს</sup> დღ:1

ჩემო საყუარელო ძალუავ-დედავ სოფიო! შენი წერილი მივიღე დიდის სიხარულით ტაბახმელას, სადაცა განვატარე წლევანდელი ზაფხული. ჩემ მეზობლად იყო სოსიკო თავის დედით და დითა; მშვენიერი ჰაერი, უკუდავების წყარო, ნაღები, ბამბის ქულასავით თეთრი და ამასთანა მყუდროება, თავისუფლება, მყოფდენ განსვენებითა ასე, რომ ძლივს კვირაობით მივდიოდი კოჯორს სადილად მირსკისას. დიდად დამნანდა, როცა შემოდგომის სინესტემ ჩამომიყუანეს კიდევ ქალაქში, სადაცა, მერწმუნე, მაგდენი არა მიხარიანრა: ან მე ვინ მინდა, ან მე ვის უნდივარ? ვინცა იყუნენ ჩემთჳს სასიხარულოდ, ისინი აღარ არიან; ზოგნი შორს ვლენან ოხურით, ზოგნი უდროოდ განვიდენ სოფლის ღზინით. „ყველას თავის დრო ჰქონია ამ სოფელში, და ამა ზენარსის დაწესებასა მორჩილებენ ყოველნი და მეცა მათშორის.

რა ვჰქნა, როგორ არ შევჰსწუხდე, უყურებრა საქართველოს გამწარებით მდგომარეობასა? თავად-აზნაურობა გლახებითურთ დავრდომილნი უიმედოდ, უნუგეშოდ, სიგლახაკითა; ქართული ენა, დევნილი არქიერისაგან და მის თანა-მეჰაზრე ნევეროვისაგან: ერთმან აღხოცა ეს ენა ღიმნაზიაში, ახლა მეორეცა ჰსცდილობს ყოვლის ღონისძიებითა მოჰსპოს სემინარიაშიაცა; მოხელენი, ჴელ-აღებულნი ხალხის მოვლისაგან; განშირებულნი ავაზაკთა დასტები იკლებენ ხალხსა და არავის ეწუხება, და არცა არის ვინმე მკითხავი! სხუათამორის მეცკი კუმისის ბაღში დღისით დამიწვეს ავაზაკებმა<sup>2</sup> ცა-

მეტი ძირი თივა და ერთი ვეება საბძელი, სავსე ბზითა. განა ამაზე მეტი სირცხვილილა იქნება, რომ ტაბახმელელები ჯოხებით მოჰსდევენ ფოშტასა ტაბახმელის მიჯნიდამ ქალაქამდის! ოქროყანიდამ ოთხნი ყარაულნი ჰსდგანან კომბლებითა, რომ ავაზაკებმა არ წაახდინონ მიმავალნი კოჯრის გზაზე! ეს რა დროებას მოვესწარით? ნეტავ თქუჴნ, რომ დალისტანში ხართ და გული არ გისივდებათ ზაფრითა ესრეთის კეთილმზრუნველობით ხალხის მოვლითა! ქალაქშიაც ასე დაეჩვივნენ ამ სამწუხაროს ამბებსა, რომ აღარ ეთაკილებათ და აღარცა ჰგრძნობენ: რაც მოხდა, რაუყოთ? ვჴმადლობ ღმრთსა,<sup>3</sup> რომ გაჴსცარცვეს სხუა ვილაცა და არა მე! ასეა აწინდელი ცხოვრება ქართლ-საქრისტიანოსი!

მობძანდა თბილისში ქუჴყნის მნათობი, ქუჴყნის ნეტარება, შაჴინშაჴ, და წაბძანდა ბაქოზე სპარსეთში, სადაცა მივიდა თუარა, მაშინვე დაატუსალა თავის პირველი მინისტრი, სადრაზამ, მირზა ჴუსეინ ხან და გაგზავნა ყუმს<sup>4</sup> – სპარსეთის სიბირი. – სასიამოვნო სანახავი ეს იყო, როცა ყენი ამოვიდა პორტრეტის ზალაში, უკან მოჴსდევდენ ორნი გოგოები ალთაფებითა ბიჴურად ჩაცმულნი! არა, გაწაწაწ არ შეიძლებოდა, რომ ალთაფები მერე, პატარას ხანს უკან, შემოეტანათ?

ველიკიი კნიაზი და კნეინა წაბძანდენ სამის ვაჴისშვილებით ყირიმს, სადაცა დაჴყოფენ ოკდომბ: და მერე, მგონია, იანვარში კიდევ მოუხდესთ პეტერბურლს წასვლა ჴელმწიფის ქალის ქორწილში. ღმრთმა<sup>6</sup> უშველოს, რომ თქუჴნი სიძე, ბარონ ნიკოლაი, ჩუჴნ მფარველად აქა რჩება, თორემ საქართველოს რა ეშველებოდა?

იყო აქ ნიკო<sup>7</sup> და წავიდა ყირიმს; დიდად მიამა ამის ნახვა, მეტად კარგი რამ დადგა; აპირებს პეტერბურლშიც წასვლასა და იქიდად სამზღუარ გარე, თუ შერჩა ფული.

ტასო ოღლობჴიოსი<sup>8</sup> მოვიდა, კარგად არის. ბაბალე აჴაჩინინისა, მომავალი კავკაზიის წყლებიდად, დუშეთის სიახლოეს, გაუგჴიდნენ ცხენები, გადმოხტა ეკიპაჴიდად და მუხლქვეით მოიტეხა ფეხი;<sup>9</sup> ეხლა უკეთ არის.

ახლა მოისმინე ჩუწნი და ნემენცების საქმე, ჩემო თვალის ჩინო ძალუავ!

მგონია, ადრევე მოგახსენეთ, რომ 53 წლის საქმე, ძლივს აქაურს სუდეებში გათავებული, სენატიდამ უკანვე დააბრუნეს აქაურს ოკრუჟ: სუდში ბარონ ნიკოლაის მოღვაწეობითა, რლ~საცა<sup>10</sup> წარუდგენია სენატში თავის ჰაზრი, რომ ხაზინას აქუს ისეთი საბუთები, რომლითაცა<sup>11</sup> ცხადად დამტკიცდება, რომ სადავო ესე მამული არის სწორედ ხაზინისა და არა ორბელიანთი. – თუ მართლად ხაზინას ჰქონდა საბუთები, აქამდის რაღას ჰმალავდა? მაგრამ საკურველი ეს არის, რომ ვისაცკი შეჰსძლებია რამე, უთოოდ ორბელიანებზე მიუტანია იერიში უსამართლოებით, სიბოროტით, სიძულვილით! რათა? ვის რა დაუშავეს ორბელიანთა? ასე გაშინჯე «Я небуду Прокопенко, если у Орбеляновых неотниму Землю наострове! [»]<sup>12\*</sup> ეს სიტყვები უნდა თქუწნც გახსოვდესთ. მაგრამ ღ~თი<sup>13</sup> არ გაგვწირავს, ამაზე გული მაქუს დაჯერებული; და ერთხელაც არის ჩუწნთვსაც ამოვა მზე.

ლუკა ისარლოვი ამოვირჩიეთ ადვოკატად; ეს ჰფიცავს, რომ ოკრუჟ: სუდსა არა შეუძლიანრა იმის მეტი, რომ უნდა დაამტკიცოს განაჩენი, შემდგარი უწინდელის სუდისა და პალატისაგან, რადგანაც საქმე ადრევე გათავებულია ყოვლის ჰსჯულიერის ჭორმეობითა, რომლისა დარღვევა აწ აღარავის შეუძლიან. ახლა ამ ოკდომბ:ა, მგონია, სუდი შეუდგება ამ საქმის განხილვასა, და ვნახოთ ღ~თი<sup>14</sup> და ბედი! მაგრამ წელიწადებიკი მიდიან, ჩუწნცა ვჰბერდებით და ეხლავე ვიღუპებით! ასე გახლავს ეს საქმე, რ~ლისა<sup>15</sup> მოლოდინებაში დაიხოცნენ მამანი ჩუწნნი, და ჩუწნცა ვართ მიხწეწილნი სამარის კარად. –

ტასო ჯერ ყირიმიდამ არ მოსულა; იმედი მაქუს, რომ შარშან და შარშანწინდელივით, ეხლაცა ცარიელი მობძანდეს.

ჩემს საყუარელს ივანეს სიყუარულით ჩავკოცნი; ღ~თს<sup>16</sup> ვევედრები გიხილოთ კიდევ აქა უწინდელებრ.

\* მე არ ვიქნები პროკოპენკო, თუ ორბელიანებს მინას არ ნავართმევ კუნძულზე.

## მიხაილ ფონ კაუფმანისადმი №1 (826)

18 Сент: 1873.

Михайлу Петровичу Фон Кауфману. Генер: Адьютанту.

Письмо ваше от 25<sup>го</sup> Июля я имел честь получить, в котором выражено было ваше сердечное участие к бедственному положению дочерей Петра Александровича Принца, оставшихся после его смерти без помощи, без средств к жизни.

Небезизвестно вам, как я глубоко уважал старого Кавказского ветерана Петра Александр<sup>а</sup>: за его высокую честность и в службе, и в частной жизни; сына его Александра я искренно люблю. Могли я остаться равнодушным к положению детей старика? Тотчас же я обратился к К<sup>ю</sup> Мирскому и он – надо отдать ему полную справедливость – принял живейшее участие в этом деле, и недавно уведомил меня, что Государь Император в великодушii своем соизволил: содержание, получаемое Петром Александр<sup>ем</sup>, назначить трем<sup>1</sup> его дочерям.

Находясь в деревне и притом больной, я немог ответить вам до сих пор этим радостным известием. Спасибо Великому Князю за его высокое добродушие; спасибо и К<sup>ю</sup> Мирскому за его благотворное содействие.

Сосвоей стороны я искренно радуюсь еще и тем, что имею случай выразить вам мое истинное, искреннее уважение, с коим имею честь быть.

## მიხეილ ფონ კაუფმანისადმი №1 (826)

18 სექტ: 1873.

მიხეილ პეტროვიჩ ფონ კაუფმანს. ლენერ: ადუტანტსა.

პატივი მქონდა მიმელო თქვენგან 25<sup>აბ</sup> ივლისის წიგნი, რომელშიაც გამოხატული იყო თქვენი გულითადი თანაგრძნობა პეტრე ალექსანდროვიჩ პრინცის ქალიშვილების სავალალო მდგომარეობისადმი, მისი სიკვდილის შემდეგ დახმარების, ლუკმა-პურის გარეშე რომ დარჩნენ. უნდა უწყოდეთ, რამდენადა ვცემდი პატივს მოხუც კავკასიელ ვეტერანს პეტრე ალექსანდრ<sup>ს</sup> მისი დიდი პატიოსნებისათვის სამსახურსა თუ პირად ცხოვრებაში; გულწრფელად მიყვარს მისი ვაჟი ალექსანდრე. ძალმიძდა განა გულგრილი დავრჩენილიყავ ბერიკაცის შვილების მდგომარეობისადმი? მაშინვე მივმართე კნ. მირსკის და მან – სამართლიანნი უნდა ვიყვნეთ – მიიღო უცხოველესი მონაწილეობა ამ საქმეში და ამას წინათ შემატყობინა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა თავისი დიდსულოვნებით ინება: ჯამაგირი, რომელსაც პეტრე ალექსანდროვიჩი იღებდა, დაენიშნოს მის სამს ქალიშვილსა.

სოფლად მყოფმა და, თანაც ავადმყოფმა, ვერ შევიძელ აქამომდინ მეპასუხა თქვენთვის ამ სასიხარულო ამბითა. მადლობა დიდს კნიაზს მისი დიდი გულკეთილობისათვის; მადლობა კნ<sup>ს</sup> მირსკისაც მისი კეთილისმყოფელი თანამონაწილეობისათვის. ჩემის მხრივ, გულით მიხარის კიდევ ისა, რომ მაქვს საშუალება გამოგიხატოთ ჩემი ჭეშმარიტი, გულწრფელი პატივისცემა, რომლითაც პატივი მაქვს ვიყო.

## ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანი №60 (827)

9<sup>ლ</sup> Окт: 1873.<sup>1</sup>

Мой друг Варвара! В то время, когда я, скрепя сердце, скрежаща зубами, отсчитывал Оникову  $\frac{5}{т:}$  р: в уплату занятых мною и Сосико из Коммер: Банка за долги Ваню, получил от тебя Телеграму, а потом и письмо, которыми просила выслать<sup>2</sup> немедл[енно]<sup>3</sup> 1 000 р: – Я чуть неупал в обморок. Но, спасибо Мирскому, он помог мне в эту критическую минуту настолько, что я мог успокоить и Оникова, и выслать тебе 500 р:;<sup>4</sup> ккоторым теперь присоеди[нился]<sup>5</sup> ещё 300 р:;<sup>6</sup> более немог, и удовольствуйся как знаешь, матушка, до поры, до времени.

О пенсії Георгія я еще не узнал ничего; но, в всяком случае, ему весьма полезно знать одно, что он очень, очень небогат, и это несколько недолжно конфузить его, когда ему придётся жить в кругу богачей. Конечно богатство имеет много преимуществ в удобстве жизни, но стыда нет для того, кто нерожден богатым, кому отец не оставил в наследстве Миллион. Стыдно, позорно, гадко, когда небогатый старается казаться богатым! Покрайней мере, я провел жизнь, довольствуясь только скудным жалованіем, несколько незавидуя тем молодым людям, которые от праздности и избытка богатства проигрывались до разоренія. И однакожь, не смотря на мою недостаточность, я всегда был уважаем в своем кругу, и богатыми, и небогатыми; а это главное в жизни. Богатство не есть еще право на уваженіе.<sup>7</sup>

Ты огорчена тем, что Георг: поступил в Млад: Спеціаль: Класс. Напрасно. Ведь Георг: до сих пор неучился, т: е: учился, как все маменкины сыны без системы, без программы, один с своим учителем, который безсочувственно к ученику, в урочный

час откозырял свою проповедь и затем хоть трава не росла. Можно сказать, что Георг: только прошлой зимой начал систематически изучать науки и действительно выказал, в это короткое время, и блистательные способности, и терпение, и твердость характера, и не он виноват, если мало было времени до Экзамена, а предметов множество. Теперь же, когда он стал на настоящую дорогу и ясно обозначены для него объемы предметов, подлежащих к изучению, я убежден, что Георг: окончит Курс блистательно и об успехах его заговорят в корпусе. Порукою в этом вера моя в Георгия: если только он захочет, будет<sup>8</sup> так! Я, по крайней мере, очень доволен его теперешними успехами и с удовольствием целую его в голову. Импер: Николай, во время Севастополь<sup>ой</sup>: осады, писал К<sup>ю</sup> Меншикову «не унывать». Я также повторю эти слова, многозначительные, не унывать, Георгий, бодрись, и поверь исчезнут все трудности без особенных с твоей стороны усилий. При твердой воле не существуют затруднения. Скажи только, сжимая Кулаки, я хочу это, и будет так!

Целую вас обоих и благословляю. –

## ბარბარე ბაბრატიონ-ორბელიანისადმი

№60 (827)

9<sup>ს</sup> ოქტ: 1873.

ჩემო მეგობარო ვარვარა! როცა უხალისოდ, კბილების კრაჭუნით ვუთვლიდი ონიკოსს  $\frac{5}{30x}$  რ:, მე და სოსიკომ რომ ავიღეთ კომერ: ბანკიდან ვანოს ვალების დასაფარად, შენგან მივიღე ტელელრამა, მერე კი წერილიც, რომლებითაც მთხოვდი, სასწრაფოდ გამომეგზავნა შენთვის 1000 რ: – კინალამ

გონება დავკარგე. მაგრამ მადლობა მირსკის, ის იმდენად დამეხმარა იმ კრიტიკულ წუთებში, რომ შევძელ დამემშვიდებინა სოსიკოცა და ონიკოვიც და გამომეგზავნა 500 რ: რომელსაც ან დაემატა 300 რ., მეტი ვერ შევძელ და როგორმე დასჯერდი, დედილო, დრომდინა.

გიორგის პენსიაზედ ჯერ არაფერი გამირკვევია; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მისთვის ერთობ სასარგებლო იქნება უწყოდეს ერთი რამ, რომ [ეგ] სულაც, სულაც არ არის მდიდარი და ამით არ უნდა დაირცხვინოს, როცა მდიდართა გარემოცვაში მოუწევს ცხოვრება. რა თქმა უნდა, სიმდიდრეს გააჩნია მრავალი უპირატესობა ცხოვრების მონყობაში, მაგრამ სირცხვილი არაფერია მისთვის, ვინც მდიდრად არ იშვა, ვისაც მამამ მემკვიდრეობად მილიონი არ დაუტოვა. სირცხვილი, თავისმოჭრა, საზიზღრობა ის არის, როცა ღარიბი ცდილობს თავი მდიდრად მოაჩვენოს! ბოლოს და ბოლოს, მე თავად ისე გავატარე ცხოვრება, რომ ვკმაყოფილდებოდი მხოლოდ მცირედი ჯამაგირითა, სულ რომ არა მშურდა იმ ჭაბუკებისა, რომელნიც, უსაქმურობისა და მეტისმეტი სიმდიდრისა გამო, გაკოტრებამდინ თამაშობდნენ. თუმცალა, მიუხედავად ჩემი მწირი ჯამაგირისა, ჩემს გარემოცვაში ყოველთვის პატივისა მცემდნენ მქონენიცა და უქონელნიცა; ეს კი მთავარია ცხოვრებაში. სიმდიდრე ჯერ კიდევ არ არის საბაბი პატივისცემისათვის.

შენ დამწუხრებულხარ მით, რომ გიორგი უმც: სპეციალ: კლასში შევიდა. ამაოდ. გიორგის ხომ აქამომდინ არ უსწავლია, ანუ, როგორც ყველა დედიკოს ბიჭი, სწავლობდა უსისტემოდ, მარტო თავის მასწავლებელთან, რომელიც, მოსწავლისადმი ინტერესის გარეშე, გაკვეთილზე როგორმე ჩაიყვანდა ხოლმე ბოლომდე თავის ქადაგებას და მერმე გინდ ქვეყანაც დაქცეულიყო. შეიძლება ითქვას, რომ გიორგ: მხოლოდ გასული ზამთრიდამ დაიწყო მეცნიერებათა სისტემატური შესწავლა და ამ მოკლე ხანში მართლაც გამოამყვანა ბრწყინვალე ნიჭი, მოთმინებაცა და ხასიათის სიმტკიცეც,



ბრალი კი მაგისი როდია, თუკი გამოცდებამდინ დრო ცოტა ჰქონდა, საგნები კი უამრავი. ან კი, როცა ეგ ნამდვილ გზას დაადგა და მკაფიოდ არის განსაზღვრული საგანთა ოდენობა, სწავლებას რომ ექვემდებარება, დარწმუნებული ვარ, რომ გიორი: კურსს ბრწყინვალედ დაასრულებს და მის წარმატებებზე ალაპარაკდებიან კორპუსში. ამის თავდება ჩემი რწმენა გიორგისადმი. ოღონდაც, ასე იქნება, თუკი ის მოისურვებს! მე, ყოველ შემთხვევაში, ძალზედ კმაყოფილი ვარ მისი ამჟამინდელი წარმატებებით და სიამოვნებით ვუკოცნი თავსა. იმპერ: ნიკოლაი სევასტოპოლის ალყის დროს კნ. მენშიკოვს სწერდა: „გულს ნუ გაიტებითო“. მეც გავიმეორებ ამ მრავლისმეტყველ სიტყვებს: გულს ნუ გაიტებ, გიორგი, გამხნევდი და მერწმუნე, შენის მხრიდამ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე გაქრება ყველა სიძნელე. როცა ნებისყოფა მტკიცეა, არ არსებობენ სიძნელენი. მხოლოდღა თქვი, მუშტმეკრულმა, მე მინდა ეს, და იქნება კიდევცა!

გკოცნით ორივეს და გლოცავთ.

## **ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №61 (828)**

2 Ноябрь: 1873. В Петербург<sup>1</sup>

Мой друг Варвара! Посылаю еще 400 р,<sup>2</sup> и молю Бога, чтоб он защитил тебя и Георгія от всех невзгод, которыя постигают Петербург. Прежде всего я сострахом перечитываю в Газетах известія о наводненіях так часто повторяющихся и без того Гнилом Петербурге, а ты нехочешь даже уведомить меня, как ты спаслась, достиглали твоей улицы вода и в каком положеніи находится теперь? Жду, жду и немогу дожждаться твоих писем, к чему такое равнодушіе ко мне?

Переменилали квартиру и что поделявает мой дядя Георгій? Как он привык к новой жизни, к новым товарищам? Скем он именно более дружен, и вообще доволенли своим новым положением, и как он смотрит на свою будущность? Ради Бога, неленись, и опиши мне всё это во всей подробности. Цалую вас обоих и благословляю.

## ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №61 (828)

2 ნომბ: 1873. პეტერბურლს

ჩემო მეგობარო ვარვარა! გიგზავნი კიდევ 400 რ: და უფალს ვევედრები, რომ დაგიფაროთ შენა და გიორგი ყოველგვარი უკეთურობისაგან, პეტერბურლს რომ ატყდება თავსა. უპირველეს ყოვლისა, ძრწოლით ვკითხულობ გაზეთებში ამბებს წყალდიდობებზედ, აგრე ხშირად რომ მეორდება ისედაც დამპალ პეტერბურლში, შენ კი არც კი გსურს გამაგებინო, როგორ გადარჩი, მოალწია თუ არა წყალმა შენს ქუჩამდინ და რა მდგომარეობაა ამჟამად? ველი, ველი და ველარ ველირსე შენს წერილებს, რადა ხარ აგრე გულგრილი ჩემთან?

ბინა თუ გამოიცვალე და რასა იქმს ჩემი ბიძია გიორგი? როგორ შეეგუა ახალ ცხოვრებას, ახალ მეგობრებს? კერძოდ, ვისთან უფრო მეგობრობს და, საერთოდ, კმაყოფილი თუ არის თავისი ახალი მდგომარეობითა და როგორ ჭვრეტს თავის მომავალსა? ღვთის გულისათვის, ნუ დაიზარებ და დაწვრილებით აღმინწერე ეს ყველაფერი. ორივესა გკოცნით და გლოცავთ.

## ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №62 (829)

3 Декаб: 1873. В Петерб:<sup>1</sup>

Цалую тебя, мой друг Варвара, и благодарю за последнее письмо. Вот так письмо совсеми подробностями вашей жизни! Вот эти то подробности и радуют меня. Напрасно, оне кажутся тебе мелочными, забывая, что жизнь наша именно и состоит из тысяча мелочей, из которых каждая сама по себе ничего незначит, но, взятыя вместе, составляют тот своеобразный характер, который так резко высказывается в каждой отдельной личности человека. Так, огромныя Горы и Пласты Земной Коры составлены из мельчайших инфузорий! Пока великия дела выкажут Георгія Миру, дайте мне удовольствоваться мелочами из его ежедневной жизни: где? как? что?

Письмо твое оцениваю в 300 р.<sup>2</sup> и посылаю. Ты и не воображаешь, как я радуюсь, когда имею возможность послать тебе деньги! – Цалую тебя и Георгія, и благославляю.

---

Считаю благоразумным невозбудать вопроса о Пенсіи Георгія; я молчу и жду, что скажут.

## ბარბარე გაბრატიონ-ორბელიანისადმი №62 (829)

3 დეკემბ: 1873. პეტერბურლს.

გოცნი, ჩემო მეგობარო ვარვარა, და მადლობას გითვლი ბოლო წიგნისთვის. ამასა ჰქვია წიგნი თქვენი ცხოვრების ყველა წვრილმანითა! სწორედ ეს წვრილმანია, სიხარულს

რომ მგვრის. ტყუილადა ჰრაცხ მას არარაობად, გავიწყდება, რომ ჩვენი ყოფა სწორედ რომ ათასი წვრილმანისაგან შედგება, სადაც თითოეული თავისთავად არაფერს ნიშნავს, მაგრამ ერთად აღებული ქმნის იმ თავისებურ ხასიათს, რომელიც აგრე მკაფიოდ გამოსჭვივის ყოველ ცალკე აღებულ პიროვნებაში. ასევე შედგება დედამიწის უზარმაზარი მთები და პლასტები უმცირესი ინფუზორიებისაგან! ვიდრე დიდნი საქმენი გიორგის წარუდგენენ სამყაროსა, მაცალეთ დავტკბე მისი ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანითა: სად? როგორ? რა? შენს წერილს ვაფასებ 300 რუბლად და გიგზავნი. ვერც კი წარმოდგენ, როგორ მიხარია, როცა მაქვს საშუალება გამოგიგზავნო ფული! – გკოცნით შენა და გიორგის და გლოცავთ.

კეთილგონივრულად მივიჩნევ, არ ვილაპარაკოთ გიორგის პენსიის საკითხზე; მე ვდუმვარ და ვუცდი, რას იტყვიან.

ბასბორცები, შენიშენები,  
კოძენცარები

## ტექსტისათვის

სამეცნიერო აპარატი წარმოდგენილია კომენტარებით, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებითა და ლექსიკონით. რამდენადაც აქ არ არის მოცემული ავტორის ეპისტოლური მემკვიდრეობის ენის საკითხები (ენობრივი მიმოხილვა წარმოდგენილი იქნება გრიგოლ ორბელიანის წერილების ბოლო ტომისთვის დართულ სამეცნიერო აპარატში), მოკლედ აღვნიშნავთ, რომ გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორ-თოგრაფია, პუნქტუაცია და აბზაცები (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები დაფიქსირდა).

კომენტარებს წინ უძღვის პასპორტები, სადაც მკითხველი მიიღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ. ეს ინფორმაცია განაწილებულია შემდეგ რუბრიკებში:

1. **ავტოგრაფი:** აქ ვიგებთ, რა სახითაა წერილი ჩვენამდე მოღწეული – ავტოგრაფით, თუ მისი ასლით, სად და რა ნომრით ინახება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნული გვაქვს C, ცენტრალური არქივი A, ხოლო ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი – Z ლიტერით;

2. **ავტოგრაფის აღწერილობა:** რუბრიკა გვანვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, ზომისა და ფერის ქაღალდზეა ბარათი დანერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;

3. **თარიღი და ადგილი:** აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარიღი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარილებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს მოცემული რუბრიკა;

4. **ხელმოწერა:** რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, მოცემული რუბრიკა პასპორტს არ ერთვის;

5. **ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** აქ მკითხველი გაეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას: როგორ მიმართავს მას, რას უწოდებს და ა. შ.

6. **ადრესატის მისამართი:** აქ მოცემულია ადრესატის ად-

გილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერაა დასახელებული. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანი იშვიათად აწერს მისამართს წერილზე. იგი, სავარაუდოდ, კონვერტზე იქნებოდა დაფიქსირებული, რაც დღემდე არ შენახულა. იშვიათად ადრესატის ადგილსამყოფელი წერილშია დასახელებული. უმრავლეს შემთხვევაში კი ჩვენ ის წლების მიხედვით ადრესატთა მოღვაწეობის გათვალისწინებით, აგრეთვე საანალიზო თუ სხვა წერილებში დასახელებული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერებით აღვადგინეთ;

საპასპორტე რუბრიკებს მოსდევს წერილის შესახებ ინფორმაციის შემცველი შემდეგი რუბრიკები:

**1. შენიშვნები:** აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფსუსებია აღნუსხული. ტექსტში მოცემული ნუმერაცია სწორედ შენიშვნებზე მიგვითითებს;

**2. პირველი პუბლიკაცია:** აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა წერილი;

**3. დათარიღება:** რუბრიკაში, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია წერილის დაწერის სავარაუდო თარიღი და დასაბუთებულია მისი საფუძველი. გამომცემაში დათარიღებულია 22 წერილი.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კომენტარები, სადაც ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის ასახვას ნელადა ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი. თითოეული საკომენტარო ფრაზა დამონებულია გვერდისა და სტრიქონის მითითებით, რომლებიც ერთმანეთისაგან მძიმითაა გამოყოფილი. კომენტარებში სტრიქონების ნომრები მითითებულია წლისა და სათაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველმა მისთვის საჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს. მაგ., თუ რომელიმე გვერდი იწყება წლისა და სათაურის აღნიშვნით, ვთქვათ, ბაბალე ორბელიან-საგინაშვილისადმი №28 (728) (გვ. 13), პირველი სტრიქონი ამ გვერდზე იქნება „ჩემო საყუარელო ბაბალე! ავამყოფი გილოცავ“ და ა. შ., რომლითაც იწყება უშუალოდ წერილი.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიუ-

ლი სახელი მითითებულ გვერდებზე მოძებნოს.

წინამდებარე ტომში პირთა სახელები ტექსტური მონაცემით აღარ გვაქვს წარმოდგენილი, როგორც ამას წინა ტომებში ვაკეთებდით. მაგ.: ცალკე გაგვექონდა **სოფიო, ვარინკა, ანნეტა, ბაბალე, კაკალა** და სხვ., რომლებსაც ანოტაცია არ ახლდათ. ის დართული ჰქონდა სახელის სწორ დასახელებას, რომელთანაც, ლექსიკონის პრინციპის გამოყენებით, გაგზავნილი იყო ტექსტური მონაცემი. მაგ.: „**სოფიო** – იხ. ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა სოფიო მელიტონის ასული.“ ანოტირებული იყო **ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა სოფიო მელიტონის ასული** და არა **სოფიო**. ასეთი საგამომცემლო მიდგომა, გარკვეულწილად, ზრდიდა სამეცნიერო აპარატის მოცულობას. იმის გათვალისწინებით, რომ ავტორის მიერ ტექსტში დასახელებული თითოეული პიროვნება ახსნილია კომენტარში, საკუთარი სახელების ტექსტური მონაცემები ცალკე აღარ გავიტანეთ და ამით საძიებლები არ გადავტვირთეთ, არამედ წარმოვადგინეთ სრული დასახელების ფორმები შესაბამისი ანოტაციებით, მაგ., „**აბაშიძე-ორბელიანისა ნინო სიმონის ასული (1838-1919)** – მწერალი, პოეტი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წამდვილი წევრი“ და ა. შ.

გვარები მოცემულია ავტორისეული ფორმებით და ფრჩხილებში მითითებული აქვთ სწორი ფორმები. მაგ., „**ზოლოტარევი (ზოლოტარიოვი)** ვასილ გრიგოლის ძე“; „**ვიზიროვი (ვეზირიშვილი)** დიმიტრი გიორგის ძე“; „**სალალუბი (სოლოგუბი)** ვლადიმერ ალექსანდრეს ძე“.

ანდრონიკაშვილები, თარხნიშვილები, თუმანიშვილები, მელიქიშვილები, ჩოლოყაშვილები ხშირად მოხსენიებულნი არიან, როგორც ანდრონიკოვები, თარხანოვები, თუმანოვები, მელიქოვები, ჩოლოყაევი. ამიტომ საძიებელში ისინი ავტორისეული ფორმით არიან წარმოდგენილნი და ფრჩხილებში მითითებული აქვთ „ანდრონიკაშვილი“, „თარხნიშვილი, თარხან-მოურავი“, „თუმანიშვილი“, „მელიქიშვილი“, „ჩოლოყაშვილი“, მაგ.: „**ან-**



დრონიკოვი (ანდრონიკაშვილი)“, „თარხანოვი (თარხნიშვილი, თარხან-მოურავი)“, „თუმანოვი (თუმანიშვილი)“, „მელიქოვი (მელიქიშვილი)“, „ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი)“. თუ რომელიმე ამ გვარის წარმომადგენელი მარტო სახელით არის მოხსენიებული, მაშინ „-ოვ“-ზე დაბოლოებული გვარი“ ანოტაციაში აღარ ჩანს, რაც საძიებელში სხვაობას ქმნის ერთი და იმავე გვარის წარმომადგენელთა დასახელების დროს. მაგ., **ანდრონიკაშვილი ილია (ივანე) პაატას ძე, ანდრონიკაშვილი რევაზ ივანეს ძე, მაგრამ ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) გიორგი.**

თუ შვილები ტექსტში სახელებით არ არიან მოხსენიებული, საძიებელში მამის ანოტირების სტილს მიჰყვებიან. მაგ., ლევან მელიქიშვილს ავტორი ყველგან მელიქოვის სახით ასახელებს. ამიტომ მისი შვილებიც, რომლებიც ლევანის შვილობით მოიხსენიებიან და არა საკუთარი სახელებით, საძიებელში მოცემულნი არიან მელიქოვის ფორმით, რომელსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს მელიქიშვილი.

ქალი პიროვნებები მოცემულნი არიან ქალიშვილობის გვარით, რომლის გვერდითაც დეფისის შემდეგ მეუღლის გვარია დაფიქსირებული, მაგ, **„ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოვის ასული“**, **„აღამალოვა-ბაგრატიონ-გრუზინსკისა მარიამ ისაყის ასული“** და ა. შ. როცა ქალიშვილობის გვარი არ არის ცნობილი, პიროვნება მითითებულია მეუღლის გვარით, მაგ., **„აბესალომოვისა – სოლომონ ზაქარიას ძე აბესალომოვის მეუღლე“**.

საძიებლებში პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს გვერდები იმ შემთხვევებშიც აქვთ მითითებული, როცა ისინი მხოლოდ იგულისხმება და დასახელებული არ არის, მაგ., თუ ტექსტში წერია „ცოლ-შვილი“, „სახლობა“, „ოჯახი“, „შვილი“, „და“, „ძმა“, „სიძე“, „რძალი“ და ა. შ. და ცნობილია, ვისზეა საუბარი, გვერდები მითითებული აქვს ამ სიტყვების ქვეშ ნაგულისხმევ პირთა სახელებსაც, მაგ.: „კოჯორზე არიან ირაკლი სახლობითა, ბარონ საკენ ცოლშვილითა... მამუკას შვილი ვანო ცოლითა, ოღლობჟიონი“. ამ შემთხვევაში, საძიებელში გვერდები მითითებული აქვს ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონსა და მის მეუღლეს – თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძე-ბაგრატიონისას, მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენს, მის მეუღლეს – სალომე დავითის ასულ ჭავჭავაძე-საკენისას და შვილებს: ანასა და სოფიოს, ივანე მამუკას ძე ორბელიანსა და მის

მეუღლეს – მარია დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიას, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოსა და მის მეუღლეს – ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოს და ა. შ.

საძიებელში გვერდები დაფიქსირებული არა გვაქვს იმ შემთხვევებში, როცა პიროვნება საზოგადო სახელით არის მოხსენიებული და არ არის ნათელი, ვისზეა საუბარი, ან, როდესაც ხუთი შვილიდან სამია ნახსენები (ფორმით: „სამი ვაჟიშვილი“) და არ ჩანს, რომელი წევრები იგულისხმება.

რაც შეეხებათ ადრესატებს, მათ გვერდები აღენიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირებისადმი გაგზავნილ წერილებში არიან მოხსენიებულნი, ან მათდამი მიმართულ წერილებში მათზე საუბარია, როგორც მესამე პირზე. სხვა შემთხვევაში მათ ეთითებათ, რომ წერილის ადრესატები არიან.

გეოგრაფიული სახელები ანოტირებულ საძიებელში გატანილია ტექსტური მონაცემით და სწორი დასახელება წარმოდგენილია ფრჩხილებში, მაგ., „**ანგლია (ინგლისი)**“, „**ჭრანცია (საფრანგეთი)**“, „**მუშთაიდის (მუშტაიდის) ბალი**“ და სხვ.

საძიებელში ანოტაციები არ დავურთეთ საქართველოს ქალაქებსა და მხარეებს (მაგ., თბილისს, ქუთაისს, მცხეთას, კახეთს, გურიას, იმერეთს, სამეგრელოს და ა. შ.). მათ მხოლოდ გვერდები აქვთ აღნიშნული.

გეოგრაფიულ სახელს გვერდები აღენიშნება იმ შემთხვევებშიც, თუ ის წერილის დანერის ადგილია.

ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარდა ლიტერატურულია, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვებიცაა ახსნილი. სიტყვა, საჭიროების შემთხვევაში, მოცემულია თავისი ვარიანტებით, რომლებიც ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი. სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს.

გარკვეულ შემთხვევებში ლექსიკონში მოცემულ სიტყვას განმარტება არ სჭირდება, მაგ., „აქამოდის“, „ანგლიური“ და სხვ., მაგრამ ისინი ასახულია ავტორისთვის დამახასიათებელი ლექსიკის სრულად წარმოჩენის მიზნით.

თითოეულ საქმიან შენიშვნას სამეცნიერო ჯგუფი დიდი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომი მუშაობისას.

**ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №28 (728) გვ. 13.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №466 / №24, 16r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, პატარა ფორმატის, ტრაპეციის ფორმის, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 12,2X10,1 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); დაწერილია მუქი ყავისფერი მეღვინით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი. IV გვერდზე უცხო ხელით, შავი ფანქრით მინაწერია: „ბუთმა ბაბაღე ბუთმა.“

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო ბაბაღე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ვერ ირკვევა, ადრესატი კოდაში იყო თუ თბილისში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ბარათი იანვრის შუა რიცხვებამდე პერიოდით თარიღდება და ზამთარში საგინაშვილები კოდაში ვერ იქნებოდნენ, წერილი, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ღმერთმან.

**დათარიღება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის, მაგრამ, რადგან ჩანს, რომ ახალი წლის დღეებშია დაწერილი, ადრესატი კი 1870 წლის აგვისტოში გარდაიცვალა, ბარათს **1870 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე პერიოდით** ვათარიღებთ.

გვ.: 13,1. „ჩემო საყუარელო ბაბაღე“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი – ბაბაღე (ბარბარე) სამარაგდონის ასული ორბელიანი-საგინაშვილისა.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №39 (729) გვ.: 13-15.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 49r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,2X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «20 Генв: 1870 Тифлис.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **მოსკოვში** ცხოვრობდა, რაც წერილის შინაარსითაც დასტურდება: «ТЫ, В самом деле, жива, и живешь в Москве ссоим сыном.»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 13,8. «**Мой друг Варвара**» – წერილის ადრესატი გრიგოლ ორბელიანის რძალი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა.

გვ.: 13,8-9. «**Манана и Тасо, облеченныя в Трауре**» – საუბარია მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე და მის ქალიშვილზე – ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე. ისინი გლოვობდნენ 1869 წლის ბოლოს იალტაში გარდაცვლილ შვილსა და ძმას – ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანს.

გვ.: 13,13. «**Иван досих пор в Харькове у невестки**» – სიტყვა «невестки» ტექსტში გაურკვეველად ეწერა და თავდაპირველად მხოლოდ ვარაუდით ამოვიკითხეთ, მაგრამ შემდეგ გავარკვიეთ, რომ იგი აბსოლუტურად ზუსტად ესადაგებოდა კონტექსტს. საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანსა და მისი გარდაცვლილი ძმის, ალექსანდრეს, ახალდაქვრივებულ მეუღლეზე – ევდოკია მიხეილის ასულ სომოვა-ორბელიანისაზე, რომლის მამაც – მიხეილ ალექსანდრეს ძე სომოვი იყო ხარკოვის გუბერნიის ერთ-ერთი მსხვილი მემამულე. როგორც ჩანს, ძმის გარდაცვალების შემდეგ ივანე ორბელიანი დიდხანს დარჩა ხარკოვში სომოვებთან, სადაც, ბუნებრივია, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ჩასულიყო მისი რძალი ევდოკია.

გვ.: 13,17. «с женой беднаго Александра» – ალექსანდრე ორბელიანს ცოლად ჰყავდა ევდოკია სომოვა-ორბელიანისა.

გვ.: 14,2. «представлялась Вел: Княгине» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლეზე – ოლა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 14,16. «Генер: Майора К:<sup>2</sup> Ильи Орб.» – საუბარია გრიგოლის ძმაზე – ილია ზურაბის ძე ორბელიანზე.

გვ.: 15,7. «бедную Веру» – საუბარია ადრესატის გარდაცვლილ დაზე – ვერა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-მირსკისაზე.

გვ.: 15,12. «дядя, Георгій» – გრიგოლ ორბელიანი თავის ძმისწულს – გიორგი ილიას ძე ორბელიანს სიყვარულით «дядя»-ს ეძახდა.

გვ.: 15,15. «Бабале опять стала поправляться» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ბაბაღე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე, რომელიც სიმსივნით იყო ავად.

### **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №29 (730) გვ. 17.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №464 / №24, 15r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის, 1 თხელი ფურცელი; ზომა: 12,6X10,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში.

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო სულიერო დაო ბაბაღე!“

**ადრესატის მისამართი:** ნერილის შინაარსით ადრესატის ადგილსამყოფელი არ ჩანს, მაგრამ გრიგოლი მას თავისთან მისვლას სთხოვს: „მოვედ ჩემთან და აღიარე სინანულითა!“ ზამთრის პერიოდში ისინი **თბილისში** იყვნენ ხოლმე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**დათარილება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის. ამიტომ ვათარილებთ ადრესატის გარდაცვალების წლის მიხედვით (1870 წლის 21 აგვისტო), მაგრამ, რამდენადაც წერილის მიხედვით ახალდასრულებული უნდა იყოს ყველიერის კვირა, რომელიც 1870 წელს გრძელდებოდა 22-29 თებერვალს, ბარათი დაწერილი უნდა იყოს **არაუგვიანეს 1870 წლის 29 თებერვლისა**.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №40 (731) გვ.: 18-19.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 50r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,1X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «22 Марта 1870 Тифлис.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ბარბარე **მოსკოვში** ცხოვრობდა, რაც წერილის შინაარსითაც დასტურდება: ავტორი მას მოსკოვის გენერალ-გუბერნატორთან თხოვნის დაწერასა და ყველა საჭირო ცნობის წარდგენას ავალებს: «Поторопись подать просьбу, или в Палату, или Москов: Генер: Губерн:» с представлением всех твоих сведений.»

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ჩამატებულია.

გვ.: 18,20. «**дядю Георгія**» – გრიგოლ ორბელიანი თავის ძმისწულს, გიორგი ილიას ძე ორბელიანს, სიყვარულით «**дядя**»-ს ეძახდა.

გვ.: 18,23. «**К: Леван пишет мне**» – საუბარი უნდა იყოს ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე, რადგან ამავე ადრესატისთვის 1869 წლის 6 ნოემბერს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ის მეუღლესთან ერთად მიემგზავრებოდა მოსკოვში და იქ უნდა შეხვედროდა ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისას.

გვ.: 18,26. «**с семейством его**» – იგულისხმება ლევან მელიქიშვილის მეუღლე – ალექსანდრა მამუკას ასული ორბე-

ლიანი და, შესაძლოა, მათი შვილები: ივანე, მიხეილი, გიორგი, სოფიო, პეტრე და მარიამი.

გვ.: 19,6. **«Бедная Манана»** – საუბარია გრიგოლის ნათესავ მანანა მირმანოვის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე, რომელსაც ახალგარდაცვლილი ჰყავდა ვაჟი – ალექსანდრე.

გვ.: 19,6-7. **«Тасо Гагарина»** – საუბარია გრიგოლის ნათესავ ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 19,9. **«Дядя Александр также всё болеет»** – პიროვნების ვინაობა ვერ დგინდება.

გვ.: 19,9-10. **«Бабале невыздоровливает»** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე, ბაბაღე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე, რომელიც სიმსივნით იყო ავად.

გვ.: 19,15. **«приезда Его Высочества»** – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 19,16. **«Ея Светлости Царевне»** – საუბარია ადრესატის დედაზე – ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 19,17. **«твоим сестрам»** – იგულისხმება ადრესატის დები: გაიანე, ელისაბედი, ოლლა, ალექსანდრა, ეკატერინე და ნადეჟდა.

გვ.: 19,19. **«моя тетушка Царица Ольга?»** – ადრესატის უმცროს დას, ოლლას, გრიგოლი ხუმრობით **«тётушка»**-ს ეძახდა.

გვ.: 19,21. **«Княгиня Аннета Мирская»** – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის წერილებში ხშირად მოხსენიებული დიმიტრი და ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკების მესამე ძმის, ვლადიმერის, მეუღლეზე, რომელიც სხვადასხვა წყაროს მიხედვით, გერმანული წარმომავლობისა იყო და ცხოვრობდა იმპერატორების: ალექსანდრე I-ისა და ნიკოლოზ I-ის ძმის, მიხეილ პავლეს ძე რომანოვის, მეუღლის – ელენა პავლეს ასულ ვიურტემბერგ-რომანოვას – სასახლის კარზე.

## კონსტანტინე ორლოვსკისადმი №1 (732) გვ. 22.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №408, 1r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, ცალხაზიანი ფურცელი; ზომა: 35,3X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «31 Марта 1870»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Константину Ивановичу Орловскому»

**ადრესატის მისამართი:** ტექსტში ადრესატის ადგილსამყოფელი არ ჩანს, მაგრამ ამ პერიოდში კონსტანტინე ორლოვსკი თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 22,2. «Константину Ивановичу Орловскому» – წერილის ადრესატია თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი, საიდუმლო მრჩეველი – კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკი.

გვ.: 22,3. «К: Абхазов» – თავად აფხაზის სახელი მითითებული არ არის და ძნელი სათქმელია, რომელ თავად აფხაზს შესთავაზა ორლოვსკიმ თანამდებობა.

გვ.: 22,13. «К<sup>ა</sup> Леонида Баратова» – საუბარია გრიგოლის დისწულის, ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილის, ქმარზე – ლევან (ლეონიდ) გერმანოვის ძე ბარათაშვილზე.

## პლატონ იოსელიანისადმი №1 (733) გვ. 23.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №98 / №121, 1r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, ორი გადაბმული ფურცელი; ზომა: 20,6X13 სმ.; შესრულებულია მოყავისფრო მელნით. გრიგოლ ორბელიანის წერილს პირველივე გვერდზე მოსდევს პლატონ იოსელიანის საპასუხო წერილი:



„კარნუ ქალაქი იყო ძუჭლად სომხითისა. თეოდოსი დიდმან ვიზანტიისა იმპერატორმან (346-395) განაახლა და უწოდა სახელი თეოდოსიოპოლი. თურქთა უწოდეს აზრუმი.

პ. იოსელიანი.

რომაელთა დროსა ეწოდა ამას Ачх Потаночиш ე. ი. სიმაგრე ანუ ციხე რომაელთა. აქედამ შედგა სახელი ქალაქი-სა: არზ-ურუმი ე. ი. ციხე ურუმთა ანუ რომაელთა.“

**თარიღი და ადგილი:** „30 აპრილს 1870“

**ხელმოწერა:** „თქუჭნი გულითადი პატივისმცემელი თ~ გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო მონყალეო ბატონო პლატონ!“

**ადრესატის მისამართი:** ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილ-სამყოფელი. სავარაუდოდ, იგი **თბილისში** უნდა იყოს გაგზავ-ნილი.

**შენიშვნები:** 1. „კარნუ ქალაქი“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. თავადი; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 23, 18. „ჩემო მონყალეო ბატონო პლატონ“ – წერი-ლის ადრესატია ისტორიკოსი პლატონ ეგნატეს ძე იოსელია-ნი.

გვ.: 23, 20-21. „ჩემის ტოლუბაშისათჳს“ – გრიგოლ ორ-ბელიანის პოემა „სადლეგრძელოს“ თავდაპირველ ვარიანტში „ტოლუბაში“ ერქვა.

## **ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №41 (734) გვ. 24.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 51r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხე-ული, დიდი ფორმატის ქალაღდი; ზომა: 35,3X22 სმ.; შესრუ-ლებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «15<sup>10</sup> Мая 1870.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** «в Москву.»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. «он отпуске»-

დან დაწყებული, ამ სიტყვის ჩათვლით, ავტორის მიერ ხაზგასმულია შავი ფანქრითვე.

გვ.: 24,5. «**вдове Генерал-Майора Князя Ильи Орбел:, Варваре Ильинишне и ея сыну**» – იგულისხმება ადრესატი – ილია ზურაბის ძე ორბელიანის ქვრივი – ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისა და მისი ვაჟი – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 24,18. «**Княжне Гаяне**» – იგულისხმება ადრესატის და – გაიანე ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია.

### გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელისადმი №1 (735) გვ.: 26-28.

**აღწერილობა:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502, 189r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, სქელი, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 33,2X21,9 სმ.; ავტოგრაფი დაზიანებული და რესტავრირებულია. დაწერილია ფანქრით, რომელიც ბევრ ადგილას უკვე გადასულია, რის გამოც ტექსტი ნაშლილია და აღარ იკითხება. ჩვენ მიერ აღდგენილი ადგილები მოვათავსეთ კვადრატულ ფრჩხილებში.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „სენატორს ბ – მუხრანსკის“ / „ჩემო მოწყალეო ბატონო, კნიაზო გიორგი!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფება **პეტერბურგში:** „როგორც ისმის აქა, თქუჴნ [მ.....] მოგიგვიანდებათ პეტერბურლს და ამისგამო მეცა გწერ, მოიმედე, რომ ეს წერილი მოგასწრობს [.....] ყოფნაში.“

**შენიშვნები:** 1-2-3-4-5-6-7-8-9-10-11-12. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

**დათარილება:** წერილში მოცემულია რამდენიმე ინფორმაცია, რომლებიც შეიძლება კონკრეტულ დროსთან დავაკავშიროთ. ეს არის ალექსანდრე საგინაშვილის მიერ გენერალ-მაიორის წოდების მიღება (1869 წლის 30 აგვისტოს) და ბუჭყიაშვილისა და ილია ანდრონიკაშვილის სასამართლო პროცესის გამართვა 1870 წლის 30 იანვარს. წერილის მიხედვით, დაქვრივებული ანეტა ფონ კრემერი-მირსკისა ჯერ მეორედ გათხოვილი არ უნდა იყოს, რადგან ის ისევ „მირსკისად“ მოიხსენიება.

რამდენადაც ამ ქალბატონმა მეორედ 1870 წლის 17 მაისს იქორწინა, წერილი 1870 წლის 30 იანვრიდან 17 მაისამდე ინტერვალში უნდა იყოს დაწერილი.

გვ.: 26,5. „**კნიაზო გიორგი!**“ – წერილის ადრესატია სენატორი გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი.

გვ.: 26,10. „**ბარონ ნიკოლაი**“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროს ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ.: 26,15. „**ხალხმა მინკვიცსა**“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ იული თევდორეს ძე მინკვიცზე.

გვ.: 26,19-20. „**ბარონის მაგიერობა**“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შესრულება.

გვ.: 26,25. „**[მოზრძ]ანდა ველიკი კნიაზი**“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 26,28. „**შენი ძმა ივანე სახლეულობით**“ – საუბარი უნდა იყოს ადრესატის ძმაზე – ივანე (ვანო) კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და მის ცოლ-მეილზე; ნინო ლევან V-ის ასულ დადიან-ბაგრატიონისაზე და კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 26-27. „**კონია წავიდა**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ადრესატის ძმისწული – კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი.

გვ.: 27,2-3. „**ნაჩალნიკი ქორც...**“ – ხელნაწერის დაზიანების გამო, ტექსტი არ იკითხება და პირის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება.

გვ.: 27,4-5. „**კნენა [ა]ნნეტა მირსკისა**“ – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის წერილებში ხშირად მოხსენიებული დიმიტრი და ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკების მესამე ძმის, ვლადიმერის, მეუღლეზე – ანეტა ანდრიას ასულ ფონ კრემერ-მირსკისაზე.

გვ.: 27,8. „**მანანა, რა დაბრუნდა ყირიმიდან**“ – საუბარია მანანა მირმანოვის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 27,10. „**ბაბალე საგინოვისაც**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ბაბალე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ.: 27,11-12. „**იარანალი საგინოვი**“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარეს, მეუღლეზე – გენე-

რალ ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 27,13. „**პლატონი აქ არის**“ – სავარაუდოდ, საუბარია პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანზე.

გვ.: 27,13-14. „**ქალის სიკუდილისაგამო**“ – გენეალოგიურ ნუსხაში არაფერია ნათქვამი პლატონ იოსელიანის ქალიშვილის შესახებ.

გვ.: 27,15-16. „**ავადმეყოფი იოსებ თარხნისშვილი**“ – საუბარი უნდა იყოს იოსებ დავითის ძე თარხნისშვილზე.

გვ.: 27,16-17. „**გიორგი ანდრონიკოვი გაამართლა [სუ]დმა**“ – იმ დროს რამდენიმე გიორგი ანდრონიკაშვილი იყო თბილისში და ძნელია იმის გარკვევა, რომელი იგულისხმება.

გვ.: 27,17-18. „**გამტყუნა კოჭლი ბუჭყიევი**“ – საუბარია ივანე ბორისის ძე ბუჭყიაშვილზე.

გვ.: 27,17. „**ესესებინა ილია ანდრონიკაშვილი**“ – საუბარია ილია პაატას ძე ანდრონიკაშვილზე.

გვ.: 27,21-22. „**არლუთინსკისას, ეყოლა შვილი**“ – საუბარია თბილისის გუბერნატორ ნიკოლოზ ვასილის ძე არლუთინსკი-დოლგოროუკოვსა და მის ვაჟზე – ბორისზე.

გვ.: 27,22. „**არარატსკის მოუკუდა ცოლი**“ – პიროვნების ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 27,24. „**იმპერატორი მობძანდება**“ – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 28,1. „**ჩემი ბიძაშვილი ალექსანდრე, ბაკლანა**“ – საუბარია ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 28,5. „**ამისა და ივანოვის შუა**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის ქმარზე – ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვზე.

## **ზაქარია ჭავჭავაძისადმი №1 (736) გვ.: 29.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №89 / №46.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, სამუალო სისქის, სამუალო ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 23,7X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. II გვერდზე შავი ფანქრითვე, სავარაუდოდ, სამი სიტყვაა ნაშლილი ავტორის მიერ.

**თარიღი და ადგილი:** «1870 Мая»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Любезный Князь Захарий Гулбатович!»

**ადრესატის მისამართი:** წერილში ავტორი ადრესატს ესენდუკის წყლის გამოგზავნას სთხოვს, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ზაქარია ჭავჭავაძე მოცემულ დროს ამ მხარეში იმყოფება: „მოგმართავთ თხოვნით, თქუენი ჩემდამი კეთილგანწყობით დახმარება გამიწიოთ ესენდუკის წყლის გამოგზავნით.“

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 29,2. «Любезный Князь Захарий Гулбатович» – წერილის ადრესატია გენერალი ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 29,11. «Моей Важно-почтенной тетушке Како» – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – მარიამ (კაკო) დავითის ასულ ჭავჭავაძეზე, რომელსაც გრიგოლი ხუმრობით უწოდებს «тетушка»-ს.

გვ.: 29,13. «Бабале... выдерживает страшную болезнь» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე, ბაბაღე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე, რომელიც სიმკვირით იყო ავად.

### **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №30 (737) გვ.: 30.**

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №460 / №24, 13გ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** ცისფერი, დალაქავებული, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი, დასრეხილი, მრავალნაკეცი ფურცელი; ზომა: 12,7X10 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ბაბაღე!“

**ადრესატის მისამართი:** „მიერთოს კოდაზე ბაბაღეს.“

**შენიშვნები:** 1. სათაური ხაზგასმულია ავტორის მიერ.

**დათარილება:** რამდენადაც, წერილის მიხედვით, სალომე დავითის ასული დადიანი უკვე გათხოვილი ჩანს, იგი 1868 წლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-ორბელიანისა ჯერ ისევ ცოცხალია (იგი გარდაიცვალა 1870 წლის 3 ივნისს). შესაბამისად, წერილს ვათარილებთ **1870 წლის 3 ივნისამდე პერიოდთ.**

გვ.: 30,8. „**წიგნი, სახელად, Исторія философіи**“ – სავარაუდოდ, საუბარია ჯორჯ ჰენრი ლიუისის წიგნზე „ფილოსოფიის ისტორია“, რომელიც გამოიცა პეტერბურგში 1866 წელს.

გვ.: 30,13. „**მანანა ჯერ არ მოსულა**“ – საუბარია მანანა მირმანოვის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 30,14. „**ეკატერინას მოელიან ამ ზამთარს შვილებით, სიძე პატარძლით**“ – საუბარია ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანისაზე, მის ვაჟებზე – ნიკოსა და ანდრიაზე, ქალიშვილ სალომესა და მის ქმარზე – აშილ მიურატზე.

### **ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №42 (738) გვ.: 31-32.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 52r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალაქი; ზომა: 35,3X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «15<sup>10</sup> Июня 1870»

**აღრესატიხადმი მიმართვის ფორმა:** «.. мой друг Варвара ...»

**აღრესატიხის მისამართი:** «в Москву»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია. ავტორის მიერ; 2. მრავალწერტილი ავტორისაა.

გვ.: 31,8-9. «**разскажет тебе подробно Бабале**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე.

გვ.: 31,9-10. «отдать в Университет сына» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ პეტრე ალექსეის ძე ოპოჩინინზე.

გვ.: 31,10. «Алексей Петрович» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის ქმარზე – გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინზე.

გვ.: 31,11-12. «Георгій и Петя?» – საუბარია ადრესატის ვაჟზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანსა და პეტრე ალექსეის ძე ოპოჩინინზე.

გვ.: 31,13. «Бабале Сагинова» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ბაბაღე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ.: 32,13. «Ея Светлости Царевне» – საუბარია ადრესატის დედაზე – ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 32,14. «твоим Сестрам» – იგულისხმება ადრესატის დები: გაიანე, ელისაბედი, ოლა, ალექსანდრა, ეკატერინე და ნადეჟდა.

გვ.: 32,16. «Ираклій приѣхал с молодой женой, Тамарой» – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკისა და მის მეუღლეზე – თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ.: 32,18. «при таком неравенстве лет» – თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძესა (დაბ. 1852) და მის მეუღლეს – ირაკლი ბაგრატიონს (დაბ. 1826) – შორის 26-წლიანი ასაკობრივი სხვაობა იყო.

### ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №5 (739) გვ.: 34-35.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №76 / №48, 1რ-ვ, 2რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, ორი გადაბმული ფურცელი; ზომა: 20,1X13 სმ.; შესრულებულია მუქი მოყავისფრო მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში. წერილის თავში შავი ფანქრით, რუსულად მინაწერია: «Григорія Орбеліани Ревазу Эриставу»;

ნერილის ბოლოს შავი ფანქრით, ცენტრის თანამშრომლის მიერ მიწერილია: იხ. შენიშვნებში, ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1957, გვ. 343.

**თარიღი და ადგილი:** „3<sup>ა</sup> ივლისს 1870 თბილისით.“

**ხელმოწერა:** „შენი მარადის გულით, სულით ძმა გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო უსაყვარლესო დაო ეკატერინავ!“

**ადრესატის მისამართი:** ტექსტის შინაარსით ვერ ირკვევა ადრესატის ადგილსამყოფელი. სავარაუდოდ, იგი **ზუგდიდში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-2. ღვთის; 3. ხაზგასმულია; 4. ღმერთი; 5-7. ხაზგასმულია.

გვ.: 34,15. „**უსაყვარლესო დაო ეკატერინავ**“ – ნერილის ადრესატია ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე-დადიანისა.

გვ.: 34,21-22. „**დავასაფლავეთ საბრალო ალექსანდრე**“ – საუბარია ბიძია ალექსანდრეზე, რომლის ვინაობაც ვერ დადგინდა.

გვ.: 34,22-23. „**ჩუჭნი სიქადული მანანა**“ – საუბარია მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 34,26. „**ყაფლან მოვიდა კოდიდამ**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 34,26-27. „**ბაბალე სუსტად არის**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბაბალე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ.: 34,27. „**იარა კარგად აქუს**“ – ბაბალე ორბელიანს სიმსივნე ჰქონდა და, როგორც ჩანს, გაუჭრეს.

გვ.: 34,29. „**ჩემი რძალი სოფიო**“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, მეუღლეზე – სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე, რომელიც, ამავე დროს, გრიგოლის ბიძაშვილის, ეკატერინე ორბელიანის, შვილი იყო.

გვ.: 35,2. „**ჩემი რძალი ვარინკა**“ – საუბარია ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე.

გვ.: 35,5. „**გიორგიც კარგად არის**“ – იგულისხმება გრიგოლის ძმისწული – გიორგი ილიას ძე ორბელიანი.

გვ.: 35,6-7. „**ყაფლანისშვილობამ არ წამოუტია**“ – წი-



ნაპრის სახელის მიხედვით, ორბელიანებს ყაფლანიშვილებსაც უწოდებდნენ.

გვ.: 35,8-9. „ველიკიის კნიაზს კონსტანტინეს“ – საუბარია იმპერატორის ძმაზე – კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 35,9. „ჩუჟნი პაჟარნი ვანო“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე, მეტსახელად „ვანკა პაჟარნიზე“.

გვ.: 35,15. „თქუჟნი შვილები და ძალუა“ – საუბარია ადრესატის შვილებზე: ნიკოზე, ანდრიასა და თამარზე, და, სავარაუდოდ, მისი ძმის, დავითის, ცოლზე, რადგან ადრესატის ვაჟმა ნიკომ მარია ალექსანდრეს ასული ადლერბერგი 1874 წელს შეირთო ცოლად.

გვ.: 35,16. „ქეთევანმა... მოკითხვა მოგახსენათ“ – საუბარია გრიგოლის რძალზე – ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილზე.

გვ.: 35,23. „მამია გურიელის საქმის“ – საუბარია პოეტ მამია გურიელზე. 1870 წელს ის გაეყარა ცოლს, მარიამ მელიქიშვილს, და, შესაძლოა, სასამართლო ამასთან დაკავშირებით ჰქონოდა.

გვ.: 35,28. „ადვოკატი იყო ამატუნ“ – საუბარი უნდა იყოს ვეჟილ ნაპოლეონ ივანეს ძე ამატუნზე.

### **ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისადმი №125 (740)**

**გვ.: 36.**

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516, 118r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოთეთრო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის 1 ფურცელი; ზომა: 20,9X13,3 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გადასულია მეორე მხარეს. მარჯვენა მხრიდან ხელნაწერი ოდნავ არის შეხეული.

**თარიღი და ადგილი:** „10 ივლისს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი მარადის გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „საყუარელო ძალუავ ქე-

თევან!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა. წერილის შინაარსითაც ირკვევა, რომ ამ პერიოდში აქ იმყოფება: „რა მიზეზია, ველარ მივჭხუდი, რომ ესოდენს სიცხეს ითმენთ.“

**შენიშვნები:** 1-2. საზგასმულია.

**დათარილება:** ბარათში ნახსენებია რემერტი („გაუგზავნეთ რემერტსა“). ადოლფ ალექსანდრეს ძე რემერტი კავკასიაში 1867 წლიდან მსახურობდა და ბარათი მანამდე ვერ იქნება დაწერილი, მაგრამ მასში ნახსენები ბაბაღე, სავარაუდოდ, უნდა იყოს ბაბაღე სამარაგდონის ასული ორბელიანი-საგინაშვილისა, რომელიც 1870 წლის 21 აგვისტოს გარდაიცვალა. რამდენადაც წერილს აწერია 10 ივლისი, იგი **1867-1870 წლებში რომელიმე 10 ივლისს** უნდა იყოს დაწერილი.

გვ.: 36,2. „**აქიმს მაჭავარიანსა**“ – სახელი უცნობია და პირის ვინაობა დაუდგენელი.

გვ.: 36,3. „**გაუგზავნეთ რემერტსა**“ – საუბარია ექიმ ადოლფ ალექსანდრეს ძე რემერტზე.

გვ.: 36,6. „**არხიმანდრიტი აპირებს თქვენს ხილვას**“ – სავარაუდოდ, საუბარია რომელიმე არქიმანდრიტის ბორჯომში ჩასვლაზე და არა ადრესატის მონახულებაზე.

გვ.: 36,9. „**ბაბაღეს ჩამოსვლა ამ დროს**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბაბაღე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ.: 36,13. „**ტასო სიყვარულით მომიკითხე**“ – შესაძლოა, საუბარია იყოს ადრესატის დისწულზე – ანასტასია ხერხეულიძეზე.

**ნიკოლოზ ბარანოვსკისადმი №4 (741) გვ.: 37-38.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 40r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალაღი; ზომა: 35,3X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «14<sup>to</sup> Июля 1870.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Николаю Ивановичу Барановскому»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების დირექტორის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, **თბილისშია** გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. სიტყვა ჩამატებულია, მის დაბლა ერთი სიტყვაა გადაშლილი, რომელიც ფანქრით არის დაფარული და არ იკითხება; 3. «Таким образом, по прошествіи» ჩამატებულია, მის დაბლა სამი სიტყვაა გადაშლილი, რომელიც ფანქრით არის დაფარული და არ იკითხება.

გვ.: 37,2. «Николаю Ивановичу Барановскому» – წერილის ადრესატია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების დირექტორი – ნიკოლოზ ივანეს ძე ბარანოვსკი.

გვ.: 37,3. «Жена моего брата Варвара Ильинишна, как К: Орб: и ея сын Георгій» – საუბარია გრიგოლის ძმის, ილია ზურაბის ძე ორბელიანის, ცოლ-შვილზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანსა და გიორგი ორბელიანზე.

### **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №31 (742) გვ.: 39-41.**

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №455 / №24, ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 47r-v, 48r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი, პატარა ფორმატის ფურცელი; ზომა: 20,3X13 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. რესტავრირებულია. III და IV გვერდებზე წითელი ლუქის ნარჩენია. IV გვერდზე ადრესატის მისამართი წერია. II ფურცლის ზედა ნაწილი მოხეულია. ხელნაწერი რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** „17<sup>ა</sup> აგვისტოს კოჯორით.“

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო ბაბა-  
ლე!“

**ადრესატის მისამართი:** „ღმერთს მიერთოს ბაბაღეს საგინოვი-  
სას კოდას.“

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთო; 3. ღვთით.

**დათარიღება:** წერილში საუბარია გრიგოლ ორბელიანის მიერ ბეთანიის ეკლესიის მონახულებასა და მიღებულ შთაბეჭდი-  
ლებებზე. პოეტმა თავისი ცნობილი ლექსი „თამარ მეფის სა-  
ხე ბეთანიის ეკლესიაში“ 1877 წელს გამოაქვეყნა და შეიძლე-  
ბოდა წერილის დაწერის ზედა ზღვრად ეს თარიღი აგველო,  
მაგრამ ბარათის ადრესატი – ბაბაღე ორბელიანი-საგინაშვი-  
ლისა ბევრად უფრო ადრე, 1870 წლის 21 აგვისტოს, გარდა-  
იცვალა. რადგან წერილს 17 აგვისტო აწერია, მას ვათარი-  
ღებთ 17 აგვისტოთი, **არაუგვიანეს 1870 წლისა.**

გვ.: 39,16. „ჩემო საყუარელო ბაბაღე“ – წერილის ად-  
რესატია გრიგოლის ბიძაშვილი – ბაბაღე სამარაგდონის ასუ-  
ლი ორბელიანი-საგინაშვილისა.

გვ.: 39,16-17. „ღუთაებობას, ვიყავ ბეთანიას“ – იგუ-  
ლისხმება მარიამობის დღესასწაული, რომელიც 15-16 აგვის-  
ტოს აღინიშნებოდა.

გვ.: 39,18-19. „სურათები თამარ მეფასი, მის მამისა და  
შვილისა“ – საუბარია XII-XIII საუკუნეებში ერთიანი საქარ-  
თველოს მეფე თამარზე, მის მამა – გიორგი III-სა და ვაჟზე –  
ლაშა-გიორგიზე.

გვ.: 39,24. „მოვედით სადილად სოფიოსთან“ – სავარა-  
უდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ  
ორბელიანზე.

გვ.: 40,1. „წინუცა მაინც გადმოვიდეს“ – სავარაუ-  
დოდ, საუბარია გრიგოლის დისწულ წინო მელიტონის ასულ  
ბარათაშვილზე.

გვ.: 40,7. „მთავარმართებელი მოვა“ – 1862-1881  
წლებში კავკასიის მეფისნაცვალი იყო მიხეილ ნიკოლოზის ძე  
რომანოვი და, სავარაუდოდ, ის უნდა იგულისხმებოდეს.

გვ.: 40,17. „ვარინკას წიგნი მომივიდა“ – საუბარია

გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე.

გვ.: 40,18. „**ენინამ არ გამოძიშვო**“ – საუბარი უნდა იყოს ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის დედაზე – ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონისაზე.

გვ.: 40,24. „**ალექსანდრე, აბა მომწერე**“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 40,27. „**პოსელენცები დასახლებულან ჩვენს ჩიტალასა და შავმირზას სოფლებშია?**“ – როგორც ჩანს, საუბარია ხიზნებზე.

### **ალექსანდრე საგინაშვილისადმი №10 (743) გვ.: 41.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №430 / №29, ორმაგი პაგინაციით: 1r / 3r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, თხელი ქაღალდის ნაგლეჯი; 1 ფურცელი; ზომა: 21,2X13,2სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც ფურცლის მეორე მხარესაცაა გაჟონილი.

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი **თბილისშია:** „ბაბაღე როგორ არის, რას ნებერობს? განა კოდიდამ იმისათვის მოვიდა, რომ აქ იავანთყოფოს?“

**დათარილება:** რამდენადაც, წერილის მიხედვით, ადრესატის მეუღლე – ბარბარე ცოცხალი ჩანს („ბაბაღე როგორ არის“), მას ვათარილებთ მისი გარდაცვალების თარიღის მიხედვით – **1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით.**

გვ.: 41,10. „**მისწერე ნუშკასა**“ – პირის შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 41,13. „**ბაბაღე როგორ არის**“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ბაბაღე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

## ალექსანდრე საგინაშვილისადმი №11 (744) გვ. 42.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №429 / №29, ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორად გადაკეცილი, თხელი ფურცელი; ზომა: 20,8X13,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში. IV გვერდზე მისამართი წერია და ორი წითელი ლუქის ნარჩენია ზედა და ქვედა მხარეს.

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ბატონო ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** ღთვით მიერთოს კოდას ალექსანდრეს დიმიტრის ძეს საგინოვს.“

**შენიშვნები:** 1. ასეა; 2. ავტორს ბრჭყალები დახურული არა აქვს; 3. ღვთით.

**დათარილება:** წერილის მიხედვით, ადრესატის მეუღლე – ბაბაღე სამარაგდონის ასული ორბელიანი-საგინაშვილისა ცოცხალია და, შესაბამისად, მას ვათარილებთ **1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით.**

გვ.: 42,2. „**ნინიკა წავიდა ქალაქში**“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის მსახურ ნინიკა ბაქრაძეზე.

გვ.: 42,5. „**შენცა და კოდის დედუფალსაცა**“ – იგულისხმება ადრესატის მეუღლე ბაბაღე.

გვ.: 42,5-6. „**შეიძლება სისინმაც მოიცადოს**“ – საუბარი უნდა იყოს ტოპოგრაფიული კორპუსის პოდპორუჩიკ პავლე ათანასეს ძე სისინზე.

გვ.: 42,8. „**სულ ამირალოობა ხომ არ იქნება**“ – საუბარი უნდა იყოს პირზე, რომელიც კავალრობას უწევდა ადრესატის მეუღლეს, მაგრამ დამატებითი ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

### ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №32 (745) გვ.: 43.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №468 / №24, ორმაგი პაგინაციით: 1r / 8r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, პატარა ფორმატის, ტრაპეციის ფორმის 1 ფურცელი; ზომა: 13,5X8, სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); შესრულებულია შავი მელნით. ამავე ნომრით ინახება ამავე ადრესატისადმი მიწერილი ბარათი, შესრულებული პატარა ზომის ქალაღზე („კოდის დედოფალს...“).

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით არ ირკვევა, ადრესატი თბილისშია თუ კოღაში.

**შენიშვნები:** 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

**დათარიღება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის. ამიტომ ვათარიღებთ ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით: **1870 წლის 21 აგვისტოღდე პერიოღით.**

გვ.: 43,2. „აღექ: და რამაზ“ – საუბარია ადრესატის ქმარზე – აღექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე, მაგრამ გაურკვეველია, ვინ იგულისხმება რამაზში. დაბეჯითებით რომ ვიცოღდე, რომ ეს რამაზ თარხნიშვილია, მაშინ წერილს 1866 წლაღდე პერიოღით დავათარიღებდით, მაგრამ მხოლოდ სახელის მიხედვით ასეთი დასკვნის გამოტანა წარმოუდგენელია. გრიგოლი ხშირად ახსენებს რამაზ ანდრონიკაშვილსაც, თუღცა შეიღლება აქ სულ სხვა რამაზიც იყოს ნაგულისხმევი.

### ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №33 (746) გვ. 43.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №467 / №24, 12r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, პატარა ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 7,8X6 სმ.; შესრულებულია შავი მელნით.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ბაბაღე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ჩანს, რომ ადრესატი **თბილისშია:** „რატომ კოდას არ მიდიხარ, ეს ნყალიც ხომ გამოიტანეს? რაღას ელი და ანუ ვისთვისა ხარ აქა საჭირო?“

**დათარილება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის. ამიტომ ვათარილებთ ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით: **1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით.**

### **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №34 (747) გვ. 43.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №472 / №24, 5რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, დაღაქავებული, საშუალო სისქის, პატარა ფორმატის, არასტანდარტული ფურცელი; ზომა: 11X9,3 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში და რომლითაც დასვრილია ხელნაწერი.

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ბაბაღე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით არ ირკვევა, ადრესატი **თბილისშია** თუ კოდაში.

**დათარილება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის. ამიტომ ვათარილებთ ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით: **1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით.**

გვ.: 43,16. „**დავრჩი უსადილოდ ლევაშევასას**“ – საუბარია გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის მეუღლეზე – ოლღა ვიქტორის ასული პანინა-ლევაშოვისაზე.

### **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №35 (748) გვ. 44.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №471 / №24, 7რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, დაღაქავებული, საშუალო სისქის, პატარა ფორმატის, არასტან-



დარტული ფორმის 1 ფურცელი; ზომა: 16,1X7,2 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ბაბაღე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით არ ირკვევა, ადრესატი თბილისშია თუ კოდაში.

**პირველი პუბლიკაცია:** იონა მეუნარგია, „ცხოვრება და ღვან-ლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მომამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

**დათარილება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის. ამიტომ ვათარილებთ ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით: **1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით.**

#### **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №36 (749) გვ. 44.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №469 / №24, 4r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, პატარა ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 13,5X11,4 სმ; შესრულებულია შავი ფანქრით.

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ბაბაღე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით არ ირკვევა, ადრესატი თბილისშია თუ კოდაში.

**დათარილება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის. ამიტომ ვათარილებთ ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით: **1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით.**

გვ.: 44,7. „ყაფლან აქ არის“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

### ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №37 (750) გვ. 44.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №462 / №24, 14r.  
**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, თხელი, პატარა ფორმატის, არასტანდარტული ფორმის 1 ფურცელი; ზომა: 13X10,4 სმ. (გაზომილია დიდი მხრიდან); შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში.

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „...ჩემო თვალისჩინო ბაბაღე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი **თბილისშია:** ავტორი მას ტაძარში მისვლას სთხოვს: „დღეს მტრების თვალის დასაყენებლად ისხივ-ივარსკულავე სობოროში მოლევნაზედ პირველს საათზე.“

**დათარილება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის. ამიტომ ვათარილებთ ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით: **1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით.**

### ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №38 (751) გვ. 45.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №463 / №24, ორმაგი პაგინაციით: 14v / 16v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, თხელი, პატარა ფორმატის, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 12,8X10,1 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში. გადაკეცვის ადგილას, ზედა ნაწილში, ხელნაწერი 4 სმ-ზე მეტადაა გახეული, ქვემოდანაც მცირეზეა შეხეული. წერილი დაწერილია II (14v / 16v) გვერდზე. I გვერდზე ადრესატის წერილია გრიგოლისადმი, შესრულებული ლურჯი მელნით:

„ჩემო ბატონო ძმაო გრიგოლ.

თქუენი გულით საყვარელი ნათესავი გოჭარალა გიახლებათ ეხლა ჩემთანა, და გთხოვთ ჩამობრძანდეთ და დრო გაატარებინოთ, ხომ კარგათ მოგეხსენებათ მე არ ვიცი თათრული ლაპარაკი და ვერც ისე ისიამოვნებს ჩემის ნახვითა როგორც თქვენის ჩამობრძანებით, და იმედი მაქვს მობრძანდებით უთუოთ. –

თქვენი და ბარბარე საგინაშვილი“

IV გვერდზე ბარბარეს ხელით, იმავე ფერის მელნით მიწერილია: „კნიაზ გრიგოლ ორბელიანოვს“

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი **კოდაში** იმყოფება: ის გრიგოლს მასთან სტუმრად მყოფი გოჭარალას სანახავად ჩასვლას სთხოვს, გრიგოლი კი საქმეებს იმიზეზებს, რისი მოგვარებაც თბილისთან იყო დაკავშირებული: „დიდროანნი საქმეები მაბრკოლებს, თორემ აი შენი ალექსანდრეც გაცხარებული კივის ზეულისტანის საქმეზედ.“

**შენიშვნები:** 1. ავტორს „პ“ გამორჩენილი აქვს.

**დათარილება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის. ამიტომ ვათარილებთ ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით: **1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით.**

გვ.: 45,1-2. **„გოჭარალის პაპის** – საუბარია ჯაფარ ყული ხანის ცოლის, გოვხარ აღას, პაპაზე. რამდენადაც მისი დედა გვარად აბაშიძე იყო, შესაძლოა, იგულისხმებოდეს მისი ქართველი პაპა.

გვ.: 45,3. **„შენი ალექსანდრეც** – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 45,5. **„დედოფალი და ტასო დაიპატიჟეთ** – სავარაუდოდ, საუბარია სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანისაზე და, შესაძლოა, გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორ-

ბელიან-ოკლობჟიოსაზე.

### **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №39 (752) გვ. 45.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №465 / №24, 9რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, სა-შუალო სისქის, პატარა ფორმატის, ორად გადაკეცილი ფურ-ცელი; ზომები: I ფურცელი: 15,9X10,2 სმ; II ფურცელი: 15,9X10,6 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაყლენთილია ფურცელში. II ფურცელი მონაკეცის ადგილას შეხეულია.

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ბაბაღე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი **თბილისში** იმყოფება: „მეც უპასუხე, რომ შენ ამ ახლოს ხანში ჩამოხველ სოფლიდამ და უქეიფოთ იყავ.“

**დათარილება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის. ამიტომ ვათარილებთ ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით: **1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით.**

გვ.: 45,10. „**გიკითხეს ეილერამ და აგაროვამ**“ – საუბარია მეფისნაცვლის მეუღლის – ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელის ფრეილინებზე – დიპლომატ ეგგენი ალექსანდრეს ძე ვიტგენშტეინის მეუღლეზე – ელისაბედ პავლეს ასულ ეილერზე და გენერალ-ლეიტენანტ ადოლფ ვილჰელმის ძე ფონ-შაკის მეუღლეზე – სოფიო ნიკოლოზის ასულ ოგარევაზე.

გვ.: 45,11. „**ველიკი კნინამაც**“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლეზე – ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

## **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №40 (753) გვ. 45-46.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №461 / №24, 11რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, თხელი, ორად გადაკეცილი, პატარა ფორმატის ფურცელი; ზომა: 13,1X10,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში.

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „...ჩემო ბაბაღე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით არ ირკვევა, ადრესატი თბილისში იმყოფება თუ კოდაში.

**დათარილება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის. ამიტომ ვათარილებთ ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით: **1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით.**

გვ.: 45,16-17. „**რაღად გინდა ან ლიბაუ**“ – საუბარია ექიმ ანდრეი ანდრეის ძე ლიბაუზე.

## **ბაბაღე ორბელიან-საგინაშვილისადმი №41 (754) გვ. 46.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №470 / №24, 6რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დასრესილი, მრავალნაკეცი, პატარა ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 15,5X8,2 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**ხელმოწერა:** „შენი გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „...ჩემო ბაბაღე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში გრიგოლი ადრესატს მასთან მიუსვლელობას საყვედურობს, რაც გვავარაუდებინებს, რომ ბარათი **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**დათარილება:** წერილში რაიმე ისეთი რეალია, რასაც კონკრეტულ თარიღთან დავაკავშირებდით, არ არის, ამიტომ ვათარილებთ ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით: **1870 წლის 21 აგვისტომდე პერიოდით.**

## ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №43 (755) გვ.: 46-49.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 41r-v, 42r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის, ორი გადაბმული ფურცელი; ზომა: 34,6X21,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «10<sup>10</sup> Сент: 1870 Тифлис.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** ნერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი **მოსკოვში** იმყოფება: «Зима наступает; твои силы не выдерживают продолжительных морозов Москвы; Подумай заблаговременно, можешьли оставаться там на всю Зиму?»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია. ავტორის მიერ; 2. ჩამატებულია; 3. месяцев; ტექსტში სიტყვა დაქარაგმებულია, ამასთან, დაბოლოება არის «ов» და არა «ев»; 4. ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «Голосов».

გვ.: 46,15. «**Георгій своим характером**» – საუბარია ადრესატის ვაჟზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 47,16-17. «**просить Князя Николая**» – შესაძლოა, საუბარი იყოს ამავე ადრესატისათვის გაგზავნილ წერილებში ხშირად მოხსენიებულ ნიკოლოზ ივანეს ძე მირსკიზე.

გვ.: 47,22-23. «**бывал и у Мирских**» – საუბარი უნდა იყოს გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო ორბელიან-მირსკაიას, ოჯახზე.

გვ.: 47,23-24. «**жил также Ираклий с женою и матерью**» – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე, მის მეუღლეზე – თამარ დავითის ასულ ქავჭავაძესა და დედაზე – მარიამ ისაყის ასულ აღამალოვაზე.

გვ.: 47,24. «**прелестныя дети у Мирских**» – სოფიო იაკობის ასულ ორბელიანსა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ჰყავდათ ოთხი შვილი: ნინა, მარიამი, ოლღა და პეტრე.

გვ.: 47,25. «**семнацатилетіе Майко**» – საუბარია მარი-

ამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიაზე, რომელიც სწორედ იმ დროს გახდა 17 წლის.

გვ.: 47,28. **«Бывшая Княгиня Мирская Аннета, теперь Мадам Сименс»** – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის წერილებში ხშირად მოხსენიებული დიმიტრი და ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკების მესამე ძმის, ვლადიმერის (გარდ. 1861). ქვრივზე – ანეტა ანდრიას ასულ ფონ კრემერ-მირსკისაზე, რომელიც 1870 წელს ცოლად გაჰყვა ცნობილ ბიზნესმენ ოტო სიმენსს.

გვ.: 47,30. **«Покойный Александр — наш дядя»** – პიროვნების ვინაობა ვერ გაირკვა.

გვ.: 48,2. **«тяжба Иванова»** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანის, ქმარზე – ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვზე, რომელიც მამულების კუთვნილებაზე ედავებოდა ცოლის ნათესავეებს.

გვ.: 48,2. **«дочерей дяди Якова»** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილებზე: ეკატერინე, სოფიო და ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანებზე.

გვ.: 48,3. **«отыскивает с Александра»** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 48,9-10. **«надеется на брата Опочинина, который служит в Сенате»** – ნიკოლოზ ივანოვის ქვისლს – ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინს ორი ძმა ჰყავდა: ვლადიმერი და ნიკოლოზი, ორივე კონტრადმირალები. ისტორიულ წყაროებში სენატორად არც ერთი არ მოიხსენიება, მაგრამ ნიკოლოზის შესახებ ნათქვამია, რომ მან შეიმუშავა საზღვაო კანონმდებლობა და მონაწილეობდა სხვადასხვა სახელმწიფო კომისიაში.

გვ.: 48,10. **«на К: Николая»** – საუბარი უნდა იყოს კიდეე ერთი ქვისლის – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ძმაზე – ნიკოლოზზე.

გვ.: 48,11-12. **«за интересы своего брата»** – იგულისხმება დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი.

გვ.: 48,18-19. **«бедная Бабале более не существует»** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ბაბალე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ.: 48,20-21. **«утешая мужа своего»** – საუბარია ბარბარეს ქმარზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 48,45. «Иван – сын Мананы» – საუბარია გრიგოლის ნათესავ ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 49,1. «Тасо Гагарина остаётся» – საუბარია გრიგოლის ნათესავ ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 49,4. «Целую Георгія, моего дядю» – გრიგოლი თავის ძმისშვილს ხუმრობით უწოდებს «дядя»-ს.

გვ.: 49,5. «Ея Светлости Царевне» – საუბარია ადრესატის დედაზე – ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 49,6. «сестрам твоим» – იგულისხმება ადრესატის დები: გაიანე, ელისაბედი, ოლა, ალექსანდრა, ეკატერინე და ნადეჟდა.

#### **ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №44 (756) გვ. 52.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 43r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,1X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «1870 Сент: 26. Тифлис.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** წერილში ადრესატის ადგილსამყოფელი გამოკვეთილი არ არის, მაგრამ ვიცით, რომ ბარბარე ამ პერიოდში მოსკოვში ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია. ავტორის მიერ.

გვ.: 52,2. «К: Георгій Мухранскій» – საუბარი უნდა იყოს გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 52,8-10. «Вдове Генералмайора К: Орбел: Княгине Варваре Орб... и ея сыну» – საუბარია გრიგოლის ძმის, ილია ზურაბის ძე ორბელიანის, ცოლ-შვილზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანსა და გიორგი ორბელიანზე.



## ნიკოლოზ ბარანოვსკისადმი №5 (757) გვ. 54.

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515ა, 16რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოთეთრო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, საშუალო ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 28,1X21,3 სმ; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი ორ ადგილას ამოხეულია.

**თარიღი და ადგილი:** «2 Декаб: 1870.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Николаю Ивановичу Барановскому.»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების დირექტორის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია.

გვ.: 54,4-5. «О Пенсии Княгини Варвары Ильинишны

**Орбел: и ея сына»** – საუბარია გრიგოლის ძმის, ილია ზურაბის ძე ორბელიანის, ცოლ-შვილზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანსა და გიორგი ორბელიანზე.

1871

## ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №45 (758) გვ.: 55-56.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 53რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალღალი; ზომა: 35,3X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «15 Генв: 1871»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** «в Москву.»

**შენიშვნები:** 1. ეს ადგილი დაზიანებულია, მაგრამ სიტყვის

გარჩევა შესაძლებელია; 2. ავტორს ორნერტილი არ უნერია;  
3. ხელნანერშია «Амажукели».

გვ.: 55,5-6. «Спасибо Попоригопуло и Барановскому» – საუბარია საიდუმლო მრჩეველ ალექსანდრე ივანეს ძე პოპორილოპულოსა და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების დირექტორ ნიკოლოზ ივანეს ძე ბარანოვსკიზე

გვ.: 55,12. «Великаго Князя» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 55,14-16. «прелестных Дам: Тамара, Елена, Нина и Майко Мирская, дочь Вахтанга, Олинька Томич, Коргановы» – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს 19 წლის თამარ და 21 წლის ელენე დავითის ასულ ჭავჭავაძეებზე, ნინო და მაიკო დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიებზე და 19 წლის მარიამ (მაშო) ვახტანგის ასულ ორბელიანზე. ყორღანოვებში შეიძლება იგულისხმებოდეს გენერალ-მაიორ იოსებ ყორღანაშვილის ქალიშვილები, რომელთაგან ერთი – 26 წლის სოფიო ცოლად ჰყავდა გრიგოლ ივანეს ძე ლორის-მელიქოვს. რაც შეეხება ოლღა ტომიჩს, საუბარი უნდა იყოს ამიერკავკასიის ჯარების უფროსის, პეტრე ივანეს ძე ტომიჩის, ქალიშვილზე.

გვ.: 55,22. «выразился Руставели» – იგულისხმება პოეტი შოთა რუსთაველი.

გვ.: 55,24-25. «грузин: спектакль «Затмение Солнца» – საუბარია ზურაბ ანტონოვის პიესის დადგმაზე.

გვ.: 55,25-26. «Тасо Оглобжію, Амашукели и два брата Калоубанских» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლიბჭიოსაზე, მაგრამ ვინ იგულისხმება ამამუკელსა და კალოუბნელებში, უცნობია, რადგან, სავარაუდოდ, ისინიც სცენის მოყვარულები უნდა ყოფილიყვნენ და არა პროფესიონალი მსახიობები.

გვ.: 56,4-5. «отправились к Ревазу Андрон.» – სავარაუდოდ, საუბარია რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილზე, რომელიც ამ დროს იყო კავკასიის სამხედრო ოლქის ჰოსპიტლების უფროსი.

გვ.: 56,6. «**Экзамен Георгія**» – საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 56,18. «**Давид в Цинандалах и у него гостит Како**» – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძესა და მის ქალიშვილ მარიამზე (კაკოზე).

### **ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №46 (759) გვ.: 58-60.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 54r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,4X21,9 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით; სამ ადგილას (ორგან I გვერდზე და ერთგან II გვერდზე) ტექსტს მარცხენა ამიაზე შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული.

**თარიღი და ადგილი:** «Тифлис 4 Марта 1871»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი მოსკოვში ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ჩამატებულია; 3. სახელი და გვარი ხაზგასმულია; 4. ორწერტილი ავტორს არ უწერია; 5. ჩამატებულია.

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, დაწყებული I აბზაცის ფრაზიდან – «**Более месяца мы неимеем известий из России**», აბზაცის ბოლომდე, ქართულ თარგმანთან ერთად, დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მოამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Or5belianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Or5belianisa.pdf)

გვ.: 58,16. «**решалась судьба Франции**» – 1871 წლის 8 თებერვალს საფრანგეთში ჩატარდა ეროვნული კრების არჩევ-

ნები, რომელზეც ხმათა უმრავლესობა მიიღეს რადიკალურმა დემოკრატიებმა.

გვ.: 58,16-17. **«Европа принимает иное положение»** – სავარაუდოდ, გულისხმობს 1871 წლის 1 მარტს საფრანგეთსა და პრუსიას შორის დადებულ შეთანხმებას.

გვ.: 58,17. **«когда властитель Европы»** – სავარაუდოდ, საუბარია საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ზე.

გვ.: 58,18. **«отвергнутый, даже друзьями»** – იმპერატორ შარლ ლუი ნაპოლეონ III-ის რეჟიმი საფრანგეთში იმდენად შერყეული იყო, რომ 1870 წლის 5 სექტემბერს ის, თავის ჯართან ერთად, თავად ჩაბარდა ტყვედ პრუსიელებს.

გვ.: 58,18-19. **«в маленьком замке гостеприимной Швейцарии»** – როგორც ჩანს, გრიგოლ ორბელიანს არასწორი ინფორმაცია ჰქონდა. ციხე-კოშკი ჩიზლხერსტი, სადაც ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ (1871 წლის 1 მარტი) ცხოვრობდა ნაპოლეონი, მდებარეობს ინგლისში, ლონდონთან, და არა შვეიცარიაში.

გვ.: 58,21. **«изречение Шамир хана»** – საუბარია შამირ ფრიდონის ძე მელიქ-ბეგლიაროვზე, რომელიც მთარგმნელად მსახურობდა კავკასიის მთავარსარდლის, გენერალ ერმოლოვის, დიპლომატიურ კანცელარიაში.

გვ.: 58,21-22. **«увидел в Тифлисе Алишаха Персидсаго»** – საუბარია ირანის შაჰის, სულთან ახმედის, პრემიერ-მინისტრზე – მირზა მუჰამედ ალი-ხანზე.

გვ.: 58,22. **«изгнанного из Персии»** – მირზა მუჰამედ ალი-ხანი 1870 წელს გილიანის გუბერნატორობიდან გადააყენეს და გამოგზავნეს თბილისში, სადაც 1874 წლამდე მსახურობდა ირანის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში.

გვ.: 58,25-26. **«победу его над Авганцами»** – გაურკვეველია, რომელ ბრძოლაზეა საუბარი, რადგან მირზა მუჰამედ ალი-ხანის ბიოგრაფიაში მსგავს ფაქტს ვერსად შევხვდით.

გვ.: 59,26. **«Не тожили самое теперь с Наполеоном»** – საუბარია საფრანგეთის ყოფილ იმპერატორ ნაპოლეონ III-ზე.

გვ.: 59,1. **«Мадам Корпеко, приехавшая из Тулы»** – შესაძლოა, საუბარი იყოს თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის, მიხეილ ნიკოლოზის ძე კარპეკოს, მეუღლეზე.

გვ.: 59,5. «**Княжны Александры**» – იგულისხმება ადრესატის და – ალექსანდრა ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია.

გვ.: 59,8. «**пойду и к Ираклию**» – იგულისხმება ირაკელი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი.

გვ.: 59,8-9. «**перед Тамарою и Еленою**» – იგულისხმება თამარ და ელენე დავითის ასული ჭავჭავაძეები.

გვ.: 59,9-10. «**Давид... ея жениха Астафьева**» – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე, მის ქალიშვილ ელენესა და სასიძოზე – ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევზე.

გვ.: 59,14. «**Их Высочества ласкают его**» – სავარაუდოდ, იგულისხმება მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 59,21. «**Княгиня Шаховская и Анна Андреевна Сименс**» – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე შახოვსკის მეუღლეზე – ანა მიხეილის ასულ ვიელგორსკაია-შახოვსკისა და ოტო სიმენსის მეუღლეზე – ანეტა ანდრიას ასულ ფონ კრემერ-სიმენსზე.

გვ.: 59,23. «**Бабале Везирова**» – საუბარია ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილ-ვეზირიშვილისაზე.

გვ.: 59,24. «**Нина поехала к мужу**» – საუბარია ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილ-გერმანოვიშვილსა და მის მეუღლეზე – ლევან (ლეონიდ) გერმანოვის ძე გერმანოვიშვილზე.

გვ.: 59,27. «**Княгиня Саша Меликова**» – საუბარია ალექსანდრა მამუკას ასულ ორბელიან-მელიქიშვილისაზე.

გვ.: 59,28. «**в Шуру к мужу**» – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე, რომელიც დალესტინის ოლქს ხელმძღვანელობდა.

გვ.: 59,30. «**Ея Светлости Царевне**» – საუბარია ადრესატის დედაზე – ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 59,31. «**Знают ли твои сестры**» – იგულისხმება ადრესატის დები: გაიანე, ელისაბედი, ოლლა, ალექსანდრა, ეკატერინე და ნადეჟდა.

გვ: 60,1. «моего дядю Георгія» – გრიგოლ ორბელიანი თავის ძმისწულ გიორგის სიყვარულით «дядя»-ს უწოდებს.

### იოსებ თარხან-მოურავისადმი №1 (760) გვ.: 62-63.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №90 / №49.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 26,4X20,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. გადაკეცვის ადგილებში ფურცელი ოდნავ არის შეხეული ორივე მხრიდან.

**თარიღი და ადგილი:** «8<sup>го</sup> Апр: 1871.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «К.<sup>го</sup> Иосифу Давидовичу Тарханмоураву»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე მსახურობდა, რომლის შტაბბინაც თბილისში მდებარეობდა. ამასთან, გრიგოლი ადრესატს სთხოვს თავისი ძმის, ილია ორბელიანის, ნამსახურობის ნუსხის მოსკოვში გადაგზავნას. შესაბამისად, წერილი **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 62,17. «К.<sup>го</sup> Иосифу Давидовичу Тарханмоураву» – წერილის ადრესატია გენერალი იოსებ დავითის ძე თარხან-მოურავი.

გვ.: 62,18. «**Племянник мой К.<sup>го</sup> Георгій**» – საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 62,19. «**отца своего – уже умершаго**» – საუბარია გრიგოლის ძმაზე – ილია ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანზე.

გვ.: 62,21. «**Его Высоч: Конст: Николаевича Полка**» – გრენადერთა პოლკი ატარებდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმის, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რომანოვის, სახელს.

## ალექსანდრე ნიკოლაისადმი №13 (761) გვ.: 63-64.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №127 / №32, 10r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 35,3X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «22<sup>10</sup> Апр: 1871.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Барону Алек: Павловичу Николай.»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა და, შესაბამისად, წერილი **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

გვ.: 63,16. «**Барону Алек: Павловичу Николай**» – წერილის ადრესატია 1863 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი – ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი.

გვ.: 64,1. «**Кодзиков должен быть**» – შესაძლოა, საუბარი იყოს გენერალ-მაიორ ვლადიმერ თეოდორეს ძე კოზიკოვზე, რომელიც 39-ე საარტილერიო ბრიგადას ხელმძღვანელობდა.

## ნიკო ქავჭავაძისადმი №4 (762) გვ.: 65-66.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №504 / №30 (ძველი S: 5327); ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 9r-v, 10r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ფურცელი; ზომა: 20,9X13,3 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში.

**თარიღი და ადგილი:** „30 აპრ: 1871. თბილისით.“

**ხელმოწერა:** „გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო გულით საყუარელო ნიკო!“

**ადრესატის მისამართი:** ნიკო ქავჭავაძე ამ დროისათვის და-

**ლესტანში** მსახურობდა. შესაბამისად, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. საზგასმულია ავტორის მიერ; 2. ასეა; 3. „ვ“ გამოტოვებული აქვს; 4. საზგასმულია; 5. ღმერთმან; 6. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია, ხელრთვა პირდაპირ მიემის დიდი ასოებით, მაგრამ, რადგანაც ეს არის ხელმოწერა და, შესაბამისად, იგი ბრუნვაში არ დგას, ამიტომ აქ წერტილს ვწერთ; 7. საზგასმულია.

გვ.: 65,1-2. **„მოგართმევს ტრაჟკოვსკი“** – პირის სახელი უცნობია და ვინაობა დაუდგენელი.

გვ.: 65,3. **„მანდ განანესეს“** – საუბარია დასავლეთ დალესტანზე, რომლის მმართველიც იყო ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 65,4. **„თავის პატარა ცოლით“** – პირის ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 65,6. **„ველიკი კნიაზი ნაბძანდა“** – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 65,10. **„კნ: ლევან მშვიდობიანად არის“** – სავარაუდოდ, საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ.: 65,13. **„ვასილ სარაჯევი და დიმიტრი“** – შესაძლოა, საუბარი იყოს გენერალ-მაიორ ვასილ ანდრიას ძე სარაჯევილსა და დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

გვ.: 65,16-17. **„ბენისლავსკიც... ცქრიალა ცოლით“** – სავარაუდოდ, საუბარია იმჟამად თბილისის გუბერნიამი საგლეხო საკითხების მიმართულებით მომსახურე ნიკოლოზ პეტრეს ძე ბენისლავსკიზე. მეუღლის სახელი უცნობია.

გვ.: 65,18. **„ჩემს დისწულს“** – აქ ადრესატი იგულისხმება, რადგან მისი დედა – ანა ასლანის ასული ორბელიანი, გრიგოლის ბიძაშვილი იყო.

გვ.: 65,23. **„ყაფლანის ქალი ნინუცა“** – საუბარია მათ საერთო ნათესავზე – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანსა და მის უფროს ქალიშვილ ნინოზე.

გვ.: 65,28-29. **„დავით ჭავჭ: ქალი ელენე გათხოვდა ასტაფიევიზე“** – საუბარია ელენე დავითის ასულ ჭავჭავაძესა და მის ქმარზე – ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევიზე.



გვ.: 66,1. „მირსკისა უფროსი ქალი ნინა შეირთო პოლკოვ: დენმა“ – საუბარია ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიასა და მის ქმარზე – ვალდემარ კარლ ფონ დენზე.

გვ.: 66,5-6. „დავითის სამნი ქალები, თამარ, კაკო, ელენე“ – საუბარია დავით ჭავჭავაძის ქალიშვილებზე: თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონისაზე, მარიამ (კაკო) ჭავჭავაძე-ჭავჭავაძისაზე და ელენე ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე.

გვ.: 66,6. „მირსკის სამნი ქალები, ნინა, მაიკო და ოლინკა“ – საუბარია ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიადენისაზე, მარიამ (მაიკო) და ოლლა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიებზე.

გვ.: 66,8. „ივანეს ამბავი რა მოგწერო“ – საუბარი უნდა იყოს ივანე დავითის ძე ორბელიანზე, რომელსაც ფინანსური პრობლემები ჰქონდა.

გვ.: 66,15-16. „კნ: მირსკი... ავთიმყოფობს“ – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 66,16. „ცოლშვილიკი აქ დარჩება“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიანსა და მის შვილებზე: ნინოზე, მარიამზე, ოლლასა და პეტრეზე.

გვ.: 66,17. „წელმნიფე აპირებს მობძანებასა“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

## ალექსანდრე სვისტუნოვისადმი №2 (763) გვ. 67.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №482 / №42, 2r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქალაღი; ზომა: 35,2X22 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** «21 Мая 1871 год»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Александрю Павловичу Свистуну.»»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა, რომლის შტაბბინაც **თბილისში** მდებარეობდა. შესაბა-



**შენიშვნები:** 1. ჩამატებულია; 2. «милостивое внимание» ჩამატებულია, მის დაბლა გადახაზულია «постоянно», თუმცა იგივე სიტყვა მაინც დაუნერია; 3. ამის შემდეგ გადახაზულია «оказываемое»; 4. ჩამატებულია, მის დაბლა გადახაზულია «милостивое внимание».

გვ.: 68,6. **«Государыня Ольга Феодоровна»** – წერილის ადრესატია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლე – ოლღა თეოდორეს ასული ბადენელი-რომანოვისა.

გვ.: 68,12-13. **«обожяемого нами Великаго Князя»** – საუბარი უნდა იყოს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №47 (765) გვ.: 70-71.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 57r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალაღი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ორ ადგილას ტექსტს მარცხენა ამი-აზე შავი ფანქრით მოკლე ხაზი აქვს ჩამოსმული.

**თარიღი და ადგილი:** «12 Июня 1871 Тифлис»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** «в Москву.»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. «тупые головы, неверовы, существуют не в одном Тифлисе» ხაზგასმულია; 3. ამ ადგილას ხელნაწერი დაზიანებულია.

**პირველი პუბლიკაცია:** 1 წინადადება: «Ты знаешьли, что ежели для меня существует цель жизни, радость жизни, конечно, это ты и Георгій», ქართული თარგმანით, დაბეჭდილია იონა მეუნარგიას მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მოამბედან“, ტფი-

ლისი, ელექტრონის სტამბა ნიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

გვ.: 70,8. «**Неверовы, существуют**» – აქ განზოგადებულია 1864-1879 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველის, იანუარი მიხეილის ძე ნევეროვის, სახე.

გვ.: 70,10. «**можетли Георгій**» – საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 70,11. «**Сын Вахтанга**» – საუბარია გრიგოლის ნათესავზე – ერეკლე II-ის შვილთაშვილ, იურისტ ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 70,27. «**и Давид**» – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 70,27. «**навстречу Государю**» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 71,11-12. «**В: Князь... прискакал из Боржома**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 71,14. «**Великая К:<sup>3</sup> в депеше**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლეზე – ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 71,20. «**землю на Острове Мирзоеву**» – სავარაუდოდ, საუბარია მადათოვის კუნძულზე და თბილისელ ვაჭარ ივანე (ოვანეს) მინასის ძე მირზოევზე.

გვ.: 71,28. «**Аннета выехала**» – საუბარია ადრესატის დაზე – ანეტა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისაზე.

### ალექსანდრე ნიკოლაისადმი №14 (766) გვ. 74.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №128 / №32, ორმაგი პაგინაციით: 1r / 11r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, რამდენ-

ჯერმე გადანაკეცი, ორი გადაბმული ფურცელი; ზომა: 26,7X21 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერის მე-2-3 გვერდებზე განთავსებულია ავტორის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ქვემოთ მოგვყავს მთლიანად ქართული თარგმანით. ეს სიტყვაც და მისი თარგმანიც დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ნიგნში: „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მომამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა ნიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905: [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba da Gvac i Grigol Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba%20da%20Gvac%20i%20Grigol%20Orbelianisa.pdf)

Ваше Высоч.<sup>80</sup>, Милост: Государь,

С глубоким чувством повергаю пред Ваш: Выс<sup>80М</sup> мою благодарность за честь, которую благоудобно было в этот день почтить меня и за то милостивое сочувствие, с которым отнеслись вы к моей прошедшей службе. Слова ваши запали глубоко в мою душу и не скрою, оне слишком радостны моему самолюбию. Господа, ваше дружественное внимание слишком дорого моему сердцу, и подобное чувство не изглаживается временем.

Но, Господа, не 50 лет составляют жизнь человека, а его дела. Эта мысль, признаюсь, всегда смущала меня, преследуя тайно тревожным вопросом о том, принесли ли моё служение пользу? Не знаю, знаю только, что я служил Великому Престолу добросовестно. Ещё более знаю то, что милость Великодушнаго Монарха всегда была превыше моих заслуг. А теперь, неожиданное присутствие Вашего Высо<sup>80а</sup> среди нас составляет венец моей службы, гордость моей жизни.

Кто то из зловещих людей сказал, что в этом мире для человека нет радости полной. И действительно, даже в эту торжественную для меня минуту невольно надвигается на моё сердце тень грусти с роковым напоминанием о том, что лучшая часть моей жизни уже несуществует, что пора свести счеты с

жизнью, и что даже этот юбилей есть только намёк о том, что приближается начало другой жизни. Что делать? Установленный свыше порядок не длякого не изменяется и я жду без страха, но всёже мне хотелось бы прожить ещё с вами, радоваться вашему счастию и на поприще служебной вашей деятельности и у семейнаго очага, и уже потом... и уйдти..., но уйдти раньше вас, прежде вас... туда... а пока будьте счастливы и приёмите ещё раз от души мою благодарность.

Ваше Высочество, живите долго, долго, на славу Россіи, на счастье этого обширнаго Края, ввереннаго просвещенному вашему Правленію. Господа, заздоровье обожаемаго нами Главнокомандующаго Кавказ: Армією В: Князя Михайла Николаевича. Ура!!!

თქვენო უმაღლესო, მონყ: ხელმწიფევ,

ღრმა გრძნობით ვაახლებ ჩემს მადლიერების განცდას თქვენს ბრუნს იმ პატივისათვის, რომლითაც ინებეთ დაგე-ჯილდოვებინეთ ამ დღესა და იმ მოწყალე თანაგრძნობისათვის, რომლითაც მიუდევით ჩემს ნამსახურევსა. თქუენი სიტყვები გულში ღრმად ჩამებეჭდა და არ დაგიმალავთ, ისინი ძალზედ ახარებენ ჩემს თავმოყვარეობასა. ბატონებო, თქუენი მეგობრული ყურადღება ძალზედ ძვირფასია ჩემთვის და მსგავს გრძნობას ვერ წაღეკავს ჟამთა სვლა.

მაგრამ, ბატონებო, 50 წელი კი არ აღავსებს კაცის ყოფნას, არამედ საქმენი მისნი. ეს ჰაზრი, გამოგიტყდებით, ყოველთვის მანვალედა, თანა მდევდა იდუმალი მღელვარე კითხვით იმაზედ, მოუტანია კი ჩემს მსახურებას სარგებელიმეთქი? არ ვიცი, ვუნყი მხოლოდ, რომ მე კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი დიდს ტახტსა. კიდევ უფრო უკეთ ვუნყი, რომ დიდი მონარქის მოწყალედა ყოველთვის აღემატებოდა ჩემს დამსახურებებსა. ან კი ჩუენ შორის თქუენი აღმატს მოულოდნელი გამოჩენა წარმოადგენს გვირგვინს ჩემი სამსახურისას, სიამაყეს ჩემი ცხოვრებისას.

აკი უთქუამს ვილაცას ავ კაცთაგან, არ ეძლევაო ამ ქუეყნად ადამიანს სრული ბედნიერება. და, მართლაც, ამ ჩემთვის საზეიმო წუთებშიც კი გულს უნებლიეთ ეფინება სევდის ჩრდილი იმის საბედისწერო შეხსენებით, რომ უკვე წარ-

ვიდა საუკეთესო ნაწილი ჩემი წუთისოფლისა, რომ დროა ან-გარიში გავუსწორო სიცოცხლეს, და ეს იუბილევ კი ოდენ შეხსენებაა იმისა, რომ მიახლოვდება დასაწყისი სხვა ცხოვრებისა. რას იზამ? ზეციდამ დადგენილი წესრიგი არავისთვის შეცვლილა და მეც უშიშრად ველი, თუმცა მაინც ვისურვებდი კიდევ მეცხოვრა თქვენთან ერთად, გამეხარა თქვენი ბედნიერებით თქვენს სამსახურებრივ სარბიელზეცა და ოჯახურ კერასთანაც და მერელა... წავიდოდი..., მაგრამ თქვენზე ადრე, თქვენამდე წავიდოდი... იქ... მანამდინ კი იყავით ბედნიერი და კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩემი გულითადი მადლიერება.

თქუენო აღმატებულებავ, იცოცხლეთ დიდხანს, დიდხანს რუსეთის სადიდებლად, ამ ვრცელი მხარის ბედნიერებისათვის, თქუენს განმანათლებლურ მართვას რომ მიჰბარებია. ბატონებო, ვსვამ კავკას: არმიის ჩვენი საღმერთებელი მთავარსარდლის – კნიაზ მიხეილ ნიკოლაევიჩის სადღეგრძელოსა. ვაშა!!!

**თარიღი და ადგილი:** «21 Июня 1871.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Барону Александру Павловичу Николай.»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა და, შესაბამისად, წერილი **თბილისშია** გაგზავნილი.

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, ფრაზა – «признаюсь, мне всегда казалось щекотливым подвергать невольно Суду печати выражения задушевных чувств», დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ყურნალ „მოამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

გვ.: 74,8-9. «**текст сказанных мною слов**» – როგორც ჩანს, საუბარია 7 ივნისს საზაფხულო თეატრის ბაღში გრი-

გოლ ორბელიანის იუბილეზე გამართულ საღამოზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესახებ.

### ყაფლან ორბელიანისადმი №18 (767) გვ.: 75-76.

**ავტოგრაფი:** Z: ზსიემ №25082 / ლიტ. არქ. №1682.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** 2 გაცრეცილი ფურცელი; ზომა: 21X14 სმ.; დაწერილია 3 გვერდზე. შესრულებულია შავი ტუშით. ხელნაწერი ძალიან დაზიანებულია და საჭიროებს რესტავრაციას. II ფურცლის მესამედი მთლიანად მოხეულია და დანარჩენი ნაწილიც შუაზეა გახეული.

**თარიღი და ადგილი:** „25 ივნისს, 1871 წავკისით.“

**ხელმოწერა:** „შენი მორჩილი ძმა გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ბატონო ძმაო ყაფლან!“

**ადრესატის მისამართი:** წინამდებარე წერილში გრიგოლი ადრესატს სათიბთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას სთხოვს. სათიბები ავტორს ჰქონდა **კოდაში**, სადაც ყაფლანი ზაფხულობით ცხოვრობდა. სავარაუდოდ, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. მომდევნო აზვაცამდე 4-5 სტრიქონის მანძილია გამოტოვებული.

**პირველი პუბლიკაცია:** ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ.: 305-306.

გვ.: 75,2. „**ბატონო ძმაო ყაფლან**“ – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილი – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

გვ.: 75,3-4. „**დაწერილი შეკრულობის პირობა**“ – სავარაუდოდ, საუბარია გლექებთან დასადებ ხელშეკრულებაზე.

გვ.: 75,22. „**დაიბარეთ ნინიკა**“ – საუბარია გრიგოლის მოურავ ნინიკა ბაქრაძეზე.

გვ.: 75,28. „**ძალუა ვარინკა მოდის**“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე.

გვ.: 76,5. „**ძალუას სიყუარულით მოვიკითხავ**“ – საუბა-



რია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილზე.

გვ.: 76,13. „**იბრაიმას საჩივარი**“ – საუბარი უნდა იყოს სოფელ ამამლოს მამასახლისზე.

გვ.: 76,14. „**იაიას სათიბი**“ – საუბარი უნდა იყოს ერთ-ერთ გლეხზე.

### **ყაფლან ორბელიანისადმი №19 (768) გვ.: 76-77.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №399 / №27 (ძველი S: 2660), 27r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქალაღდი; ზომა: 20,8X13,2 სმ.; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში. ხელნაწერი დაზიანებულია, სამმაგად მონაკეცია და გადაკეცვის ადგილებში გახეულია.

**თარიღი და ადგილი:** „27 ივნისს 1871 წავკისი.“

**ხელმოწერა:** „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ბატონო ძმაო ყაფლან!“

**ადრესატის მისამართი:** 25 ივნისს ამავე ადრესატისადმი გაგზავნილი წერილიდან გავარკვეით, რომ ყაფლანი, სავარაუდოდ, **კოდაში** უნდა ყოფილიყო, სადაც ზაფხულობით ცხოვრობდა. წინამდებარე წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერშია „მაჩხალევს“; 2. ჩამატებულია; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 76,20. „**ჰამამლოელებმა ბევრი მაჩხალევს**“ – საუბარი უნდა იყოს ქვემო ქართლის სოფელ ამამლოს მცხოვრებლებზე.

გვ.: 76,22-23. „**იბრაიმა ყოფილა**“ – საუბარი უნდა იყოს სოფელ ამამლოს მამასახლისზე.

გვ.: 76,23. „**იქნება იქ ქევხად**“ – ქევხას უწოდებდნენ სოფლის ნაცვალს, მამასახლისს.

გვ.: 76,24. „**იაიას ბიძაშვილი**“ – როგორც ჩანს, საუბა-

რია ამამლოს მკვიდრ გლეხზე.

გვ.: 77,12. „ყაფლანბეგი წამობძანდება“ – ხუმრობით ამბობს წერილის ადრესატზე.

გვ.: 77,12-13. „ჩემი მოურავი ივანე“ – გვარი უცნობია.

გვ.: 77,15. „ნინიკა წაიყოლო“ – საუბარია გრიგოლის მოურავ ნინიკა ბაქრაძეზე.

გვ.: 77,23. „ვარინკას მოსვლამდის“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე.

გვ.: 77,24. „ძალუას სიყუარულით მოვიკითხავ“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილზე.

### ალექსანდრე სვისტუნოვისადმი №3 (769) გვ.: 78-79.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №483, 3გ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 26,5X20,9 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «8<sup>го</sup> Августа 1871 г: Цавкиси.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Александрю Павловичу Свистунову.»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა, რომლის შტაბბინაც **თბილისში** მდებარეობდა. შესაბამისად, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ჩამატებულია.

გვ.: 78,3. «**пріезда Государя Импер:**» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 78,4. «**Вел: Князь**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

**ყაფლან და ელისაბედ ორბელიანებისადმი №1 (770) გვ.: 80-81.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №400 / №27 (ძველი S: 2660), ორმაგი პაგინაციით: 1r-v / 28r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქაღალდი; ზომა: 20,8X13,2 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მეღვინით, რომელიც გაჟღენთილია ფურცელში. ხელნაწერი დაზიანებულია, ხუთმაგად მონაკეცია და გადაკეცვის ადგილებში გახეულია.

**თარიღი და ადგილი:** „31 აგვისტო: 1871 წავკისით.“

**ხელმოწერა:** „თქვენი კეთილის მსურველი გრიგოლ ორბელიანი“  
**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყვარელნო ძმაო ყაფლან და ძალუავ ელისაბედ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატები იმყოფებოდნენ **კოდაში:** „მინდოდა მოსვლა კოდას ძალუა ვარინკათი და გიორგითა, მაგრამ დრო ცოტალა არის ჯელმნიფის მობძანებამდის მომზადებისათვის.“

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთი; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 80,13. „**ჩემო საყვარელნო ძმაო ყაფლან და ძალუავ ელისაბედ**“ – წერილის ადრესატები არიან გრიგოლის ბიძაშვილი ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი და მისი მეუღლე – ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი-ორბელიანისა.

გვ.: „**თქვენი გრიშკა**“ – სავარაუდოდ, საუბარია ყაფლანის მოურავზე.

გვ.: 80,24. „**ძალუა ვარინკა**“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე.

გვ.: 81,2. „**ვეზიროვი თავის ბატალიონით**“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის დისნულის, ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილის, ქმარზე – დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილზე.

გვ.: 81,4. „**ძალუა ვარინკათი და გიორგითა**“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილია ორბელიანის, ცოლ-შვილზე.

გვ.: 81,5. „**ჯელმნიფის მობძანებამდის**“ – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

## სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი №1 (771) გვ.: 81-87.

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515<sup>ა</sup>, 25r-v, 26r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გაცრეცილი, სქელი, დიდი ფორმატის, კიდეებმოცვეთილი, ორი დამოუკიდებელი ფურცელი; ზომა: 35X23,9 სმ; შესრულებულია შავი ფანქრით. ორივე კიდეზე ფანქარი ნაშლილია და ტექსტი დაკარგულია. ბევრგან არის გადახაზული ადგილი. რესტავრირებულია. დაზიანებული ტექსტი აღვადგინეთ იონა მეუნარგიას მონოგრაფიაში „ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“ დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო ძალუავ სოფიო!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ადრესატის ადგილსამყოფელი არ ჩანს, მაგრამ ამ პერიოდში მისი მეუღლე ივანე ორბელიანი დაღესტანში, კერძოდ, ბოთლიხში, მსახურობდა. 1871 წლის 28 დეკემბრის წერილში გრიგოლი რძალს, ბარბარე ორბელიანს, სწერს: «Недавно Я получил из Дагест: письмо от Софии. Ей очень нравится **Ботлих.**» 1872 წლის 5 იანვრის წერილში კი ეკატერინე ჭავჭავაძეს აცნობებს: „**ივანე თავის სოფიოთი არიან ბოთლიხში.**“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი **ბოთლიხში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. პირველი ასო ასომთავრულია; 2. ეს სიტყვა ჩამატებულია; 3. ამის შემდეგ 2 სიტყვა: „გორადოვის“ და „ქალაქი“ არის გადაშლილი; 4. ეს სიტყვა ჩამატებულია; 5-6. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. ეს სიტყვა ჩამატებულია; 8. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 9. აქ ჯერ „ლაპარაკში“ დაუწერია, შემდეგ გადაუშლია და ზემოდან გადაუწერია ეს სიტყვა; 10. ხელნაწერში ბრჭყალები არ არის დახურული; 11. ეს სიტყვა ჩამატებულია; 12. ხელნაწერში წერია „დღერმანიისა“; 13-14. ეს სიტყვები ჩამატებულია; 15. ეს წინადადება ჩამატებულია; 16. ყოვლადმოწყალეს.

**პირველი პუბლიკაცია:** იონა მეუნარგია, „ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ყურნალ „მოამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა ნიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvac li\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvac li_Grigol_Orbelianisa.pdf)

**დათარილება:** რამდენადაც წერილში 1871 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის ჩამოსვლაა აღწერილი და 25 სექტემბერი წარსულ დროშია მოხსენიებული, იგი დაწერილი უნდა იყოს **1871 წლის 25 სექტემბრის შემდეგ.**

გვ.: 81,12. **„ჩემო საყუარელო ძალუავ სოფიო“** – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, მეუღლე – სოფიო შალვას ასული ერისთავი-ორბელიანისა.

გვ.: 81,12-13. **„ველმნივე იმპერატორი“** – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 81,25. **„ნასლენიკით და ვლადიმირითა“** – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვაჟებზე: ტახტის მემკვიდრე ალექსანდრესა და ვლადიმირზე.

გვ.: 81,27. **„ველიკაა კნინა უფროსის შვილით“** – საუბარია მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეუღლეზე – ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე და მათ უფროს ვაჟ ნიკოლოზზე.

გვ.: 82,10. **„ყარამანიანობა მომაგონდა“** – იგულისხმება სპარსულ ეპოსში აღწერილი მოვლენები.

გვ.: 82,14-15. **„უნყალობა ლენერალადუტანტობა კნ: თარხანოვსა“** – საუბარია იოსებ დავითის ძე თარხან-მოურავზე.

გვ.: 82,17. **„ჩემი გიორგიცა“** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 82,20-21. **„პურმარილი გალავსაგან“** – საუბარია ქალაქის თავ იასონ დიმიტრის ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 82,26-27. **„მირსკი და მრავალნი“** – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 83,12. **„ველიკიი კნიაზმა მითხრა“** – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 83,27. **„ტალიზინმა იქვე გამიკეთა“** – სავარაუდოდ, საუბარია სტეფანე ალექსანდრეს ძე ტალიზინზე.

გვ.: 84,2. **„წიგნი კნ: ბარიატინსკისაგან“** – იგულისხმება ყოფილი მეფისნაცვალი – ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ.: 84,12. **„ჩემს მამასა“** – საუბარია ყოფილ იმპერატორ ნიკოლოზ I-ზე.

გვ.: 84,30-31. „სომხის პატრიარხი, ჩუჭნი ეგზარხი“ – საუბარია სომხეთის პატრიარქ ანდონ ბედროს IX ხასუნზე და საქართველოს ეგზარქოს ევსევი (ალექსი ალექსის ძე) ილინსკიზე.

გვ.: 84,32. „ბიძა ყენისა ამზამირზა“ – იგულისხმება სპარსეთის ელჩი – ჰამზა-მირზა-ეშმედიდოული.

გვ.: 85,5-6. „**ჭლიგელადუტანტობა გურჩინს და გალიცინსა**“ – საუბარია ალექსანდრე ბიკენტის ძე გურჩინსა და გრიგოლ სერგეის ძე გოლიცინზე.

გვ.: 85,10. „**ჩუჭნმა მარშალმა**“ – საუბარია თავადაზნაურობის წინამძღოლ რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილზე.

გვ.: 85,14-15. „**ბატონის რძალი, ანნეტა, ვარინკა, ქეთოშა, რებენდერის ცოლი**“ – საუბარია ალექსანდრე ბატონიშვილის ქვრივზე, ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის დედაზე – მარიამ ისაყის ასულ აღამალოვაზე, ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისაზე, ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე, ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე და კონსტანტინე გრიგოლის ძე რებინდერის მეუღლეზე – ელენე ვასილის ასულ კოჩუბეი-რებინდერისაზე.

გვ.: 85,32. „**დოკლადით ახლავს შუვალოვი**“ – საუბარია გრაფ პეტრე ანდრეის ძე შუვალოვზე.

გვ.: 86,4-5. „**პუშკინის სიტყუა... „тяжела шап[ка] мономаха**“ – ციტატა არის ალექსანდრე პუშკინის ტრაგედიიდან „ბორის გოდუნოვი“.

გვ.: 87,10-11. „**შახმად მირზა ძმები ყოფილან**“ – საუბარი უნდა იყოს ირანის ყოფილ შაჰ მამედ მირზაზე, რომელიც ტახტზე ავიდა 1834 წელს.

## კონსტანტინე ორლოვსკისადმი №2 (772) გვ.: 87-88.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №409 / №47, 2r.

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 26,4X20,8 სმ.;

შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «4 Окт: 1871.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Конст: Ив: Орловскому»

**ადრესატის მისამართი:** ტექსტში ადრესატის ადგილსამყოფელი არ ჩანს, მაგრამ ამ პერიოდში კონსტანტინე ორლოვსკი **თბილისის** სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 87,21. «**Бар: Алек: Пав.**» – იგულისხმება ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი.

გვ.: 87,22. «**Его Вы:<sup>ba</sup> Намест.**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 87,23-24. «**пребываниём здесь Гр[аф]: Сологуба**» – საუბარია რუს მწერალსა და სახელმწიფო მოღვაწეზე – ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოლოგუბზე, რომელმაც დანერგა ცვლილებები პატიმართა გამოსასწორებელ სისტემაში. მისი ინიციატივით, ლონდონში კონგრესი ჩატარდა ამ თემაზე.

გვ.: 88,2. «**Губернат<sup>л</sup>: Бакин:, Эрив:, Елисавет:, К: Мухр.**» – 1871 წელს ბაქოს გუბერნატორი იყო მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინი, ერევნისა – ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კარმალინი და ელიზავეტოპოლისა – ფოკიონ ევსტათის ძე ბულატოვი. აქვე, სავარაუდოდ, საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

### **რეშიდ-ხან მეხთულისადმი №1 (773) გვ.: 89-90.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №116 / №50.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 31,2X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «10<sup>то</sup> Окт: 1871 Тифлис.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Решид хану Мехтулинскому.» / «Мой любезный Решид Хан!»

**ადრესატის მისამართი:** «В Шуру.»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ჩამატებულია.

გვ.: 89,11. «**Мой любезный Решид Хан**» – წერილის ადრესატია მეხთულის იმჟამინდელი მმართველი – ახმედხანის ვაჟი.

გვ.: 89,12-13. «**твоей матери Нохбике**» – საუბარია მეხთულის ყოფილი მმართველის, ახმედხანის, მეუღლეზე.

გვ.: 89,23. «**беднаго Ибрагим Хана**» – იბრაჰიმ-ხანი მეხთულის სახანოს მართავდა 1856-1859 წლებში, შემდეგ კი რუსეთის მმართველობამ გადაიყვანა ავარიის მმართველად და მეხთულა ჩააბარა მის ძმას, რეშიდს. ამ წერილის დაწერის დროს, როგორც ჩანს, ის უკვე გარდაცვლილი იყო.

### **ალექსანდრე სვეჩინისადმი №1 (774) გვ.: 92-95.**

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №476 / №51, 132r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი, დიდი ფორმატის ფურცელი; ზომა: 35,1X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. IV გვერდზე, სავარაუდოდ, არქივარიუსის ხელით, შავი ფანქრით ორჯერ არის მინერილი „1871“ და „1877“, რომელთაგან მეორეს მრავალგზისი ხაზი აქვს გადასმული.

**თარიღი და ადგილი:** «27 Окт: 1871.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Александрю Алексеичу Свечину.»

**ადრესატის მისამართი:** «В Ригу.»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. «окончивших жизнь в прошлом году» ჩამატებულია.



გვ.: 92,22. «Александрю Алексеевичу Свечину» – წერილის ადრესატია 29-ე ქვეითი დივიზიის იმჟამინდელი მეთაური, გენერალ-მაიორი – ალექსანდრე ალექსის ძე სვეჩინი.

გვ.: 92,24-25. «поздравляли меня с Монаршею милостью» – სავარაუდოდ, წერილის ადრესატმა დეპეშით მიულოცა იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ მისი დაჯილდოება წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით, 1871 წლის 21 სექტემბერს.

გვ.: 93,5. «прекрасною Дианою» – საუბარი უნდა იყოს ადრესატის მეუღლეზე – ლიუბოვ სერგეის ასულ გოლიცინა-სვეჩინაზე, რომელსაც ქალღმერთ დიანას ადარებს.

გვ.: 93,10. «любимые вами Гренадеры» – წერილის ადრესატი 1861 წლიდან იყო ქართველ გრენადერთა მე-14 პოლკის მეთაური, 1865-1868 წლებში კი – კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაურის თანაშემწე.

გვ.: 93,26. «Великою Княгинею, наследник с матерью Ираклия» – სავარაუდოდ, საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლეზე – ოლღა თეოდორეს ასულ ბადენერო-რომანოვისაზე, ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე რომანოვზე (შემდგომში იმპერატორი ალექსანდრე III) და ალექსანდრე ბატონიშვილის ქვრივზე, ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის დედაზე – მარიამ ისაყის ასულ ალამალოვაზე.

გვ.: 93,12. «К<sup>em</sup> Аннетою Чавч:» – საუბარია ანა (ანეტა) ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისაზე.

გვ.: 94,5-6. «молодые Орлы... Владимир» – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის მესამე ვაჟზე – ვლადიმირ ალექსანდრეს ძე რომანოვზე.

გვ.: 94,8-9. «у В: К<sup>em</sup>» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 94,10. «Персид:<sup>my</sup> Послан:<sup>ky</sup> Амза Мирзе, дяде Шаха» – იგულისხმება სპარსეთის ელჩი ჰამზა-მირზა-ემმედიდოულე და ირანის შაჰი – მოჰამედ-შაჰ-კაჯარი.

გვ.: 94,30-32. «Таковы 4 дочери К<sup>em</sup> Дав: Чавч:, из коих одна Баронесса Сакен, одна К<sup>em</sup> Грузин<sup>am</sup>, т: е: жена Ираклия, одна Астафьева и одна Чавчавадзеваже» – საუბა-

რია დავით ჭავჭავაძის ქალიშვილებზე: სალომე ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისაზე, თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონისაზე, ელენე ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე, მარიამ (კაკო) ჭავჭავაძესა და ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 94-95. «**3 дочери К<sup>н</sup> Мирскаго, из коих одна за Полков: Деном**» – საუბარია მარიამ და ოლლა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიებზე და ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-დენისაზე.

გვ.: 95,1-2. «**Княжна Орб., дочь Вахт.; Княжна Эристова; дочь Ассана бека**» – საუბარია ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანსა და მის ქალიშვილ მარიამზე, მაგრამ ვინ იგულისხმება ასან ბეკსა და მის ქალიშვილში, გაურკვეველია.

გვ.: 95,7. «**бедной Варв: Самар: и Княжне Манане**» – საუბარია გრიგოლის ნათესავეებზე – ბაბაღე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე და მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 95,9-10. «**Варвара Багратовна, и недавно К<sup>н</sup> Мароя Солом: Бебутова**» – საუბარია დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანის მეუღლეზე – ბარბარე ბაგრატის ასულ გრუზინსკაიასა და მარიამ სოლომონის ასულ არღუთინსკი-დოლგორუკოვა-ბებუთოვისაზე.

გვ.: 95,13. «**К<sup>н</sup> Лиза Мухранская**» – სავარაუდოდ, საუბარია ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 95,15-16. «**К<sup>н</sup> Мирская и жена Ивана Мухр<sup>т</sup>о кавалерственными дамами**» – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის მეუღლეზე – სოფიო იაკობის ასულ ორბელიანსა და ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლეზე – ნინო ლევან V-ის ასულ დადიანზე, რომლებსაც იმპერატორმა მიანიჭა წმინდა ეკატერინეს ორდენები და შესაბამისი წოდება.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №48 (775) გვ.: 99-100.**

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 55r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, საშუალო ფორმატის ქაღალდი; ზომა: 26,2X21,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «5<sup>10</sup> Ноябрь: 1871»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** «в Москву.»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილი დაზიანებულია; 3. «на его имя» ჩამატებულია; 4. ჩამატებულია.

**პირველი პუბლიკაცია:** ნერილის ნაწყვეტი, კერძოდ, I აბზაცი მთლიანად, ქართულ თარგმანთან ერთად, დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მომამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა ნიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

გვ.: 99,3. «**принадлежащія Царевне**» – საუბარია ადრესატის დედაზე – ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 99,3-4. «**Пальто Георгія**» – საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 99,14. «**скончался Мамука**» – საუბარია მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანზე.

გვ.: 99,14. «**скончалась жена Реваза Андр<sup>88</sup>**» – საუბარი უნდა იყოს გენერალ რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილის მეუღლეზე – ნინა ალექსანდრეს ასულ ეილერზე, რომლის გარდაცვალების წლად 1875 ზოგიერთ წყაროში, სავარაუდოდ, არასწორად უნდა იყოს მითითებული.

გვ.: 99,21-22. «**вашим Сестрам**» – იგულისხმება ადრესატის დები: გაიანე, ელისაბედი, ოლა, ალექსანდრა, ეკატერინე და ნადეჟდა.

გვ.: 99,25. «**Михайлу Николаевичу**» – კონტექსტიდან გამომდინარე, საუბარია უცხოელ სტუმარზე, რომელიც პირვე-

ლად იყო საქართველოშიც და მოსკოვშიც.

გვ.: 100,3. «**женою Николая Мухр:**» – საუბარი უნდა იყოს ნიკოლოზ ედიშერის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ქვრივზე – თამარ იოანეს ასულ ჯორჯაძე-ბაგრატიონისაზე.

გვ.: 100,5. «**Ираклий и Тамара**» – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონსა და თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძე-ბაგრატიონისაზე.

### გიორგი ვლასტოვისადმი №1 (776) გვ.: 101-103.

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №88 / №53.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 35,1X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. მეორე აბზაცს მესამე სტრიქონიდან ბოლომდე, მარცხენა აშიაზე შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული.

**თარიღი და ადგილი:** «12 Дек: 1871.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Ставр: Губер:<sup>у</sup>. Д: С: Сов: Георгій Константиновичу Властову.»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში **სტავროპოლის** გუბერნატორის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. «без оказии» ხაზგასმულია.

გვ.: 101,22-23. «**Георгій Константиновичу Властову**» – წერილის ადრესატია სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე – გიორგი კონსტანტინეს ძე ვლასტოვი.

გვ.: 101,26-27. «**с Всемило<sup>ст</sup>:<sup>ом</sup> наградою Св. Андрея Первозван:<sup>а</sup>**» – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ 1871 წლის 21 სექტემბერს გრიგოლ ორბელიანის დაჯილდოებაზე ანდრია პირველწოდებულის ორდენით.

გვ.: 102,20. «**Госуд: Импер:**» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ 102,28. «Наследник и Владимир» – საუბარია იმ-  
პერატორ ალექსანდრე II-ის ვაჟებზე: ტახტის მემკვიდრე  
ალექსანდრესა და ვლადიმირზე.

### კირილე გოდლევისკისადმი №1 (777) გვ.: 105-108.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №74 / №52, 1r-v,  
2r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული,  
დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, ორი გადაბ-  
მული ფურცელი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი  
ფანქრით. პირველ აბზაცს მეოთხე სტრიქონიდან ბოლომდე და  
მეორე აბზაცს მეხუთე სტრიქონიდან ბოლომდე, მარცხენა აში-  
აზე შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; მეხუთე აბზაცი მარ-  
ცხენა აშიიდან მონიშნულია, ხოლო ბოლო ორი აბზაცი ასევე  
შავი ფანქრით ყველა მხრიდან არის მონიშნული.

**თარიღი და ადგილი:** «12 Дек: 1871»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Кирилло Осиповичу  
Годлевскому.»

**ადრესატის მისამართი:** «В Г: Кузнецк Томской Губер:»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ეს ადგილი  
დაზიანებულია; 3. ჩამატებულია; 4. ბოლო 4 სიტყვა შემოკ-  
ლებით დაუნერია, მაგრამ შემდეგ ოთხივესთვის ზემოდან მი-  
უნერია დაბლოკებები.

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, დაწყებული  
| აბზაცის ფრაზიდან – «Оно живо вызвало в моей памяти», დამ-  
თავრებული III აბზაცით – «Не чудоли это?», ქართულ თარგმან-  
თან ერთად, დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგ-  
რაფიაში: „ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“,  
გადმობეჭდილი ჟურნალ „მოამბედან“, ტფილისი, ელექტრონის  
სტამბა წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_G](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_G)

vacli\_Grigol\_Orbelianisa.pdf

გვ.: 105,2. «**Кирилло Осиповичу Годлевскому**» – ნე-რილის ადრესატია კავკასიის ომების მონაწილე, იმხანად თა-დარიგში მყოფი გენერალი – კირილ იოსების ძე გოდლევესკი.

გვ.: 105,9. «**Шурочку, Шурнику**» – ასე უწოდებდა გრიგოლ ორბელიანი ხუმრობით თემირხანშურას, ამჟამინდელ ბუინაქსკს.

გვ.: 106,3. «**Государь Импер: осчастливил Кавказ**» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვიზიტზე თბილისში 1871 წლის სექტემბერში.

გვ.: 106,16. «**в Мавритан: стиле, из тысяча одной ночи**» – საუბარია მუსლიმანურ ქვეყნებში გავრცელებულ, არკადებით, გუმბათებითა და ორნამენტებით მდიდარ არქი-ტექტურულ სტილზე, რომელმაც გრიგოლ ორბელიანს შუასა-უკუნეების სპარსული თხზულება „ათას ერთი ღამე“ მოაგონა.

გვ.: 106,20-21. «**Велик: Княз: <sup>EM</sup>, Наследник с матерью Ираклия Груз: <sup>IO</sup>**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვ-ზე, ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე რომა-ნოვზე (შემდგომში იმპერატორი ალექსანდრე III) და ალექსან-დრე ბატონიშვილის ქვრივზე, ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგ-რაციონის დედაზე – მარიამ ისაყის ასულ აღამალოვანზე.

გვ.: 106,30-31. «**Госуд: Наследник и Владимир**» – სა-უბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვაჟებზე: ტახტის მემ-კვიდრე ალექსანდრესა და ვლადიმირზე.

გვ.: 107,9-10. «**пожаловал мне Андрея Перв: зв. <sup>IO</sup>**» – წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით ალექსანდრე II-მ გრიგოლ ორბელიანი დააჯილდოვა 21 სექტემბერს.

გვ.: 107,16. «**дом Мириманова**» – შესაძლოა, საუბა-რი იყოს 1862-1867 წლებში თბილისის ქალაქის თავ – სოლო-მონ მირიანის ძე მირიმანოვზე.

გვ.: 107,22-23. «**в Куках великолепная Богодельня с больницей**» – საუბარი უნდა იყოს ე. წ. მიხაილოვის საავად-მყოფოსა და თავშესაფარზე, რომლებიც 1865 წელს აშენდა.

გვ.: 107,23-24. «**Армейскаго Собора на Гунибской Площади**» – საუბარია ალექსანდრე ნეველის სახელობის ტა-

ძარზე, რომელიც აშენებული იყო ამჟამინდელი პარლამენტის შენობის ადგილას.

გვ.: 107,27. «**Вел: Кн.<sup>3б</sup> с семейством**» – საუბარია მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ოჯახზე: მეუღლეზე – ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე და მათ შვილებზე: ნიკოლოზ, მიხეილ, გიორგი, ალექსანდრე და სერგეი მიხეილის ძე რომანოვებზე და ანასტასია მიხეილის ასულ რომანოვაზე.

გვ.: 107,31-32. «**3 дочери Мирскаго**» – საუბარია მარიამ და ოლღა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიებზე და ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკი-დენისაზე.

გვ.: 107,32. «**4 дочери Дав: Чавч:**» – საუბარია დავით ჭავჭავაძის ქალიშვილებზე: სალომე ჭავჭავაძე ოსტენ-საკენისაზე, თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონისაზე, ელენე ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე და მარიამ (კაკო) ჭავჭავაძეზე.

გვ.: 107,32. «**одна дочь Вахтанга Орб**» – საუბარია ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანსა და მის ქალიშვილ მარიამზე.

გვ.: 108,1. «**одна Опочинина**» – საუბარია მარიამ ალექსის ასულ ოპოჩინინაზე, რომელიც შემდეგ ცოლად გაჰყვა გენერალ პავლე პავლეს ძე კრაფჩენკოს.

გვ.: 108,1. «**одна Иванова**» – საუბარი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანის, ქალიშვილზე, სავარაუდოდ, მაშაზე.

გვ.: 108,5. «**Гольмблат здоров**» – სავარაუდოდ, საუბარია ექიმ ედუარდ გოლმბლატზე.

გვ.: 108,7-8. «**К<sup>2</sup> Манана, К<sup>2</sup> Марья Солом: Бебутова, Царевна Варвара Багр:**» – საუბარია მანანა მირმანოვის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე, მარიამ სოლომონის ასულ არღუთინსკი-დოლგორუკოვა-ბებუთოვისაზე და ბარბარე ბაგრატის ასულ გრუზინსკაია-ორბელიანისაზე.

გვ.: 108,8-9. «**Минквиц, Бартоломей, Дмитр: и Мамука Орбел: и Богдан-Калинский**» – საუბარია გენერლებზე: იული თევდორეს ძე მინკვიცსა და ივანე ალექსის ძე ბართოლომეიზე, მამუკა (მაკარ) და დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანებზე და საიდუმლო მრჩეველ – კონსტანტინე მიხეილის ძე ბოგდან-კოლინსკიზე.

გვ.: 108,10. «стихи Графа Сологуба» – საუბარია რუს მწერალსა და სახელმწიფო მოღვაწეზე – ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოლოგუბზე.

### კონსტანტინე ორლოვსკისადმი №3 (778) გვ.: 112-113.

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №410 / №47, 3რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 21,7X16,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ზემოდან და მარჯვენა მხრიდან ხელნაწერი შუა ადგილებში ოდნავ შეხეულია.

**თარიღი და ადგილი:** «19 Декаб: 1871»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Губер: Орловскому» / «М: Г: Конст: Иванович!»

**ადრესატის მისამართი:** ტექსტში ადრესატის ადგილსამყოფელი არ ჩანს, მაგრამ ამ პერიოდში კონსტანტინე ორლოვსკი თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ეს კავშირი ჩამატებულია; 3. ჯერ დაუნერია «долготерпевшее» და მერე გადაუკეთებია; 4-5. ეს სიტყვები ჩამატებულია.

გვ.: 112,21. «в пользу К<sup>em</sup> Орбеліани» – საუბარია ორბელიანთა კუთვნილ მიწებზე.

გვ.: 112,27. «Губер: Архитектору Пинасевичу» – პიროვნების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

გვ.: 113,2. «утвержденному К<sup>em</sup> Воронцовым» – საუბარია ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.



**ეკატერინე კარცოვისადმი №2 (779) გვ.: 114-117.**

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწ. 1, საქმე №7515ა, 121r-v, 122r.  
**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოთეთრო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, ორი დამოუკიდებელი ფურცელი; I ფურცლის ზომა: 34,1X21,4 სმ.; II ფურცლის ზომა: 32,5X21,2 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «22 Декаб: 1871 г.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Екатерине Николаевне Карцовой»

**ადრესატის მისამართი:** «В Харьков.»

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ჩამატებულია, მის დაბლა იგივე სიტყვაა გადაშლილი; 4-5. მრავალწერტილები ავტორისაა; 6. ხელნაწერშია «дорожит».

გვ.: 114,2 «Екатерине Николаевне Карцовой» – წერილის ადრესატია ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვის მეუღლე, ამიერკავკასიის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს წევრი – ეკატერინე ნიკოლოზის ასული კარცოვისა.

გვ.: 114,13-14. «**пребыванія здесь обожаемаго Государя**» – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვიზიტზე 1871 წლის სექტემბერში.

გვ.: 114,17-18. «**я горячо занят бостоном у Ираклія**» – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 114,19. «**мой друг Исак**» – სავარაუდოდ, საუბარია ისაკ შიოს (სოლომონის) ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 114,21-22. «**Майко Мирская засватана за Ванო Орбел**» – საუბარია ივანე მამუკას ძე ორბელიანსა და მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიაზე.

გვ.: 114,22. «**Адют: В<sup>10</sup> К<sup>2</sup>.**» – ივანე მამუკას ძე ორბელიანი იყო კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის, ადიუტანტი.

გვ.: 115,13-14. «**с В<sup>20</sup> Княгиней, наследник с матерю Ираклія Грузинскаго**» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლეზე – ოლლა თეოდორეს ასულ ბადენელომანოვისაზე, ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე რომანოვზე (შემდგომში იმპერატორი ალექსანდრე

III) და ალექსანდრე ბატონიშვილის ქვრივზე, ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის დედაზე – მარიამ ისაყის ასულ აღამალოვაზე.

გვ.: 115,26. «**Вѣ К<sup>3м</sup> Наследник и Владимир**» – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვაჟებზე: ტახტის მემკვიდრე ალექსანდრესა და ვლადიმირზე.

გვ.: 116,11-12. «**уважаемаго Александра Петровича**» – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვზე.

გვ.: 116,20-21. «**пожаловал мне Андрея Первозванца**» – 21 სექტემბერს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გრიგოლ ორბელიანი დააჯილდოვა წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით.

გვ.: 116,24. «**в обществе Ункратля...**» – უნკრატლი დალესტნის ერთ-ერთი მხარე იყო, ამჟამინდელი ცუმადინის რაიონის ტერიტორიაზე.

გვ.: 116,26. «**убили Наиба Ажіова**» – საუბარია ნაიბ ხაჯიავ კარატელზე.

გვ.: 117,2. «**Прискакал К: Нико Чавчав**» – საუბარია დასავლეთ დალესტნის იმჟამინდელ მმართველ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 117,2. «**из Тифлиса в Ботлих**» – ბოთლიხი სამხრეთ-დასავლეთ დალესტნის სოფელი და რაიონული ცენტრია.

გვ.: 117,13. «**Детей ваших цалую**» – ადრესატის შვილების სახელები უცნობია.

### **ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №49 (780) გვ.: 121-122.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 58რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის, შელახული, დაზიანებული ქაღალდი; ზომა: 35X21,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** «28 Декаб: 1871 Тифлис»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში **მოსკოვში** ცხოვრობდა, რაც წერილის შინაარსითაც ჩანს: «Как ты живешь, как поладила с прелестями Москов: зимы?»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ამ ადგილას ხელნაწერი გახეულია; 3. ავტორს აქ მძიმე უწერია, მაგრამ, აზრის სიცხადისთვის, ჩვენ მოვშალეთ; 4-5. ამ ადგილებში ხელნაწერს მოხეული აქვს; 6. ფანქარი გადასულია და სიტყვა არ იკითხება; 7. ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «жителей».

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, VI აბზაცი მთლიანად – «Какой молодец Нико!... Государю и Наследнику», ქართულ თარგმანთან ერთად, დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მომამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

გვ.: 121,12. «**нашим франтихам**» – საუბარია მოდური ჩაცმულობის მოყვარულებზე.

გვ.: 121,16-17. «**слово помещик уже не существует**» – გრიგოლი მიანიშნებს ბატონყმობის გაუქმებაზე.

გვ.: 121,19. «**математике Георгія**» – საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 121,22. «**письмо от Софии**» – საუბარია სოფიო შალვას ასულ ერისთავზე.

გვ.: 121,22-23. «**Ей очень нравится Ботлих**» – სოფიოს მეუღლე, ივანე ორბელიანი, იმჟამად დალესტინის ამ მხარეში მსახურობდა და ისიც მასთან იყო.

გვ.: 121,23-24. «**Иван... должен**» – საუბარია გრიგოლის ნათესავ ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 122,1. «**бываю у Ираклія**» – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 122,2. «**Его почтенная мать, его Тамара**» – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის დედაზე – მარიამ ისაყის ასულ ალამალოვაზე და მეუღლეზე – თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ.: 122,4. «**Давид, и Бар: Сакен**» – იგულისხმება დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე და მისი სიძე – მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენი.

გვ.: 122,6. «**Астафьев – батюшка**» – საუბარია დავით ჭავჭავაძის კიდევ ერთ სიძეზე – ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევიზე.

გვ.: 122,7. «**Захарій Чавчав: произведен в Генер:**» – საუბარია ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 121,7. «**здаст полк Мейндорфу**» – საუბარია მე-16 დრაგუნთა პოლკის გადაბარებაზე თეოფილ იაგორის ძე მეინდორფისთვის.

გვ.: 122,8. «**Цуца здесь**» – საუბარი უნდა იყოს ერთ-ერთ ყვარლელ ჭავჭავაძეზე, რომელსაც მეტსახელად «ცუცას» ეძახდნენ და რომელიც არაერთგზის არის ნახსენები ილია ჭავჭავაძის პირად ნერილებში.

გვ.: 122,8. «**Нико ожидаем**» – საუბარია ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 122,13. «**убили Найба Ажіева**» – საუბარია ნაიბ ხაჯიავ კარატელზე.

გვ.: 122,14. «**при Шамиле**» – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის ყოფილ იმამზე.

გვ.: 122,15-16. «**прискакал в Ботлих**» – ბოთლიხი სამხრეთ-დასავლეთ დაღესტნის სოფელი და რაიონული ცენტრია.

გვ.: 122,21. «**на брата Ілію**» – საუბარია ადრესანტის ძმაზე – ილია ზურაბის ძე ორბელიანზე.

გვ.: 122,23. «**Государю и Наследнику**» – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-სა და მის ვაჟ ალექსანდრეზე.

**ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №6 (781) გვ.: 125-126.**

**ავტოგრაფი:** Z: ზსიემ №24521 / ლიტ. არქ. №1121.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო 1 ფურცელი; ზომა: 27X21 სმ.; შესრულებულია შავი ტუშით, ლამაზი კალიგრაფიით. ხელნაწერი შუაზეა გადაკეცილი და ნახევარზე გახეულია, ზედა მარჯვენა კუთხეც მოხეულია. ზედა, ქვედა და მარცხენა არეები დაცულია.

**თარიღი და ადგილი:** „5<sup>ა</sup> იანვ: 1872. თბილისით.“

**ხელმოწერა:** „თქუჴნის უგანათლებულესობისა მარადის ერთგული მოსამსახურე თ~ გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქუჴნო უგანათლებულესობავ, მონყალეო დაო ეკატერინა!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატის ადგილსამყოფელი არ ჩანს, მაგრამ, სავარაუდოდ, წერილი **ზუგდიდში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ავტოგრაფში ორი „ზ“ წერია; 2. ხაზგასმულია; 3. თავადი; 4. ხაზგასმულია.

**პირველი პუბლიკაცია:** ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ.: 319-321.

გვ.: 125,3-4. „სალალების ალლავერდი“ – საუბარია რუს მწერალ ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოლოგუბსა და მისი ლექსის გრიგოლ ორბელიანისეულ თარგმანზე.

გვ.: 125,10-11. „ერისთავთა კონას და კოტეს“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავ ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისას ბიძაზე – იაკობ (კონა) მირმანოზის ძე ერისთავსა და, სავარაუდოდ, დეიდაშვილ კონსტანტინე ივანეს ძე აბაშიძეზე.

გვ.: 125,11-12. „ჩასვეს კარეტაში ტასო“ – საუბარია ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე, რომელსაც დედა ახალგარდაცვლილი ჰყავდა.

გვ.: 125,15. „**ივანე თავის სოფიოთი არიან ბოთლიხში**“ – საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – სოფიო შალვას ასულ ერისთავზე, რომლებიც დალესტინის ამ მხარეში იმყოფებოდნენ.

გვ.: 125,16. „**ნიკოსთან ერთად**“ – საუბარია დასავლეთ დალესტინის მმართველ ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 125,16. „**თქუჭნი ძმა დავით**“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 125,18. „**შევიყრებით ირაკლისას**“ – საუბარია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 125,19. „**ლამაზი თამარ**“ – საუბარია თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძე-ბაგრატიონისაზე.

გვ.: 125,20. „**ლამაზი ქალი ჰყავს**“ – თამარს 1870 წელს შეეძინა ქალიშვილი ელისაბედი.

გვ.: 125,20. „**ელენეც აქ არის ქმრითა**“ – საუბარია ელენე დავითის ასულ ჭავჭავაძესა და მის ქმარზე – ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევიზე.

გვ.: 125,22. „**სალომეც მალე აპირებს**“ – საუბარია სალომე დავითის ასულ ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისაზე.

გვ.: 125,23. „**ზაქარიაც გახდა ლენერალი**“ – საუბარია მარიამ (კაკო) დავითის ასულ ჭავჭავაძის მეუღლეზე – ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 125,23-24. „**ჩააბარა პოლკი მეინდორჰსა**“ – საუბარია მე-16 დრაგუნთა პოლკის გადაბარებაზე თეოფილ იაგორის ძე მეიენდორფისთვის.

გვ.: 125,24. „**სანდრო შემოვიდა**“ – საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 125,26. „**ნიკოლოზ დავითისძე მუხრანსკი ცოლითა**“ – საუბარია ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონ-მუხრანელსა და მის მეუღლეზე – ანა დიოდორეს ასულ ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 126,1-2. „**გრიგოლ ერისთავის ცოლი ლამაზის ქალითა**“ – საუბარია გრიგოლ შანშეს ძე ერისთავის ცოლ-შვილზე – ალექსანდრა ვინცენტის ასულ ვოლსკაიასა და 20 წლის ოლდა გრიგოლის ასულ ერისთავზე.

გვ.: 126,10. „**თარხანოვი რამაზისშვილი**“ – საუბარია შემდგომში ცნობილ ფიზიოლოგ ივანე რამაზის ძე თარხნიშვილზე.

გვ.: 126,12. „ყაფლანსკი ჰსწყინს“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 126,13. „ველიკი კნიაზი მივა“ – საუბარია მეფის-ნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 126,16. „ჩემი საყუარელი ნიკო“ – საუბარია ადრესატის ვაჟ ნიკო დავითის ძე დადიანზე.

გვ.: 126,17-18. „სად არის... ანდრია?“ – საუბარია ადრესატის ვაჟ ანდრია დავითის ძე დადიანზე.

გვ.: 126,18. „მშვენიერის სალომეს ამბავი“ – საუბარია ადრესატის ქალიშვილ სალომე დავითის ასულ დადიან-მიურატისაზე.

გვ.: 126,19. „შვილების დედაც ბძანდება“ – ამ დროისათვის სალომეს უკვე ორი ვაჟი ჰყავდა: ლუსიენ შარლ დავითი და ნაპოლეონ ლუი აშილი.

### ნიკოლოზ ბეზაკისადმი №1 (782) გვ.: 127-130.

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღნ. 1, საქმე №7515ა, 17r-v, 18r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** ყავისფერი, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის, ორი გადაბმული ფურცელი; ზომა: 35,3X22,1 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «1872 Генв: 12 д»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Безаку» / «Милост: Госуд: Николай Павлович!»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში საიდუმლო მრჩეველი და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საბჭოს წევრი იყო. შესაბამისად, წერილი **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3-4. ჩამატებულია; 5-8. ხაზგასმულია.

გვ.: 127,3. «**Николай Павлович**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის დანიშნულის, სოფიო ყაფლანის (ივანეს) ასულ ორბელიანის, მეუღლე – საიდუმლო მრჩეველი და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საბჭოს წევრი – ნიკოლოზ პავლეს ძე ბეზაკი.

გვ.: 127,5. «Джилгской Степи» – საუბარია ორბელიანთა კუთვნილ მამულზე, რომელიც, წერილების მიხედვით, სოფელ პატარა დმანისთან მდებარეობდა.

გვ.: 127,6. «план Сисина» – საუბარი უნდა იყოს მითითებულ დროს (1855 წელი) ტოპოგრაფიული კორპუსის პოდპორუჩიკ პავლე ათანასეს ძე სისინზე.

გვ.: 127,7. «Обще-Орбел:<sup>10</sup> именя» – საუბარია ორბელიანთა ერთიან ტერიტორიაზე.

გვ.: 127,11. «подпись Андриевского» – საუბარია მითითებულ დროს (1855 წელი) კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ნამდვილ წევრზე – ერასტ სტეფანეს ძე ანდრეევსკიზე.

გვ.: 127,16. «Дом Георгія» – საუბარია გრიგოლის ბიძის, გიორგი ნიკოლოზის ძე ორბელიანის, შთამომავლებზე.

გვ.: 128,3-4. «к дому Сард:<sup>11</sup>» – ძმისთვის, ზაქარია ორბელიანისთვის, 1847 წლის 27 თებერვალს გაგზავნილ წერილში გრიგოლ ორბელიანი თავის მამას „ზურაბ სარდლად“ მოიხსენიებს. შესაბამისად, აქაც სარდლის ოჯახში ზურაბ (დემიტრი) ნიკოლოზის ძე ორბელიანის შთამომავლები უნდა იგულისხმებოდეს.

გვ.: 128,14-15. «<sup>4</sup> домов составляющих фамилию Орб» – ნიკოლოზ რევაზის ძე ორბელიანის 6 ვაჟიდან ორს: სოლომონს და იოველს შთამომავლობა არ დაუტოვებია, სამარაგდონს კი ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა და, როგორც ჩანს, მას წილი მანამდე მისცეს. შესაბამისად, ორბელიანთა კუთვნილი მიწები 1855 წელს გაიყო დარჩენილი ოთხი ვაჟის: გიორგის, ზურაბის, ასლანისა და იაკობის შთამომავლებზე.

გვ.: 128,16. «вместе с Марією Ивановною» – იგულისხმება მარიამ ლუარსაბის (იოველის) ასული ორბელიანი-ფალავანდიშვილისა. ის და ადრესატის მეუღლე სოფიო ყაფლანის (იოანეს) ასული ორბელიანი-ბეზაკისა ორბელიანთა ერთი შტოს წარმომადგენლები იყვნენ. მათი მამები – ყაფლანი (იოანე) და ლუარსაბი (იოანე) იყვნენ ძმების, ზაალ და ზურაბ დემეტრეს ძე ორბელიანების, შვილები. როგორც ჩანს, გრიგოლის პაპას – ნიკოლოზსა და მის ძმებს შორის მიწები ადრევე გაიყო, იმ დოკუმენტში კი, რომელზეც წერილშია საუბა-



რი, განხილულია ნიკოლოზის შთამომავლებს შორის მამულე-ბის გაყოფის საკითხი და მისი ძმების შთამომავლები არაფერ შუაში არიან.

გვ.: 128,19. «наследница К<sup>III</sup> Маріи Ивановны» – მარიამ ლუარსაბის ასულ ორბელიანის პაპა, ზურაბი, და ადრესატის მეუღლის, სოფიო ყაფლან (იოანეს) ასულ ორბელიანის, პაპა, ზაალი, ძმები იყვნენ და, ბუნებრივია, მათ ერთმანეთთან ჰქონდათ მომიჯნავე და სადავო მიწები და არა მათ და ნიკოლოზ რევაზის ძე ორბელიანის შთამომავლებს.

გვ.: 129,1-2. «вами и с К<sup>III</sup> Іосифом Конс.<sup>III</sup> Орбел» – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი იყო იოსებ ნიკოლოზის ძე ორბელიანის შთამომავალი, ანუ შედიოდა იმ ოთხ დიდ ოჯახში, რომელთა გაყოფაც 1855 წელს მოხდა.

გვ.: 129,6. «чертою с Боувети» – საუბარია ორბელიანთა სადავო მამულზე.

### ოლღა პანინა-ლევაშოვისადმი №1 (783) გვ.: 135-136.

**ავტოგრაფი:** А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515<sup>ა</sup> (ძველი №175), 127r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 35,1X23,6 სმ.; ხელნაწერი დაზიანებული და რესტავრირებულია. რამდენიმე ადგილას ამოხეულია, მარჯვენა მხრიდან კი შეხეულია. შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «19<sup>10</sup> Генв: 1872»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Графине Ольге Викторовне Левашевой»

**ადრესატის მისამართი:** «В Кутайс»

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ჩამატებულია; 4-5. ამ ადგილებში ფანქარი მთლიანად გადასულია და ტექსტი არ ჩანს; 6. ამის შემდეგ წაშლილია «ЧТ» (კავშირი არ არის დამთავრებული); 7. ამ ადგილას ფანქარი გადასულია; 8. «Чтоже собственно касается меня, могу наверно сказать» ჩამა-

ტებულია; 9. «Оно не вполне» სიტყვებსა და მომდევნო «выражает» სიტყვის ბოლო ნაწილს – «ает»-ს, შავი ტუში აქვს ზემოდან გადასმული; ამის შემდეგ ავტორს ჩამატების ნიშანი აქვს გაკეთებული და ქვემოთ აქვს ტექსტი ჩატანილი, რომელიც მომდევნო აბზაცამდე გრძელდება; 10. ამის შემდეგ გადახაზულია «ну»; 11. ჩამატებულია შავი ტუშით; 12. «ни даже в танцах» ჩამატებულია შავი ტუშით; 13. ეს სიტყვა შავი ტუშით წერია; 14. ამის შემდეგ გადახაზულია «который» და მის ნაცვლად დაწერილია მომდევნო სიტყვა «Он»; 15. «на которой» ჩამატებულია შავი ტუშით, მის დაბლა გადაშლილია «и наней»; 16. ჩამატებულია შავი ტუშით; 17. ამის შემდეგ გადახაზულია «расположения»; 18. ჩამატებულია შავი ტუშით; 19. ჩამატებულია შავი ტუშით; მის დაბლა გადაშლილია «прискорным»; 20. ჯერ დაუწერია «Такова» და მერე ბოლო ნაწილი გადაუკეთებია შავი ტუშით; 21. «состоит из противоположных впечатлений» დაწერილია შავი ტუშით.

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, დაწყებული | აბზაცის ფრაზიდან – «Вы принадлежите к тем редким существам», აბზაცის ბოლომდე, ქართულ თარგმანთან ერთად, დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გამომოქმდილი ჟურნალ „მოამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა ნიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

გვ.: 135,2. «Графине Ольге Викторовне Левашевой» – წერილის ადრესატია გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის მეუღლე – ოლღა ვიქტორის ასული პანინა.

გვ.: 136,10. «для Абиха» – საუბარია ცნობილ გეოლოგსა და კავკასიის მკვლევარზე – ოტო ვილჰელმ ჰერმან აბიხზე.

გვ.: 136,22. «3<sup>შ</sup> дочери Мирск.» – საუბარია მარიამ და ოლა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიებზე და ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-დენისაზე.

გვ.: 136,22-23. «4<sup>ე</sup> Давида Чавч.» – საუბარია დავით ჭავჭავაძის ქალიშვილებზე: სალომე ჭავჭავაძე ოსტენ-საკენზე, თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონზე, ელენე ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე და მარიამ (კაკო) ჭავჭავაძეზე.

გვ.: 136,23. «1 Вахтанга Орб.» – საუბარია ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანსა და მის ქალიშვილ მარიამზე.

გვ.: 136,23. «1 дочь Опочинина» – საუბარია მარიამ ალექსეის ასულ ოპოჩინინაზე.

გვ.: 136,23. «1 Иванова» – საუბარი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისას, ქალიშვილზე, სავარაუდოდ, მაშაზე.

გვ.: 136,28. «Колнобякин скончался вчера» – საუბარია ბაქოს სამხედრო გუბერნატორ მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინზე.

### რევაზ ერისთავისადმი №1 (784) გვ.139.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №85 / №57, 1რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, რამდენჯერმე მონაკეცი, ორი გადაბმული ფურცელი; ზომა: 20,2X13,1 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. წერილის თავში შავი ფანქრით მიწერილია: «Григорія Орбелиანი Ревазу Зроставу».

**თარიღი და ადგილი:** „11 თებერ: 1872 თბილისი.“

**ხელმოწერა:** „შენი მარადის გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო რევაზ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ადრესატის ადგილსამყოფელი ვერ დგინდება, მაგრამ ვიცით, რომ ისინი გორში ცხოვრობდნენ, რაც სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი გაგზავნილ 1872 წლის აგვისტომდე დათარიღებულ წერილ-

შიც ჩანს, სადაც გრიგოლი ადრესატს ეუბნება: „მეორე გამო-სალმებაც გორსა, ერისთვიანთა.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, **გორში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ღმერთი; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 139,12. „**ჩემო საყუარელო რევაზ**“ – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილის, ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიანის, ვაჟი – რევაზ შალვას ძე ერისთავი.

გვ.: 139,14. „**ჩემის დისწულის ქალსა, რევაზის შვილსა**“ – საუბარია ეკატერინე (კატო) მელიტონის ასულ ბარათაშვილისა და რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის შვილზე. ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ, 1856 წელს, რევაზმა მეორე ცოლი მოიყვანა და გრიგოლი წუხდა იმხანად 27 წლის, უდედოდ დარჩენილ გასათხოვარ ქალზე.

გვ.: 139,15. „**შემავედრე ეკატერინას**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიან-ერისთავისაზე.

გვ.: 139,17. „**დარიკომ მიაბზო**“ – სავარაუდოდ, საუბარია იაკობ (კონა) მირმანოზის ძე ერისთავის მეუღლეზე – დარია დიმიტრის ასულ ერისთავზე.

### **ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №50 (785) გვ.140.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 59r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალაქი; ზომა: 35,3X21,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი დაზიანებულია, შავი ფანქარი მთლიანად გადასულია ფურცელზე, რის გამოც ტექსტი არ იკითხება.

**თარიღი და ადგილი:** «10 Марта 1872. Тифлис»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «... мой друг Варвара ...»

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი  
№51 (786) გვ.141-142.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 62r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალაღდი; ზომა: 35,2X21,3 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «10<sup>10</sup> Июня 1872.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «... мой друг Варвара ...»

**ადრესატის მისამართი:** «В Москву.»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ, ამასთან, დაწერილია ლურჯი ფანქრით; 2. აქედან მოყოლებული, რამდენიმე სტრიქონის გასწვრივ, მარცხენა აშიაზე შავი ფანქარია ჩამოსმული.

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, დაწყებული I აბზაცის ფრაზით – «Прошло то доброе время,», დამთავრებული ამავე აბზაცის ფრაზით – «с усердіем возьмись за уроки», ქართულ თარგმანთან ერთად, დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მომამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა ნიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

გვ.: 141,3. «**экзамена Георгія**» – საუბარია გრიგოლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანის მიერ გიმნაზიის გამოცდების ჩაბარებაზე.

გვ: 141,9. «**Крымской войны**» – საუბარია 1853-1856 წლების რუსეთის ომზე ბრიტანეთის, საფრანგეთის, სარდინიისა და ოსმალეთის კოალიციის წინააღმდეგ, რაც დასრულდა რუსეთისთვის წამგებიანი საზავო ხელშეკრულებით.

გვ.: 141,10. «Седанскаго погрома» – 1870-1871 წლებში, საფრანგეთისა და პრუსიის ომის დროს, გერმანული არტილერიის ძლიერებამ და 1871 წლის 1 სექტემბერს სედანთან განცდილმა სამინელმა მარცხმა ფრანგები აიძულა, დანებებულიყვნენ.

გვ.: 141,21. «немцы убедили всех, что только наука правит миром» – ამ დასკვნამდე რუსეთი და საფრანგეთი მიიყვანა გერმანიის ჯარის კარგმა განვრთნილობამ და ორგანიზებულობამ.

გვ.: 141,22-23. «сельские учителя Германии победили непобедимых маршалов Франции?» – არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვით, საფრანგეთ-პრუსიის ომის დასრულების შემდეგ, ჩრდილო გერმანიის კავშირის კანცლერმა ოტო ფონ ბისმარკმა თქვა, რომ ამ გამარჯვებას ქვეყანა უნდა უმაღლოდეს არა სხვა ვინმეს, არამედ პრუსიის მასწავლებლებსო.

გვ.: 141,24. «аксіоме, провозглашенной Немцами» – საუბარია ბისმარკის ზემოხსენებულ გამონათქვამზე.

გვ.: 142,8. «Петя Опочинин блистательно здал» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ პეტრე ალექსეის ძე ოპოჩინინზე.

გვ.: 142,11. «О женидьбе Красноглядова на девице Бабарикиной» – საუბარია ექიმ ევგრაფი ივანეს ძე კრასნოგლიადოვისა და სოფიო პეტრეს ასულ ბაბარიკინის ქორწინებაზე.

### იანუარი ნევეროვისადმი №1 (787) გვ.: 144.

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №131 / №55.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 32,1X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «17 Июня 1872.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Януариу Михайловичу Неверову.»

**ადრესატის მისამართი:** წერილის ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველი იყო და წერილიც, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ჩამატებულია.

გვ.: 144,2. «Януариу Михайловичу Неверову» – წერილის ადრესატი რუსი მწერალი, პედაგოგი და მემუარისტი – იანუარი მიხეილის ძე ნევეროვი.

გვ.: 144,3. «Молодой Князь Абхазии» – სავარაუდოდ, საუბარია იმხანად 18 წლის მიხეილ მიხეილის ძე შარვაშიძეზე.

გვ.: 144,15. «в число Кавказских воспитанников» – 1864-1879 წლებში ადრესატი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველი.

**ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისადმი №126 (788)**

**გვ.: 145-146.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №376 / №20 (ძველი S: 2660), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 168r-v, 169r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ქალაღი; ზომა: 18,2X10,7 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. IV გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია მისამართის მითითების გარეშე, ხოლო მის ქვემოთ შავი ფანქრით მიწერილია თარიღი – „1872“.

**თარიღი და ადგილი:** „29<sup>ა</sup> ივნისს 1872 წავკისით.“

**ხელმოწერა:** „თქუჴნი მარადის გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო ძალუავ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის IV გვერდზე ადრესატის ვინაო-

ბა წერია მისამართის მითითების გარეშე: „მის ბრწყინვალეობას კნენას ქეთევანს ორბელიანისას მიერთოს.“ ქეთევანი **თბილისში** ცხოვრობდა და წერილიც, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. საზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 145,13. „ჩემო საყუარელო ძალუავ“ – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის რძალი – ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა.

გვ.: 145,13. „მეითარი ბესარიონ“ – როგორც ჩანს, საუბარია მსახურზე, რომელსაც გრიგოლი ხუმრობით მსახურთუხუცესს უწოდებს.

გვ.: 145,15. „მობძანდაა სიძე ბატონი“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე, რომელსაც ცოლი ახალმოყვანილი ჰყავდა და რუსეთიდან სწორედ იმ პერიოდში ჩამოვიდა საქართველოში.

გვ.: 145,16. „ნეტავი ტასოსა“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ადრესატის დისწულზე – ანასტასია ხერხეულიძეზე.

გვ.: 145,17. „პატარა ძალუა როგორ არის“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის, ახალმოყვანილ ცოლზე – სამაზე (გვარი უცნობია).

გვ.: 145,18. „როდის მიდის ვანო“ – აქაც, სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 145,22. „სოლომონკა უნდა დაიბადოს“ – საუბარია მსახურზე.

გვ.: 145,23. „მისცემს სოსიკო“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილიშვილი – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი.

გვ.: 145,24. „დავით ჭავჭავაძისა“ – საუბარი უნდა იყოს დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 146,9. „ყაფლან ამოვიდეს“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 146,12. „მე და კოლა“ – შესაძლოა, იგულისხმებო-



დეს გრიგოლის ბიძაშვილიშვილი – ნიკოლოზ (კოლა) რევაზის ძე ერისთავი.

**სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი №2 (789) გვ.: 147-150.**

**ავტოგრაფი:** Z: ზსიემ №24492 / ლიტ. არქ. №1094.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** 2 გადაბმული ფურცელი; ზომა: 35X22 სმ.; დაწერილია ფანქრით, ლამაზი კალიგრაფიით.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო ძალუავ სოფიო!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ადრესატის ადგილსამყოფელი არ ჩანს, მაგრამ ამ პერიოდში მისი მეუღლე ივანე ორბელიანი დალესტანში, კერძოდ, ბოთლიხში, მსახურობდა. 1871 წლის 28 დეკემბრის წერილში ავტორი რძალს, ბარბარე ორბელიანს, სწერს: «Недавно Я получил из Дагест: письмо от Софии. Ей очень нравится Ботлих.» 1872 წლის 5 იანვრის წერილში ეკატერინე ჭავჭავაძეს აცნობებს: „**ივანე თავის სოფიოთი არიან ბოთლიხში.**“ სოფიოსადმი 1872 წლის 16 ნოემბერს გაგზავნილ ბარათში ნახსენებია დალესტანში მომსახურე ნიკო ჭავჭავაძე, როგორც მასთან ახლოს მყოფი: „ჩემს ნიკოს ჭემმარიტს მაღლობას მოვახსენებ ხანჯალისათვის.“ ნიკო ჭავჭავაძისადმი 1873 წლის 1 ივლისს გაგზავნილ წერილში კი ავტორი მოიკითხავს ივანესა და სოფიოს: „სოფიო და ივანე სიყუარულით მომიკითხე.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი **ბოთლიხში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. სიტყვა ჩამატებულია; 2-3. თავადი; 4. „მ“ არ უწერია; 5. ხაზგასმულია; 6. ღმერთო; 7. ღმერთსა; 8-9. ხაზგასმულია.

**პირველი პუბლიკაცია:** ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ.: 332-334.

**დათარიღება:** წერილის მიხედვით ჩანს, რომ ნიკო ჭავჭავაძის-

თვის გრიგოლს ნათხოვნი აქვს ხანჯლის შოვნა თავისი რძლის დის – ოლლა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიას-თვის გასაგზავნად („ნიკო... დამპირდა პატარა ხანჯალსა, რომელიცა უნდა უფეშქაშო მოსკოვში ოლინკასა, ძალუა ვარინკას დასა“), 1872 წლის 16 ნოემბრის წერილიდან კი ჩანს, რომ ხანჯალი უკვე მიღებულიც აქვს და ოლლასთვის გაგზავნილიც („ნიკოს ჭეშმარიტს მადლობას მოვახსენებ ხანჯალისათვის... მეორესვე დღეს გაუგზავნე ოლინკას გრუზინსკისას“). შესაბამისად, ეს წერილი 1872 წლის 16 ნოემბრამდეა დანერილი. მეორე მხრივ, რამდენადაც მასში აგვისტოს თვე მომავალ დროშია ნახსენები („აგვისტოში მოელიან კომისიას“), შეგვიძლია დანერის სავარაუდო ზედა ზღვარი კიდევ უფრო შევამციროთ და დავათარილოთ **1872 წლის აგვისტომდე პერიოდით**.

გვ.: 147,1. „ჩემო საყუარელო ძალუავ სოფიო“ – წერილის ადრესატია სოფიო შალვას ასული ერისთავი-ორბელიანისა.

გვ.: 147,5. „შენს ივანეს“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 147,8. „ვანო თავის პანანა ცოლითა“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე, რომელსაც „ვანკა პაჟარნის“ ეძახდნენ, და მის ცოლზე. მეუღლის ვინაობა გენეალოგიურ ნუსხაში არ ჩანს, ორბელიანის წერილებში კი „საშად“ მოიხსენიება და, როგორც ჩანს, ქართველი არ უნდა ყოფილიყო.

გვ.: 147,13-14. „გამოსალმებაც... კინგრუსტში“ – საუბარია ვერაზე მდებარე ბაღზე.

გვ.: 147,17-18. „მუხრანის ბატონი გიორგი“ – საუბარია გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 147,18. „ენისელთ მოურავი დიმიტრი ჯორჯაძე“ – დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძის წინაპრები გრემისა და ენისლის მოურავებად იწოდებოდნენ.

გვ.: 148,1-2. „სოსიკოცა... თავის ქოჩითა“ – საუბარია

გრიგოლის ბიძაშვილიშვილზე – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 148,3. „**ხორეშან, სოფიო**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილზე – სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 148,5. „**გიგო ცოლითა და ცოლისძმითა**“ – საუბარია გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და ნინო სიმონის ასულ აბაშიძე-ორბელიანისაზე. ძმის სახელი უცნობია.

გვ.: 148,3-4. „**სანდროს ცოლი**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის, მეუღლეზე – მარიამ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილზე.

გვ.: 148,4. „**აგიევის ქალი**“ – გრიგოლ ორბელიანი თავის წერილებში „აგიევად“, სავარაუდოდ, მოიხსენიებს გენერალ-ადიუტანტ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ოგარევის ქალიშვილ სოფიოს.

გვ.: 148,5-6. „**მალლა, ყიზილაჯდის**“ – როგორც ჩანს, მალალმთიანი სოფლის სახელია.

გვ.: 148,6. „**ყაფლანცა ნავიდა**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 148,7. „**მეზობლად არის საგინოვი ცოლითა**“ – საუბარია ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილსა და მის მეორე ცოლზე – ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე.

გვ.: 148,8. „**ირაკლი სახლობითა**“ – საუბარი უნდა იყოს ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონსა და მის მეუღლეზე – თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძე-ბაგრატიონისაზე.

გვ.: 148,8-9. „**საკენ ცოლშვილითა**“ – საუბარია მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენზე, მის მეუღლეზე – სალომე დავითის ასულ ჭავჭავაძე-საკენისაზე და შვილებზე: ანასა და სოფიოზე.

გვ.: 148,9. „**მამუკას შვილი ვანო ცოლითა**“ – საუბარი

უნდა იყოს ივანე მამუკას ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – მარია დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიაზე.

გვ.: 148,10. „**ოღლობუიონნი**“ – საუბარი უნდა იყოს გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოსა და მის მეუღლეზე – ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოზე.

გვ.: 148,10-11. „**თამამშევი ერთის ვაჟით და ერთის ქალითა... ამის ცოლი ერთის ქალ-ვაჟით**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს თბილისელ ვაჭარ მიხეილ იაგორის ძე თამამშევეზე, მის მეუღლეზე – ბარბარე ვასილის ასულ ყორღანაშვილსა და შვილებზე: ელისაბედზე, ეკატერინეზე, ვასილსა და გიორგიზე.

გვ.: 148,12. „**ზაფხულობენ ივანოვნობითა აპაჩინინით**“ – საუბარი უნდა იყოს გრიგოლის ბიძაშვილებზე: ეკატერინე და ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანებსა და მათ მეუღლეებზე – ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვსა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინზე.

გვ.: 148,13. „**მოუვიდათ პეტერბურლიდამ პეტია**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილზე – პეტრე ალექსის ძე ოპოჩინინზე.

გვ.: 148,14-15. „**კარპეკა და ანიჩკოვი**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის, მიხეილ ნიკოლოზის ძე კარპეკოს, მეუღლესა და სამხედრო იურისტ ვასილი ივანეს ძე ანიჩკოვის მეუღლეზე – ოლლა პეტრეს ასულ დირინა-ანიჩკოვისაზე.

გვ.: 148,18-19. „**ღრაფი ლევაშოვი მოვიდა ქუთაისიდან**“ – საუბარია გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვზე.

გვ.: 148,25-26. „**აგრიყარზე ძლივსლა ჰპოებენ**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ქვემო ქართლის სოფელ სოლუთლოზე, რომელსაც აგრიკარსაც უწოდებდნენ.

გვ.: 148,28. „**სწორედ იობის ღალადისია**“ – იგულისხმება ბიბლიური წინასწარმეტყველი იობი და მისი განსაცდელეები.

გვ.: 148,31. „**კნინა შახაევსკისა და ლიზა**“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე ივანეს ძე შახოვსკის მეუღლეზე – გრაფინია ანა მიხეილის ასულ ვიელგორსკაია-შახოვსკისაზე და ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 149,1-2. „**Тайн Мадридскаго двора და ზედ მოაბათ Евгенія იმპერატრიცა ჭრანციისა**“ – საუბარია გერმანელი მწერლის, კარლ გეორგ ფიულბორნის, რომანებზე: „იზაბელა ანუ მადრიდის სასახლის კარის საიდუმლოებები“ და „ევგენია ანუ საფრანგეთის სასახლის კარის საიდუმლოებები“.

გვ.: 149,5. „**ტასოს წიგნი მომივიდა**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ადრესატის მულის, ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისას, წერილი.

გვ.: 149,15. „**დათიკო, დიდად ავათმყოფი, წავიდა**“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 149,23. „**ჩემი საყუარელი ნიკო**“ – საუბარია ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 149,25. „**ოლინკასა, ძალუა ვარინკას დასა**“ – საუბარია ბარბარე და ოლლა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკებზე.

გვ.: 150,1. „**მყავს აჯილლად**“ – აჯილლას მოუთოკავს, ბედაურ ულაც ცხენს უწოდებდნენ.

გვ.: 150,1. „**დიტერისისაგან მოყვანილი**“ – საუბარია გენერალ კონსტანტინე ალექსანდრეს ძე დიტერისზე, რომელიც ცხენების მოშენებას მისდევდა.

გვ.: 150,3. „**ნადირშაჰის გამოჩენილი ჭაკი ცხენი**“ – სავარაუდოდ, საუბარია მე-18 საუკუნის შუა წლებში ირანის მმართველის, ნადირ-შაჰ ავშარის, ცხენზე.

გვ.: 150,6. „**პეტუხოვი და მისი თანაშემწე**“ – პირთა ვინაობა გაურკვეველია.

## ნაპოლეონ ამატუნისადმი №1 (790) გვ.: 150-151.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №61.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** სპილოსძვლისფერი, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის, 1 ფურცელი, ცალ გვერდზე ნაწერი; ზომა: 33,5X21,5 სმ., შესრულებულია შავი ფანქრით. მცირე ნაწილი მოხეულია ქვედა მარცხენა კიდიდან.

**თარიღი და ადგილი:** «8<sup>10</sup> Август: 1872. Цавкиси»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «К<sup>10</sup> Наполеону Ивановичу Амаатуни.»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3-4. ხელნაწერში ორივე სიტყვასთან მძიმე წერია.

გვ.: 150,11. «**Наполеону Ивановичу Амаатуни.**» – წერილის ადრესატია თბილისელი ვექილი და საკრედიტო ბანკის თავმჯდომარე – ნაპოლეონ ივანეს ძე ამატუნი.

გვ.: 150,12. «**Анастаси Давидовны Гагариной**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავზე – ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 150,18-19. «**бедного нашего Ивана**» – საუბარია გრიგოლის ნათესავ ივანე დავითის ძე ორბელიანზე, ანასტასიას ძმაზე, რომლის სახლსაც გაყიდვა ემუქრებოდა.

გვ.: 150,20. «**совершеннолетія племянницы Ивана**» – ამავე პერიოდში (1872 წლის აგვისტომდე) სოფიო ერისთავ-ორბელიანისთვის გაგზავნილ წერილში გრიგოლ ორბელიანი ახსენებს ტასოს მიერ შვილად აყვანილ ორ გოგონას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოჯახში სამი დედმამიშვილი იყო, იმხანად უკვე გარდაცვლილ ალექსანდრეს კი შვილები არ დარ-

ჩენია, სავარაუდოდ, აქ ანასტასიას მიერ შვილად აყვანილ გოგონაზე უნდა იყოს საუბარი, რომლის სახელიც უცნობია.

გვ.: 151,1. «Сосико, Опекун их» – სავარაუდოდ, საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 151,3. «падение Сардарского Дома» – უნდა იგულისხმებოდეს ის, რომ დავით იოანეს ძე ორბელიანი, რომლის შვილებზეც არის ამ წერილში საუბარი, იყო სომხით-საბარათიანოს სარდლის, ლუარსაბ (ლავრენტი) ასლანის ძე ორბელიანის, შთამომავალი.

### **ალექსანდრე საგინაშვილისადმი №12 (791) გვ.: 152-153.**

**ასლი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №420 / Hd-7696, 1r.

**ასლის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, ცალხაზიანი ფურცელი; ზომა: 20,9X13,1 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „18<sup>ა</sup> აგვისტოს 1872. ნავკისით“

**ხელმოწერა:** „შენი ბედნიერების მოსურნე თ~ გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილი, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ასლშია „გამომწირავ“; 2. თავადი; 3. სიტყვა ხაზგასმულია.

გვ.: 152,22. „ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე“ – წერილის ადრესატია გენერალი ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი.

გვ.: 152,23. „საბრალოს ბაბაღეს“ – იგულისხმება ადრესატის გარდაცვლილი მეუღლე, გრიგოლის ბიძაშვილი – ბაბაღე სამარაგდონის ასული ორბელიანი.

გვ.: 152,23-24. „ყულარი, ქვეში და ტაშტიყულარი“ –

საუბარია ქართლის სოფლებზე.

**მიხეილ ალექსი-მესხიშვილისადმი №1 (792) გვ.: 153-154.**

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515ა, 113r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, და-  
ლაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი;  
ზომა: 34,4X22,5 სმ.; ხელნაწერი ორ ადგილას ამოხეულია.  
შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** «31 Августа 1872. Цавкиси.»

**ხელმოწერა:** «С истинным уваженіем и преданностью остаюсь  
вам истинно преданный К: Григорій Орбеліяни»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Уважаемый Михайл  
Дмитріевич!»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი იურისტი იყო და გრიგოლის  
ახლადგარდაცვლილი ნათესავის, ალექსანდრეს, მემკვიდრეო-  
ბის საკითხს განიხილავდა, რომელიც თბილისის სასამარ-  
თლოზე იყო გადაცემული. აღნიშნულის გათვალისწინებით,  
წერილი, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 153,8. «Уважаемый Михайл Дмитріевич!» – სავა-  
რაუდოდ, წერილის ადრესატია იურისტი მიხეილ დიმიტრის  
ძე ალექსი-მესხიშვილი.

გვ.: 153,9. «Подпор: К<sup>а</sup> Александра» – პირის ვინაობა  
ვერ დადგინდა. ერთი მოსაზრებით, გრიგოლ ორბელიანის წე-  
რილებში მოხსენიებული ძია ალექსანდრე იყო ალექსანდრე  
ვახტანგის ძე ორბელიანი, მეორე მოსაზრებით კი – ალექსან-  
დრე (თორნიკე) იესეს ძე ერისთავი, მაგრამ არ დადასტურდა.  
კორპუსული კვლევით დგინდება, რომ ეს პირი გრიგოლ ორ-  
ბელიანის ახლო ნათესავია (ჩრდილოეთ კავკასიიდან ახლობ-  
ლებისთვის გაგზავნილ წერილებში თითქმის ყოველთვის უთ-



ვლის მოკითხვას). ასაკით გრიგოლ ორბელიანზე საკმაოდ უფროსი უნდა ყოფილიყო, რადგან „მოხუც ძიად“ მოიხსენიებს. 1870-1872 წლების წერილებიდან კი ვიგებთ, რომ ეს პირი იყო პოდპორუჩიკი და 1870 წლის 22 მარტიდან („ბიძია ალექსანდრე ისევ ავადობს“) 10 სექტემბრამდე („Покойный Александр – наш дядя – умирая, оставил Завещание“) ინტერვალში უნდა გარდაცვლილიყო. გარდა ამისა, მას უნდა დარჩენოდა არაოფიციალური ცოლი და ოთხი უკანონო შვილი: ორი ქალი და ორი ვაჟი. გრიგოლ ორბელიანის სანათესაოში მსგავს პირს ვერ მივაკვლიეთ.

გვ.: 153,18. «**Племяннику Георгію**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 153-154. «**четырёх детях: двух дочерей – невест, двух сыновей и о матери их**» – პირთა ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 154,11. «**А Моураву выдается вместо жалования десятая часть с доходов**» – სავარაუდოდ, საუბარია გარდაცვლილი ალექსანდრეს მამულის მოურავზე.

### **მიხეილ ალექსი-მესხიშვილისადმი №2 (793) გვ.: 156-157.**

**ავტოგრაფი:** А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515ა, 111r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 34,8X21,3 სმ.; ხელნაწერი ორ ადგილას ამოხეულია. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** «2<sup>10</sup> Сент: 1872 Цавкиси.»

**ხელმოწერა:** «Ваш искренно преданный К: Гр: Орбеліани»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Уважаемый Михайл Дмитріевич!»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი იურისტი იყო და გრიგოლის ახლადგარდაცვლილი ნათესავის, ალექსანდრეს, მემკვიდრეობის

საკითხს განიხილავდა, რომელიც თბილისის სასამართლოზე იყო გადაცემული. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია.

გვ.: 156,23-24. «**именію К<sup>а</sup> Алек:**» – საუბარია გარდაცვლილი ალექსანდრეს მამულზე. პირის ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 157,9. «**чрез моего Сосико**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილზე – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი  
№52 (794) გვ.: 158-161.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 60r-v, 61r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალაქი; I ფურცლის ზომა: 35,3X21,3 სმ.; II ფურცლის ზომა: 35,3X21,5 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «8<sup>10</sup> Сент: и отправ: 11<sup>10</sup> в Пет: 1872.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** «в Пет:»

**შენიშვნები:** 1-5. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. მრავალწერტილი ავტორისაა.

გვ.: 159,3. «**определяешь Георгія в Арт: Училище**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ძმისწულის, გიორგი ილიას ძე ორბელიანის, პეტერბურგის საარტილერიო სასწავლებელში შესვლაზე.

გვ.: 160,7. «**К<sup>н</sup> Николая Мирскаго**» – საუბარია ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 160,8. «**Граф: Гейденом?**» – საუბარია თეოდორ ლოგინის ძე გეიდენზე, რომელიც მეფისნაცვალ ვორონცოვის შტაბში მსახურობდა.

გვ.: 160,8-9. «**при Воронцове**» – საუბარია კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.

გვ.: 161,18. «**семейство Мирских**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიანზე, მის მეუღლე დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და შვილებზე – ნინა, მარიამ, ოლა და პეტრე სვიატოპოლკ-მირსკებზე.

გვ.: 161,20. «**Петя Опочинин... без матери, без отца**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე, მის მეუღლე ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინსა და მათ ვაჟ პეტრეზე.

### ელისაბედ ორბელიანისადმი №2 (795) გვ.: 165-166.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №174 / №25, ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 5r-v, 6r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, ორი გადაბმული ფურცელი; ზომა: 20,3X12,9 სმ.; შესრულებულია შავი მელნით; I გვერდის შუა ნაწილში, გადაკეცვის ადგილას, მელანია დაღვენთილი.

**თარიღი და ადგილი:** „30 სექდ. 1872.“

**ხელმოწერა:** „თქუწნი მარადის ერთგული და ბედნიერების მსურველი თ~ გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო ძალუავ ელისაბედ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი, მიუხედავად შემოდგომისა, თავის მეუღლესთან ერთად ისევ სოფელში იმყოფება. გრიგოლი მას წერს: „კარგია, გეყოფათ სოფლობა, ჩამობძანდით, დროა.“ წერილებიდან ვიცით, რომ ისინი ხშირად **კოდაში** იყვნენ ხოლმე და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ავტორს ბრჭყალები დახურული აქვს, მაგრამ გახსნილი – არა; 3. „ნ“ გამორჩენილი აქვს; 4. ხელნაწერში აქ წერტილია; 5. თავადი; 6. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 165,4. **„ჩემო საყუარელო ძალუავ ელისაბედ!“** – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, მეუღლე – ელისაბედ ივანეს ასული ბართაშვილი-ორბელიანისა.

გვ.: 165,12. **„დიმიტრი ვეზიროვმა წამოიძახა“** – საუბარია გრიგოლის დისწულის, ბარბარე მელიტონის ასულ ბართაშვილის, ქმარზე – დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილზე.

გვ.: 165,20. **„ყაფლანს სიყვარულით მოვიკითხავ“** – საუბარია ადრესატის ქმარზე – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 165,21. **„მივდივარ პრინც ოლდენ ბურლისთან“** – საუბარია პრინც ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელზე.

გვ.: 166,2. **„სოსიკოს სახლობა“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და მის ცოლ-შვილზე. მეუღლის სახელი უცნობია, შვილებს კი ერქვათ: ალექსანდრე, ივანე, გიორგი და ეკატერინე.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №53 (796) გვ.: 166-167.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 56r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხე-

ული, დიდი ფორმატის ქალაქი; ზომა: 35,3X21,5 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** 8 სექტემბრიდან გრიგოლი ადრესატს წერილებს უკვე **პეტერბურგში** უგზავნიდა და წინამდებარე ბარათიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი, მიუხედავად იმისა, რომ ადრესატი ჯერ არ იყო იქ ჩასული.

**დათარილება:** ამ უთარილო წერილის მიხედვით ირკვევა, რომ მისი ადრესატი წინა წელს გრიგოლ ორბელიანთან ერთად იყო წავკისში («в Цавкиси, где так хорошо было мне с вами в прошлом году») და ჩანს, რომ იგი ჯერ არ უნდა იყოს გადასული საცხოვრებლად მოსკოვიდან პეტერბურგში («едешь в Петерб.»). 1871 წლის 25 ივნისს ყაფლან ორბელიანისთვის გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ გრიგოლ ორბელიანთან ერთად წავკისში მისი რძალი და ძმისშვილი ისვენებდნენ 1871 წელს. 1872 წლის 2 ოქტომბერს ეკატერინე ჭავჭავაძისთვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „ვარინკა თავის შვილით გადასულა მოსკოვიდამ პეტერბურღს“. შესაბამისად, წინამდებარე უთარილო ბარათი 1872 წლის 2 ოქტომბრამდე უნდა იყოს დაწერილი. ამავე წერილში ნახსენებია, რომ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანი და მისი ცოლი უკვე გაემგზავრნენ პეტერბურგში («Вано с женою выехали»), ქეთევან ალექსი-მესხიშვილისთვის 1872 წლის 29 ივნისს გაგზავნილი წერილიდან კი ჩანს, რომ ისინი ჯერ არ იყვნენ წასულები („როდის მიდის ვანო?“). შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1872 წელს 30 ივნისიდან 2 ოქტომბრამდე. რამდენადაც ადრესატის დისთვის, ოღლა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკიასთვის, გაგზავნილი წერილი კომპლექსური კვლევის შედეგად 1872 წლის აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე პერიოდით დავათარილეთ, ეს ბარათი კი უფრო ადრეულია (ამ ბარათში ბარბარეს სწერს, პეტერბურგში მიდიხარო, იქ კი – არ ვიცი, ბარბარე ჩავიდა თუ არა პეტერბურგში და როგორ მოენყოო), შესაბა-

მისად, მას პირობითად ვათარილებთ **1872 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე პერიოდით.**

გვ.: 166,7. **«пристроить Георгія»** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 166,8. **«еще один Совет Доктора Мревлова»** – საუბარი უნდა იყოს თბილისელ ექიმ სოლომონ იოსების ძე მრევლიშვილზე.

გვ.: 166,15. **«Петя Мирскій в заведеніи Каткова невыдержал Экзамена»** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, ვაჟ პეტრე დიმიტრის ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და პუბლიცისტი მიხეილ ნიკოლოზის ძე კატკოვის მიერ მოსკოვში დაარსებულ ლიცეუმზე, სადაც წარჩინებული გვარის წარმომადგენლები სწავლობდნენ.

გვ.: 166,19. **«К: Дмитрія и Николая»** – საუბარი უნდა იყოს ძმებზე – დიმიტრი და ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკეებზე.

გვ.: 166,26. **«Вано с женою выехал»** – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და მის ახალმოყვანილ ცოლზე – საშაზე (გვარი უცნობია).

გვ.: 167,3. **«обвенчались Княжна Нина Вачнадзе с подполк: Шерингом»** – პირთა ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 167,3-4. **«Майко Баратова выходит за Парфена Баратова»** – ბარათაშვილთა გენეალოგიურ ნუსხაში მხოლოდ ერთი პართენია ნახსენები, რომელმაც 1875 წელს ცოლად მოიყვანა ანა ივანეს ასული ციციშვილი. თუ დავუშვებთ, რომ მას პირველი ცოლი – მაიკო ბარათაშვილი 1872-1875 წლებში გარდაეცვალა, შესაძლოა, წერილში სწორედ მასზე იყოს საუბარი, მაგრამ დამატებით ინფორმაციას ამ პირებისა და მათი ქორწინების შესახებ ვერ მივაკვლიეთ.

გვ.: 167,6. «Тамару, Саломе с их мужьями и детьми» – საუბარია დავით ჭავჭავაძის ქალიშვილებსა და სიძეებზე: თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკისაზე, ირაკლი ალექსანდრეს ძე გრუზინსკიზე, სალომე ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისაზე, მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენსა და მათ შვილებზე.

### ოლღა ბაგრატიონ-გრუზინსკაიასადმი №1 (797) გვ.: 168-169.

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 63r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალაღდი; ზომა: 34,9X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. რესტავრირებულია.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Светлейшей Княжне Ольге Ильинишне»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **მოსკოვში** ცხოვრობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ჩამატებულია; 2. «до сих пор» ჩამატებულია; 3. ამ აბზაცს მარცხენა აშიიდან შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; 4. ამის შემდეგ 2-3 სიტყვა აქვს ჩამატებული ზემოდან, მაგრამ ფანქრით აქვს დაფარული წაშლის მიზნით; 5. «с самого Августа месяца» ჩამატებულია; 6. ამის შემდეგ გადახაზულია «потому что»; 7-9. ჩამატებულია შავი მელნით; 10. ამ სიტყვიდან ახალი აბზაცის დაწყებამდე, ტექსტი შავი მელნით არის დაწერილი; 11. ჩამატებულია შავი მელნით, მის დაბლა გადახაზულია «принять уверение»; 12. ჩამატებულია შავი მელნით.

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, I აბზაცის ნაწყვეტები (3 წინადადება) და II აბზაცი მთლიანად, ქართულ თარგმანთან ერთად, დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“.

ნისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მომამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა ნიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

**დათარილება:** შინაარსიდან ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანი ამ წერილთან ერთად ადრესატს უგზავნის პატარა ხანჯალს, რომელიც მისთვის ნიკო ჭავჭავაძემ უშოვა («получив кинжал, я спешу поднести его вам»). სოფიო ერისთავ-ორბელიანისთვის გაგზავნილი წერილიდან, რომელიც 1872 წლის აგვისტომდე პერიოდით დავათარილეთ, ირკვევა, რომ გრიგოლ ორბელიანს ნიკო ჭავჭავაძისთვის უკვე ნათხოვნი ჰქონდა ხანჯლის შოვნა, მაგრამ ხანჯალი ჯერ მიღებული არ ჰქონდა. შესაბამისად, ეს ბარათი აგვისტოზე ადრე ვერ იქნება დაწერილი. წერილიდან ასევე ვიგებთ, რომ გრიგოლ ორბელიანს ადრესატის დისგან არავითარი ინფორმაცია არა აქვს, მისამართიც არ იცის («не имею никакого известия... не могу писать к ней, не имея адреса») და იმაშიც არ არის დარწმუნებული, პეტერბურგში გადავიდა თუ არა («действительноли она переехала в Петербург»). 1872 წლის 2 ოქტომბერს ეკატერინე ჭავჭავაძისთვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „ვარინკა თავის შვილით გადასულა მოსკოვიდამ პეტერბურლს“. შესაბამისად, წინამდებარე უთარილო ბარათი 1872 წლის 2 ოქტომბრამდე უნდა იყოს დაწერილი და მას ვათარილებთ **1872 წლის აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე პერიოდით.**

გვ.: 168,23. «сестра Варинька» – საუბარია ადრესატის დაზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე.

გვ.: 168,26. «моего племянника Нико Чавчавадзе» – ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძის დედა – ანა ასლანის ასული ორბელიანი – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი იყო.



გვ.: 168,27. «**волнение, происшедшее в том крае**» – საუბარია 1871 წელს მთიან დაღესტანში, უნკრატლში, მიმდინარე ანტირუსულ გამოსვლებზე.

გვ.: 169,27. «**Ея Светлости Царевне**» – საუბარია ადრესატის დედაზე – ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისაზე.

გვ.: 169,28. «**прошу ваших Сестер**» – იგულისხმება ადრესატის დები: გაიანე, ელისაბედი, ალექსანდრა, ეკატერინე და ნადეჟდა.

### **ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისადმი №7 (798) გვ.: 171-173.**

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515ა, ორმაგი პაგინაციით: 114r-v (წითელი ფანქრით), 116r-v (შავი ფანქრით).

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 35,1X21 სმ.; ხელნაწერი ორ ადგილას ამოხეულია. შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** „2<sup>10</sup> Октяб: 1872.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „მთავრინას მენგრელი[ი]სას.“ / „უმონყალესო დაო ეკატერინავ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი პარიზში წასვლას აპირებდა: „მიბძანდებით პარიჟში.“ სავარაუდოდ, წერილი **ზუგდიდში** უნდა იყოს გაგზავნილი, რაზეც მიმართვის ფორმაც მიგვანიშნებს: „მთავრინას მენგრელი[ი]სას.“

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთმან; 3. „ად“ არ უწერია; 4. ღმერთი.

**პირველი პუბლიკაცია:** ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ.: 321-322.

გვ.: 171,20. „**თქუჭნის შვილებითა**“ – ადრესატს ამ დროს სამი შვილი ჰყავდა: ნიკოლოზი, სალომე და ანდრია.

გვ.: 171,25. „**ორის ვაჟის დედობა**“ – სალომე დადიან-მიურატისას ამ დროს უკვე ორი ვაჟი ჰყავდა: ლუსიენ შარლ დავითი და ნაპოლეონ ლუი აშილი.

გვ.: 171,26. „**მის ქმარიცა**“ – სალომეს მეუღლე იყო აშილ მიურატი.

გვ.: 172,14. „**პრინცი პეტრე ოლდენბურლსკი**“ – საუბარია პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელზე.

გვ.: 172,16. „**შეხუდება ველიკიის კნიაზსა**“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 172,17. „**ველიკაა კნეინა**“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლეზე – ოლლა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 172,29. „**კნეინა ანნეტა თავის ნასტინკათი**“ – საუბარია ანა (ანეტა) ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისაზე და მის ქალიშვილზე – 16 წლის ანასტასია (ნასტენკა) დავითის ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ.: 172,31. „**დავით ჯერ ისევ წინანდალშია**“ – საუბარია ადრესატის ძმაზე – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 173,1. „**ვარინკა თავის შვილით**“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილია ორბელიანის, ცოლ-შვილზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე და გიორგი ორბელიანზე.

გვ.: 173,4. „**მიხეილ შარვაშიძის ქალი**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება აფხაზეთის მთავრის, მიხეილ შარვაშიძის, ქალიშვილი – თამარ მიხეილის ასული შარვაშიძე-დადიანისა.

გვ.: 173,5. „**ჩუჭუნს ტასოს გაგარინისას**“ – საუბარია ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 173,6. „**ივანე და სოფიო**“ – საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – სოფიო შალვას ასულ ერისთავზე.

გვ.: 173,7-8. „გადაკარგულებს თავის ქუჭყინდამ“ – ივანე დავითის ძე ორბელიანი დაღესტანში, ბოთლიხში, მსახურობდა და მეუღლეს იქ ჰყავდა წაყვანილი.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №54 (799) გვ.: 173.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №154 / №58, 1r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35X21,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით; II გვერდზე, შუა ადგილას, შავი მელნის ნალვენითა. ხელნაწერი რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** «10<sup>th</sup> Октяб: 1872 Тифлис»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** წერილი გაგზავნილია **პეტერბურგში:** «что вы делаете в Петербурге.»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 173,12. «**Князь Мачабели**» – სავარაუდოდ, საუბარია იურისტ ვასილ გიორგის ძე მაჩაბელზე, რომელიც პეტერბურგში მსახურობდა.

გვ.: 173,15. «**дело о Георге**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

**ბარბარე თუმანიშვილ-ანდრეევსკისადმი №1 (800) გვ.: 174-175.**

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515ა, ორმაგი პაგინაციით: 116r (წითელი ფანქრით), 118r (შავი ფანქრით).

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 30,8X21,4 სმ.; ხელნაწერი ორ ადგილას ამოხეულია.

შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** „15<sup>ა</sup> ოკდომ: 1872. თბილისით“

**ხელმოწერა:** „მარადის შენი ერთგული – – –“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო გულით საყუარელო დაო ბარბარე!“

**ადრესატის მისამართი:** „ვლადიკავკაზს“

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 174, 18. „ჩემო გულით საყუარელო დაო ბარბარე!“ – წერილის ადრესატის იდენტიფიცირება საკმაოდ გართულდა, რადგან შინაარსიდან ჩანდა, თითქოს ალექსანდრე, რომლის გარდაცვალებაზეც იყო საუბარი ბარათში, ადრესატის ქმარი უნდა ყოფილიყო. ამ აზრამდე მიგვიყვანა სიტყვებმა: „უნდა მოითმინო, უნდა ჰსძლიო შენის შვილებისათვის, რომელთაცა მფარველი და მზრუნველი დღეის იქით მხოლოდ შენ უნდა იყო“. 1872 წელსვე, მაგრამ ცოტა უფრო ადრე, 21 მარტს, მეუღლე გარდაეცვალა გრიგოლ ორბელიანის ახლობელს – ბარბარე გიორგის ასულ თუმანიშვილს, მაგრამ გარდაცვლილის სახელი იყო ერასტი და არა ალექსანდრე – ერასტ სტეფანეს ძე ანდრეევსკი, ცნობილი ექიმი. სხვა მხრივ, ყველა მონაცემი ემთხვეოდა. ბარბარეს მართლაც ჰყავდა შვილები და მისთვის ცოტა უფრო გვიან გაგზავნილ ერთ წერილში გრიგოლ ორბელიანი მას ზუსტად ასევე თბილად მიმართავს და „დად“ იხსენიებს: „ჩემო საყუარელო დაო ბარბარე!“ (წერილი პირობითად თარიღდება არა უგვიანეს 1876 წლით). როდესაც დაუშვით, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ ადრესატს კიდევ ერთი უახლოესი მამაკაცი შეიძლებოდა დაეკარგა, რომლის იმედზედაც იქნებოდა ქვრივად დარჩენის შემდეგ და გადაგზედეთ ბარბარე თუმანიშვილ-ანდრეევსკის გენეალოგიას, აღმოვაჩინეთ, რომ ამავე წელს, ქმრის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში ბარბარე თუმანიშვილს გარდაცვლია ძმაც, ალექსანდრე გიორგის ძე თუმანიშვილი. შესაბამისად, წერილის ადრესატი ნამდვილად არის ბარბარე გიორგის ასული თუმანიშვილი-ანდრეევსკისა.

გვ.: 174,19. „ველიკიის კნიაზისაგან ვჰსცან“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი – მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 174,21. „ძვირფასის ალექსანდრესი“ – საუბარია ადრესატის ძმაზე – ალექსანდრე გიორგის ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 175,12. „ჰსძლიო შენის შვილებისათჳს“ – ერასტ ანდრეევსკისა და ბარბარე თუმანიშვილს სამი შვილი ჰყავდათ – კონსტანტინე, ელენე და ნინო.

### **ლევან მელიქიშვილისადმი №5 (801) გვ.: 175-177.**

**ასლი:** Z: ზსიემ №36262 / ლიტ. არქ. №2181.

**ასლის აღწერილობა:** გაყვითლებული, უჯრიანი 1 ფურცელი. ბოლონაკლული.

**თარიღი და ადგილი:** „თბილისით 25 ოკდომბერს 1872. –“

**ხელმოწერა:** „გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თ. მელიქოვს. ლ. ი.“ / „ჩემო ბატონო კნიაზო ლევან!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი დალესტნის ოლქის უფროსისა და ჯარების სარდლის თანამდებობაზე მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, დალესტანში უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. როგორც ასლის აღწერილობაშია აღნიშნული, წერილი ბოლონაკლულია და აქ მთავრდება. ბოლო ორი აბზაცი დაბეჭდილია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში სოლომონ ცაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

**პირველი პუბლიკაცია:** ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ.: 313-315.

წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, I აბზაცის ნაწილი, დანყებული

ფრაზიდან – „ანუ რა სიკეთე წარმოსდგება აქედამ?“, დამთავრებული ფრაზით – „რომელს საუკუნეში ვსცხოვრებთ?“, მანამდე დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მოამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

გვ.: 175,21. „ჩემო ბატონო კნიაზო ლევან“ – წერილის ადრესატია გენერალი ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი.

გვ.: 175,22. „ალექსანდრეს გარდაცვალებითა“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, მაია (მარია) თამაზის ასულ ორბელიანის, ვაჟზე – ალექსანდრე გიორგის ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 175,24. „უნვერობითგანვე ჩემი გაზდილი იყო“ – ალექსანდრე თუმანიშვილმა გრიგოლ ორბელიანთან სამსახური 1840-იან წლებში დაიწყო, როცა ის დალესტანში იბრძოდა.

გვ.: 175,25. „ველიკიი კნიაზმა... წარმოსთქვა“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი – მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

გვ.: 176,6. „საწყალი სულხანოვი“ – საუბარი უნდა იყოს ქართული ენის პედაგოგ იესე იოსების ძე სულხანიშვილზე.

გვ.: 177,10. „ავიხინხილე დათიკოსთან“ – სავარაუდოდ, იგულისხმება დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 177,17. „ქეთევან კარგად ბრძანდება“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ძმის, ზაქარიას, ცოლი – ქეთევან ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №55 (802) გვ.: 178.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 64r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-

ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული ქალაღდი; ზომა: 26,6X21,3 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «6<sup>10</sup> Нояр: 1872.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** «... В Петер:»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 178,4-5. «**вопрос о Георгие**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

### **დღიმიტრი ფილოსოფოვისადმი №2 (803) გვ.: 179-180.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №494 / №41, 2გ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, არასტანდარტული ფორმის ქალაღდი; ზომა მოგრძო მხრიდან: 26,9X19,5 სმ., მოკლე მხრიდან: 26,7X16,4 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «10<sup>10</sup> Нояр: 1872.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Дмитрію Алексеевичу Философову.»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში თერგის ოლქის ჯარების უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა. თერგის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი კი იყო ქალაქი **ვლადიკავკაზი**. სავარაუდოდ, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 179,2. «**Дмитрію Алексеевичу Философову**» – წერილის ადრესატია თერგის ოლქის ჯარების უფროსი – დღიმიტრი ალექსის ძე ფილოსოფოვი.

გვ.: 179,4. «**Караязскаго имения**» – საუბარია ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ალსთაფაზე.

გვ.: 179,21-22. «**предложение Губер: Булатова и Генер: Астафьева**» – საუბარია იმხანად ელიზავეტოპოლის გუბერნატორ ფოკიონ ესტატეს ძე ბულატოვსა და ერევნის გუბერნატორ, გენერალ მიხეილ ივანეს ძე ასტაფიევიზე

გვ.: 180,2. «**сделаннаго Г<sup>ном</sup> Хатисовым**» – შესაძლოა, საუბარი იყოს იმხანად კავკასიის მეფისნაცვლის საგანგებო საქმეთა მრჩეველზე – ივანე სტეფანეს ძე ხატისოვზე.

### **სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი №3 (804) გვ.: 181-183.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №485 / №56 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r / 7r-v, 8r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქალაღდი; ზომა: 26,3X20,8 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. რესტავირებულია.

**თარიღი და ადგილი:** „16 ნოემბ:“ / „1872 წელსა თბილისით.“

**ხელმოწერა:** „შენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო რძალო, საყუარელო სოფიოვ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ადრესატის ადგილსამყოფელი არ ჩანს, მაგრამ ამ პერიოდში მისი მეუღლე ივანე ორბელიანი დაღესტანში, კერძოდ, ბოთლიხში, მსახურობდა. 1872 წლის 5 იანვრის წერილში ავტორი ეკატერინე ჭავჭავაძეს ეუბნება: „**ივანე თავის სოფიოთი არიან ბოთლიხში.**“ იმავე ადრესატისადმი 1872 წლის 2 ოქტომბრის წერილში კი სწერს: „**ივანე და სოფიო არიან დაღესტანში მშვიდობიანად, მაგრამ ვაი იმათ ყოფნას, გადაკარგულებს თავის ქუჭყნიდამ, თავის სახლიდამ, და როდემდის?**“ წინამდებარე ბარათში ნახსენებია დაღესტანში მომსახურე ნიკო ჭავჭავაძე, როგორც ადრესატთან ახლოს მყოფი: „ჩემს ნიკოს ჭეშმარიტს მადლობას მოვახ-



სენებ ხანჯალისათჳს.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი **ბოთლისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. დაწყებული ფრაზიდან – „მმართველობისა მოუწყვეტელმა“ – ამის ჩათვლით, ტექსტი წითელი ფანქრით არის ხაზგასმული; 2. დაწყებული სიტყვიდან – „ხელაძემ“ – ამის ჩათვლით, ტექსტი ლურჯი ფანქრით არის ხაზგასმული და მარცხენა აშიაზე ამავე ფანქრით დიდი ძახილის ნიშანი წერია; 3. „მხოლოდ ქართველებსა უნდა მოესპოთ“ ლურჯი ფანქრით არის ხაზგასმული; 4. დაწყებული ფრაზიდან – „ქართულს ენაზე ლოცვა“ – აქამდე, ტექსტს მარცხენა აშიაზე ლურჯი კლაკნილი ხაზი აქვს ჩამოსმული; 5. ღმერთმან; 6. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. ღმერთი.

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, I აბზაცი მთლიანად დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მოამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართვე. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

გვ.: 181,9-10. „**სინოდით რევიზორად**“ – საუბარია ეგნატე კლიმენტის ძე ზინჩენკოზე, რომელიც მსახურობდა უწმინდესი სინოდის კონტროლის განყოფილებაში და 1872 წელს რევიზია ჩაატარა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

გვ.: 181,22. „**არქიერმა, რევიზორმა და მეტადრე მლუდელმა ხელაძემ**“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს საქართველოს იმჟამინდელი ეგზარქოსი – ევსევი (ალექსეი ალექსის ძე) ილინსკი და რევიზორი კლიმენტი ზინჩენკო, მაგრამ გაურკვეველია, ვინ უნდა იყოს ხსენებული ხელაძე.

გვ.: 182,1-2. „**ველიკიის კნიაზსაცა დიდად ეწყინა**“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 182,7. „**ლოტრანები, ილოცვენ**“ – იგულისხმება ლუთერანული ეკლესიის მიმდევრები.

გვ.: 182,15. „**თუ გინდა კარპეკო**“ – სავარაუდოდ, საუბარია თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის თანამშემნებე – მიხეილ ნიკოლოზის ძე კარპეკოზე.

გვ.: 182,18. „**ტასო თავის ორის ქალითა**“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოსაზე და მის ქალიშვილებზე – ნინოსა და ელენეზე.

გვ.: 182,19. „**მოვიდა დათიკოცა**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე.

გვ.: 182,26. „**ამერიკანეცი ერისთავი**“ – საუბარია ალექსანდრე (სანდრო) ესტატეს ძე ერისთავზე, რომელსაც „ამერიკანეცს“ ეძახდნენ.

გვ.: 182,27. „**საყურელს ივანეს გთხოვ ჩაჰკოცნო**“ – საუბარია ადრესატის ქმარზე – ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ.: 182,27. „**ჩემს ნიკოს**“ – იგულისხმება ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე, რომელთანაც მსახურობდა ადრესატის მეუღლე.

გვ.: 182,30. „**ოლინკას გრუზინსკისას**“ – საუბარია გრიგოლ ილიას ძე გრუზინსკის მეუღლეზე – ოლლა დიმიტრის ასულ ფროლოვა-გრუზინსკისაზე.

გვ.: 183,3. „**ივანოვი და ისაკ**“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისას, ქმარ ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვსა და ისაკ შიოს ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 183,6. „**ნამიყუნა კატოსთან**“ – იგულისხმება გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი – ეკატერინე იაკობის ასული ორბელიანი-ივანოვისა.

გვ.: 183,6-7. „**მაშა... მაიორზე ანდრეევზე**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის – ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისას ქალიშვილ მარიამსა და მის მეუღლეზე, რომლის სახელიც უცნობია.

გვ.: 183,10. „რევაზ, შენი ძმა... თავის ქალით“ – საუბარია რევაზ შალვას ძე ერისთავსა და 10 წლის ანასტასია რევაზის ასულ ერისთავზე.

გვ.: 183,11. „ეკატერინეს თვალები“ – საუბარია ბავშვის ბებიასზე, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილ ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიან-ერისთავისაზე.

გვ.: 183,14. „ავსტრიის პოსლანნიკი ღრაჭ დუბსკი“ – სავარაუდოდ, საუბარია ფრანც დუბსკიზე.

გვ.: 183,14-15. „მიმავალი ყაენთან“ – საუბარია ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ ყაჯარზე.

გვ.: 183,16-17. „ღრაჭ კოლორედო, ღრაჭ ღიჩ, ბარონ დესალლ, ჭესლ, და ჭუკს“ – პირთა სახელები უცნობია და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 183,18. „გარდაიცულა უსტამეჰთი“ – საუბარია თბილისელ მენარმეზე – უსტა მეხთი ჰუსეინ ოღლიზე.

გვ.: 183,19. „ფელიამბარ მაჰმადამ“ – საუბარია მუსულმანთა წინასწარმეტყველ მუჰამედზე.

საანალიზო წერილის მეორე ავტოგრაფული ნუსხა და-ცულია საქართველოს ეროვნულ ისტორიულ არქივში:

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515<sup>ა</sup> (ძველი №175), 117r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 34,7X21,4 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი ორადგილას ამოხეულია. რესტავრირებულია.

ავტოგრაფებს შორის სხვაობები მინიმალურია. ვურთავთ განსხვავებების ცხრილს. მარცხენა სვეტში მოცემულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ხოლო მარჯვენაში – არქივის ხელნაწერთა ჩვენებები:

განსხვავებების ცხრილი:

<b>A</b>	<b>B</b>
მაღალგონიერების	მაღალ-გონიერების
კეთილდღეობა	კეთილ-დღეობა
ხელაძემ	ხელიძემ
თავგამოდებით	თავ-გამოდებით
მჭევრმეტყველობით	მჭევრ-მეტყველობით
განქრება	განჰქრება
კნიაზსაცა	კნიაზსაც
სინოდისაგან და არქიერისა	სინოდისა და არქიერისაგან
აქაურს	აქაურსა
თავიანთ	თავიანთს
ლოცვა	ლოცუა
გონებისა!	გონებისა?
გასუქებული.	გასუქებული. –
მივსწერე	მივჰსწერე
ერთმანეთსა. –	ერთმანეთსა.
ალასრულებს:	ალასრულებს.
ნიგნსაც	ნიგნსაცა
ვერ გამითავებია. –	ვერ გამითავებია.
დაიჯერებ?	გჯერა?
შემოვიდნენ!	შემოვიდნენ;
რა ამბავია?	რა ამბავია.
ეკატერინეს	ეკატერინას
ისე კარგად	ასე კარგად
მოვიდა აქა მიმავალი	მოვიდა აქა, მიმავალი
ყმანვილნი კაცნი	ყმანვილ-კაცნი
დესაღლ	დე საღლ
განსვენებული!	განსვენებული.
1872 წელსა	1872 წელი
ღ თი იყოს მფარველი თქუჰნი და მან გუაღირსოს ხილვა თქუჰნი ერთიანად და მშვიდობიანად. შენი მარადის ერთგული გრი- გოლ ორბელიანი	–

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №56 (805) გვ.: 184-185.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 65r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალაღი; ზომა: 35X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით; II გვერდზე, ბოლოში, სავარაუდოდ, ავტორის ხელით, გადამლილია ორ სტრიქონზე შესრულებული რუსული მინანერი.

**თარიღი და ადგილი:** «11<sup>10</sup> Декаб: 1872 Тифлис»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «...мой друг Варвара ...»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **პეტერბურგში** ცხოვრობდა, რაც ნერილის შინაარსითაც დასტურდება: «В: Князь прибудет в Петер: в начале Генв: Постарайся представить Ему Георгія.»

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. «для поступления в Старший Специальный Класс» ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. «для поступления в высший специальный Класс» ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 184,2-3. «**ты с Георгием**» – საუბარია ადრესატსა და გრიგოლ ორბელიანის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 185,17. «**В: Князь прибудет**» – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 185,18. «**Вано Меликов назначен Адьютан**» – შესაძლოა, საუბარი იყოს გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, მაიკო ქაიხოსროს ასულ ორბელიანისა, და ლევან მელიქიშვილის უკანონო ვაჟ ივანეზე.

გვ.: 185,21-22. «**Леван, Лорис Меликов, Кармалин, Булатов, Левашев и Старосельский**» – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე, მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვზე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კარმალინზე, ფოკიონ ევსტათის ძე ბულატოვზე, ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვსა და დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკიზე.

## სერგეი ტრუბეცკოისადმი №1 (806) გვ.: 188-189.

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515, 14r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 34,5X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «16<sup>10</sup> Декаб: 1872 года.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «К<sup>10</sup> Сергею Никитичу Трубецкому.»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში კავკასიის მეფისნაცვლის ამალის ნევრი იყო და წერილიც, შესაბამისად, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ავტორს ჯერ დაუწერია «достигнеться» და შემდეგ «х» ნიშნისთვის ხაზი გადაუსვამს.

გვ.: 188,1. «Сергею Никитичу Трубецкому» – წერილის ადრესატია სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეცკოი, იმ დროს კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის, ამალის ნევრი და შემდეგ მისი საველე კანცელარიის ხელმძღვანელი.

გვ.: 188,2. «Управляющему делами» – კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებას თავად მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი ხელმძღვანელობდა, მაგრამ უცნობია, ვინ იყო ამ დროს საქმეთა მწარმოებელი.

გვ.: 188,6. «Директор Александр:<sup>10</sup> Учительскаго Института, Г:<sup>10</sup> Захаров» – საუბარია ალექსანდრეს სახელობის სასწავლებლის დირექტორ ნიკოლოზ პეტრეს ძე ზახაროვზე.

გვ.: 188,20. «учителя Цискарова» – საუბარია ალექსანდრეს სახელობის სასწავლებლის პედაგოგ ნიკოლოზ ისაკის ძე ცისკარიშვილზე.

გვ.: 189,1-2. «предположение Епископа Гавриїла» – საუბარია აფხაზეთის ეპარქიის იმჟამინდელ ეპისკოპოს გაბრიელ (გერასიმე მაქსიმეს ძე) ქიქოძეზე.

**ლიმიტრი ჯორჯაძისადმი №108 (807) გვ.: 192.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №618 / №26, ორმაგი პაგინაციით: 1r / 161r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ფურცელი; ზომა: 20,4X13 სმ.; შესრულებულია შავი მელნით. I გვერდზე, შუა ადგილას, არის შავი მელნის პატარა ნაღვენი; ბოლოში, სავარაუდოდ, არქივარიუსის ხელით, შავი ფანქრით წერია „564“, II ფურცლის ბოლოში – „565“, IV გვერდზე ზემოთ უკუღმა – „73“, ხოლო ბოლოში შავი მელნით – „1873“.

**თარიღი და ადგილი:** „4<sup>ა</sup> იანვ: 1873.“

**ხელმოწერა:** „თქუჴნი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ბატონო, კნიაზო დემეტრე!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატის ადგილსამყოფელი ვერ დგინდება.

**შენიშვნები:** 1. ამ ადგილას მელანია დაღვენთილი და „ვ“-ს ქვედა წელი არ ჩანს; 2. ხაზგასმულია.

გვ.: 192,2. „მირზა რაიმ“ – პირის ვინაობა დაუდგენელია.

**ლიმიტრი შმაკოვისადმი №1 (808) გვ.: 192-193.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 66r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალაღდი; ზომა: 34,9X21,5 სმ.; შესრუ-

ლებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** „11 Генв: 1873“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „Милос: Г: Дмитрій Николаевич (Шмаков)“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **თბილისის** სახაზინო პალატის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა და ნერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-2. საზგასმულია ავტორის მიერ; 3. ამის შემდეგ გადაშლილია „следующей“; 4. ეს სიტყვა ჩამატებულია; 5. „на этот год“ ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია „теперь“.

გვ.: 192,15. «Милос: Г: Дмитрій<sup>2</sup> Николаевич (Шмаков)» – ნერილის ადრესატია თბილისის სახაზინო პალატის უფროსი – დიმიტრი ნიკოლოზის ძე შმაკოვი.

გვ.: 192,17. «Генерал Майорше Княгине Варваре Ильинишне Орбелиани и ея сыну К:<sup>10</sup> Георгию» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე და ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 193,14. «здешней Палаты» – იგულისხმება თბილისის სახაზინო პალატა.

### სტეფანე ტალიზინისადმი №1 (809) გვ.: 194-195.

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №489 / №60, 1რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, არასტანდარტული ფორმის 1 ფურცელი; ზომა ერთი მხრიდან: 21,9X18,5 სმ.; მეორე მხრიდან: 22X17,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** „8<sup>10</sup> Февр: 1873.“



**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „Степану Александр: Талызину.“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ალექსანდრე II-ის ამალის ნევრი იყო და ნერილიც, სავარაუდოდ, **პეტერბურგში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 194,18. «Степану Александр: Талызину» – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ამალის ნევრ სტეფანე ალექსანდრეს ძე ტალიზინზე.

გვ.: 194,19. «Бар: Нико:<sup>ან</sup>» – საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროს ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ.: 194,20. «Г: Зиссермана к награде» – საუბარია რუს სამხედრო ისტორიკოს არნოლდ ლვოვის ძე ზისერმანზე.

გვ.: 194,24. «Госуд:<sup>ა</sup> В:<sup>ლო</sup> Князя» – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-სა და მის ძმაზე – კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

### ემილია საბუროვასადმი №1 (810) გვ.: 196-197.

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515ა, 119r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 35X19,8 სმ.; ხელნაწერი ორ ადგილას ამოხეულია. შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «20 Марта 1873»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Эмилиї Феодоровне Сабуровой, Полковнице.»

**ადრესატის მისამართი:** ნერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი თბილისში ცხოვრობდა: მას ორჯერ მიუკითხებია გრიგოლისთვის შინ, თუმცა ვერ შეხვედრია. ავტორი მას გა-

ნუმარტავს, რომ 2 საათამდე სახლშია, რაც იმას ნიშნავს, რომ მზად იყო მის მისაღებად: «я два раза немог принять вас. Ведь это до глупости странно, а надо признаться, что я в оба раза, стыдно сказать .... спал!» «В заключение скажу, что я всегда дома до второго часа и могу уверить вас, что я несплю в это время.»

**შენიშვნები:** 1-2. საზგასმულია; 3. ჩამატებულია; 4. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია.

გვ.: 196,2. «**Эмилій Феодоровне Сабуровой**» – პოლკოვნიკის მეუღლის ქალიშვილობის გვარისა და მეუღლის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

გვ.: 196,9. «**Сам могучій Наполеон говаривал «Судьба сильнее человека»**» – საუბარია საფრანგეთის ყოფილ იმპერატორ ნაპოლეონ I ბონაპარტეზე. მას მიაკუთვნებენ გამოთქმას: „ბედი ადამიანზე ძლიერია“.

გვ.: 196,16. «**до возвращения В<sup>III</sup> К<sup>III</sup>**» – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 196,19. «**к Ея Выс<sup>В</sup>**» – იგულისხმება მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის მეუღლე – ოღლა თეოდორეს ასული ბადენელი-რომანოვისა.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №57 (811) გვ.: 198-200.**

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 67r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალაქი; ზომა: 34,9X21,2 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. II გვერდზე შავი მელნის ნაღვენთეობია.

**თარიღი და ადგილი:** «28 Марта 1873.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** წერილში ადრესატის ადგილსამყოფელი მითითებული არ არის, მაგრამ წინა წერილებიდან ვიცით, რომ ამ პერიოდში ის ცხოვრობდა **პეტერბურგში** და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია; 2. ჩამატებულია ზემოდან, მის დაბლა სიტყვაა შავი ფანქრით გადახაზული; 3. მეორე აბზაცს მარცხენა აშიიდან შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; 4. ხაზგასმულია.

გვ.: 198,19. **«мой любимец Ваню»** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნათესავზე – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 198,19-20. **«пришел ко мне Сосико»** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილზე – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 198,20. **«племянницы Софии»** – სავარაუდოდ, საუბარია დისნულის, სოფიო მელიტონის ასულ ბარათაშვილის, გასამზიოვებლად გადანახულ თანხაზე. სოფიო იმ დროს ჯერ არ იყო გათხოვილი. მან და ვასილ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილმა ჯვარი დაინერეს 1878 წელს.

გვ.: 198,24. **«за Георгием»** – საუბარია გრიგოლის ძმისნულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 199,22. **«Ты обвиняешь его тестя»** – საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის სიმამრზე, რომლის სახელიც უცნობია.

გვ.: 199,24. **«Оскорбляет мать»** – საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის სიდედრზე, რომლის სახელიც უცნობია.

გვ.: 199,29. **«о счастья своей дочери?»** – საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის ცოლზე, რომელიც სხვა წერილში „საშინკად“ არის მოხსენიებული.

გვ.: 199,31. «**Ругает Отца**» – საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის სიმამრზე, რომლის სახელიც უცნობია.

გვ.: 200,16. «**современ Адама**» – საუბარია ბიბლიურ პირველ ადამიანზე.

გვ.: 200,18-19. «**мой Аракел**» – შესაძლოა, იგულისხმებოდეს XIV-XV საუკუნეების სომეხი პოეტი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საეკლესიო მოღვაწე – არაქელ სიუნეცი.

გვ.: 200,23. «**моего бедного Александра**» – საუბარია იმხანად უკვე გარდაცვლილ ალექსანდრე დავითისძე ორბელიანზე.

### **ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №58 (812) გვ.: 203-205.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 68r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35,1X21,5 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «17 Апр: 1873 г.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** «...В Петербург.»

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ჩამატებულია.

გვ.: 203,26. «**Георгій держал**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 204,6. «**Генерал Немяннов говорил**» – პირის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

გვ.: 204,8. «**моего друга Николая**» – სავარაუდოდ, საუბარია ნიკოლოზ ივანეს ძე მირსკიზე.

გვ.: 204,9. «**Исакова я также хорошо знаю**» – პირის სახელი უცნობია და ვინაობა ვერ დგინდება.

გვ.: 204,12-13. «**Мирские с женихом К<sup>ем</sup> Барятинским и Невестой Ольгою Свят: Мирскою**» – საუბარია სოფიო იაკობის ასულ ორბელიანისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ოჯახზე. მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: ნინა, მარიამი, ოლლა და პეტრე. ასევე ნახსენებია ოლლას მეუღლე – ანატოლი ალექსანდრეს ძე ბარიატინსკი.

გვ.: 204,13. «**двух Рюриковских ветвей**» – საუბარია რიურისების დინასტიებზე. ბარიატინსკების გვარის ფუძემდებელი რიურისის მე-16 თაობა იყო. ასევე რიურისების სხვა შტოდან მომდინარეობდა სვიატოპოლკ-მირსკების გვარიც.

გვ.: 204,13-14. «**Опочинины с их чадами**» – საუბარია ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანისა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახზე.

გვ.: 204,14. «**Ивановы**» – საუბარია ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანისა და ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვის ოჯახზე.

გვ.: 204,14. «**Исак, Джорджадзе** – სავარაუდოდ, საუბარია ისაკ შიოს (სოლომონის) ძე თუმანიშვილსა და დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

გვ.: 204,15. «**за Фельдмаршала**» – იგულისხმება კავკასიის ყოფილი მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკი.

გვ.: 204,17. «**К<sup>н</sup> Николая с его милою женою**» – საუბარია ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის მეორე ცოლზე – კლეოპატრა მიხეილის ასულ ხანიკოვაზე.

გვ.: 204,18. «**Лопіана входит**» – საუბარია ცნობილ თბილისელ მეთევზესა და დარდიმანდზე.

გვ.: 204,19. «**рыбою, Чанари**» – ჭანარი კობრისებრთა ოჯახის თევზია.

გვ.: 204,25. «**О новой Княжне Орбел... прежней Тебро**» – საუბარია მღვდლის შვილ თებრო არჯევანიძეზე,

რომელსაც კახეთზე შამილის მეომრების თავდასხმის დროს მთელი ოჯახი ამოუნყვიტეს და თავად ტყვედ წაიყვანეს. იგი დიმიტრი ორბელიანმა ჯერ ტყვეობიდან გამოიხსნა და შემდეგ იშვილა. მოგვიანებით თებრო მილიონერ ნარიშკინს გაჰყვა ცოლად.

გვ.: 204,28. «по милости Дмитрія» – საუბარია დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანზე.

გვ.: 204,30. «царевна Текла» – საუბარია დიმიტრი ორბელიანის დედაზე – ერეკლე მეფის ქალიშვილ თეკლაზე.

გვ.: 205,3. «у него есть брат, племянники, племянницы» – დიმიტრი ორბელიანის ძმები იყვნენ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები. ალექსანდრე იმხანად უკვე გარდაცვლილი იყო და დარჩენილი ჰყავდა ქალიშვილი დარია. ვახტანგს კი ქალ-ვაჟი ჰყავდა – ნიკოლოზი და მარიამი.

### ივანე სარინდოსადმი №1 (813) გვ.: 207-210.

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №475.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 35,1X21,5 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «24 Апр: 1873. Тифлис»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Иван Павлович!»

**ადრესატის მისამართი:** «В Г: Лубого, Полтав: Губер:»

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში ეს ორი სტრიქონი ერთ ხაზზე წერია და ხაზგასმულია ავტორის მიერ. ამასთან, «Сариндо»-ს შემდეგ კვლავ წერია «Полковнику» წინდებულის გარეშე; 2. «с ея» ჩამატებულია, მის ქვემოთ ერთი სიტყვაა გადაშლილი, რომელიც მთლიანად დაფარულია ფანქრით და არ ირჩევა; 3. «на счастье, с

ეს» ჩამატებულია; 4-6. ჩამატებულია; 7. «и еще» ჩამატებულია; 8. «Ты немного»-იდან დაწყებული აქამდე, ტექსტი ავტორის მიერ შავი ფანქრით არის შემოსაზღული; 9. ეს წინადადება ჩამატებულია; 10. «новая жизнь» ჩამატებულია; 11. «Кинь Грусть» ხაზგასმულია; 12. «сила общего увлечения» ჩამატებულია; 13-14. ჩამატებულია; 15. ხაზგასმულია.

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, მიმართვიდან – «Мой друг Иван Павлович!», დამთავრებული ფრაზით – «доставшееся нам в удел» (პირველი აბზაციც არ არის ბოლომდე მიყვანილი), ქართულ თარგმანთან ერთად, დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მოამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა ნიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

გვ.: 207,25. «**Мой друг Иван Павлович**» – წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ძველი თანამებრძოლი – ივანე პავლეს ძე სარინდო.

გვ.: 207,25. «**Ты жив, и ещё с семейством**» – გრიგოლ ორბელიანმა წერილი მიიღო ივანე სარინდოსაგან, რომელშიც ატყობინებდა, რომ დაოჯახდა.

გვ.: 208,32. «**на имя К<sup>а</sup> Мирскаго**» – საუბარია სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის მეუღლეზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 209,1. «**Начальн:<sup>а</sup> Окруж: Штаба войск Кавказ:<sup>оii</sup> Армии**» – იგულისხმება კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი – ალექსანდრე პავლეს ძე სვისტუნოვი.

გვ.: 209,2. «**свидетельство местного Началь:<sup>ства</sup>**» – იგულისხმება პოლტავის გუბერნიის ხელმძღვანელობა.

გვ.: 209,19. «**Муштайд, Сансуси, Монплефир**» – საუბარია თბილისის ბაღებზე.

გვ.: 209,20. «**Похрониколаевичъ**» – პირის ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 209,23-24. «**Сосико, Амиров, Каплан, Ираклий Грузинский, Давид Чавч., Исак Туманов, Нино Чавч.**» - საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე, სტეფანე პეტრეს ძე ამიროვზე, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე, ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიზე, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე, ისაკ შიოს ძე თუმანიშვილსა და ნინო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ.: 209,27-28. «**4<sup>ლ</sup> дочери Давида Чавч.**» - საუბარია დავით ჭავჭავაძის ქალიშვილებზე: სალომე ჭავჭავაძე ოსტენსაკენზე, თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონისაზე, ელენე ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე და მარიამ (კაკო) ჭავჭავაძეზე.

გვ.: 209,28. «**3<sup>ლ</sup> дочери Мирсага**» – საუბარია მარიამ და ოლა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიებზე და ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-დენისაზე.

გვ.: 209,28. «**3<sup>ლ</sup> Опочинина**» – საუბარია ოლა, ნინა და მარიამ ალექსეის ასულ ოპოჩინინებზე.

გვ.: 209,28-29. «**3<sup>ლ</sup> Иванова**» – საუბარი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისას, ქალიშვილ მამაზე, მისი დების სახელები კი უცნობია.

გვ.: 209,29. «**1<sup>ა</sup> Орбел: дочь Вахтанга**» – საუბარია ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანსა და მის ქალიშვილ მარიამზე.

გვ.: 209,29. «**1<sup>ა</sup> дочь Кона Еристова**» – საუბარი უნდა იყოს ელენე იაკობის (კონას) ასულ ერისთავზე, რომელიც შემდეგ ცოლად გაჰყვა გრიგოლ ალექსანდრეს ძე თარხან-მორავს.

გვ.: 209,29-30. «**1 дочь бывшего владельца Абхазии**» - სავარაუდოდ, იგულისხმება აფხაზეთის მთავრის, მიხეილ



შარვაშიძის, ქალიშვილი – თამარ მიხეილის ასული შარვაშიძე-დადიანისა.

გვ.: 209,30. «2 Тамамшевы» – საუბარი უნდა იყოს თბილისელ ვაჭარ მიხეილ იაგორის ძე თამამშვევის ქალიშვილებზე: ელისაბედსა და ეკატერინეზე.

გვ.: 209,30. «2<sup>ე</sup> Аргут:» – გაურკვეველია, რომელ არღუთინსკებზეა საუბარი.

გვ.: 210,3. «Его Высочество» – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვზე.

გვ.: 210,11. «женкою и сынком» – ადრესატის ცოლშვილის სახელები უცნობია.

### ელისაბედ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისდმი №1 (814) გვ.: 213-215.

**ავტოგრაფი:** А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515<sup>ა</sup> (ძველი №175), 128r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის 1 ფურცელი; ზომა: 33,5X21,9 სმ.; ხელნაწერი ორ ადგილას ამოხეულია. შესრულებულია შავი ფანქრით. II მხარეს 1926 წლის 26 აპრილს არქივარიუსს ჩანაწერი გაუკეთებია წითელი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «6<sup>10</sup> Июня 1873. Тифлис.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Моя милостивая Тётушка, К<sup>я</sup> Елисавета Николаевна Мухранская.»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატის ადგილსამყოფელი ტექსტში არ ჩანს, მაგრამ ცხადია, რომ თბილისში არ არის, რადგან გრიგოლი წერილს აქედან უგზავნის. ამავე წლის 26 ივლისს რძლის, ბარბარე ორბელიანისადმი, მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ ლიზა ფალავანდიშვილი-მუხრანსკაია იმხანად ბორჯომში იმყოფებოდა: «В Кисловодске находятся

Опочинины, Ивановы, Оглобжіо, Сагиновы; в Боржоми, Тамара и Елена с мужьями, а Како без мужа, Лиза Мухран: на время». ძნელი სათქმელია, 6 ივნისსაც იქ იყო თუ არა. ამასთან, ადრესატს აგარაკი ჰქონდა ტაბახმელაშიც. აღნიშნულის გათავლისწინებით, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს ან **ბორჯომში**, ან **ტაბახმელაში**.

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. «с»-ს ადგილას ხელნაწერი ამოხეულია; 4. «судьба сильнее человека!» წითელი ფანქრით არის ხაზგასმული; 5. ორჯერ უწერია; 6. მრავალწერტილი ავტორისაა.

გვ.: 213,21-22. **«Моя милостивая Тётушка, К» Елисавета Николаевна Мухранская»** – წერილის ადრესატია ელისაბედ ნიკოლოზის ასული ფალავანდიშვილი-ბაგრატიონ-მუხრანელისა.

გვ.: 214,15-16. **«К: Трубецкой подтвердит»** – საუბარი უნდა იყოს სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეცკოიზე.

გვ.: 214,22. **«вашего друга Исака»** – შესაძლოა, საუბარი იყოს ისაკ შიოს (სოლომონის) ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 215,3. **„კონიას ჩამიკოცნე ჩემმაგიერ“** – იგულისხმება ადრესატის მეუღლე – კონსტანტინე (კოტე) ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი.

### ნიკოჭავჭავაძისადმი №5 (815) გვ.: 216-217.

**ავტოგრაფი:** СЖ გრიგოლ ორბელიანის არქივი №505 / №30 (ძველი S: 5327), ორმაგი პაგინაციით: 8r-v / 11r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ორად გადაკეცილი, საშუალო სისქის ფურცელი; ზომა: 20,3X13 სმ.; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „1<sup>ს</sup> ივლისს 1873 თბილის[ი].“

**ხელმოწერა:** „შენი მარადის გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო ნიკო!“  
**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ნიკო ჭავჭავაძე **დალეს-ტანში** მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ არის გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ჩამატებულია; 2. ღმერთი; 3. ხელნაწერში აქ წერილი არ წერია; 4. ხაზგასმულია, ამასთან, „ი“ არ უწერია.

გვ.: 216,27. **„თებლოს შვილი და აღდამის შვილი“** – პირთა ვინაობა დაუდგენელია.

გვ.: 216,29. **„შამილა იყო“** – საუბარია ჩეჩნეთ-დალესტინის ყოფილ იმამზე.

გვ.: 217,13. **„სოსიკოც თავის ქულჭათით“** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილზე – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და მის შვილებზე: ალექსანდრეზე, გიორგიზე, ივანესა და ეკატერინეზე. მეუღლის სახელი უცნობია.

გვ.: 217,14. **„მირსკიაანი“** – საუბარია სოფიო იაკობის ასულ ორბელიანისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ოჯახზე.

გვ.: 217,14-15. **„აპაჩინიანნი, ივანოვები, ოგლობოჟიოები და საგინანნი“** – საუბარია ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანისა და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანისა და ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვის, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანისა და ივანე დიმიტრის ძე ოკლობოჟიოს, ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილისა და ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძის ოჯახებზე.

გვ.: 217,17. **„სოფიო და ივანე“** – საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანსა და მის მეუღლეზე – სოფიო შალვას ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ.: 217,17-18. **„შენი ძმა აქ იყო“** – საუბარია ადრესატის ძმაზე – მიხეილ (მელქისედეკ) ზურაბის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 217,18. **„დავითთან ერთად“** – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ.: 217,19. **„ყაფლან კოდაზე ბძანდება“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

## მიხეილ ალექსი-მესხიშვილისადმი №3 (816) გვ.: 218-219.

**ავტოგრაფი:** C: მესხიშვილების არქივი, №161.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** სპილოსძვლისფერი, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქალაქი მეღვინის ნაჟღენთი ლაქებით; ზომა: 35,5X22 სმ.; აქვს ჭვირნიშანი. შესრულებულია შავი ფერის მეღვინით.

**თარიღი და ადგილი:** „12<sup>ა</sup> ივლისს 1873 ტაბახმელა.“

**ხელმოწერა:** „თქუჴნი მარადის ბედნიერების მსურველი, და მოსამსახურე თ~ გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ბატონო, საყუარელო მიხეილ!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი იურისტი იყო და გრიგოლის ახლადგარდაცვლილი ნათესავის, ალექსანდრეს, მემკვიდრეობის საკითხს განიხილავდა, რომელიც თბილისის სასამართლოზე იყო გადაცემული. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „პოვერენნი ადვოკატი“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ამ სიტყვას ავტორი ამ ფორმით იყენებს ყველა შემთხვევაში; 4. ამის შემდეგ გადახაზულია „ენაკოლოფოვის“; 5. „19 მდის“ ჩამატებულია; 6. თავადი; 7. ხაზგასმულია.

გვ.: 218,7-8. **„განსვენებულის ალექსანდრეს სახლის“** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ასაკოვან ბიძაზე, რომელიც გარდაიცვალა 1870 წელს 22 მარტიდან 10 სექტემბრამდე და რომლის ზუსტი ვინაობაც ვერ დავადგინეთ.

გვ.: 218,8-9. **„ენიკოლოფოვის საჩივარის“** – საუბარია თბილისის სასამართლო პალატის წევრ გრიგოლ მიხეილის ძე ენიკოლოფოვზე.

გვ.: 218,10-11. **„უფალი ციბულსკი“** – პირის სახელი მითითებული არ არის და ვინაობა ვერ დგინდება.

გვ.: 218,14-15. **„ჩემს მსახურსა სოსიკოს“** – დამატებითი ცნობები ამ პირის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 218,21-22. „ბესარიონ მლუდელის“ – დამატებითი ცნობები ამ პირის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 219,8. „ისკოვის არზითა“ – საუბარია სასამართლოში შესატანი სარჩელის არზაზე.

### **ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №59 (817) გვ.: 219-221.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 71r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქალაქი; ზომა: 35,2X21,7 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «Юлия 26<sup>ое</sup> Табахмела 1873 г.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** წინა წერილებიდან ვიცით, რომ ადრესატი ამ პერიოდში **პეტერბურგში** ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. «и небом» ჩამატებულია; 3. «и одна теперь» ჩამატებულია; 4. ჩამატებულია; 5. «на время» ჩამატებულია; 6. «и подчасть и злословие» ჩამატებულია; 7. «чем Европа могла похвалиться» ჩამატებულია; 8. «его Святоści» ჩამატებულია.

გვ.: 220,14. «**в Табахмеле, в доме Лизы Мухр**» – საუბარია ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე.

გვ.: 220,15. «**жили с Георгием**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 220,16. «**Сосико с матерью и сестрою Софиейю**» – საუბარია იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე, დედამის – ხორეშან ვასილის ასულ ვაჩნაძესა და დაზე – სოფიო კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 220,18-19. «**Царицы Тамары... Лаша Георгія**» – საუბარია თამარ მეფესა და მის ვაჟ ლაშა-გიორგიზე.

გვ.: 220,20. «**Кетевана осталась**» – საუბარია გრიგოლის რძალ ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილზე.

გვ.: 220,20-21. «**больной ея племянницы Тасо**» – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ადრესატის დისწულზე – ანასტასია ხერხეულიძეზე.

გვ.: 220,22. «**Мирским**» – საუბარია სოფიო იაკობის ასულ ორბელიანისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ოჯახზე.

გვ.: 220,22-23. «**Нина с дочерью, а Майко с сыном Джамбакуром, моим Крестником**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, ქალიშვილებსა და შვილიშვილებზე. ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ მირსკაიას ქალიშვილის სახელი უცნობია, მაიკო დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელიანის ვაჟს კი ოფიციალურად მამუკა (მაკარ) ივანეს ძე ერქვა და „ჯამბაკურს“, სავარაუდოდ, შინაურობაში ეძახდნენ.

გვ.: 220,24. «**Опочинины**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანის, და ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ოჯახზე.

გვ.: 220,24. «**Ивановы**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანისა და ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვის ოჯახზე.

გვ.: 220,24. «**Оглобжіо**» – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიანისა და ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოს ოჯახზე.

გვ.: 220,25. «**Сагиновы**» – საუბარია გენერალ ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილსა და მის მეორე ცოლზე – ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ.: 220,25-26. «**Тамара и Елена с мужьями, а Како без мужа**» – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ქალიშ-

ვილებზე: თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკისაზე, ელენე ჭავჭავაძე-ასტაფიევისაზე და მარიამ (კაკო) ჭავჭავაძეზე, ასევე პირველი ორის მეუღლეებზე: ირაკლი ალექსანდრეს ძე გრუზინსკისა და ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევიზე.

გვ.: 220,26-27. «**Гр: Левашева, Карпека, Абесаломова**» – საუბარია გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის მეუღლეზე – ოლლა ვიქტორის ასულ პანინა-ლევაშოვისაზე, თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის, მიხეილ ნიკოლოზის ძე კარპეკოსა, და სოლომონ აბესალომოვის მეუღლეებზე.

გვ.: 221,1-2. «**Давид уехал в Цинандали, Каплан в Коди**» – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძესა და ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ.: 221,3. «**Лучезарному Шаху**» – საუბარია ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ კაჯარზე.

გვ.: 221,7. «**отсутствие Гр: Сологуба**» – საუბარია რუს მწერალსა და სახელმწიფო მოღვაწეზე – ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოლოგუბზე.

გვ.: 221,11-12. «**Кибла Аляма, молелня Мира?!!**» – საუბარია მუსულმანთა სალოცავის განლაგებაზე მექაში მდებარე წმინდა ქააბის მიმართ.

გვ.: 221,17. «**К: Николай Мирский**» – საუბარია ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 221,17. «**Вано с женою**» – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და მის ცოლზე. მეუღლის ვინაობა გენეალოგიურ ნუსხაში არ ჩანს, ორბელიანის წერილებში კი „საშად“ მოიხსენიება.

**ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკისადმი №1 (818) გვ.: 223-225.**

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515<sup>o</sup> (ძველი №175), გვ.: 20r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გაცრეცილი, საშუალო სისქის ქაღალდი; ზომა: 35,2X21,6 სმ; დანერილია შავი ფანქრით. ორ ადგილას ხელნაწერი გახვრეტილია. ქვედა მარჯვენა ნაწილი დალაქავებულია.

**თარიღი და ადგილი:** „ტაბახმელა. 3 აგვისტო: 1873.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ბატონო ერეკლე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფება **ბორჯომში:** „ჰო, სწორედ წაბძანდით ბორჯომს – ლთმა ჯელი მოგიმართოს – მაგრამ მაგიტომ რაო?“

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთმა; 3-4-5. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ავტოგრაფშია „მონადერეს“; 7. რომლისა; 8. ღმერთი.

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, V-VIII აბზაცები მთლიანად – „ახ! ნეტავი იცოდეთ, ეს წერილი ვინ გამაშვებინა... არც ეხლა შემიბრალებ?“ დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვანლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მოამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905:

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

გვ.: 223,20. „ჩემო ბატონო ერეკლე“ – წერილის ადრესატია ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი.

გვ.: 224,3-4. „ჩემი ქალბატონი როგორს ქეიფზე ბძანდება“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ.: 224,9. „საყუარელი საზაფხულო თამარ მეფისა“ – საუბარია საქართველოს მეფეზე XII-XIII საუკუნეებში.

გვ.: 224,10. „დაიბადა ლაშაგიორგი“ – საუბარია თამარ მეფის ვაჟზე – ლაშა-გიორგიზე.

გვ.: 224,11. „მივდივარ სოსიკოსთან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილზე – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.



გვ.: 224,12. „თავის სახლობით“ – იოსებ ორბელიანის მეუღლის სახელი გენეალოგიურ ნუსხებში მითითებული არ არის. ჰყოლიათ ოთხი შვილი: ალექსანდრე, ივანე, გიორგი და ეკატერინე.

გვ.: 224,13. „ავდივარ მირსკისას“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანისა, და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ოჯახზე.

გვ.: 224,13-14. „იყო... ისაკიცა“ – საუბარია ისაკ შიოს (სოლომონის) ძე თუმანიშვილზე.

გვ.: 224,18-19. „დიდი ყაენი გაგვაბედნიერებს“ – საუბარია ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ კაჯარზე.

გვ.: 224,31. „უგანათლებულესა ბატონის რძალს“ – საუბარია ადრესატის დედაზე, ალექსანდრე ბატონიშვილის ქვრივზე – მარიამ ისაყის ასულ აღამალოვაზე.

გვ.: 224,32-33. „თამარს, კაკოს და ელენას“ – საუბარია ადრესატის მეუღლესა და ცოლისდებზე: დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ქალიშვილებზე.

გვ.: 224,33. „ელენას ქმარი“ – საუბარია ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევიზე, რომელიც იმ დროს 31 წლის იყო.

გვ.: 225,4. „ჩემმა სოლომონკამ“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის მსახურზე.

გვ.: 225,4-5. „ვიღაცა ზოლოტარევი გაიხლათ“ – საუბარია რუს სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეზე – ვასილი გრიგოლის ძე ზოლოტარიოვიზე.

გვ.: 225,16 „როტშილდი ალექსანდრე“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (სანდრო) ესტატეს ძე ერისთავზე, რომელიც სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის აქტიური წევრი იყო და 1874 წელს ილია ჭავჭავაძემ მის ერთ-ერთ დირექტორადაც აირჩია. როგორც ჩანს, მას ხუმრობით უწოდებდნენ როტშილდის, ბანკირთა ცნობილ დინასტიასთან ასოცირებით.

**დიმიტრი ყიფიანისადმი №1 (819) გვ.: 225-227.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №495 / №59.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35X21,8 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. რესტავრირებულია. II გვერდზე შავი ფანქრით ავტორის მინაწერებია: I სტრიქონზე: «Муравьев»; II სტრიქონზე: «Границе рკინის ჯუარი – სამზღუარი... ხაზინისა და...» (ორი სიტყვა არ ირჩევა), რომელსაც წითელი ფანქარი აქვს გადასმული. ქვემოთ წერია „73“.

**თარიღი და ადგილი:** «8<sup>10</sup> Авг: 1873. Табахмела.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг К: Дмитрій Иванович!»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა **თბილისში** და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; მის გვერდით ავტორის ხელითვე, შავი ფანქრით მინერილია: «Цеми», რომელიც წრეშია ჩასმული; 2. მრავალწერილი ყველგან ავტორისაა.

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ნაწყვეტი, კერძოდ, დაწყებული I აბზაცის ფრაზიდან – «Сижу я и думаю, долги», დამთავრებული ამავე აბზაცის ფრაზით – «Уф, гора свалилась с плеч!», ქართულ თარგმანთან ერთად, დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში: „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა“, გადმობეჭდილი ჟურნალ „მომამბედან“, ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა, 1905: [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba\\_da\\_Gvacli\\_Grigol\\_Orbelianisa.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6040/1/Cxovreba_da_Gvacli_Grigol_Orbelianisa.pdf)

გვ.: 225,25. «Мой друг К: Дмитрій Иванович» – წერილის ადრესატია ცნობილი ქართველი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე – დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.

გვ.: 226,31. «**К: Мирскій**» – სავარაუდოდ, საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 227,1. «**золотых весах Оникова**» – შესაძლოა, საუბარი იყოს თბილისის საქალაქო საბჭოს წევრ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ონიკაშვილზე.

გვ.: 227,3-4. «**Мирзоев... + Дарія Нур**» – სავარაუდოდ, საუბარია თბილისში დაბადებულ ნავთობის მაგნატ ოვანეს მინას ძე მირზოევსა და მის მეუღლე დარიაზე.

### **ყაფლან ორბელიანისადმი №20 (820) გვ.: 229.**

**ავტოგრაფი:** Z: ზსიემ №25083 / ლიტ. არქ. №1683.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** 2 მოყვითალო ფურცელი; ზომა: 21X14 სმ.; დანერილია ერთ გვერდზე შავი ტუშით, ლამაზი კალიგრაფიით.

**თარიღი და ადგილი:** „ტაბახმელა, 10 აგვისტო 1873.“

**ხელმოწერა:** „შენი მარადის ერთგული ძმა და მოსამსახურე გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ბატონო, ძმაო ყაფლან!“

**ადრესატის მისამართი:** „მისს ბრწყინვალეობას, კნიაზს ყაფლანს ორბელიანს კოდას.“

**პირველი პუბლიკაცია:** ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947, გვ. 309.

გვ.: 229,4. „**ჩემო ბატონო, ძმაო ყაფლან!**“ – წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილი – ყაფლან (იოანე) ასლანის ძე ორბელიანი.

გვ.: 229,4-5. „**სოსიკოსაგან შევიტყვე**“ – საუბარია მათ ბიძაშვილიშვილზე – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 229,5. „**ძალუა ელისაბედის ავათმყოფობა**“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარა-

თაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 229, 22. „ყვენი სამშაბათს მობძანდება“ – საუბარია ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ კაჯარზე.

### ანასტასია ორბელიან-ოკლობუიოსადმი №1 (821) გვ.: 230-232.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №132 / №63, 1r-v, 2r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, ორი გადაბმული ფურცელი; ზომა: 20,4X13,1 სმ.; შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „10<sup>ა</sup> აგვისტო: 1873 ტაბახმელით.“

**ხელმოწერა:** „ღთი იყოს შენი მფარველი, შენი გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო ტასუნი!“

**ადრესატის მისამართი:** ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი 26 ივლისს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ოკლობუიოები ამ დროს იმყოფებოდნენ **კისლოვოდსკში:** «В Кисловодске находятся Опочинины, Ивановы, Оглобжио, Сагиновы». მართალია, წინამდებარე წერილიდან ირკვევა, რომ ანასტასიას მეუღლე ივანე წინა დღეს ჩასულა ტაბახმელაში, მაგრამ ისიც ჩანს, რომ თავად ადრესატი ჯერ ისევ არ არის თბილისში: „დიდად მენყინა, რომ შენ არ იქნები აქა ყვენის მობძანების დღეს, 14<sup>ა</sup> აგვისტოს.“ ამავე დროს, ავტორი მოიკითხავს წყლებზე მყოფ ალექსანდრე საგინაშვილსა და მის მეუღლეს: „ლიზო და ალექსანდრე როგორ არიან, როგორ არგო ლიზას მანდაურმა წყლებმა?“ შესაბამისად, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **კისლოვოდსკში.**

**შენიშვნები:** 1. ავტორს ბრჭყალები არა აქვს დახურული; 2. „ი“ გამორჩენილი აქვს; 3. «что с тобою» ჩამატებულია; 4.

ღმერთი; 5. ხაზგასმულია.

გვ.: 230,4-5. „**ნინუცას და ელიჩკას**“ – საუბარია ადრესატის შვილებზე – ნინო და ელენე ივანეს ასულ ოკლობუილებზე.

გვ.: 230,5-6. „**შენი ქმარი მოვიდა**“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ივანე დიმიტრის ძე ოკლობუიოზე.

გვ.: 230,7-8. „**ძალუა ხორეშანისას!**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანის დედა – ხორეშან ვასილის ასული ვაჩნაძე.

გვ.: 230,10-11. „**ძალუა მაიკოსი**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს გრიგოლის ბიძაშვილიშვილის, ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის, მეუღლეზე – მარიამ ნიკოლოზის ასულ ფავანდიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 230,11. „**სოფიოსი**“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილზე – სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე.

გვ.: 230,11-12. „**ვანოსი და მის ცოლისა**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილზე – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და მის მეუღლე საშაზე.

გვ.: 230,12. „**სადღეგრძელო სოსიკოსი**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილიშვილზე – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 230,13. „**ძალუა ვარინკასი გიორგითურთ**“ – საუბარია გრიგოლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანისაზე და მის ვაჟ გიორგიზე.

გვ.: 230,18-19. „**ყეენის მობძანების დღეს**“ – საუბარია ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ კაჯარზე.

გვ.: 230,23-24. „**თბილისის გალავამ იასონმა**“ – იგულისხმება თბილისის იმჟამინდელი მერი – იასონ დიმიტრის ძე თუმანიშვილი.

გვ.: 231,13. „**დიდი აბესალომოვობა**“ – შესაძლოა, გულისხმობდეს სოლომონ ზაქარიას ძე აბესალომოვის რომელიმე ქალიშვილის – ნინას, ან მარიას პოპულარობას.

გვ.: 231,15. **„ლრაჭინა ლევაშევა“** – საუბარია გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის მეუღლეზე – ოლღა ვიქტორის ასულ პანინა-ლევაშოვისაზე.

გვ.: 231,20. **„საბრალო ტრუბეცკოი“** – საუბარი უნდა იყოს გენერალ სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეცკოიზე.

გვ.: 231,25. **„გააბედნიერა ურუსოვი, ტოლსტოები, ტალიზინი“** – სავარაუდოდ, საუბარია დიპლომატ ვლადიმერ პავლეს ძე ურუსოვსა და სტეფანე ალექსანდრეს ძე ტალიზინზე. ასევე შეიძლება საუბარი იყოს კავკასიის დანაყოფებში მომსახურე გენერალ მიხეილ ნიკოლოზის ძე ტოლსტოისა და მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ადიუტანტ ალექსეი ვლადიმერის ძე ტოლსტოიზე.

გვ.: 231,26. **„გიგო სუმბათოვი“** – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ადიუტანტ, პოლკოვნიკ მიხეილ (გიორგი) ლუარსაბის ძე სუმბათაშვილზე.

გვ.: 231,29. **„კარპეკა და აბესალომოვა“** – შესაძლოა, საუბარი იყოს თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის, მიხეილ ნიკოლოზის ძე კარპეკოს, და სოლომონ აბესალომოვის მეუღლეებზე.

გვ.: 231,32-33. **„ალექსეი პეტროვიჩი და ბაბაღე როგორ არიან შვილებითა და შვილისშვილებითა“** – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე, მის მეუღლეზე – ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინსა და მათ შთამომავლებზე.

გვ.: 232,6. **„ძალუა ქეთევან დარჩა“** – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალზე – ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ.: 232,6-7. **„ავათმყოფის ტასოთი“** – სავარაუდოდ, საუბარია ქეთევან ალექსი-მესხიშვილის დისწულზე – ანასტასია (ტასო) ხერხეულიძეზე.

გვ.: 232,10. **„ლიზო და ალექსანდრე“** – სავარაუდოდ, საუბარია ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე და ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ.: 232,15. „ვარინკას კიდევ ავათა ჰყავს ქალი“ – აქ ბარბარე ვასილის ასულ ყორღანაშვილ-თამამშვივისაზე და მის რომელიმე ქალიშვილზე – ელისაბედზე, ან ეკატერინეზე უნდა იყოს საუბარი.

გვ.: 232,18. „კატო, ნიკოლაი ალაპირი შვილებით“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილზე – ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანზე, მის მეუღლეზე – ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვსა და შვილებზე.

გვ.: 232,19. „როგორ არის მამა“ – საუბარი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვას, ქალიშვილზე – მამაზე.

### ქეთევან ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისადმი №127 (822)

გვ.: 232-233.

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №377 / №20 (ძველი Q: 155), ორმაგი პაგინაციით: 2r / 170r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული 1 ფურცელი; ზომა: 20,4X13,1 სმ.; ხელნაწერის ზედა ნაწილში მელნის ნალვენთია.

**თარიღი და ადგილი:** „25<sup>ა</sup> აგვისტოს 1873 ტაბახმელით.“

**ხელმოწერა:** „თქვენი მარადის გრიგოლი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და წერილიც აქ არის გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ხელნაწერშია „ავათარ“; 4. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 232,21-22. „დობტორი გამოჩენილა ქალაქში ტელიაჭუს“ – საუბარი უნდა იყოს ექიმ ივანე ბონამენტურის ძე ტელიაფუსზე.

გვ.: 233,1. „ავათ არის ჩუჭნი ტასო“ – სავარაუდოდ,

საუბარია ადრესატის დისწულზე – ანასტასია (ტასო) ხერხეულიძეზე.

გვ.: 233,6. „**მიხილ ადვილად იპოვნის**“ – სავარაუდოდ, საუბარია ადრესატის ძმაზე – მიხილ დიმიტრის ძე ალექსიმესხიშვილზე.

### **ალექსანდრე საგინაშვილისადმი №13 (823) გვ.: 233-234.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №421 / №29 (ძველი Q: 155), ორმაგი პაგინაციით: 1r-v, 2r; / 16r-v, 17r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის, ორად გადაკეცილი ქალაღი; ზომა: 20,4X13 სმ.; შესრულებულია შავი მელნით; IV გვერდზე შავი ფანქრით, სავარაუდოდ, არქივარიუსის ხელით, აწერია: „1873“.

**თარიღი და ადგილი:** „31 აგვის: 1873 ტაბახმელა.“

**ხელმოწერა:** „შენი მარადის ბედნიერების მოსურნე თ~ გრიგოლ ორბელიანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „... ჩემო საყუარელო ალექსანდრე...“

**ადრესატის მისამართი:** როგორც წერილის შინაარსით ირკვევა, ადრესატი თავის მეორე მეუღლესთან ერთად ახალი დაბრუნებულია სამკურნალო წყლებიდან. სავარაუდოდ, წერილი **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ღვთის; 2. თავადი; 3. ჯერ „21“ დაუნერია და შემდეგ „2“ „3“-ად გადაუკეთებია ისე, რომ „2“-ის ბოლო აღარ მოუშლია; 4. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 233,11. „**შენის ლიზათი**“ – საუბარია ალექსანდრე საგინაშვილის მეორე ცოლზე – ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძე-საგინაშვილისაზე.

გვ.: 233,19-20. „**ზაქარიას და კაკოს**“ – საუბარია ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძესა და მის მეუღლეზე – მარიამ (კაკო) დავითის ასულ ჭავჭავაძეზე.



გვ.: 233,20. „ელენეც... ქმრითა“ – საუბარია ელენე დავითის ასულ ქავჭავაძესა და ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევზე.

გვ.: 233,21. „ლიზა და კონიაცა“ – საუბარია ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-ბაგრატიონ-მუხრანელისაზე და მის მეუღლეზე – კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ.: 233,21. „აგლობჟიო და ტასოცა“ – საუბარია ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოსა და მის ცოლზე – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილ ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოსაზე.

გვ.: 233,21-22. „ამათთანა სოსიკო“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილზე – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 233,22. „ჩემთან პლატონცა, გიორგიცა და ივანეცა“ – აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ანა ნიკოლოზის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელის ქმარი – პლატონ თეიმურაზის ძე იოსელიანი და ძმები – გიორგი და ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელები, თუმცა ვერც პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანს გამოვრიცხავთ.

გვ.: 233,27. „ჩემი საკუთარი ოლინკა“ – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის რძლის, ბარბარეს, დაზე – ოლლა ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკიაზე, თუმცა ვერც დიმიტრი მირსკის ქალიშვილს, ოლლას, გამოვრიცხავთ.

გვ.: 233-234. „ყენისაგან ნაკოცნი“ – საუბარია ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ კავჯარზე.

გვ.: 234,5-6. „ყაფლან... და კიდევ ბევრნი“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილზე – ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

## დიმიტრი ფურცელაძისადმი №1 (824) გვ.: 235-236.

**ავტოგრაფი:** A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515<sup>ა</sup> (ძველი №175), გვ. 21r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო ფერის, გახუნებული, საშუალო სისქის ქალაღდი; ზომა: 34,3X21,9 სმ; დანერილია შავი ფანქრით; ორ ადგილას ხელნაწერი გახვრეტილია. ქვედა მარჯვენა ნაწილი დალაქავებულია.

**თარიღი და ადგილი:** „სეკდემ: 11 დღესა 1873“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „დიმიტრის პეტრეს ძეს ფურცელაძეს.“

**ადრესატის მისამართი:** როგორც ტექსტის შინაარსიდან ჩანს, გრიგოლი ადრესატთან წერილს ატანს სასულიერო აკადემიის მოსწავლეს – მიხეილ საბინინს და სთხოვს მის შეწევნას წიგნის გამოცემის საქმეში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში**.

**შენიშვნები:** 1-2. ორივე სტრიქონი შუა ადგილას ხაზგასმულია ავტორის მიერ ფანქრითვე; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ ფანქრითვე; 4. რომელნიცა; 5. ჯერ დაუნერია „რადგან“, მერე „დგან“ წაუშლია; 6. ხაზგასმულია ავტორის მიერ ფანქრითვე.

გვ.: 235,2. „**დიმიტრის პეტრეს ძეს ფურცელაძეს**“ – წერილის ადრესატია ქართველი ისტორიკოსი – დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძე.

გვ.: 235,3. „**მოგართმევსთ მიხეილ საბინი**“ – საუბარია ქართველ საეკლესიო ისტორიკოსსა და ხატმწერზე – ბერ მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე საბინინზე.

გვ.: 235,9. „**ვიდრე კნ: ტრუბეცკოიზე**“ – საუბარია გენერალ სერგეი ნიკიტას ძე ტრუბეცკოიზე.

გვ.: 235,11-12. „**ექზარხოსიკი ვერა ჰსწყალობს**“ – საუბარია საქართველოს ეგზარქოს – ევსევი (ალექსეი ალექსის ძე) ილინსკიზე.

გვ.: 235,20-21. „**в общ: религ: христ:Ba**“ – საუბარია კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებაზე.

**სოფიო ერისთავ-ორბელიანისადმი №4 (825) გვ.: 236-238.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №486 / №56, 1r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, თხელი, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 35X21,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** „1873 სექტემ: 16<sup>ლ</sup> დღ.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყუარელო ძალუავ-დედავ სოფიო!“

**ადრესატის მისამართი:** ტექსტის შინაარსით ირკვევა, რომ წერილი გაგზავნილია **დალესტანში:** „ნეტავ თქუჴნ, რომ დალისტანში ხართ და გული არ გისივდებათ ზაფრითა.“

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია. ამასთან, ზედა მარცხენა მხარეს შავი ფანქრითვე, სხვისი ხელით, მიწერილია: „ბარონ ნიკოლა სეკრეტ“, რომელსაც წრე აქვს შემოვლებული; 2. ამ აბზაცს აქამდე მარცხენა მხრიდან შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; 3. ღმერთსა; 4. ხაზგასმულია; 5. ამ ადგილას ხელნაწერი დალაქულია და სიტყვის ბოლო ნაწილი – დამალული; 6. ღმერთმა; 7. ხაზგასმულია; 8. თავკიდურა ხმოვანი ჯერ „ა“ დაუნერია, მერე „ო“-დ გადაუკეთებია; 9. წინადადება სინტაქსურად გაუმართავია; 10. რომელსაცა; 11. ფრაზა – „მოღვაწეებითა, რლ~საცა წარუდგენია სენატში თავის ჰაზრი, რომ ხაზინას აქუს ისეთი საბუთები, რომლითაცა“ – ხაზგასმულია; 12. ბრჭყალები აღარ აქვს დახურული; 13-14. ღმერთი; 15. რომლისა; 16. ღმერთს.

**პირველი პუბლიკაცია:** წერილის ფრაგმენტი (4-5 სტრიქონი): ნათელა იმედაძე, „გრ. ორბელიანის გამოუქვეყნებელი ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლისათვის“: „ყურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, 1978, გვ. 344.

გვ.: 236,6-7. **«სოსიკო თავის დედით და დითა»** – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანის დედა იყო ხორეშან ვასილის ასული ვაჩნაძე, და კი – ანასტასია კონსტანტინეს ასული ორ-

ბელიანი-ოკლობჟიო.

გვ.: 236,10. **«სადილად მირსკისას»** – საუბარია სოფიო იაკობის ასულ ორბელიანისა და დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის ოჯახზე.

გვ.: 236,14-15. **«ზოგნი შორს ვლენან ოხურით, ზოგნი უდროდ განვიდენ სოფლის ლხინით»** – ციტატა არის გრიგოლ ორბელიანისავე ლექსიდან „მუხამბაზი“ („სულით ერთნო, მოლხინენო...“).

გვ.: 236,21. **„დევნილი არქიერისაგან“** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს საქართველოს იმჟამინდელი ეგზარქოსი – ევსევი (ალექსეი ალექსის ძე) ილინსკი.

გვ.: 236,21-22. **„თანა-მეჭაზრე ნევეროვისაგან“** – საუბარია 1864-1879 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველ იანუარი მიხეილის ძე ნევეროვზე და მისი სახე განზოგადებულია.

გვ.: 237,13-14. **„ქუჭყენის ნეტარება, შაჰინშაჰ“** – საუბარია ირანის შაჰ ნასერ-ად-დინ შაჰ კაჯარზე.

გვ.: 237,15-16. **«პირველი მინისტრი, სადრაზამ»** – სადრაზამი ნიშნავს პრემიერ მინისტრს.

გვ.: 237,16. **„მირზა ჰუსეინ ხან“** – საუბარია სპარსეთის პრემიერ-მინისტრზე 1870 წლიდან.

გვ.: 237,16. **„გაგზავნა ყუმს“** – საუბარია სპარსეთის ოსტანას პროვინციის დედაქალაქზე.

გვ.: 237,18-19. **„გოგოები ალთაფებითა“** – საუბარია სპილენძისტარიან, გრძელეულიან კოკაზე, რომელსაც მაჰმადიანები ხმარობდნენ ნამაზის ლოცვის წინ განსაბანად.

გვ.: 237,21. **„ველიკიი კნიაზი და კნეინა“** – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვსა და მის მეუღლეზე – ოლდა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისაზე.

გვ.: 237,21-22. **„სამის ვაჟისშვილებით“** – მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს იმ დროს ხუთი ვაჟი ჰყავდა: ნიკოლოზი, მიხეილი, გიორგი, ალექსანდრე და სერგეი. გაურკვეველია, მათგან რომელ სამზეა საუბარი.

გვ.: 237,23-24. „**წელმწიფის ქალის ქორწილში**“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ქალიშვილის, მარიას, და უფლისწულ ალფრედ ედინბურგელის ქორწილზე, რომელიც ჩატარდა ზამთრის სასახლის დიდ ტაძარში 1874 წლის 23 იანვარს.

გვ.: 237,24-25. „**სიძე, ბარონ ნიკოლაი**“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროს ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ.: 237,27. „**იყო აქ ნიკო და წავიდა ყირიმს**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ნიკოლოზ დავითის ძე დადიანზე.

გვ.: 237,30-31. „**ტასო ოღლობუიოსი... ბაბაღე აპაჩინინისა**“ – საუბარია ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობუიოსა და ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე.

გვ.: 238,13-15. „**Я небуду Прокопенко... Землю на острове**“ – სავარაუდოდ, საუბარია მოსამართლე ვასილი იოსების ძე პროკოპენკოზე და მადათოვის კუნძულის მიწებზე.

გვ.: 238,18. „**ლუკა ისარლოვი**“ – საუბარია ისტორიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეზე – ლუკა სტეფანეს ძე ისარლოვზე.

გვ.: 238,28. „**ტასო ჯერ ყირიმიდამ არ მოსულა**“ – საუბარია ადრესატის მულზე – ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე.

გვ.: 238,31. „**ივანეს სიყუარულით ჩავკოცნი**“ – საუბარია ადრესატის ქმარზე – ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

### **მიხეილ ფონ კაუფმანისადმი №1 (826) გვ. 239.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №491 / №61, 1r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყავისფრო, გახუნებული, საშუალო სისქის, დიდი ფორმატის ქალაღდი; ზომა: 35X21,6 სმ.;

შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «18 Сент: 1873.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Михайлу Петровичу Фон Кауфману. Генер: Адъютанту.»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი მოღვაწეობდა **პეტერბურგში** და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ჩამატებულია.

გვ.: 239,4. «**Михайлу Петровичу Фон Кауфману**» – წერილის ადრესატია საინჟინრო აკადემიის ხელმძღვანელი, გენერალ-ადიუტანტი – მიხეილ პეტრეს ძე კაუფმანი.

გვ.: 239,7. «**дочерей Петра Александровича Принца**» – საუბარია რუსეთის არმიის ახალგაზრდაცვლილ გენერალ-მაიორ პეტრე ალექსანდრეს ძე პრინცზე. ქალიშვილების სახელები უცნობია.

გვ.: 239,11. «**сына его Александра**» – საუბარია ალექსანდრე პეტრეს ძე პრინცზე.

გვ.: 239,13. «**К<sup>мо</sup> Мирскому**» – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 239,15-16. «**Государь Император**» – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ.: 239,19. «**Спасибо Великому Князю**» – სავარაუდოდ, იგულისხმება მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №60 (827) გვ.: 241-242.**

**ავტოგრაფი:** С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 74r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 34,8X21,8 სმ.; შესრუ-

ლებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «9<sup>10</sup> Окт. 1873.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **პეტერბურგში** ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «**HEMEDI**»; 3. სიტყვა არა აქვს დამთავრებული, «**Л**»-ს შემდეგ ორი ასო აქვს გადაბმული ისე, რომ არც ერთი ასო არ იკვეთება; 4. ხაზგასმულია; 5. ამ ადგილას ფანქარია გადასული ფურცელზე და სიტყვის ბოლო არ იკითხება; 6. ხაზგასმულია; 7. ამ აბზაცს მარცხენა აშიიდან შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული; 8. აქედან ბოლომდე, ტექსტს მარცხენა აშიიდან შავი ფანქრით ხაზი აქვს ჩამოსმული.

გვ.: 241,3. «**отсчитывал Оникову**» – შესაძლოა, საუბარი იყოს გრიგოლ ორბელიანის წერილებში ხშირად ნახსენებ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ონიკაშვილზე, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით.

გვ.: 241,4. «**мною и Сосико... за долги Ваню**» – საუბარი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილზე – იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანსა და მათ ნათესავ ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანზე.

გვ.: 241,6-7. «**спасибо Мирскому**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის ქმარზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე.

გვ.: 241,11. «**О пенсії Георгія**» – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ძმისწულზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ.: 242,13. «**Импер: Николай... писал К<sup>10</sup> Меншикову**» – საუბარია რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ზე, ფლოტის ადმირალ ალექსანდრე სერგეის ძე მენშიკოვზე და 1854-1855 წლებში სევასტოპოლთან მიმდინარე მოვლენებზე.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №61 (828) გვ.: 244-245.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 75რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, დიდი ფორმატის ქაღალდი; ზომა: 34,8X21,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «2 Ноябрь: 1873.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** «В Петербург»

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 244,20. «**тебя и Георгія**» – საუბარია ადრესატსა და მის ვაჟზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

**ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისადმი №62 (829) გვ. 246.**

**ავტოგრაფი:** C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №153, 76რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო სისქის, ორ ადგილას ამოხეული, საშუალო ფორმატის ქაღალდი; ზომა: 21,6X17,6 სმ.; შესრულებულია შავი ფანქრით.

**თარიღი და ადგილი:** «3 Декаб: 1873.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «... мой друг Варвара!»

**ადრესატის მისამართი:** «В Петерб.»

**შენიშვნები:** 1-2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 246,11. «**выкажут Георгія**» – საუბარია ადრესატის ვაჟზე – გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.



## ბირთა ანოტირებული საბიბლიო

**აბაშიძე** – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრის, ნინო სიმონის ასულ აბაშიძე-ორბელიანის, ძმა. 148.

**აბაშიძე კონსტანტინე ივანეს ძე** – გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ანასტასია ორბელიან-გაგარინისას, დეიდაშვილი. 125.

**აბაშიძე-ორბელიანისა ნინო სიმონის ასული (1838-1919)** – მწერალი, პოეტი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი (1879 წლიდან), გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე ორბელიანის მეუღლე. 148.

**აბესალომოვისა** – სოლომონ ზაქარიას ძე აბესალომოვის მეუღლე. 220, 231.

**აბიხი გერმან ვილჰელმის ძე (1806-1886)** – გეოლოგი, კავკასიის მკვლევარი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1853). 1841 წელს მიწვეულ იქნა რუსეთში დერპტის უნივერსიტეტის მინერალოგიის პროფესორის თანამდებობაზე. 1844-1876 წლებში იკვლევდა კავკასიას. 136.

**აბხაზოვი** – პიროვნება დაუდგენელია. 22.

**აღდამი** – პიროვნება დაუდგენელია. 216.

**ალექსანდრე** – პიროვნება დაუდგენელია. 19, 34, 47, 153, 154, 156, 218, 219.

**ალექსანდრე II (1818-1881)** – რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წლებში, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილი. ქვეყანაში გაატარა მნიშვნელოვანი სოციალური, სასამართლო, განათლებისა და სამხედრო რეფორმები, რომელთაგან აღსანიშნავია ბატონყმობის გაუქმება 1861 წელს. „ნაროდნიკებმა“ ის სასიკვდილოდ დაჭრეს 1881 წელს. 27, 66, 70, 78, 79, 81, 82, 83, 85, 86, 87, 92, 93, 94, 102, 106, 107, 108, 114, 115, 116, 122, 194, 237, 239.

**ალექსანდრე III (1845-1894)** – რუსეთის იმპერატორი 1881-1894 წლებში. იმპერატორ ალექსანდრე II-ის შვილი, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის, მამა. ალექსანდრე III-მ უზრუნველყო რუსეთის მშვიდობიანი განვითარება დიდი ხნის განმავლობაში. ასეთი პოლიტიკის გამო, ის რუსეთის ისტორიაში შევიდა, როგორც „მშვიდობისმყოფელი მეფე“. გამოირჩეოდა კონსერვატორული შეხედულებებით. ატარებდა ანტირეფორმისტულ და განაპირა მხარეების რუსიფიკატორულ პოლიტიკას. 81, 83, 84, 85, 87, 93, 94, 102, 106, 115, 116, 122.

**ალექსი-მესხიშვილი მიხეილ დიმიტრის ძე** – იურისტი, კავკასიის მთავარმართებლის სამმართველოს მოხელე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, „ნადგორნი სოვეტნიკი“. 233.  
წერილების ადრესატი.

**ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან დიმიტრის ასული (1812-1895)** – ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ქალიშვილი, გრიგოლ ორბელიანის ძმის, ზაქარიას, მეუღლე. 35, 85, 146, 177, 220, 232.  
წერილების ადრესატი.

**ალი-ხანი მირზა მუჰამედ** – ირანის შაჰის, სულთან აჰმედის, პრემიერ-მინისტრი. იყო გილანის გუბერნატორი. 1870-1874 წლებში მსახურობდა თბილისში ირანის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში. 58, 237.

**ამატუნი ნაპოლეონ ივანეს ძე** – ვეჯილი. თბილისის საკრედიტო ბანკის თავმჯდომარე. თსს ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ზედამხედველი კომიტეტის წევრი, თბილისის საბჭოს ხმოსანი დეპუტატი. 35.  
წერილის ადრესატი.

**ამაშუკელი** – სცენის მოყვარული. მონაწილეობას იღებდა სპექტაკლებში. 55.

**ამზამირზა (ჰამზა მირზა) ეშმედილოული** – ირანის შაჰის, მოჰამედ შაჰ ყაჯარის, ბიძა, სპარსეთის ელჩი რუსეთში. 84, 85, 87, 94.

**ამიროვი სტეფანე პეტრეს ძე** – თბილისის მცხოვრები. 209.

**ანდონ ბედროს IX ხასუნი (1809-1884)** – სომეხი კარდინალი, სომხეთის კათოლიკური ეკლესიის პატრიარქი 1866-1880 წლებში. 84.

**ანდრეევი** – დრაგუნის პოლკის მაიორი. ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისა და ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვის ქალიშვილის, მარიამის, მეუღლე. სახელი უცნობია. 183.

**ანდრეევსკაია ელენე ერასტის ასული (1846-)** – ერასტი ანდრეევსკისა და ბარბარე თუმანიშვილ-ანდრეევსკისას შვილი. 175.

**ანდრეევსკაია ნინო ერასტის ასული (1848/1859-1876)** – ერასტი ანდრეევსკისა და ბარბარე თუმანიშვილ-ანდრეევსკისას შვილი. 175.

**ანდრეევსკი ერასტი სტეფანეს ძე (1809-1872)** – მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმი, ბარბარე გიორგის ასულ თუმანიშვილის (1818-1893) მეუღლე. 127, 128, 129, 130.

**ანდრეევსკი კონსტანტინე ერასტის ძე (1855/56-1935)** – იურისტი, სამოქალაქო მრჩეველი, ოდესის მერის მოადგილე, ერასტი ანდრეევსკისა და ბარბარე თუმანიშვილ-ანდრეევსკისას შვილი. 175.

**ანდრონიკაშვილი ილია (ივანე) პაატას ძე (1832-)** – პაატა მზეჭაბუკის ძე ანდრონიკაშვილისა და სალომე მელქისედეკის ასულ ჭავჭავაძის, შვილი, ნატო გრიგოლის ასულ მაღალაშვილის მეუღლე. 27.

**ანდრონიკაშვილი რევაზ ივანეს ძე (1814-1877)** – გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი 1877 წლიდან, ამავე წლიდან კახეთში განლაგებული ჯარების სარდალი. 56, 85, 99.

**ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) გიორგი** – პიროვნების ვინაობა დაუდგენელია. 27.

**აჟიევი – ხაჯიავ კარატელი** – ნაიბი. 116, 122.

**არარატსკი** – პიროვნება დაუდგენელია. 27.

**არლუთინსკი-დოლგორუკოვა-ბებუთოვისა მარიამ სოლომონის ასული** – ცნობილი გენერლის, ვასილ იოსების ძე ბებუთოვის, მეუღლე. 95, 108.

**არლუთინსკი-დოლგორუკოვი ბორის ნიკოლოზის ძე (1870-1949)** – საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო მრჩეველი, თბილისის გუბერნატორ ნიკოლოზ ვასილის ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვის შვილი. 27.

**არლუთინსკი-დოლგორუკოვი ნიკოლოზ ვასილის ძე** – თავადი, კამერგერი, მოქმედი სახელმწიფო მრჩეველი, თბილისის გუბერნატორი, თბილისის სასამართლოს საპატიო მოსამართლე. 27.

**არჯევანიძე-ნარიშკინა თებრო (1852-1930)** – მღვდლის ქალიშვილი, რომლის ოჯახიც შამილის შემოჭრისას ამონყვეტილა. ის იშვილა დიმიტრი ორბელიანმა. 1875 წელს ცოლად გაჰყვა მილიონერ ვასილ ლვოვის ძე ნარიშკინს. 204.

**ასან ბეგი** – პიროვნება დაუდგენელია. 95.

**ასტაფიევი მიხეილ ივანეს ძე (1821-1884)** – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, ერევნის სამხედრო გუბერნატორი, სახელმწიფო ქონების სამმართველოს უფროსი და მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი, ორენბურგის გენერალ-გუბერნატორი. 179.

**ასტაფიევი ნიკოლოზ ალექსის ძე (1842-1889)** – დავით ჭავჭავაძის ქალიშვილის, ელენეს, მეუღლე. 59, 65, 122, 125, 220, 224, 233.

**ალამლოვა-ბაგრატიონ-გრუზინსკისა მარიამ ისაყის ასული** (1808-1882) – ალექსანდრე ირაკლის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე, ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის დედა. 47, 85, 86, 93, 106, 115, 122, 224.

**ახმედ-ხან მეხთულინი** – მეხთულის მმართველი 1735-1747 წლებში. ნადირ-შაჰის წინააღმდეგ მებრძოლი დაღესტნელი ხალხის მეთაურის, ახმედ ხან II მეხთულინის, შთამომავალი. 89.

**ბაბარიკინა-კრასნოგლიადოვისა სოფიო პეტრეს ასული** – ექიმ ვეგრაფი კრასნოგლიადოვის მეუღლე. 142.

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია ალექსანდრა ილიას ასული** (1845-1909) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და, ფრეილინა. 19, 32, 49, 59, 60, 99, 169.

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ბაშმაკოვისა ელისაბედ ილიას ასული** (1836-1861) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, არკადი დიმიტრის ძე ბაშმაკოვის მეუღლე, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და. 19, 32, 49, 60, 99, 169.

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია გაიანე ილიას ასული** (1832-1903) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და. 19, 24, 32, 49, 60, 99, 169.

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია ეკატერინე ილიას ასული** (1846-1888) – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და. 19, 32, 49, 60, 99, 169.

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია ოლა ილიას ასული ((1840-1913) –**  
გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვი-  
ლი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, და. 19,  
32, 49, 60, 99, 149, 169, 182, 233, 234.  
წერილის ადრესატი.

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის ბარბარე ბაგრატის**  
**ასული (1804-1870) –** გიორგი XII-ის შვილიშვილი, ბაგ-  
რატ ბატონიშვილის შვილი, გენერალ-ლეიტენანტ დი-  
მიტრი თამაზის ძე ორბელიანის მეუღლე. 95, 108.

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის ბარბარე (ვარვარა)**  
**ილიას ასული (1831-1884) –** გრიგოლ ორბელიანის უმ-  
ცროსი ძმის, ილიას, მეუღლე, გიორგი XII-ის ვაჟის,  
ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი. 14, 24, 35, 37, 40,  
52, 54, 75, 77, 80, 81, 85, 149, 160, 168, 169, 173,  
192, 193, 230.  
წერილების ადრესატი.

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ორბელიანის ელისაბედ ირაკლის**  
**ასული (1870-1942) –** ქართველი პოეტი, მთარგმნელი,  
ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკისა და  
თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძის ქალიშვილი. წერდა  
„საზანდარის“ ფსევდონიმით. 1898 წელს იქორწინა მა-  
მუკა (მაკარ) ივანეს ძე ორბელიანზე. განათლება მიი-  
ღო პარიზში, ცხოვრობდა იტალიასა და შვეიცარიაში.  
ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ქარ-  
თველ ავტორთა შემოქმედება. თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტში კითხულობდა ფრანგული (1918 წელს)  
და ინგლისური (1921 წელი) ენების კურსებს. 125.

**ბაგრატიონი-გრუზინსკაია-პისარევისა ნადეჟდა ილიას ასული**  
**(1847-1930) –** გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვი-

ლის, ქალიშვილი. მიხეილ ალექსანდრეს ძე პისარევის მეუღლე. 19, 32, 49, 60, 99, 169.

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია-სვიატოპოლკ-მირსკისა ვერა ილიას ასული (1842-1863)** – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის მეუღლე. 15.

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია-ჭავჭავაძისა ანა (ანეტა) ილიას ასული (1828-1905)** – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, სასახლის ფრეილინა. 1852 წელს ცოლად გაჰყვა ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟს – დავითს. ანა ბაგრატიონს დიდი დამსახურება მიუძღვის თელავში ქალთა განათლების კერების დაარსების საქმეში. 35, 71, 85, 86, 93, 172.

**ბაგრატიონ-გრუზინსკი ილია გიორგი XII-ის ძე (1790-1854)** – გიორგი XII-ისა და მარიამ დედოფლის შვილი. გადასახლებული იყო რუსეთში, სწავლობდა პაჟთა კორპუსში, მონაწილეობდა 1812 წლის ომში ნაპოლეონის წინააღმდეგ, თადარიგში გავიდა პოლკოვნიკის ჩინით, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. 14, 24, 37, 54, 192.

**ბაგრატიონ-გრუზინსკი ირაკლი ალექსანდრეს ძე (1827-1882)** – უგანათლებულესი თავადი, ერეკლე II-ის ვაჟის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ერთადერთი შვილი. დაიბადა სპარსეთში, იზრდებოდა ჯერ ერევანში დედასთან, მარიამ ისაყის ასულ აღამალოვასთან, ხოლო შემდეგ მასთან ერთად გაამგზავრეს პეტერბურგში, სადაც იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. 60-იან წლებში მკურნალობდა საფრანგეთში, სადაც დაუახლოვდა საფრანგეთის იმპერატორ ნაპო-



ლეონ III-ს. აქვე იქორწინა დავით ჭავჭავაძის ასულ თამარზე. საქართველოში ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას. იყო ერთადერთი ბატონიშვილი, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა. 32, 47, 48, 59, 93, 94, 100, 106, 114, 115, 122, 125, 148, 167, 209, 220.  
ნერილის ადრესატი.

**ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანბატონი, მუხრანსკი) გიორგი კონსტანტინეს ძე** (1820/1821-1874/1877) – ცარიზმის ერთგული მოხელე, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სასამართლო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი, სენატორი, სახელმწიფო ინსპექტორი („სტატს-ინსპექტორი“). 52, 147, 233, 234.  
ნერილის ადრესატი.

**ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანბატონი, მუხრანსკი) ივანე კონსტანტინეს ძე** (1812-1895) – გენერალ-ლეიტენანტი, ერეკლე II-ის შვილთაშვილი, კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1882-1885 წლებში საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, 1881 წლიდან თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი, ყველაზე მსხვილი მემამულე თბილისის გუბერნიაში, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ღვინის ქარხნის მეპატრონე. 26, 88, 95, 233, 234.

**ბაგრატიონ-მუხრანელი კონსტანტინე (კოტე) ივანეს ძე** (1838-1903) – პოლკოვნიკი, ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ვაჟი. 26, 215, 233, 234.

**ბაგრატიონ-მუხრანელი ნიკოლოზ დავითის ძე** (1822-1885) –

რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი. 125.

**ბაგრატიონ-მუხრანელი ნიკოლოზ ედიშერის ძე (1807-1864)** – მუხრანბატონთა სახლის წარმომადგენელი, ნიკო ბურის პაპა. 100.

**ბაგრატიონ-მუხრანელისა ანა დიოდორეს ასული** – რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკის, ნიკოლოზ დავითის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის, მეუღლე. 125.

**ბადენელი-რომანოვისა ოლღა თეოდორეს ასული (1839-1891)** – დიდი ჰერცოგის, ლეოპოლდ ბადენელის, ქალიშვილი, კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის, მეუღლე. 14, 45, 71, 81, 85, 86, 93, 107, 115, 172, 237.  
წერილის ადრესატი.

**ბარათაშვილი-გერმანოზიშვილისა ნინო მელიტონის ასული (1828-1906)** – ნიკოლოზ ბარათაშვილის და. ცოლად გაჰყვა „ცისკრის“ თანამშრომელს, ლიტერატორ ლევან (ლეონიდ) გერმანოზიშვილს (ბარათაშვილს). 40, 59.

**ბარათაშვილი-ერისთავისა ეკატერინე (კატო) მელიტონის ასული (1821-1856)** – ნიკოლოზ ბარათაშვილის უფროსი და. ცოლად გაჰყვა რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავს. მეუღლე. 139.

**ბარათაშვილი-ვეზირიშვილისა ბარბარე მელიტონის ასული (1838-1919)** – ნიკოლოზ ბარათაშვილის და. ცოლად გაჰყვა დიმიტრი გიორგის ძე ვეზირიშვილს. 59.

**ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული (1824-1892)** – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, მეორე ცოლი. 76, 77, 80, 165, 229.  
წერილის ადრესატი.

**ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა სოფიო მელიტონის ასული** (1841-1916) – ნიკოლოზ ბარათაშვილის და. ცოლად გააქცევდა თავად ვასილ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილს. 198.

**ბარათოვი (ბარათაშვილი // გერმანოზიშვილი) ლევან (ლეონიდ) გერმანოზის ძე** (1826-1875) – ლიტერატორი, „ცისკრის“ თანამშრომელი, ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილის მეუღლე. 22, 59.

**ბარათოვი (ბარათაშვილი) მაიკო** – პიროვნება დაუდგენელია. იქორწინა პართენ ბარათოვზე 1872 წელს. 167.

**ბარათოვი (ბარათაშვილი) პართენ** – პიროვნება დაუდგენელია. იქორწინა მაიკო ბარათაშვილზე 1872 წელს. 167.

**ბარანოვსკი ნიკოლოზ ივანეს ძე** (1829-1878) – სენატორი, საიდუმლო მრჩეველი, თბილისის სამოქალაქო ვიცე-გუბერნატორი 1860-1863 წლებში, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეების დეპარტამენტის დირექტორი, XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ლიბერალური რეფორმების განხორციელების აქტიური მონაწილე. 55.  
წერილების ადრესატი.

**ბართოლომეი ივანე ალექსის ძე** (1813-1870) – რუსი არქეოლოგი და ნუმისმატი, გენერალ-ლეიტენანტი, პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 108.

**ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე** (1815-1875) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი, კავკასიის მეფისნაცვალის 1856-1863 წლებში. ცოლად ჰყავდა ელისაბედ დიმიტრის ასული

ორბელიანი. 84, 204.

**ბარიატინსკი ანატოლი ალექსანდრეს ძე (1846-1914)**-ინფანტერიის გენერალი. ფლობდა ბარიატინსკების საგვარეულო კოლექციას XX ს-ის დასაწყისისთვის. გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, შვილის, ოლღას, ქმარი. 204.

**ბაქრაძე ნინია** – გრიგოლ ორბელიანის მსახური. 42, 75, 76, 77.

**ბეზაკი ნიკოლოზ პავლეს ძე (1804-1879)** – საიდუმლო მრჩეველი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საბჭოს წევრი, სოფიო ივანეს ასულ ორბელიანის მეუღლე.  
წერილის ადრესატი.

**ბენისლავსკი ნიკოლოზ პეტრეს ძე** – თბილისის გუბერნიის მეფისნაცვლის კანცელარიის მოსამსახურე. 65.

**ბესარიონი (ბესო)** – გრიგოლ ორბელიანის მსახური. 145.

**ბესარიონი** – მღვდელი. 218.

**ბოგდან-კოლინსკი კონსტანტინე მიხეილის ძე** – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“) 1864 წლიდან. 108.

**ბულატოვი ფოკიონ ესტატეს ძე (1823-1895)** – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საზოგადო საქმეთა განყოფილების ვიცე-დირექტორი, ელიზავეტოპოლის გუბერნიის პირველი გუბერნატორი 1868-1876 წლებში. 88, 179, 185.

**ბუჭყიევი (ბუჭყიაშვილი) ივანე ბორისის ძე (1825-1902)** – გენერალ-ლეიტენანტი (1893), 1887-1893 წლებში ფინეთის სამხედრო ოლქის არტილერიის სარდალი. 27.

**გეიდენი თეოდორ ლოგინის ძე (1831-1900)** – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის ომების მონაწილე, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ფინეთის გენერალ-გუბერნატორი. 160.

**გიორგი III (-1184)** – ერთიანი საქართველოს მეფე 1156-1184 წლებში, დემეტრე I-ის შვილი. 39.

**გიორგი IV ლაშა (1192-1223)** – საქარველოს მეფე 1213-1223 წლებში, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შვილი. 39, 220, 224.

**გოდლევესკი კირილე იოსების ძე (1800-1872)** – გენერალ-მაიორი, რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომისა და კავკასიის ომების მონაწილე. წერილის ადრესატი.

**გოლიცინა-სვეჩინისა ლიუბოვ სერგეის ასული** – რუსი სამხედრო მოღვაწის, ინფანტერიის გენერალ ალექსანდრე ალექსის ძე სვეჩინის, მეუღლე. 93, 95.

**გოლიცინი გრიგოლ სერგეის ძე (1838-1907)** – რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის მთავარმართებელი 1897-1904 წლებში. 85.

**გოლმბლატი ედუარდ** – ექიმი. 108.

**გოჭარალი** – გოვხარ ალა, ჯაფარ ყული ხანის მეუღლე. დე-

და აბაშიძე ჰყავდა. 45.

**გრიშკა** – ყაფლან ორბელიანის მოურავი. 80.

**გურიელი მამია დავითის ძე (1836-1891)** – კაპიტანი, ქართველი პოეტი, ვახტანგ III გურიელის შვილიშვილი, ასზე მეტი ლექსის, ერთი პოემისა და რამდენიმე თარგმანის ავტორი. მოღვაწეობდა „ფაზელის“ ფსევდონიმით, მონაწილეობდა ყირიმის ომში. მარიამ მელიქიშვილთან იქორწინა 1868 წელს, რომელიც მხოლოდ ორ წელს გაგრძელდა. 35.

**გურჩინი ალექსანდრე ბიკენტის ძე (1833-1902)** – რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის გმირი, ვილნოს სამხედრო ოლქის სარდალი. 85.

**დადიანი ანდრია დავითის ძე (1850-1910)** – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან დედასთან და ძმასთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. დაამთავრა ჰაიდელბურგის უნივერსიტეტი. იყო ცნობილი მოჭადრაკე. 30, 35, 126, 171, 172, 173.

**დადიანი-ბაგრატიონ-მუხრანელისა ნინო ლევანის ასული (1816-1886)** – ადიშის მთავარ ლევან V დადიანის ქალიშვილი, პოლკოვნიკ კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის დედა. 26, 95.

**დადიანი-მიურატისა სალომე დავითის ასული (1848-1913)** – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი. XIX საუკუნის 60-იანი წლების ბო-

ლოდან დედასთან და ძმებთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. 1868 წელს ცოლად გაჰყვა შარლ ლუი ნაპოლეონ აშილ მიურატს (1847-1895), ნაპოლეონის ძმისშვილს. მათი ქორწინება პარიზში წლის მოვლენად აღიარეს. 1873 წელს წყვილი სამეგრელოში ჩამოვიდა საცხოვრებლად. 1913 წელს დაქვრივებული სალომე საფრანგეთში გაემგზავრა სამკურნალოდ, სადაც მალევე გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე. 30, 35, 126, 171, 173.

**დადიანი ნიკო დავითის ძე (1847-1903)** – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი, გენერალ-მაიორი, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე. მისი კანდიდატურა განიხილებოდა ბულგარეთის მთავრად. თავისი ბიბლიოთეკა უანდერძა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. 30, 35, 126, 171, 172, 173, 237.

**დენი ვალდემარ კარლ ფონ** – ნინა დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიას მეუღლე. 66.

**დესალი** – ბარონი. ავსტრიის იმპერიის ქვეშევრდომის, გრაფ ფრანც დუბსკის, ამალის წევრი. 183.

**დირინა-ანიჩკოვისა ოლღა პეტრეს ასული** – სამხედრო იურისტ ვასილი ივანეს ძე ანიჩკოვის მეუღლე. 148.

**დიტერიხსი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე (1825-1899)** – გენერალი. 15 წელი იმსახურა კავკასიაში, 1866 წელს თადარიგში გავიდა. მისდევდა ცხენების მოშენებას. 150.

**დუბსკი ფრანც** – ავსტრიის იმპერიის ქვეშევრდომი, ბარონი.

გრაფის ტიტული მიიღო 1843 წელს. ავსტრიელი მწერალი ქალის, მარია ებნერ-ემენბახის, მამა. 183.

**ევსევი (1809-1879)** – ერისკაცობაში ალექსი ელექსეის ძე ილინსკი. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავარი. საქართველოს ეგზარხოსი 1858-1877 წლებში. 84, 181, 182, 235, 236.

**ილერი-ანდრონიკაშვილისა ნინა ალექსანდრეს ასული (-1871)**  
– გენერალ რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილის მეუღლე.

**ილერი-ვიტგენშტეინისა ელისაბედ პავლეს ასული (1826-1896)**  
– დიპლომატ ევგენი ალექსანდრეს ძე ვიტგენშტეინის მეუღლე, მეფისნაცვლის მეუღლის, ოლღა თეოდორეს ასულ ბადენელის, ფრეილინა. 45.

**ენიკოლოფოვი გრიგოლ მიხეილის ძე** – თბილისის სასამართლო პალატის წევრი. 218, 219.

**ერისთავი ალექსანდრე (სანდრო) ესტატეს ძე (1839-1899)** – ქსნის ერისთავთა სახლის წარმომადგენელი. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის აქტიური წევრი, მეტსახელად „ამერიკანეცი“. 182, 225.

**ერისთავი-ამილახვრისა ანასტასია რევაზის ასული (1862-1942)**  
– რევაზ შალვას ძე ერისთავისა და ნინო ესტატეს ასულ ერისთავის ქალიშვილი, პოდპოლკოვნიკ დიმიტრი იოანეს ძე ამილახვრის მეუღლე. 183.

**ერისთავი გრიგოლ შანშეს ძე (1813-1888)** – რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. 126.



**ერისთავი ელენე რევაზის ასული (1845-1892)** – რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავისა და ეკატერინე (კატო) მელიტონის ასულ ბარათაშვილის ქალიშვილი. 139.

**ერისთავი-თარხან-მოურავისა ელენე იაკობის (კონა) ასული (1852-1922)** – გრიგოლ ალექსანდრეს ძე თარხან-მოურავის მეუღლე. გარდაიცვალა ყირიმში. 209.

**ერისთავი იაკობ (კონა) მირმანოვის ძე (1817-1896)** – ქსნის ერითავთა საგვარეულო სახლის წარმომადგენელი, რუსეთის არმიის „პოდპორუჩიკი“. 125, 209.

**ერისთავი ნიკოლოზ (კოლა) რევაზის ძე (1866-1929)** – ქსნის ერისთავთა რეზიდენციის ბოლო მემკვიდრე. გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი. 146.

**ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოვის ასული (1808-1870)** – ქსნის ხეობის თავადის, მირმანოზ დავითის ძე ერისთავის, ასული, საელჩოს მრჩევლის, დავით ორბელიანის, მეუღლე, XIX საუკუნის საქართველოში კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი. მის ლიტერატურულ სალონში გადაწყდა ქართული თეატრის აღდგენისა და ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების რეალური საკითხები. იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. მის სახლში იგეგმებოდა შეთქმულების დეტალები. 13, 19, 27, 30, 34, 48, 95, 108.

**ერისთავი-ორბელიანისა სოფიო შალვას ასული (1832-1887)** – ქსნის ერისთავების წარმომადგენელი, გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, ივანე დავითის ძე ორბელიანის, მეუღლე. 121, 125, 147, 173, 199, 217.  
წერილების ადრესატი.

**ერისთავი რევაზ ლუარსაბის ძე (1812-1881)** – ქსნის ერისთავთა საგვარეულო სახლის წარმომადგენელი, რუსეთის არმიის „პროპორშჩიკი“. 139.

**ერისთავი რევაზ შალვას ძე (1828-1899)** – გვარდიის როტმისტრი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 183.  
წერილის ადრესატი.

**ერისთავისა დარია დიმიტრის ასული (1824-1904)** – იაკობ (კონა) მირმანოვის ძე ერისთავის მეუღლე. 139.

**ერისთავი-სოკოლოვსკისა ოლღა გრიგოლის ასული (1852-)** – გრიგოლ ერისთავისა და ალექსანდრა ვოლსკაიას შვილი, ბოლესლავ პეტრეს ძე სოკოლოვსკის მეუღლე. 126.

**ვაჩნაძე ნინა** – პიროვნება დაუდგენელია. 167.

**ვაჩნაძე-ორბელიანისა ხორეშან ვასილის ასული (1805-1874)** – გენერალ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანის დედა. 217, 220, 230, 236.

**ვიელგორსკაია-შახოვსკისა ანა მიხეილის ასული** – გრაფინია, რუსეთის არმიის გენერალ ალექსანდრე ივანეს ძე შახოვსკის პირველი მეუღლე. 59, 148.

**ვიზიროვი (ვეზირიშვილი) დიმიტრი გიორგის ძე (1825-1898)** – გენერალ-მაიორი, მელიტონ ბარათაშვილის ქალიშვილის, ბარბარეს, მეუღლე. 67, 81, 165.

**ვლასტოვი გიორგი კონსტანტინეს ძე (1827-1899)** – საზოგადო მოღვაწე, მწერალი. სხვადასხვა დროს იყო კავკასიის

მეფისნაცვლის საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკი, სტავროპოლისა და ქუთაისის გუბერნატორი, თბილისის ვიცე-გუბერნატორი, სამეგრელოს სამთავროს მმართველი.

წერილის ადრესატი.

**ვოლსკაია-ერისთავისა ალექსანდრა ვინცენტის ასული (1826-)**

– რუსეთის არმიის პოლკოვნიკის, გრიგოლ ერისთავის, მეუღლე. 126.

**ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856)** – რუსი თავადი,

გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალის 1844-1854 წლებში. მანამდე ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის მეფისნაცვალის იყო. 3 წლიდან 19 წლამდე ლონდონში იზრდებოდა, სადაც მამამისი რუსეთის იმპერიის ელჩად მუშაობდა. უდიდესი წვლილი შეიტანა ოდესის განვითარებაში. შამილის წინააღმდეგ ბრძოლისა და ჩეჩნეთში გამოჩენილი თავგანწირვისათვის პრინციის წოდება მიანიჭეს. 1848 წლისთვის დალესტინის უდიდესი ნაწილი უკვე დაპყრობილი ჰქონდა. სარდლობდა დარღოს ოპერაციას, რომელიც რუსეთის მხედრობისთვის სამარცხვინო კრახით დასრულდა. თბილისში მისი ინიციატივით დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, ქართული ჟურნალი, ქართული და რუსული თეატრები, ოპერა, ბოტანიკური ბაღი და სხვ. 112, 160.

**ზახაროვი ნიკოლოზ პეტრეს ძე** – თბილისის ალექსანდრეს სა-

ხელობის სამასწავლებლო სასწავლებლის დირექტორი. 188.

**ზინჩენკო ევნატე კლიმენტის ძე (1833-1901)** – ნამდვილი სა-

ხელმწიფო მრჩეველი. უწმინდესი სინოდის კონტრო-

ლის განყოფილების მმართველი. ჩრდილოეთ რუსეთის ისტორიისა და ეკლესია-მონასტრების შესახებ დოკუმენტების შემგროვებელი და გამომცემელი. 181, 182.

**ზისერმანი არნოლდ ლვოვის ძე (1824-1897)** – პოლკოვნიკი, რუსი სამხედრო ისტორიკოსი, კავკასიის ომების მონაწილე. გატაცებული იყო კავკასიით. სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას. კავკასიაში მსახურობდა სხვადასხვა ადგილას. მოგვიანებით დაკავდა კავკასიის ომების კვლევით. მის მთავარ ნაშრომს წარმოადგენს ორტომეული „ოცდახუთი წელი კავკასიაში 1842-1867“. 194.

**ზოლოტარევი (ზოლოტარიოვი) ვასილ გრიგოლის ძე (1837-1891)** – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე. მსახურობდა ბულგარეთის სამთავროში სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე. 225.

**თამამშევი გიორგი მიხეილის ძე** – თბილისელ ვაჭარ მიხეილ იაგორის ძე თამამშევის შვილი. 148.

**თამამშევი-ერისთავისა ეკატერინე მიხეილის ასული (1857-1937)** – თბილისელ ვაჭარ მიხეილ იაგორის ძე თამამშევის შვილი, ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავის მეუღლე. 148, 209.

**თამამშევი ვასილ მიხეილის ძე** – თბილისელ ვაჭარ მიხეილ იაგორის ძე თამამშევის შვილი. 148.

**თამამშევი მიხეილ იაგორის ძე** – ცნობილი მეცენატი, პირველი გილდიის ვაჭარი, თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე. 148, 209.

**თამამშევი-სმირნოვისა ელისაბედ (ლიზა) მიხეილის ასული** (1854-1919) – თბილისელ ვაჭარ მიხეილ იაგორის ძე თამამშევის შვილი, მიხეილ სმირნოვის მეუღლე. 148, 209.

**თამარი** – საქართველოს ლეგენდარული მეფე 1184-1213 წლებში. მის დროს საქართველო კავკასიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. 39, 220, 224.

**თარხანოვი (თარხნიშვილი, თარხან-მოურავი) ივანე რამაზის ძე** (1846-1902) – ცნობილი ქართველი ფიზიოლოგი, თერაპევტი, პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიული აკადემიის პროფესორი, პარიზის ბიოლოგიური საზოგადოების ნევრ-კორესპონდენტი, „საპატიო ლეგიონის“ ორდენის კავალერი. 126.

**თარხანოვი (თარხნიშვილი, თარხან-მოურავი) იოსებ დავითის ძე** (1819-1878) – გენერალი, კავკასიისა და ყირიმის ომების მონაწილე. დაქორწინებული იყო ვარვარა (ბაბო) მამუკას ასულ ორბელიანზე. 27, 82.

**თებულო** – პიროვნება დაუდგენელია. 216.

**თეკლა** (1776-1848) – ბატონიშვილი, ერეკლე II-ის ასული. ქართველი პოეტი. პოეტების – ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების – დედა. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს ქალაქ კალუგაში. 204.

**თუმანიშვილი (თუმანოვი) ალექსანდრე გიორგის ძე** (1821-1872) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, 1870-1872 წლებში მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაური. დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით მამაცობისათვის. 174, 175.

**თუმანიშვილი-ანდრეევსკისა ბარბარე გიორგის ასული (1819-1893)** – ექიმ ერასტი ანდრეევსკის მეუღლე. პირველი სცენისმოყვარე ქალი. ქართული თეატრალური დასის მსახიობი. მან თავისი მოღვაწეობით ქალს გაუკაფა გზა ქართულ სცენაზე და ამით ქართული თეატრის განვითარებაში მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა. წერილის ადრესატი.

**თუმანიშვილი იასონ დიმიტრის ძე** – თბილისის სათათბიროს თავკაცი 1871-1875 წლებში. 82, 230.

**თუმანოვი (თუმანიშვილი) ისაკ შიოს (სოლომონის) ძე (1803-1880)** – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიისა და ყირიმის ომების მონაწილე, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების საველე აუდიტორატის წარმომადგენელი, ნავანგინის ქვეითი პოლკის მეთაური. 114, 183, 204, 209, 214, 224.

**იაია** – გლეხი 76, 77.

**იბრაიმა** – სოფ. ამამლოს მამასახლისი. 76, 77.

**იბრაჰიმ ხანი** – მეხთულის მმართველი 1856-1859 წლებში. შემდეგ რუსეთის მმართველობამ გადაიყვანა ავარიის მმართველად და მეხთულა ჩააბარა მის ძმას, რეშიდს. 89, 90.

**ივანე** – გრიგოლ ორბელიანის მოურავი. 77.

**ივანოვა მარიამ (მაშა) ნიკოლოზის ასული** – ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისა და ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვის ქალიშვილი. 108, 136, 183, 204, 209, 232.

**ივანოვი ნიკოლოზ ალაპოს ძე (1813-1873)** – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ომების მონაწილე, ქუთაისის გუბერნატორი, ყუბანის კაზაკთა ნაწილის მეთაური, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანის, მეუღლე. 28, 48, 136, 148, 183, 204, 217, 220, 232.

**იოზი** – ბიბლიური წინასწარმეტყველი. 148.

**იოსელიანი პლატონ ეგნატეს ძე (1809-1875)** – ქართველი ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. მუშაობდა თბილისის სემინარიაში ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებლად. 1845-1856 წლებში რედაქტორობდა თბილისში გამოძავალ რუსულ პერიოდულ გაზეთს „ზაკავკასკი ვესტნიკს“. იყო ათენის არქეოლოგთა საზოგადოების წევრი. დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის ძეგლების შესწავლის საქმეში. 1860-1875 წლებში გამოსცა ქართველოლოგიური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი მრავალი ათეული ნაშრომი. 27. წერილის ადრესატი.

**ისაკოვი** – პიროვნება დაუდგენელია. 204.

**ისარლოვი ლუკა სტეფანეს ძე (1814/1817–1893)** – ისტორიკოსი, რუსეთის იმპერიის მოხელე, მრჩეველი. მის კალამს ეკუთვნის „წერილები საქართველოზე“, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძემ გამოსცა 1899 წელს. 238.

**კარმალინი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1824-1900)** – ინფანტერიის გენერალი, ერევნის სამხედრო გუბერნატორი, ყუბანის კაზაკთა ჯარების ატამანი, სამხედრო საბჭოს

ნევრი. 88, 185.

**კარპეკოსი** – თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის, ნიკოლოზ მიხეილის ძე კარპეკოს, მეუღლე. 14, 59, 182, 220, 231.

**კარცოვი ალექსანდრე პეტრეს ძე (1817-1875)** – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი, მეფისნაცვლის თანაშემწე, სამხედრო საბჭოს წევრი. დაკავებული იყო აკადემიური საქმიანობითაც. მის კალამს ეკუთვნის სამხედრო ხასითის არაერთი ნაშრომი. 116, 117.

**კარცოვისა ეკატერინე ნიკოლოზის ასული** – მეფისნაცვლის თანაშემწის, ინფანტერიის გენერალ ალექსანდრე პეტრეს ძე კარცოვის, მეუღლე, ამიერკავკასიის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს წევრი. წერილის ადრესატი.

**კატკოვი მიხეილ ნიკიფორეს ძე (1818-1887)** – რუსი პუბლიცისტი, გამომცემელი და კრიტიკოსი. 166.

**კაუფმანი მიხეილ პეტრეს ძე (1821-1902)** – ინჟინერ-გენერალი, კავკასიისა და ყირიმის ომების მონაწილე, სახელმწიფო საბჭოს წევრი, წითელი ჯვრის რუსეთის მთავარი სამმართველოს წევრი. წერილის ადრესატი.

**კოზიკოვი ვლადიმერ თეოდორეს ძე (1820-1877)** – გენერალ-მაიორი, 39-ე საარტილერიო ბრიგადის მეთაური. 64.

**კოლიუბაკინი მიხეილ პეტრეს ძე (1806-1872)** – გენერალ-ლეიტენანტი, სხვადასხვა დროს იყო ქუთაისისა და თბი-



ლისის ვიცე-გუბერნატორი, კავკასიის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, 1863 წლიდან – ბაქოს სამხედრო გუბერნატორი. 88, 136.

**კოლორედო** – გრაფი. ავსტრიის იმპერიის ქვეშევრდომის, გრაფ ფრანც დუბსკის, ამალის ნევრი. 183.

**კოჩუბეი-რეზინდერისა ელენე ვასილის ასული (1824-1899)** – საიდუმლო მრჩეველ ვასილი ვასილის ძე კოჩუბეის ქალიშვილი მეორე ქორწინებიდან (დედა – ვარვარა რახმანოვა), რუსი სამხედრო მოღვაწის, გენერალ-ადიუტანტ კონსტანტინე გრიგოლის ძე რეზინდერის, მეუღლე. 85.

**კრასნოგლიადოვი ევგრაფი ივანეს ძე (-1880)** – ექიმი, საიდუმლო მრჩეველი, ეპიდემიური დაავადებების საუკეთესო სპეციალისტი. 142.

**კრემერ-სვიატოპოლკ-მირსკისა ანეტა ანდრიას ასული**, იგივე **კრემერ-ფონ-სიმენსისა ანეტა ანდრიას ასული** – გერმანელი ანდრეა ფონ კრემერის შვილი, ვლადიმერ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის მეუღლე. ცხოვრობდა მიხეილ პავლეს ძე რომანოვის მეუღლის – ელენა პავლეს ასულ ვიურტემბერგ-რომანოვისას – სასახლის კარზე. ვლადიმერის გარდაცვალების შემდეგ ცოლად გაჰყვა ცნობილ ბიზნესმენს ოტო ფონ სიმენსს. 19, 27, 47, 59.

**ლევაშევი (ლევაშოვი) ვლადიმერ ვასილის ძე (1834-1898)** – გრაფი, არტილერიის გენერალი, ყირიმის ომის მონაწილე, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1871-1874 წლებში, ქალაქ ოდესის თავი 1874-1878 წლებში. 135, 148, 185.

**ლიბაუ ანდრეი ანდრეის ძე (-1874)** – ლეიბ-მედიკოსი, კავკასიის სამოქალაქო სამედიცინო ნაწილის უფროსი, საიდუმლო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის, ექიმი. 45.

**ლოპიანა** – ცნობილი თბილისელი მეთევზე და ყარაჩოლელი. 204.

**ლორის-მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე (1825-1888)** – გენერალ-ადიუტანტი, გრაფი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1880-1881 წლებში რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმერიის შეფი, რუსეთის პირველი კონსტიტუციის პროექტის ავტორი. ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ, რომლის უსაზღვრო ნდობითაც სარგებლობდა, თანამდებობიდან გადადგა და დარჩენილი წლები, ძირითადად, უცხოეთში გაატარა. სომხური წარმოშობის მიუხედავად, თავს ქართველად თვლიდა და მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. გარდაიცვალა 1888 წელს საფრანგეთის ქალაქ ნიცაში. 1889 წელს ჩამოასვენეს და დაკრძალეს თბილისში, ვანქის ეკლესიის ეზოში. 185.

**მაჩაბელი ვასილ გიორგის ძე (1845-1918)** – ადვოკატი, საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი“, ივანე მაჩაბლის უფროსი ძმა. 173.

**მაჭავარიანი** – ექიმი. სახელი უცნობია. 36.

**მაჰმად (მუჰამედი)** – მუსულმანთა წინასწარმეტყველი. 183.

**მეიენდორფი თეოფილ ეგორის ძე (1838-1919)** – კავალერიის

გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 და რუსეთ-იაპონიის ომების მონაწილე. 122, 125.

**მეინდორფი ნიკოლოზ ეგორის ძე (1835-1906)** – კავალერიის გენერალი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე.

**მელიქ-ბეგლიაროვი შამირ ფრიდონის ძე** – თარჯიმანი კავკასიის მთავარსარდლის, გენერალ ალექსი ერმოლოვის, დიპლომატიურ კანცელარიაში. 58.

**მელიქოვი (მელიქიშვილი) ივანე ლევანის ძე (1843-1877)** – პოდპოლკოვნიკი. რუსეთ თურქეთის 1877-1878 წლების ომის გმირი. გენერალ ლევან მელიქიშვილისა და მამიკო ორბელიანის ვაჟიშვილი. 185.

**მელიქოვი (მელიქიშვილი) ლევან ივანეს ძე (1817-1892)** – თბილისელი ხელმოკლე თავადი, რომელიც შემდგომში საკმაოდ დანიშნურდა სამხედრო სამსახურში: მთიელებთან ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისათვის აყვანილ იქნა ჯერ შტაბსკაპიტნის, შემდეგ კაპიტნის ხარისხში. ბოლოს კავალერიის გენერლობასაც მიაღწია. იყო მეფისნაცვლის მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს წევრი. 4 თვის განმავლობაში ნახჭევანში ასრულებდა მაზრის უფროსის მოვალეობას. ცოლად ჰყავდა მამუკა ორბელიანის ქალიშვილი ალექსანდრა. დაკრძალულია მამადავითის ეკლესიაში. 18, 59, 65, 185. წერილის ადრესატი.

**მელიქოვი (მელიქიშვილი) მიხეილ (1856-1894)** – გენერალ ლევან მელიქიშვილის ვაჟიშვილი.

**მელიქოვი (მელიქიშვილი) ნიკოლოზ (1867-1942)** – გენერალ ლევან მელიქიშვილის ვაჟიშვილი.

**მელიქოვი (მელიქიშვილი) პეტრე (1862-1866)** – გენერალ ლევან მელიქიშვილის ვაჟიშვილი.

**მენშიკოვი ალექსანდრე სერგეის ძე (1787-1869)** – გენერალ-ადიუტანტი, ადმირალი, რუსეთის იმპერიის საზღვაო მინისტრი 1836-1855 წლებში, ფინეთის გენერალ-გუბერნატორი 1831-1854 წლებში. 242.

**მინკვიცი იული თეოდორეს ძე (1807-1870)** – გენერალ-ლეიტენანტი 1858 წლიდან, დერბენდის გუბერნატორი, 1857 წლიდან ხელმძღვანელობდა კავკასიის ჟანდარმერიას. 26, 108.

**მირზა რაიმ** – პიროვნება დაუდგენელია. 192.

**მირზოევისა დარია** – თბილისელი ნავთობის მაგნატისა და დიდვაჭრის, ოვანეს მირზოევის, მეუღლე. 227.

**მირზოევი (მიზოევი, მირზოიანი) ივანე (ოვანეს) მინაის (მინასის)**

**ძე** – თბილისელი მენარმე და პირველი გილდიის ვაჭარი, რომლისგანაც სესხს იღებდნენ. 71, 227

**მირიმანოვი სოლომონ მირიანის ძე** – ქალაქ თბილისის თავი 1862-1867 წლებში. 107.

**მიურატი აშილ (1847-1895)** – დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილის, სალომე დადიანის, მეუღლე, ნაპოლეონ III-ის ადიუტანტი. 30, 171.

**მიურატი ლუსიენ შარლ დავით (1870-1933)** – სალომე და აშილ მიურატების უფროსი ვაჟი. 126, 171.

**მიურატი ნაპოლეონ ლუი აშილ (1872-1943)** – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. სალომე და აშილ მიურატების ვაჟი. 126, 171.

**მიხეილ ნიკოლაევიჩი** – პიროვნება დაუდგენელია. 99.

**მოჰამედ შაჰ კაჯარი (1808-1848)** – ირანის შაჰი 1834-1848 წლებში, აბას მირზას ვაჟი, ფათ-ალი შაჰის მემკვიდრე. 84, 94.

**მრევლოვი (მრევლიშვილი) სოლომონ იოსების ძე (1835-1909)** – მედიცინის დოქტორი, თბილისელი ექიმი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი. 166.

**ნადირ-შაჰ ავშარი (1688-1747)** – ირანის მმართველი 1736-1747 წლებში 150.

**ნაპოლეონ I (1769-1821)** – მსოფლიო მასშტაბის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი, პრემიერ-კონსული, საფრანგეთის პირველი იმპერატორი 1804-1815 წლებში. ევროპის სახელმწიფოების კოალიციასთან საბოლოოდ დამარცხებული, ევროპაში გაბატონების მსურველი ნაპოლეონი გადაასახლეს წმინდა ელენეს კუნძულზე, სადაც ექვსი წლის შემდეგ გარდაიცვალა. 196.

**ნაპოლეონ III (1808-1873)** – შარლ ლუი ნაპოლეონ ბონაპარტე, საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის პრეზიდენტი 1848-1852 წლებში, საფრანგეთის იმპერატორი 1852-1870 წლებში, ნაპოლეონ I-ის ძმის, ლუი ბონაპარტის, ვაჟი. 58.

**ნასერ-ად-დინ შაჰ ყაჯარი** (1831-1896) – ირანის შაჰი 1848-1896 წლებში. 183, 221, 224, 229, 230, 231, 233-234, 237.

**ნევეროვი იანუარი მიხეილის ძე** (1810-1893) – რუსი პედაგოგი, მწერალი და მემუარისტი. კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველი XIX ს-ის 60-იან წლებში. 236.  
წერილის ადრესატი.

**ნემიანოვი** – გენერალი. სხვა ცნობების მოპოვება ვერ მოხერხდა. 204.

**ნიკოლაი ალექსანდრე პავლეს ძე** (1821-1899) – ბარონი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1863 წელს დაინიშნა სენატორად და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსად, ასევე ამავე სამმართველოში – ამიერკავკასიაში გლეხთა მდგომარეობის კეთილმონყობის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ, 1864 წლიდან კი მუშაობდა სახალხო სასწავლებლების სანიმუშო წესდებისა და საგლეხო და სასამართლო რეფორმების შემმუშავებელ კომისიებში. 1881-1882 წლებში იყო რუსეთის იმპერიის სახალხო განათლების მინისტრი. ცოლად ჰყავდა სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე.

26, 87, 194, 195, 237, 238.

წერილების ადრესატი.

**ნიკოლოზ I** (1796-1855) – ნიკოლოზ პავლეს ძე რომანოვი, რუსეთის იმპერატორი 1825-1855 წლებში. ცნობილი იყო თავისი კონსერვატორული შეხედულებებით. მისი მეფობა გამოირჩეოდა იმპერიის გეოგრაფიული საზღვრების გაფართოებით, რეპრესიული პოლიტიკით, ეკონომიკური სტაგნაციით, კორუფციული ბიუროკრა-

ტიით, სუსტი ადმინისტრაციული პოლიტიკით, აგრესიული ომების წარმოებით, რომლის კულმინაციასაც წარმოადგენდა ყირიმის 1853-1856 წლების ომი. 84, 242.

**ნოხბიქე** – მებთულის მმართველის, ახმედ ხანის, დედა. 89.

**ნუშკა** - პიროვნება დაუდგენელია. 41.

**ობოლენსკაია-ბაგრატიონ-გრუზინსკისა ანასტასია გრიგოლის ასული (1805-1885)** – ილია გიორგის ძე ბატონიშვილის მეუღლე. 19, 32, 40, 49, 59, 99, 169.

**ოგარევა (ოგარიოვა)-ფონ-შაკისა სოფიო ნიკოლოზის ასული (1842-)** – კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლის, ოლა თეოდორეს ასულ ბადენელ-რომანოვისას, ფრეილინა. გათხოვილი იყო გენერალ-ლეიტენანტ ადოლფ ვილ-ჰელმის ძე ფონ-შაკზე. 45, 148.

**ოგარევი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე** – გენერალ-ადიუტანტი. 1851-1864 წლებში ფლობდა სანკტ-პეტერბურგის თუჯისჩამომსხმელ ქარხანას. 148.

**ოკლობჟიო ელენე ივანეს ასული** – გენერალ-ლეიტენანტ ივანე ოკლობჟიოსა და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ანასტასია ორბელიანის, ასული. 182, 230.

**ოკლობჟიო ივანე დიმიტრის ძე (1821-1880)** – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების აქტიური მონაწილე. 148, 217, 220, 230, 231, 232, 233, 234.

**ოკლობჟიო ნინო ივანეს ასული** – გენერალ-ლეიტენანტ ივანე

ოკლობუიოსა და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ანასტასია ორბელიანის, ასული. 182, 230.

**ოლდენბურლსკი (ოლდენბურგელი) ალექსანდრე პეტრეს ძე** (1844-1932) – პრინცი, ინფანტერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, სენატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, თურქესტანის დაპყრობისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის აქტიური მონაწილე. 165, 172.

**ონიკოვი (ონიკაშვილი) ალექსანდრე ნიკოლოზის ძე** (18??-) – ქართული მილიციის ოფიცერი, გუბერნიის მდივანი. 1844-1845 წლებში ძმასთან, სოლომონთან, ერთად მსახურობდა დაღესტანში. დიმიტრი ყიფიანი თავის „მემუარებში“ ალექსანდრე ონიკაშვილს „თბილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამაარსებელთა შორის მოიხსენიებს. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი 1879 წელს. 227, 241.

**ოპოჩინინა-კრაფჩენკოსი მარიამ ალექსეის ასული** – გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინისა და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიანის, ქალიშვილი. გენერალ პავლე პავლეს ძე კრაფჩენკოს მეუღლე. 108, 136, 204, 209, 231.

**ოპოჩინინა-სტატკოვსკისა ნინა ალექსეის ასული** – გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინისა და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიანის, ქალიშვილი. 204, 209, 231.

**ოპოჩინინა-ტომიჩისა ოლღა ალექსეის ასული** – გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინისა და გრიგოლ ორბე-



ლიანის ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიანის, ქალიშვილი, გენერალური შტაბის კაპიტან პეტრე ივანეს ძე ტომიჩის მეუღლე. 204, 209, 231.

**ოპოჩინინი ალექსეი პეტრეს ძე (1807-1885)** – გენერალი, თბილისის კომენდანტი, კავკასიის ომების მონაწილე, გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიანის, მეუღლე. 31, 48, 136, 148, 161, 204, 217, 220.

**ოპოჩინინი ნიკოლოზ პეტრეს ძე (-1886)** – რუსეთის საზღვაო ფლოტის კონტრ-ადმირალი. 48.

**ოპოჩინინი პეტრე ალექსეის ძე** – გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინისა და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიანის, შვილი. 31, 142, 148, 161, 204, 231.

**ორბელიანი ალექსანდრე (ბაკლანა) გიორგის ძე (1800-1870)** – გადამდგარი „პორუჩიკი“ (1852), გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. 28, 48.

**ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე (1829-1869)** – პოლკოვნიკი, ფლიგელ-ადიუტანტი, თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლი. 13.

**ორბელიანი ალექსანდრე ესტატეს ძე (1835-1897)** – რუსეთის არმიის შტაბს-კაპიტანი. 148.

**ორბელიანი ალექსანდრე იოსების ძე** – გენერალ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანის შვილი. 217, 224.

**ორბელიანი-გაგარინისა ანასტასია (ტასო) დავითის ასული (1825-1907)** – გრიგოლ ორბელიანის ნათესავი, მეორე

ცოლი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინისა, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრა სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა 1857 წელს. მეუღლის მკვლელობის შემდეგ დასახლდა მის მამულში, ყირიმში, სადაც ააგო ციხე-სიმაგრე. გამოირჩეოდა მოსახლეობისადმი მზრუნველობით. 13, 19, 49, 125, 149, 150, 173, 238.

**ორბელიანი გიორგი ილიას ძე (1853-1924)** – გენერალ-ლეიტენანტი, გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილიას, შვილი (ტყუპისცალი), რუსეთ-იაპონიის ომისა და I მსოფლიო ომის მონაწილე. 14, 15, 18, 24, 31, 32, 35, 37, 46, 47, 49, 52, 54, 56, 60, 62, 70, 71, 81, 82, 99, 100, 121, 141, 153, 154, 159, 160, 161, 166, 167, 169, 173, 178, 184, 185, 192, 193, 198, 200, 203, 204, 205, 220, 221, 230, 241, 242, 244, 245, 246.

**ორბელიანი გიორგი (გიგო) იოსების ძე** – გენერალ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანის შვილი. 217, 224.

**ორბელიანი გიორგი ნიკოლოზის ძე** – გრიგოლ ორბელიანის პაპა. 127.

**ორბელიანი გრიგოლ (გიგო) კონსტანტინეს ძე (1836-1887)** – შტაბს-კაპიტანი, „პორუჩიკი“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი 1879 წლიდან. 148.

**ორბელიანი დიმიტრი (პაჭონე) ვახტანგის ძე (1806-1882)** – გვარდიის „პოდპორუჩიკი“ (1832), საზოგადო მოღვაწე, თეკლე ბატონიშვილის შვილი, გრიგოლ ორბელიანის ნათესავი, მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის სიმამრი. 204, 205.

**ორბელიანი დიმიტრი (ზურაბ) ნიკოლოზის ძე (1766-1827)** – გრიგოლ ორბელიანის მამა. კოლეგიის მრჩეველი. ერთხანს იყო თბილისის ბაჟის ზედამხედველი. 62.

**ორბელიანი-ერისთავისა ეკატერინე ასლანის ასული (1802-1877)** – შალვა რევაზის ძე ერისთავის მეუღლე. 139, 183.

**ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) ვახტანგ ვახტანგის ძე (1812-1890)** – გენერალ-მაიორი, პოლკოვნიკ ვახტანგ ორბელიანისა და ერეკლე II-ის ასულის, თეკლე ბატონიშვილის, შვილი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. 95, 108, 136, 205, 209.

**ორბელიანი ივანე დავითის ძე (1824-1893)** – გენერალ-მაიორი, მანანა ორბელიანის ვაჟი. მოიხსენიებდნენ „მანანიჩად“. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. 13, 48, 66, 121, 125, 147, 148, 149, 150, 173, 182, 217, 238.

**ორბელიანი ივანე იოსების ძე** – გენერალ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანის შვილი. 217, 224.

**ორბელიანი ივანე (ვანო) კონსტანტინეს ძე („ვანკა პაყარნი“)** (1830-1892) – ფლიგელ-ადიუტანტი, გენერალ-მაიორი 1887 წლიდან. რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის, შვილი. მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქში, მეთაურობდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილს. გარდაიცვალა პეტერბურგში. დაკრძალულია

ნოვოდევჩინის სასაფლაოზე. 35, 145, 147, 166, 198, 199, 200, 221, 230, 241.

**ორბელიანი ივანე მამუკას ძე (1844-1919)** – გენერალ-მაიორი, კავკასიის კაზაკთა დივიზიის მეორე ბრიგადის მეთაური, მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანისა და ქეთევან გიორგის ასულ ერისთავის ვაჟი, მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიას მეუღლე. 114, 148.

**ორბელიანი-ივანოვისა ეკატერინე იაკობის ასული (1824-1875)** – გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვის მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. 48, 148, 183, 204, 217, 220, 232.

**ორბელიანი ილია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1815-1853)** – გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა დაღესტნის ბრძოლებში, რის შედეგადაც ტყვედ ჩაუვარდათ მთიელებს (1842). სხვა ტყვეებთან ერთად, იგი შამილს მიჰგვარეს დარღოში (შამილის ყოფილი რეზიდენცია 1840-1845 წლებში). რამდენიმე თვის შემდეგ ილიას გაქცევა უცდია, მაგრამ გზაზე, სოფელ მეხელტას ახლოს, დაუჭერიათ და უკანვე მიუგვრიათ იმამისთვის. გათავისუფლების შემდეგ, 1846 წელს, დანიშნეს მაზრის უფროსის თანამდებობაზე განჯაში, სადაც საშუალება მიეცა, მიეხედა თავისი დისშვილის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – საფლავისთვის. გარდაიცვალა ყირიმის ომში მიღებული ჭრილობის შედეგად. დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში. 14, 24, 52, 62, 122, 160.

**ორბელიანი იოსებ (სოსიკო) კონსტანტინეს ძე (1824-1879)** – გენერალ-მაიორი, რუსეთ-თურქეთისა და კავკასიის ომების მონაწილე, წმინდა გიორგის ორდენის კავალერი, ალაზნის ხაზის ჯარების სარდალი. 129, 145, 146,

148, 151, 157, 165, 198, 209, 217, 220, 224, 229, 230, 233, 234, 236, 241.

**ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) მამუკა (მაკარ) თამაზის ძე (1800-1871)** – გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების, რუსეთ-ირანის, რუსეთ-თურქეთისა და კავკასიის ომების აქტიური მონაწილე, უმამაცესი მეომარი და სწორუპოვარი მოჯირითე, ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი, ქველმოქმედი. 99, 108, 148.

**ორბელიანი მამუკა (მაკარ) ივანეს ძე (1873-1924)** – მარიამ დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიას და ივანე მამუკას ძე ორბელიანის ვაჟი. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი 1907-1911 წლებში. 220.

**ორბელიანი მარიამ (მამო) ვახტანგის ასული (1852-1941)** – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ცნობილი რომანტიკოსი პოეტის, ვახტანგ ორბელიანის, ასული, თეკლა ბატონიშვილის შვილიშვილი, თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის, გენერალ-მაიორ ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანის, მეუღლე. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი. საქართველოში ქალთა პირველი სკოლის დამაარსებელი. აქტიურად იყო ჩართული თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მარგინალიზებულ იქნა საზოგადოებრივი აქტივობის სფეროდან. 55, 95, 108, 136, 205, 209.

**ორბელიანი მარიამ ივანეს (ლუარსაბის) ასული (1812-1866)** – დიმიტრი (პაჭონე) ვახტანგის ძე ორბელიანის მეუღლე. 128.

**ორბელიანი-მელიქიშვილისა ალექსანდრა (ანა) მამუკას ასული** (1835-1914) – ლევან მელიქიშვილის მეუღლე. მან იშვილა მაიკო ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის დაობლებული შვილი. თვითონ სამი ვაჟი შეეძინა ლევანთან. 59.

**ორბელიანი ნიკოლოზ ვახტანგის ძე** (1845-1925) – იურისტი, თეკლე ბატონიშვილის შვილიშვილი. 1901 წელს საცხოვრებლად გადავიდა პეტერბურგში. 70, 205.

**ორბელიანი-ოკლობჯიოსი ანასტასია კონსტანტინეს ასული** (1831-1884) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ-ლეიტენანტ ივანე დიმიტრის ძე ოკლობჯიოს მეუღლე. 45, 55, 148, 182, 217, 220, 230, 231, 233, 234, 236, 237.

**ორბელიანი-ოპოჩინინისა ბარბარე იაკობის ასული** (1820-) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ-მაიორ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის მეუღლე. 31, 48, 148, 161, 217, 220, 231, 237

**ორბელიანი-როხოვ-კოზვალევსკისა ეკატერინე იოსების ასული** (1864-1838) – გენერალ იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანის შვილი, ალექსანდრე იუსტინეს ძე როხოვ-კოზვალევსკის მეუღლე. 217, 224.

**ორბელიანი-საგინაშვილისა ბაბალე (ბარბარე) სამარაგდონის ასული** (1825-1870) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილის მეუღლე. თავდაპირველად დანიშნული იყო გიორგი დავითის ძე ქსნის ერისთავზე, მაგრამ ქორწინება არ შედგა ბარბარეს მცირეწლოვანების გამო. 15, 19, 27, 29, 30, 31, 34, 36, 40, 41, 42, 43, 48,

95, 152.

წერილების ადრესატი.

**ორბელიანისა საშა** – ივანე კონსტანტინეს ძე ორბელიანის მეუღლე. 145, 147, 166, 167, 199, 200, 221, 230.

**ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა სოფიო იაკობის ასული** (1829-1879) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის მეუღლე. 39, 47, 48, 66, 95, 161, 167, 204, 217, 220.

**ორბელიანი-ფალავანდიშვილისა მარიამ ლუარსაბის (იოველის) ასული** (1817-1851) – ლუარსაბ ორბელიანისა და ანა თამაზის ასულ ორბელიანის ასული, ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილის მეუღლე. 128.

**ორბელიანი-ქობულაშვილისა დარია ალექსანდრეს ასული** (1828-1884) – თეკლა ბატონიშვილის შვილიშვილი, ალექსანდრე (პუბლია) ვახტანგის ძე ორბელიანის შვილი. 205.

**ორბელიანი ყაფლან ასლანის ძე** (1813-1878) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. გადმოცემით, კარგი მომღერალი და მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი. მღეროდა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე. 34, 44, 65, 77, 80, 82, 126, 146, 148, 165, 209, 217, 221, 230, 234.  
წერილების ადრესატი.

**ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასული** (1827-1884) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილიშვილი, ზურაბ დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილის მეუღლე. 148, 220, 230.

**ორბელიანი-წულუკიძისა ნინო ყაფლანის ასული (1839-)** – თავად დიმიტრი პაატას ძე წულუკიძის მეუღლე. 65.

**ორლოვსკი კონსტანტინე ივანეს ძე (1810-1876)** – საიდუმლო მრჩეველი, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი 1860-1876 წლებში.  
წერილების ადრესატი.

**პანინა-ლევაშოვისა ოლღა ვიქტორის ასული (1836-1904)** – რუსეთის საიმპერატორო კარის ფრეილინა, პეტერბურგში ცნობილი ლიბერალური სალონის მფლობელის, გრაფ ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვის, მეუღლე. 43, 220, 231.  
წერილის ადრესატი.

**პანინი ვიქტორ ნიკიტას ძე (1801-1874)** – რუსეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრი 1841-1862 წლებში. 135.

**პეტუხოვი** – პიროვნება დაუდგენელია. 150.

**პინასევიჩი** – არქიტექტორი. სახელი უცნობია. 112.

**პოპორილოპულო ალექსანდრე ივანეს ძე** – საიდუმლო მრჩეველი. 55.

**პოხრო ნიკოლაევიჩი** – პიროვნება დაუდგენელია. 209.

**პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე** – გენერალ-მაიორ პეტრე ალექსანდრეს ძე პრინცის ვაჟი. 239.

**პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე (1794-1873)** – გენერალ-მაიორი, 1812 წლის სამამულო და კავკასიის ომების მონაწილე. 239.



**პროკოპენკო ვასილი იოსების ძე** – მოსამართლე. 238.

**პუშკინი ალექსანდრე სერგეის ძე (1799–1837)** – გამოჩენილი რუსი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ლიტერატურული კრიტიკოსი, მთარგმნელი, ისტორიკოსი, რომანისტი, ლიბრეტისტი, წიგნების კოლექციონერი, პუბლიცისტი, ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებელი. 86.

**რამაზ** – პიროვნება დაუდგენელია. 43.

**რეზინდერი კონსტანტინე გრიგოლის ძე (1824-1886)** – რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი. 85.

**რემერტი ადოლფ ალექსანდრეს ძე** – ექიმი. 36.

**რეშიდ ხან მეხთულინი** – მეხთულის მმართველი. ახმედხანის ვაჟი.  
ნერილის ადრესატი.

**რომანოვა ანასტასია მიხეილის ასული (1860-1922)** – რუსეთის დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზ I-ის ძის, შვილი. აღიზარდა კავკასიაში, სადაც ცხოვრობდა მშობლებთან ერთად 1862-1878 წლებში. 107.

**რომანოვა მარია ალექსანდრეს ასული (1853-1920)** – იმპერატორ ალექსანდრე II-ის ასული, ინგლისის პრინცის, ალფრედ ედინბურგელის, მეუღლე. 237.

**რომანოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1866-1933)** – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, დიდი მთავარი, რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე,

რუსული სამხედრო ავიაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. 107.

**რომანოვი გიორგი მიხეილის ძე (1863-1919)** – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, მიხეილ რომანოვის ვაჟი, გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი. 1915-1916 წლებში განსაკუთრებული მისიით იმყოფებოდა იაპონიაში. 1900 წელს იქორწინა მარია გიორგის ასულზე, საბერძნეთის პრინცესაზე. მოკლეს ბოლშევიკებმა პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში. 107.

**რომანოვი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე (1847-1909)** – დიდი მთავარი, ალექსანდრე II-ის მესამე ვაჟი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი. 81, 83, 86, 87, 94, 102, 106, 115.

**რომანოვი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე (1827-1892)** – დიდი მთავარი, გენერალ-ადმირალი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე 1865-1881 წლებში, პოლონეთის მეფის-ნაცვალი 1862-1863 წლებში, იმპერატორ ალექსანდრე II-ის უმცროსი ძმა. 35, 62.

**რომანოვი მიხეილ მიხეილის ძე (1861-1929)** – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, მიხეილ რომანოვის ვაჟი. ბავშვობა გაატარა თბილისში. 1881 წლიდან მსახურობდა ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკში, სადაც მალე მიიღო პოლკოვნიკის ჩინი. 1891 წელს იმპერატორ ალექსანდრე III-ისა და მშობლების ნებართვის გარეშე იქორწინა ალექსანდრე პუშკინის შვილიშვილზე, გრაფინია სოფია ნიკოლოზის ასულ მერენბერგზე (დეტორბიზე), რის გამოც განთავისუფლდა სახელმწიფო სამსახურიდან და ჩამოერთვა ყველა უფლება, აეკ-

რძალა რუსეთში შესვლაც. ამის გამო ის მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა საფრანგეთსა და ინგლისში. გარდაიცვალა ლონდონში. 107.

**რომანოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1832-1909)** – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეოთხე შვილი, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმა, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ფელდციეხმეისტერი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, რუსეთ-თურქეთის ომების აქტიური მონაწილე, 1862 წლიდან 20 წლის განმავლობაში იყო კავკასიის მეფისნაცვალის და კავკასიის არმიის მთავარსარდალი. 19, 26, 27, 40, 55, 65, 68, 71, 78, 83, 84, 85, 86, 87, 94, 106, 107, 108, 114, 126, 172, 173, 174, 175, 176, 182, 185, 194, 196, 210, 237, 239.

**რომანოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე (1859-1919)** – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილიშვილი, მიხეილ რომანოვის უფროსი ვაჟი, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, ისტორიკოსი, რუსული მუზეუმის დირექტორი პეტერბურგში. მასონი, საიდუმლო ფრანგული საზოგადოება „ბიქსიოს“ წევრი. მოკლეს ბოლშევიკებმა პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში. 81, 107.

**რომანოვი სერგეი მიხეილის ძე** – მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის შვილი. 107.

**რუსთველი** – დიდი ქართველი პოეტი. 19, 55.

**საბინინი (საბინაშვილი) მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე (1845-1900)** – ქართველი ბერი, ხატმწერი, ქართული ეკლესიის ისტორიკოსი და მოამაგე. 235.

**საბუროვა ემილია თეოდორის ასული** – პოლკოვნიკ საბუროვის

მეუღლე. სხვა ცნობების მოპოვება ვერ მოხერხდა.  
წერილის ადრესატი.

**საგინოვი (საგინაშვილი) ალექსანდრე დიმიტრის ძე (1808-1887)** – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. განათლება მიიღო თბილისის თავადაზნაურთა სასწავლებელში. სამხედრო სამსახურში შევიდა 1826 წელს. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-თურქეთისა (1828-1829, 1877-1878) და კავკასიის ომებში. 1869 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. მელიტონ ბარათაშვილის დის, მარიამ (მაია) ნიკოლოზის ასულ ბარათაშვილის, შვილი და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიანის, მეუღლე. ბარბარეს გარდაცვალების შემდეგ დაქორწინდა ასაკით ბევრად უმცროს ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძეზე (ილიას დაზე). ალექსანდრეს არც ერთი ქორწინებიდან შვილი არ ჰყოლია. 27, 40, 42, 43, 45, 48, 148, 217, 220, 232, 233.  
წერილების ადრესატი.

**სალალუბი (სოლოგუბი) ვლადიმერ ალექსანდრეს ძე (1813-1882)** – პროზაიკოსი, დრამატურგი, პოეტი და მემუარისტი. 87, 108, 125, 221.

**სარაჯევი (სარაჯიშვილი) ვასილ ალექსანდრეს ძე (1839-1916)** – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი 1901 წლიდან. 65.

**სარინდო** – ივანე პავლეს ძე სარინდოს ვაჟიშვილი. სახელი უცნობია. 210.

**სარინდო ივანე პავლეს ძე** – გრიგოლ ორბელიანის თანამებრძოლი.

წერილის ადრესატი.

**სარინდოსი** – ივანე პავლეს ძე სარინდოს მეუღლე. სახელი უცნობია. 210.

**სვეჩინი ალექსანდრე ალექსის ძე (1826-1896)** – რუსი სამხედრო მოღვაწე. 1859 წლიდან მსახურობდა კავკასიაში, მეთაურობდა ქართველ გრენადერთა პოლკს, დივიზიას, ხოლო 1879 წლიდან მე-10 არმიულ კორპუსს; გენერალ-ადიუტანტი (1880 წლიდან), ინფანტერიის გენერალი (1886 წლიდან), მეუღლე – ლიუბოვ სერგეის ასული გოლიცინა-სვეჩინა.  
წერილის ადრესატი.

**სვიატოპოლკ-მირსკაია-დენისა ნინო დიმიტრის ასული** – დიმიტრი ივანე ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის შვილი. 47, 55, 66, 94, 107, 136, 204, 209, 220.

**სვიატოპოლკ-მირსკაია ოლღა დიმიტრის ასული** – დიმიტრი ივანე ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის შვილი. 47, 66, 94, 107, 136, 204, 209.

**სვიატოპოლკ-მირსკაია-ორბელიანისა მარიამ დიმიტრის ასული** – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის შვილი. 47, 55, 66, 94, 107, 114, 136, 148, 204, 209, 220.

**სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე (1824-1899)** – გენერალი, კავკასიის, ყირიმის ომისა და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის აქტიური მონაწილე, 1863-1867 წლებში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი,

სახელმწიფო საბჭოს წევრი, გრიგოლ ორბელიანის ნათესავის, სოფიო იაკობის ასულ ორბელიანის, ქმარი. 47, 66, 82, 95, 107, 136, 161, 166, 167, 204, 208, 209, 210, 217, 220, 224, 226, 236, 239, 241.

**სვიატოპოლკ-მირსკი ნიკოლოზ ივანეს ძე (1833-1898)** – კავალერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, დონის კაზაკთა ჯარების მეთაური. ვერა ილიას ასულ ბატონიშვილის, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – კლეოპატრა მიხეილის ასულ ხანიკოვას მეუღლე. 47, 48, 160, 161, 166, 204, 221.

**სვიატოპოლკ-მირსკი პეტრე დიმიტრის ძე (1857-1914)** – რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე, კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი, დიმიტრი ივანე ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და სოფიო გიორგის ასულ ორბელიანის შვილი. 66, 166, 204.

**სვისტუნოვი ალექსანდრე პავლეს ძე (1830-1903?)** – არტილერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიისა და ყირიმის ომების აქტიური მონაწილე, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, თერგის ოლქის უფროსი და თერგის კაზაკთა ჯარების ატამანი. 209, 210.  
წერილის ადრესატი.

**სისინი პავლე ათანასეს ძე** – რუსეთის არმიის „პოდპორუჩიკი“. 42, 127, 128, 129.

**სიუნეცი არაქელ** (1350-1425) – XIV-XV საუკუნეების სომეხი პოეტი, მუსიკოსი, გრამატიკოსი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საეკლესიო მოღვაწე. 200.

**სოლომონკა** – გრიგოლ ორბელიანის მსახური ბიჭი. 145, 146, 225.

**სომოვა-ორბელიანისა ევდოკია მიხეილის ასული** (1850/1851-1923/1924), იგივე **სომოვა-მიურატისა ევდოკია** – ხარკოველი მემამულის, მიხეილ ალექსანდრეს ძე სომოვის, ქალიშვილი, რომელიც ცოლად ჰყავდა ჯერ ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანს, 1873 წლიდან კი – პრინც ლუი ნაპოლეონ მიურატს, სალომე დადიანის მეუღლის, აშილ მიურატის, ძმას. 13.

**სოსიკო** – გრიგოლ ორბელიანის მსახური. 218.

**სტაროსელსკი დიმიტრი სიმონის ძე** (1832-1884) – გენერალ-ლეიტენანტი, ბაქოს გუბერნატორი 1872-1876 წლებში, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი 1877-1884 წლებში. ილია ჭავჭავაძის ქვისლი. 185.

**სულხანოვი (სულხანიშვილი) იესე იოსების ძე** – ქართული ენის პედაგოგი სასულიერო სემინარიაში. 176.

**სუმბათოვი (სუმბათაშვილი) მიხეილ (გიორგი) ლუარსაბის ძე** – პოლკოვნიკი, მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ადიუტანტი. 231.

**ტალიზინი სტეფანე ალექსანდრეს ძე** – რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის, ამალის წევრი. 83, 231.  
წერილის ადრესატი.

**ტელიაფუსი ივანე ბონამენტურის ძე (1832-) – ექიმი. 232, 233.**

**ტოლსტოი ალექსანდრე ვლადიმერის ძე (1852-) – კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტი. 231.**

**ტოლსტოი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1829-1887) – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე. 231.**

**ტომიჩი ოლღა პეტრე ასული – ამიერკავკასიის ჯარების სარდლის, პეტრე ივანეს ძე ტომიჩის, ქალიშვილი. 55.**

**ტრაჟკოვსკი – პიროვნება დაუდგენელია. 65.**

**ტრუბეცკოი სერგეი ნიკიტას ძე (1829-189?) – ობერ-გოფმარშალი, საიმპერატორო ერმიტაჟის დირექტორი. 188, 214, 231, 235.  
წერილის ადრესატი.**

**ურუსოვი ვლადიმერ პავლეს ძე (1877-1933) – რუსი დიპლომატი, მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტის წევრი 1910-1933 წლებში, ცნობილი ჩოგბურთელი. 231.**

**უსტა მეხთი ჰუსეინ ოლღი – თბილისელი მეწარმე, „პოდრიადჩიკი“. 183.**

**ფალავანდიშვილი-ბაგრატიონ-მუხრანელისა ელისაბედ (ლიზა) ნიკოლოზის ასული (1840-1916) – კონსტანტინე (კოტე) ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის (მუხრანსკის) მეუღლე. 95, 148, 220, 233, 234.  
წერილის ადრესატი.**

**ფალავანდიშვილი-ორბელიანისა მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის**



**ასული** (1852-) – შტაბს-კაპიტან ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის მეუღლე. 148, 230, 232.

**ფესლი** – ავსტრიის იმპერიის ქვეშევრდომის, გრაფ ფრანც დუბსკის, ამალის წევრი. 183.

**ფილოსოფოვი დიმიტრი ალექსის ძე** (1837-1877) – გენერალ-მაიორი (1875 წლიდან), კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვის ადიუტანტი, რუსეთის გენერალური შტაბის აკადემიის კურსდამთავრებული, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის აქტიური მონაწილე. წერილის ადრესატი.

**ფონ დერ ოსტენ-საკენი ანა მაქსიმილიანის ასული** – ბარონ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენის შვილი. 148, 167.

**ფონ დერ ოსტენ-საკენი მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე** (1833-1884) – ბარონი, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის ომის მონაწილე, საიდუმლო მრჩეველი, სტავროპოლისა (1873-1876) და თბილისის (1876-1877) გუბერნატორი, სალომე დავითის ასულ ჭავჭავაძის მეუღლე. 122, 148, 167.

**ფონ დერ ოსტენ-საკენი სოფიო მაქსიმილიანის ასული** – ბარონ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენის შვილი. 148, 167.

**ფორცი** – პიროვნება დაუდგენელია. 27.

**ფროლოვა-ბაგრატიონ-გრუზინსკისა ოლღა დიმიტრის ასული** (1844-1902) – გრიგოლ ილიას ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე. 182.

**ფუკსი** – ავსტრიის იმპერიის ქვეშევრდომის, გრაფ ფრანც დუბსკის, ამალის წევრი. 183.

**ფურცელაძე დიმიტრი პეტრეს ძე (1825-1891)** – ქართველი ისტორიკოსი, ტიტულოვანი მრჩეველი. 1864 წლიდან კავკასიის მეფისნაცვალთან განაგებდა კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიეებს. იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე. მის კალამს ეკუთვნის არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა საქართველოს ისტორიაში. წერილის ადრესატი.

**ქიქოძე გაბრიელ (1825-1896)** – ერისკაცობაში გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე. ქართველი სასულიერო მოღვაწე, მეცნიერი და პედაგოგი, იმერეთის ეპისკოპოსი 1860-1896 წლებში. 189.

**ლიჩი** – ავსტრიის იმპერიის ქვეშევრდომის, გრაფ ფრანც დუბსკის, ამალის წევრი. 183.

**ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814-1887)** – ქართველი სახელმნიფო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური, საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული. წერილის ადრესატი.

**ყორღანაშვილი-თამამშევისა ბარბარე ვასილის ასული** – მიხეილ იაგორის ძე თამამშევის მეუღლე. ცოლ-ქმარი აქტიურად იყო ჩართული თბილისის კულტურულ ცხოვრებაში და ჰქონდათ პირველი არისტოკრატიული „ინგლისური“ კლუბი. 148, 232.

**ყორღანოვი (ყორღანაშვილი)-ლორის-მელიქოვისა სოფიო იოსების ასული (1845-1933)** – გენერალ-მაიორ იოსებ ყორღანაშვილის შვილი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის, იოსებ ლორის-მელიქოვის, დედა. 55.

**შამილი (1798-1871)** – კავკასიელი მუსულმანების პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი (1834-1859). წარმოშობით დაღესტნელი. მის მიერ დაარსებულმა მოძრაობამ – მიურდიზმმა – დაღესტანი და ჩეჩნეთი, სადაც ის განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა, რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლისათვის გააერთიანა. 1859 წლის 28 აგვისტოს დაატყვევეს და ოჯახით კალუგაში გადაასახლეს. გარდაიცვალა ქ. მედინაში, სადაც მოსალოცად იყო ჩასული. 122, 216.

**შარვაშიძე-დადიანისა თამარ მიხეილის ასული (1841-1925)** – აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის, უფროსი ქალიშვილი. 173, 209.

**შარვაშიძე მიხეილ მიხეილის ძე (1854-1900)** – აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის უმცროსი ვაჟი. 144, 173, 209.

**შახმად (შაჰ მამედ) მირზა** – ირანის შაჰი. ტახტზე ავიდა 1834 წელს. 87.

**შერინგი** – პოდპოლკოვნიკი. დამატებითი ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. 167.

**შმაკოვი დიმიტრი ნიკოლოზის ძე** – თბილისის სახაზინო პალატის უფროსი. ნერილის ადრესატი.

**შუვლოვი პეტრე ანდრეის ძე (1827-1889)** – გრაფი, გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ბალტიისპირეთის გენერალ-გუბერნატორი, ყანდარმერიის შეფი, რუსეთის წარმომადგენელი ბერლინის კონგრესზე. ალექსანდრე II-ზე დიდი გავლენის გამო მეტსახელად „პეტრე IV“ შეარქვეს. 85, 86.

**ციბულსკი** – ადვოკატი. დამატებითი ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. 218.

**ცისკაროვი (ცისკარიშვილი) ნიკოლოზ ისაკის ძე** – ალექსანდრეს სახელობის სასწავლებლის პედაგოგი. 188.

**ჭავჭავაძე ალექსანდრე დავითის ძე (1853-1900)** – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა და ანა (ანეტა) ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიას შვილი. ერთი წლის ასაკში შამილს ტყვედ ჰყავდა ოჯახის წევრებთან ერთად. გარდაიცვალა ბაქოში. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის ეკლესიის ეზოში. 125.

**ჭავჭავაძე-ასტაფიევისა ელენე დავითის ასული (1850-1929)** – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა და ანა (ანეტა) ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიას შვილი, გენერალ ნიკოლოზ ალექსის ძე ასტაფიევის მეუღლე. 55, 59, 65, 66, 94, 107, 125, 136, 209, 220, 224, 233.

**ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისა თამარ დავითის ასული (1852-1933)** – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა და ანა (ანეტა) ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიას შვილი, ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე, ფრეილინა, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი, ორი წლის ასაკში შამილის ტყვე-

ობაში იმყოფებოდა ოჯახის წევრებთან ერთად. დაკრძალულია სვეტიცხოველში. 32, 47, 55, 59, 66, 94, 100, 107, 122, 125, 136, 148, 167, 209, 220, 224.

**ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა ნინო ალექსანდრეს ასული (1812-1857)**

– ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის ასული, შესანიშნავი მუსიკოსი, მომღერალი, მოცეკვავე. წინანდალსა და თბილისში აწყობდა ოჯახურ სპექტაკლებს, სადაც თავადაც მონაწილეობდა. აღიზარდა პრასკოვია არსენიევა-ახვერდოვას პანსიონში, სადაც გაიცნო მომავალი მეუღლე – ალექსანდრე გრიბოედოვი. მისი გარდაცვალების შემდეგ აღარ გათხოვილა. ჩართული იყო სახელმწიფო საქმეებში. ანდერძის თანახმად, დაიკრძალა მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით. 209.

**ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე ალექსანდრეს ასული (1816-1882)**

– პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის მეუღლე, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრის სრულწლოვანებამდე, 1853 წელს, რუსეთის იმპერატორმა რეგენტად დაამტკიცა. ყირიმის ომის დროს ეკატერინე პირადად მონაწილეობდა ოსმალთა სარდალ ომარ ფაშას წინააღმდეგ კამპანიაში. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ დასახლდა ჯერ სანკტ-პეტერბურგში (სადაც „სტატს დამის“ წოდება მიანიჭეს და წმინდა გიორგის მედლით დააჯილდოვეს), შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა. 60-იანი წლების ბოლოს, საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ოჯახის მიწვევით, შვილებთან ერთად საცხოვრებლად პარიზში გადავიდა. გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში, მეუღლის გვერდით. 30, 45.

წერილების ადრესატი.

**ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე (1817-1884)** – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, შტაბს-კაპიტანი, მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი. მსახურობდა ლეიბგვარდიის გრენადერთა პოლკში. ყირიმის ომის დროს (1853-1856) ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის რაზმებისაგან. 1854 წელს განსაკუთრებული დამსახურებისათვის პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა და მეფის ფლიგელ-ადიუტანტი გახდა. 1856 წელს თბილისის ეგერთა პოლკში გადაიყვანეს. 1861 წელს გენერალ-მაიორის ჩინი მიენიჭა და მეფის ამაღლაში ჩაირიცხა. ამავდროულად, კავკასიის არმიაშიც მსახურობდა. ცოლად ჰყავდა ილია ბატონიშვილის ასული ანა (ანეტა). 56, 59, 65, 66, 70, 71, 94, 107, 122, 125, 145, 149, 172, 177, 182, 209, 217, 221.

**ჭავჭავაძე ზაქარია გულბათის ძე (1825-1905)** – გამოჩენილი მხედართმთავარი, კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი. 17 წლის ასაკში ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში ჩაირიცხა მოხალისედ. 1885-1893 წლებში კავკასიის არმიის პირველ კორპუსს მეთაურობდა. ოფიცრობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, „ბრილიანტის ნიშანი“ და ალექსანდრე ნეველის I კლასის ორდენი გადაეცა. დაკრძალულია წინანდალში, საგვარეულო სასაფლაოზე. 122, 125, 233, 234.  
წერილის ადრესატი.

**ჭავჭავაძე მიხეილ (მელქისედეკ) ზურაბის ძე** – გენერალ ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძის ძმა. 217.

**ჭავჭავაძე ნიკო (ნიკოლოზ) ზურაბის ძე (1830-1897)** – „დიდი ნიკო“, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ლეიბგვარდიის კაზაკთა პოლკის „პორუჩიკი“, კავალერიის

გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე, დასავლეთ დაღესტნის სამხედრო გუბერნატორი (1866-1876), დაღესტნის ოლქის უფროსი და ჯარების სარდალი (1880-1883). გარდაიცვალა დაღესტანში. 117, 122, 125, 149, 150, 168, 182.  
ნერილების ადრესატი.

**ჭავჭავაძე-ოსტენ-საკენისა სალომე დავითის ასული (1848-1919)**  
– დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა და ანა (ანეტა) ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკიას შვილი, ბარონ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენის მეუღლე. გარდაიცვალა პეტროგრადში ინვალიდების სახლში. 94, 107, 125, 136, 148, 167, 209.

**ჭავჭავაძე-საგინაშვილისა ელისაბედ გრიგოლის ასული (1840-1925)** – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ილია ჭავჭავაძის და. გენერალ ალექსანდრე საგინაშვილის მეორე ცოლი. 148, 217, 220, 232, 233, 234.

**ჭავჭავაძე-ჩოლოყაშვილისა ანასტასია (ნასტენკა) დავითის ასული (1856-1927)** – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა და ანა (ანეტა) ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკიას შვილი, ნიკოლოზ ზაალის ძე ჩოლოყაშვილის მეუღლე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. 172.

**ჭავჭავაძე ცუცა** – ყვარლის მკვიდრი. 122.

**ჭავჭავაძე-ჭავჭავაძისა მარიამ (კაკო) დავითის ასული (1949-1921)** – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა და ანა (ანეტა) ილიას ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკიას შვილი,

ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძის მეუღლე. გამოირჩეოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით. იყო შესანიშნავი ცხენოსანი. 29, 56, 66, 94, 107, 136, 209, 220, 224, 233, 234.

